ალითერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

114
1936/2

4

შინაარსი

პოეზია

ვ. მაიაკოვსკი
ტ. ტაბიძე
ვ. გაბესკირია
გ. კაჭახიძე

პროზა

მ. ჯავახიშვილი
პ. ჩხიკვაძე
ს. თავაძე

ხელოვნებათმცოდნეობა

ა. ჩავლეიშვილი

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მ. გორკი
ა. მაშაშვილი
ე. ასტვაცატუროვი
ა. სულავა

ბიბლიოგრაფია

გ. მ.

1 9 3 6

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ
ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲰᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

55943
1873

4

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ

Тбилисский ... Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

1936 ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პ/მგ. რედაქტორი გიორგი ჟურულაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გრ. მუშიშვილი
შალვა რადიანი
გალაკტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლეო ქიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემნა შენგელაია

ერეკლეულ ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.
ეგნ. ნინოშვილის სახელ. წერილთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

სახელგამის პირველი სტამბა, პლეხანოვის პროსპექტი № 91

მთავლიტის რწმ. № 7010. შეკვ. № 239. ტირაჟი 7000

ვ. მაიაკოვსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

პირველი კომუნარები

ბევრს ალარ ახსოვს
გმირული შეხლა,
ბრძოლა და ჭიდილი
ურჩი.
მაგრამ ის დღეებს ეხლაც,
მუშათა კლასი
ინახავს გულში.

როცა ჩნდებოდენ
ქარხნები მტვრიანი
და კაპიტალს ჯერ კიდევ
აკლდა ასპარეზი,
მათი დროშების შრიალით
სუნთქავდა პარიზი.

ლარიბთა გულებში
უცნობი სიმღერა ითქვა,
შიში და ძრწოლა
ჩადგა მდიდრების ხმაში
სოციალიზმის ცოცხალი სიტყვა
პირველად აენთო მაშინ.

და მთელი ქვეყნის
ბურჟუები
ტაშს უკრავდნენ ქონიან ხელებით,
როცა გამოჩნდნენ
სისხლიანი ვერსალელები.

არც სადმე კანონი,
არც მისი მნახველი,
დაანთეს ცეცხლი სიმკაცრისა.
გალიფემ — ფრანგების კოლჩაკმა
მახვილით
კომუნა გასრისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ თუ მთლად ჩაწყდა
ხმა მათი წამების,
მიწაზე ამოშრა
წითელი წვეთები!
დაბრძანდებოდნენ მსუქანი დამები
და თვალებს სჩიჩქნიდენ
ქოლგების წვეტებით.

ბურჟუამ კომფენა გამოხრა
და შეიმშრალა ლაშები
დროშების ფარჩით.
ჩვენ დაგვრჩა ლოზუნგი:
„ან გაიმარჯვეთ,
ან ბრძოლის ველზე ჩვენსავით დარჩით“.

ვერსალელებმა შედრობლეს ტყვეით
პარიზის გული
და ლხინობდნენ შემდეგ,
ბურჟუაც სტკბებოდა
ბედნიერ ლხინით,
დიად ოქტომბრის დღემდე.

მუშათა კლასის
ჭკუას რა დასძლევს,
სიტყვით, მათრახით,
სისხლით ამდენით!
მათ ერთი მუჭა დღენი თუ გასძლეს,
ჩვენ გავძლებთ
ასეულ წელიწადებით.

დგა ფარჩების ტყე
გამარჯვებულ მასების თავზე
და მათ სახელებს უამბობს ნიავს,
დღესაც ამ ლაშქარს
სიამაყით და სევდით სავსე,
მათი დროშები მეცხრეჯერ მიაქვს.

თარგმანი ილო მოხაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

ბაღდათის ზეცა

ვლადიმერ მაიაკოვსკის

— Я
В долгу
Перед бродвейской лампионьей,
Перед вами
Багдадские небеса,
Перед Красной Армией,
Перед вишнями Японии
Перед всем
Про что
Не успел написать...
— გულდასაწყვეტი დაგვრჩა მრავალი,
მაინც საერთო გვაქვს ერთი ვალი,
რაც მე მაწვალებს ღამე და დღეცა —
ლაჟვარდოვანი ბაღდადის ზეცა...
დაბადებიდან სიმღერა გვახლავს,
კამეჩს რომ ზურგზე აუწვავს ბალანს,
ვინ დაიჭირავს ამ უხილავ ხმას,
ვინ გაუკეთებს პოეტურ ბალანსს?
რასაც სიყრმითვე სული მიყვება,
დამთოკველია ჩვენი გონების,
რაც არ იციან მხოლოდ ბრიყვებმა
ბოდვა ბროდვეის ლამპიონების...
მყინვარზე ასვლა მაინც აქვს სიტყვას,
უკვდავებაში გასროლილ შურდულს,
რაც სათქმელია, ის უნდა ითქვას,
გასტეხს კარებზე დადებულ ურდულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს ჩანგს მაგარი სიმი რომ. მისცა.
და გაიხარებს თვით ბაღდათის ცა,
როცა სიცოცხლე სიკვდილს მხარს უბამს,
და სიმწრის ოფლი ბალიშს ასველებს,
იაპონიის გაშლილ ალუბალს
და საირმესკენ გაფენილ ველებს
ერთად ადგებათ დიდი ნათელი,
თრთოლვა, ცახცახი და ჟრუანტელი!..
გულდასაწყვეტი დაგვრჩა მრავალი,
მაინც საერთო გვაქვს ჭრთი ვალი,
რაც მე მაწვალებს ღამე და დღეცა —
ლაჟვარდოვანი ბაღდადის ზეცა.
სხვისა სხვამ გითხრას, მე ბაღდადის ცის
მინდა გიმღერო ბავშვობის ნანა!
დღეს აპრილია, აპრილმა იცის
ვაშლის ხეებით სულის გატანა!..
როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი
ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს,
მოდი ამ მეწყერს კაცი გადურჩი
ან საირმეზე ირმების ბღავილს...
ასე მგონია, შენი სიკვდილიც
სიზმარი არის მხოლოდ უხეში.
და ამ აპრილის რძიანი დილით
დადგები მუხად ბაღდათის ტყეში,
ან პასტერნაკის მოხვალ დემონი,
თოვლის შვავების თეთრი გუნდებით,
რასაც ცხოვრებით მუდამ ემონე
ახალ მეწყერად დაუბრუნდები,
ან წამოჰყვები ბავშვი წიგნებით
ეჟვნის წკარუნით მოსულ დილიჟანსს
და ერთ პარტაზე ერთად ვისხდებით,
მოკლე შარვალში კანჭები გიჩანს.
სოლომონ მეფის გილიოტინა,
ხუთასწლიანი დიდი ჭანდარი,
თითქოს გამხდარა ზეცის ოდენა,
თვალი ვერ უწევს წვერი სად არი!..
მიჰქრის რიონი, აწყდება ლოდებს
და ჩვენ დავცურავთ იქ ლიფსიტები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდ დასვენებას თითქო ელოდეს
დაფართხალებენ ხეზე ჩიტები.
ხან კი მრისხანე ისმის გუგუნი,
სიმღერა ახალ მარსელიელთა,
ყაზახის მათრახს გააქვს ზუზუნი, —
ალიხანოვმა, სჩანს, დრო იხელთა.
რაზმი რაზმს შესცვლის, მიტინგი მიტინგს,
წყევლა და კრულვა მეფის მტარვალებს!
წულუკიძის ნეშტს ქვეყანა მისტირს,
განიბალის ფიცს სტალინს ავალებს.
ბევრი სხვა დარჩა მოსაგონარი,
დადგება ლექსის ხვავი ასკეცად
და ცისარტყელას ჭრელი ზონარით
ყველაფერს იტყვის ბაღდათის ზეცა!
ფინინსპექტორთან გადაწყდა დავა;
თვითონ სტალინმა აიღო სიტყვა
და ხალხის მამამ თვითონ ითავა,
ეთქვა, რაც ხალხის ცხელ გულში ითქვა,
თვითონ სტალინმა, რომელსაც მარტო
არც ცის, არც მიწის არ დარჩა ვალი,
ვინც გაუშალა ერებს გზა ფართო,
მისცა სამყაროს სხვა მომავალი;
რომლის წინაშე ქვეყნის მგოსნები,
რაც უნდა ბასრად ენა ელავდეს,
ჩახრჩობილი ვართ ვალში ყელამდე...

ბაღდათის ზეცის თუ გაგყვა ჯავრი,
არც ბაღდათის ცა დაიდებს შენს ვალს.
აქაც იზრდება წითელი ჯარი,
შენს მაგიერად ის მწყობრში შევა.
და ძლევამოსილ საბჭოთა ჯარებს
ის ვაჟკაცურად მხარსაც აუბამს,
თუ დინგიანი გადააჭარბებს,
სისხლით შელებავს მაშინ ალუბალს.
მაგრამ უნდა თქვას კაცმა მართალი,
არ გაგყოლია შენ ქვეყნის ვალი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვისი სხვამ გითხრას — მე ბალდათის ცის
მინდა გიმღერო ბავშვობის ნანა!..
დღეს აპრილია, აპრილმა იცის
ვაშლის ხეებით სულის გატანა!...
როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი
ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს.
მოდი, ბალდადის ცას გადაურჩი,
ან საირმეზე ირმების ბლავილს.

1936 წ. 23. 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲪᲕᲘᲠᲗᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ *)

XI

მეორე დღეს მოახლემ ფანჯრის დარაბა გააღო და ქეთო გააღვიძა. გარედან შემოვარდნილმა მზის შუქმა თეთრი ოთახი გააბრწყინა და ქეთოს ახამხამებული თვალები ხელახლა დაახუჭვინა. თავი ნისლით და ტკივილით ჰქონდა დამძიმებული. მას თავდაპირველად ავშაროვის ალერსი გაახსენდა, რომელიც ფაიტონში და კიბის თავზე განიცადა. მერმე მოგონება დაკეცილ მთლიან სურათივით გაეშალა ბოლოდან და ერთმანეთს მოჰყვა წითელი კოლოფი შანტანში, ურცხვი ცეკვა, ილიკოს ნახტომი, ავშაროვის ტირილი, ცხარე ხვევნა-კოცნა და ზურაბი, რომელიც ნისლში ლივლივებდა და ძლივსღა მოსჩანდა.

„ვაი მე, ეს რა დამემართა? ნუ თუ ავშაროვს პირობა მივეცი? — და ვერ იქმნა, ვერ გაიხსენა, მისცა თუ არა პირობა. —თუმცა რა შუაშია პირობა! განა ის უფრო უარესი არ არის, რომ შანტანში ბევრმა დამინახა, ალბათ ჩემი გვარიც გაიგეს, ილიკოს ძმაბიჭებმაც მიცნეს და დღეს მთელ ქალაქს მოსდებენ: ქეთო ახატნელი და ჟანდარმი ავშაროვი წუხელის შანტანის ლოჟაში იყვნენ ჩაკეტილნი და თითქმის იქ გაათენესო“. მაშ იქნება სჯობდეს, რომ პირობა მიცემული ჰქონდეს, თორემ სირცხვილისაგან ხალხში თავს ველარ გამოჰყოფს. ქეთოს უნდოდა თავისი და ავშაროვის სიტყვაპასუხი და საქციელიც დაწვრილებით აღედგინა, რიგზე დაელაგებინა, ანალიზი მოეხდინა და შემდგომი ყოფაქცევის გეგმაც შეედგინა, მაგრამ ბურანი ვერ გაფანტა და აღარც მოახლემ დააცალა:

— დროა აბრძანდეთ, ქალბატონო. თორმეტის ნახევარია და შესაძლოა ვინმე სტუმარი მოვიდეს.

— დღეს რა დღეა?

— კვირა დღეა. დიდი ქალბატონი და ბატონი ეკლესიაში ბრძანდებიან და საცაა დაბრუნდებიან.

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ №3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ქალბატონს ჩაცმა უშველა, კორსეტი შეუკრა, თმა დუვარცხნა და გავიდა. ქეთოც მალე გაჰყვა. სასადილო ოთახში შოკოლადი, ყურძენი და მოხარშული კვერცხები დაუხვდა.

ეზოს მხრივ აივანზე ნიკო გამოჩნდა. მამა შინ არ ეგულვებოდა და იმიტომ შემოვიდა. მისი შხამიანი წერილი, საიდუმლო გაზეთში დაბეჭდილი, ანდრიასაც მიუვიდა და მწვავედ დასჭრა. მამამ რომ ავტორის ვინაობა გაიგო, შვილი დასწყევლა და ისეთი გულის-ფრიალი აუვარდა, რომ სამ დღეს ლოგინიდან ველარ წამოდგა, და როცა წამოდგა, ყველამ შეატყო, რომ სამ დღეში ოდნავ გახდა, წელშიც ოდნავ მოიხარა, წვერულვაში უფრო მეტად გაუთეთრდა და სახეც შესამჩნევად დაუშუპდა.

ნიკო დღეს პირქუშად იყო. დას სალამიც კი არ მისცა. უსიტყვოდ მიუჯდა მაგიდას და ჩუმად ჰკითხა ქეთოს:

წუხელის საბოლოოდ ვინ დაიპყარი, ზურაბი თუ ავშაროვი?

ქეთომ უგუნებოდ მიუგო:

— ორივენი.

— შენ ვილამ დაგიპყრო?

— ორივემ.

— ქეთო, მე არ გეხუმრები.

— არც მე გეხუმრები.

— ქეთო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ჩვენ პირობა დავდეთ ერთმანეთს ვუშველოთ? — და პასუხი რომ არ მიიღო, ხმას უფრო დაუწია: — წუხელის მართა გამომიტყდა. ზურაბს გაგიყებით ვუყვარვარ და მეც მიყვარსო.

ქეთომ ფინჯანი დადგა და ძმას შეეხედა.

— ამაზე რას იტყვი? — ჰკითხა ძმამ და ნერვიულად შეუდგა თითების მტვრევას და ტკაცუნს.

— მართლა მაგრე გითხრა? ზურაბს გაგიყებით ვუყვარვარ და მეც მიყვარსო?

— სიტყვა-სიტყვით გითხარი, სწორედ მაგრე მითხრა.

— ალბათ სიყვარული გაუცხადე და ამიტომ გამოგიტყდა.

ნიკომ არა უპასუხარა და თითების წვალებას უმატა. ქეთომაც იყუჩა და ნაღვლიანად განაგრძო:

— მეც ვიცი, რომ ერთმანეთი უყვართ. ზურაბი ხშირად მოდის ხოლმე მართასთან. მართალია, ერთობის საქმესაც აკეთებენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სხვა საერთო რამეც მოეპოვებათ. ზურაბი რომ მართაზე ლაპარაკობს იმის ხმაში სითბოს და აფრთოვანებას ვგრძნობ ხოლმე. მართალია, მე და შენ პირობა დავდეთ, რომ ერთმანეთს ვუშველოთ, მაგრამ არა გამოვიდარა. ორივენი დავმარცხდით. ზურაბი აშკარად ამბობს: მე ცოლს არ შევირთავო. მართალია, ზურაბი ძლიერ მომწონს...

— იქნება კიდეც გიყვარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დასამალია, თითქმის მიყვარს, თითქმის მეთქი. მაგრამ მართალსავით ხასად ხომ არ დავუდგები!

— მართალსავით?! — წამოიძახა ნიკომ და გველნაკბენივით ფეხზე ადგა.

— მაშ რა გეგონა? რახან ერთმანეთი ჰყვარებიათ და ჯვაროდაუწერელნი არიან, მაშ მართა ზურაბის ხასა ყოფილა და მეტი არაფერი.

— ჯვრისწერა ტრუმორწმუნეობაა, მღვდლების მიერ მოგონილი ხრიკია. — წამოიძახა ძმამ.

— თუნდა აგრე იყოს. ეგ საბუთი ჩემს აზრს ადასტურებს — ულმობლად მოუბრუნა ქეთომ. — რახან ეგ „ხრიკი" არა სწამთ, მაშ ცხადია, რომ არც ჯვრისწერას მოუცდიდნენ და სიყვარულს ბოლომდე დაიყვანდნენ.

ეს სიტყვები სტუდენტს ცივი მახვილივით ჩასწვდა გულში. წუხანდელი ღამეც ამ შხამიანმა აზრმა გაატეხინა და ახლაც უწყალოდ აუწვა სისხლი. ნიკო მოჭრილი ტოტივით დაეშვა სკამზე. ვაჟური სიამაყე ლაფში ჩაუგდეს და ამის გამო ისე მწვავედ სცხვენოდა, რომ დასაც ველარ გაუსწორა თვალი და პირი კუთხისკენ მიიბრუნა.

„მართლა გულით მიყვარს მართა თუ, მისივე თქმისა არ იყოს, ამპარტავნობასა და ცუდმედიობას შეუპყრივარ?" — მეოცეჯერ გაიფიქრა მან და ვერც ახლა გადასჭრა. სამაგიეროდ ქეთოს გადაეჭრა და არც დაუმატა:

— მე არა მჯერა, ნიკო, რომ მართა ნამდვილად გიყვარდეს. ერთობის სამსახურმა და საერთო იდეამ შეგაკავშირათ, თორემ სხვაფრივ შორიშორს დგეხართ.

— ზურაბი და შენ კი სულ ახლო დგეხართ, შენ ნუ მომიკვდები! — ჩაუგესლა ნიკომ და პასუხს აღარ დაუცადა: — მაშ სატრფო შენც წაგსვლია ხელიდან. მენანები, ძალიან მენანები. გამაგებინე, ახლა რაღას აპირებ?

ქეთო რას აპირებს? აბა რა იკის. თავი ბურუსით აქვს სავსე და ჯერ ვერ გაუფანტავს. ნიკომ მას უარესად დაუხლართა აზრიც და გრძნობაც. ერთი რამე მაინც გაახსენდა ნათლად და მკაფიოდ: „მე ცოლს ვერ შევირთავ" — უთხრა წუხელის ზურაბმა, თან ირიბულად ივდითის როლი შესთავაზა ქეთოს, და ისიც გააგებინა, რომ შენთვის დეკაბრისტის ცოლის როლი ივდითობაზე უფრო ძნელი იქნებაო. იკისრებს თუ არა ქეთევანი ამ როლს, ეს მერმე გამოჩნდება, ის კი უდავოა, რომ ზურაბი მეტად პატიოსანი კაცი ყოფილა: ქეთოს აშკარად აგრძნობინა: შესაძლოა მე დავიღუპო და ნუ ამეკიდებიო. მის მაგიერ ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, ქეთოს გულსა და ნდობას ბოლომდე გამოიყენებდა და შედეგს ინუნშიაც არ ჩაიგდებდა. მაშ ზურაბის საქმე გამორკვეულია: ამას იქით ქეთო გურგენიძეს თავის მასწავლებლად და საუკეთესო ამხანაგად მიიჩნევს და სხვა რამ გრძნობას ძირ-ფესვიანად ამოიგდებს.

ახლა მართა... საწყალი მართა! ქეთომ ეს ქალი ბავშობიდანვე შეიზარდა და ნუ თუ ახლა გზას გადაუღობავს და ხელიდან გამოჭვლეჯს საბედოს, რომელიც, ვინ უწყის, რა ფასით და რა წადილი ბეჩავს? ალბათ ქალწულობაც კი შესწირა. ის მაინც ცხადია, რომ ზურაბი და მართა ერთმანეთს ერთობის ჯაჭვით გადაებნენ და ხელიხელჩართულნი კატორგისაკენ ან სახჩობელასკენ მიდიან. ახლა ქეთო შუაში ჩაუდგეს, ერთმანეთს დააშორებს და ზურაბს მართას მაგიერობა გაუწიოს? ვერა, უღელს ვერ გაუწევს, დავარდება. მაშ მართას დაჩაგვრა ავი რამ ყოფილა, იგი ორივე ქალს გააუბედურებს და ერთობასაც ავნებს.

„ღმერთმა ორივეს მშვიდობის გზა მოგცეს, ორივეს წადილი შეგისრულოს და ბედნიერების წყარო ნუ დაგილიოს — მხურვალედ ლოცავს თავის გულში ზურაბს და მართას ქეთევანი და თავის თავზე კი ფიქრობს: — მე კი სხვა გზას დავადგები. ალბათ ასე ეწადა ბედს. მაშ შესრულდეს ნება მისი“.

ახლა კი ქეთევანს ბურუსიც გაეფანტა, გარკვეული აზრიც ჩამოუყალიბდა და თითქო თავის-ტკივილიც დაუცხრა.

— შენზე რას მეტყვი, ქეთინო? — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ გაახსენა ძმამ.

პასუხის მაგიერ ქეთომ თავის მხრივ ჰკითხა:

— შენ ეს მითხარი, შეიძლება თუ არა ქალი თავის პარტიულ მტერს მისთხოვდეს, ერთობას იქიდანაც ემსახუროს და ამ მიზნით თავის ქმარიც გამოიყენოს?

— რატომ არ შეიძლება? — მაშინვე მიუგო ძმამ. — ვინ მოსთვლის რამდენი მაგისთანა ამბავი მომხდარა.

— ხომ შეიძლება, რომ მაგალითად თუნდაც ივდითი დავასახელოთ?

— მშვენიერი მაგალითია — დაუდასტურა ნიკომ.

„მართამაც მითხრა, ზურაბმაც დაასახელა და ახლა ძმაც ადასტურებს, მაშ ავშაროვის ცოლობა ერთობის ღალატში არ ჩამეთვლება.“ — გაუელვა აზრმა ქეთოს და მთლად მის არსებას საამური სიმშვიდე მოედო.

— შენზე რას მეტყვი მეთქი, ქეთინო? — გაახსენა ნიკომ. — რას აპირებ?

ქეთომ ბრალიანი ღიმილით გაუღიმა და ჩურჩულით მიუგო:

— ვთხოვდები.

— ვის მისდევ?

— ავშაროვს.

— რა დროს ხუმრობაა!

— სულაც არა ვხუმრობ.

ნიკომ ხელი დაჰკრა მაგიდას და წამოხტა:

— ნუ ხუმრობ მეთქი!

— მე ხუმრობის გუნებაზე არა ვარ.

— მაშ... მაშ გვიღალატე? მაგრე ადვილად გადაგვიდაქი?

— ნიკოჯან, ღალატი აზრადაც არა მქონია. ახლა არ იყო: რომ დამიდასტურე: შესაძლოა მტრის ბანაკში შეიპარო და ეროვნებაც გამოადგეო?

— რაო? ჟანდარმი სიძედ უნდა დამიყენო?

— რახან მე ვკისრულობ ავშაროვის ცოლობას, შენც იმის ცოლის ძმობა იკადრე — მშვიდათ შესთავაზა ქეთომ.

მაგრამ დის სიმშვიდემ სტუდენტი ვერ დააცხრო.

— შენ ერთობა ლამაზ მუნდირზე და კოხტა ულვაშებზე გაცვალე და გინდა, რომ ეგ სიბილწე ერთობის სამსახურში ჩაგითვალონ? — საოთეატრო კილოზე წამოიძახა სტუდენტმა. — ვის ატყუებ?

სწორედ ამ დროს ზარი აწკარუნდა. ნიკოს არ უნდოდა მამას შეეხვედროდა. სხაპუნით დაასრულა:

— მაშ კარგი. ადრე თუ გვიან მწარედ ინანებ, მაგრამ გვიანლა იქნება თითზე კბენანი. წადი, მოგვშორდი და ძმადაც ნულარ ჩამთვლი. — სთქვა და ოთახიდან თითქმის სირბილით გავარდა.

„აი პირველი მწარე ნაყოფი, რომელიც ამ გზაზე მერგო. ეს ერთი და სხვა ათასი იქნება. — გაიფიქრა ქეთომ და ცრემლი ძლივს შეიბრუნა. — ალბათ ნიკოსავით შემაჩვენებენ აკაკი, თამარი, გრიგოლიც, დიმიტრიც, შუქურაულიც, წვერაძეც და ბევრი შორეულ-მახლობელი ნათესავი და მეგობარიც. ღმერთო მიშველე".

ამასობაში მარიამი შემოვიდა, ქეთოს შუბლი დაუკოცნა, გვერდით მიუჯდა და უთხრა:

— სიონის ხატი გწყალობდეს, შვილო — მერმე იყუჩა და მეგობრულ კილოზე ჰკითხა: — დილის სამ საათზე საიდან დაბრუნდი?

„სულ ერთია, ან ილიკოსგან გაიგებს, ან სხვისგან" — გაიფიქრა ქეთომ და მოურიდებლად უპასუხა:

— შანტანიდან დავბრუნდი.

— ეგ რანაირი ხუმრობა გისწავლია, შვილო?

— არა, დედი, არ გეხუმრები. წუხელის გალმიდან მოვდიოდი. ვერის დალიცრთზე ილიკომ და ავშაროვმა ძალით ჩამომიყვანეს ფაეტონიდან და ძალით შემათრიეს შანტანში.

— უი მე, დამიდგეს თვალები! — ესღა წამოიძახა მარიამმა და გახევდა.

— სამაგიეროთ უნდა კიდეც გაგახარო: ავშაროვს სიტყვა მივეცი — დაასრულა ქეთომ და დედას გაოცებულ თვალებში შეეხედა.

შარშანდელს აქეთ მარიამი ორ ცეცხლზე იწვა. ანდრიას და ილიკოს ავშაროვი სასურველ სიძედ მიაჩნდათ, სხვებს კი მისი ხსენებაც კი ეზარებოდათ. ახლა საქმე საქმეზე მიდგა და მარიამს ან წყენა, ან სიხარული უნდა გამოეჩინა, და ყველაზე ძნელი ეს არჩევანი იყო და მეტი არაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი. სანამ დედის სახეზე ორნაირი გრძნობა იბრძოდა, ქეთომ ალარ დაიცადა და ჰკითხა:

— მითხარი რაღა, გეწყინა თუ გეამა?

— აბა, რა ვიცი, შვილო, — ძლივს ამოიღო ხმა მარიამმა. — აბა, რა ვიცი. წავალ და მამაშენს ვკითხავ — და ქმრის კაბინეთისკენ ოდნავი ბაჯბაჯით გაემართა.

„მაშ იქიდან გახარებული გამოვა. სამი მოსარჩლე მაინც მეყოლება" — გადასჭრა ქეთომ და თავის ოთახისაკენ წავიდა. იქ ხან წიგნს დაავლო ხელი და ხან ხელსაქმე აიღო, მაგრამ გული არაფერზე მიუვიდა და ისევ უსაქმო ჯდომა და ფიქრი ამჯობინა.

ანაზდად ზარმა გამოაფხიზლა და იმავე წუთს უმიზეზო მოუსვენრობამ მოიცვა. წამოდგა და თვითონაც არ იცოდა რად წამოდგა, რამ შეაფორიაქა, სისხლიც რამ აუჩქროლა. მაშინვე კარს ეცა და ყური მიუგდო. მიუგდო და შფოთვა გრიგალივით მიესკდა.

„ღმერთო ჩემო, ის არის, ისა!"

დიაღ, ის არის, ნამდვილად ავშაროვია, ქეთოს სახვალიო ქმარია, რა თქმა უნდა, რომ ქეთოს სათხოვნელად მოვიდოდა. მაშ ერთობზე დანიშნული ქეთევანი ჟანდარმს უნდა გაჰყვეს?! მაშ საცაა იმ ოთახში უნდა გავიდეს და აშკარად განაცხადოს, ავშაროვის ცოლობა მინდაო?! არა — ეს რაღაც უემურია, ავი რამ ლანდია!

მართალია, წელან ქეთომ ნიკოსაც უთხრა და დედასაც: ავშაროვს სიტყვა მივეცი, მაგრამ ეს ხომ აზრი იყო და მეტი არაფერი? და თუ ავშაროვმაც გაახსენა, ქეთო ბოდიშს მოიხდის და ეტყვის: „ეს ერთი მაპატიეთ და მეტს ალარ ვიზამ. მე გაგეხუმრეთ, თქვენ კი მართალი გეგონათ და შეწუხდით."

ავშაროვი ალბათ ხვევნა-კოცნასაც გაახსენებს. მერმე რაო? ყველას რომ მისთხოვდეს ქალი, ვისაც ერთხელ-ორჯერ მოეხვია, ზოგიერთს ოცი ქმარი მაინც გაუჩნდებოდა. არა, არა, ქეთო ავშაროვს ცოლად არ გაჰყვება! იმ ოთახში არც კი გავა, არც კი დაენახვება, არა მეთქი!

— შვილო, რატომ არ გამოდიხარ? — ეკითხება მარიამი ლოგინზე პირქვე დამხობილ ქეთოს. — რა გატირებს, გენაცვალოს დედაშენი! მითხარი, რა იყო, რა მოხდა? აკი წელან მახარე, აკი შენც კარგ გუნებაზე იყავი?

— დედი... დედილო! — ამოიკვნესა ქეთომ და დედას ქვითინით ჩაეკრა მკერდში. ამგვარი ცრემლით მხოლოდ სამიოდე წლისა ტიროდა მარიამის შვილი, ახლა კი ოცი წლისა გახდა და ალბათ ბავშობა გაახსენა, ალბათ ქალწულობას ეთხოვება, ალბათ წინდაწინვე გლოვობს უმანკოების დაკარგვას და ტკბილი ლანდების სიკვდილს.

— მითხარი, რა დაგემართა მეთქი?

— დედი... დედილო... მე თვითონაც არ ვიცი...

თავი დაანებე, დედი. ნულარ ეკითხები. რომ კიდეც გითხრას, მაინც ვერ გაიგებ, ვერ მიუხვდები. ქეთომ თითონაც არ იცის რამ ატირა. იდუმალი რამ მოაწვა და ცრემლი დააღვრეინა.

აჰა, კიდეც გათავდა. ქეთომ ცრემლი შეიშრო და უკვე მზად არის ბრმა ბედს ბრმად დაემორჩილოს. ახლა კი წადი, დედი, წადი და სიძე გაართე. ქეთინოც ახლავე გამოვა.

მარიამი გავიდა, ქეთო კი ძალდატანებით წამოდგა, სარკესთან მივიდა და გაოცდა: იმ ერთ დღეში ან ერთ საათში პირსახე გაეფურჩქნა, ლოყები აუწითლდა, თვალები გაუგანიერდა, თითქო ავი ალით აეწვაო, და კუპრივით შავ თმაში ჩაწოლილი სანუკვარი ნასთიც უფრო მეტად გაუთეთრდა და უწინდელზე უფრო მკაფიოდ აუკამკაშდა.

თვალები შეიშრო, თმა და კაბა შეისწორა, ნაძალადევად გამხნევდა და ბტკიცე ნაბიჯით გავიდა სასტუმრო ოთახში, სადაც მას კმაყოფილი დედმამა, გაბადრული საქრმო და უშველებელი თაიგული ელოდა.

სრული ფორმით გამოწყობილი ავშაროვი ქეთოს დეზების ყლარუნით, ბედნიერი ღიმილით და თაიგულით მიეგება, მოწიწებით აკოცა ხელზე, ყვავილები მიართვა და წინასწარ აწყობილი სიტყვები დაულაგა: უთხრა:

— თქვენი პატივცემული დედმამის წინაშე უკვე მოვიხადე ბოდიში და ახლა თქვენც გეხვეწებით დანაშაული მაპატიოთ. წუხელის მე და ილიკო ნასვამი ვიყავით, თორემ შანტანში შეპატიჟებას როგორ გაკადრებდით! დიაღ, დამნაშავე ვარ მეთქი, მაგრამ ამავე დროს ის ლოჟა წმინდა ალაგად მიმაჩნია, ვინაიდან სწორედ იქ ვპოვე ის უდიდესი ბედნიერება, რომელიც საფლავშიც კი ჩამყვება.

ქეთოს ავშაროვის საზეიმო კილო ეხამუშა. საქმროს პასუხი არ გასცა, ყვავილი მკერდზე მიიკრა და მამას რიგრიგად მიუშვირა ლოყები. ანდრომ მხურვალედ დაუკოცნა და გულაჩუყებულმა უთხრა:

— შვილო, მარტო შენ გამახარე... სიბერე მარტო შენ გამიხალისე. ახლა შენ იცი... ვინძლო ოჯახი და გვარი არ შემირცხვინო.

მერმე დედა გადაეხვია და ველარ მოშორდა. შემდეგ მარიამმა ცხვირსახოცი მიიდო თვალებზე და სასადილო ოთახში გავიდა.

ანდრომ გაიარგამოიარა და ისიც თავის კაბინეთში შესხლტა.

საკოლე და საქმრო მარტონი დარჩნენ. ავშაროვი ახლოს მიუჯდა ქეთოს, ხელი ჩამოართვა, ზედ მეორე ხელით მოუალერსა, გუნება და სიზმარი გამოჰკითხა და რამდენჯერმე ჩაურთო:

— რა ბედნიერი ვარ, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! ვინდათ თუ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგრე იყოს, თუ გნებავს, ამიერიდან „შენ"-ობით ვილაპარაკოთ.— ყოყმანით მიუგო ქეთომ.

— ჰო, იმას ვამბობდი: როდის ვიქორწინოთ?

— როცა მოისურვებთ.

— მოისურვებ, და არა მოისურვებთ — ერთხელ კიდევ გაუსწორა საქმრომ და განაგრძო: — მაშ მოდი ჩვენს ბებრუცანებს ნურც ამაში დავეკითხებით და ახლავე გადავწყვიტოთ. მე საქმის გაჭიანურება მეჯავრება.

— მეცა.

— ამიტომ სჯობს ორიოდე კვირაში გავათაოთ.

— მეც აგრე მსურს.

— მაშ გადაჭრილია. დედამამას მტკიცედ დაუხვდი, არ დაუთმო.

მერმე საქმრომ თავის ახალი ბინა აუწერა, რომელიც ქეთოს გემოვნებაზეა ზედგამოჭრილი. ახსოვს თუ არა ქეთოს, შარშან ბორჯომში რომ გამოჰკითხა ავშაროვმა?

— ძალიან კარგად მახსოვს.

ავშაროვმაც დაიხსოვა და გუშინ სწორედ ასეთ ბინას წააწყდა. მისმა მეგობარმა ჟანდარმმა ორი თვის წინად ცოლი შეირთო და ის ბინაც მაშინ მოაწყო. ახლა ვარშავაში გადაჰყავთ და არ უნდა, რომ ავეჯეული თან ათრიოს. ის თანახმაა ყველაფერი იმ პირობით დაუთმოს ავშაროვს ნისიად, რომ ვალი ერთ წელიწადში გადაუხადონ ნაწილნაწილად.

— ძლიერ ხელსაყრელი პირობაა, აგრეა თუ არა?

— ძალიან კარგია. — დაუდასტურა ქეთომ.

საწოლი ოთახი ვარდის-ფერია, სასტუმრო — თეთრი, სასადილო — ყავისფერი, კაბინეთი სისხლის-ფერი. ავეჯეულობა კი —

— არა ავეჯეულობას არ აგიწერ. დედა წამოიყვანე და შენივე თვალით ნახე.

— უეჭველათ მოვალთ.

— ჰო და მეტი რაღა დარჩა? ჭურჭელი, კაბა-კუბა, საცვალი და თეთრეული? ამას ერთ კვირაშიც დაგიმზადებენ. რასაც ვერ მოასწრებენ, თანდათან გიყიდიან. თანახმა ხარ?

ქეთო ყველაფერს ეთანხმება, ოღონდ მალე გათავდეს და ახალ ცხოვრებას შეუდგეს.

მარიამმა სახელდახელო სუფრა გაშალა. ზედ ყველაფერი აწყვია ხიზილალა, ხმელი თევზი, ცივი სუკი, ხილი, ნამცხვარიც, ყავაც, მწვანილიც, ჭაჭის არაყიც და კახური ღვინოც. ახატნელები და მათი სიძე ჩუმად სჭამენ, ჩუმი ხმით საუბრობენ და ერთმანეთს სადღეგრძელოთი აბედნიერებენ.

ავშაროვმა მოითხოვა, რომ ჯვარი ორი კვირის შემდეგ დაეწერნათ. ამან დავა გამოიწვია. ბოლოს ორივე მხარემ დასთმო და გადასწრეს ქორწილი ოც ოქტომბერს გადაეხადნათ

ეროვნული

საუზმე რომ გაათავეს, ანდრომ სიძეს მკლავში ხელი გამოუყარა და თავის კაბინეტში შეიყვანა, რათა მზითვებზედაც მორიგებულიყვნენ, ქეთო კი თავის ოთახში დაბრუნდა, საქანელაში ჩაწვა, ორივე ხელი მოიჭირა თავზე და ლამობდა იმ ერთი დღე-ღამის ამბავი აეწონა, ხვალინდელობაც გაეზომნა, გზა-სავალის თავი და ბოლო მოეძებნა და ერთმანეთზე გადაებნა. მაგრამ ამ ბნელ გვირაბში დილანდელივით დატბნა და გზაკვალი აერია ფიქრები წიწილივით ეფანტებოდა. ქეთო თავს უყრიდა მათ და ცდილობდა ერთად შეეკრა, მაგრამ ვერ ერეოდა და თანდათან იღლებოდა. ბოლოს, უძილობით და მრავალი განცდით დათენთილმა ქალმა ველარ გასძლო, ბუერანს მისცა თავი და ჩაიძინა.

ნახევარი საათის შემდეგ ავშაროვმა შემოიხედა და, მშვიდად მიძინებული საბედო რომ დაინახა, მარიამს თითი დაუქნია, იმ ოთახში შეიყვანა, მთვარესავით გაიბადრა, ქეთოს დაუჩოქა, ხელზე ემთხვია და ფეხაკრეფით გავიდა.

*
* *

— იმ დღეს ქეთო ლოგინში იწვა. არაფერიც არა სტკიოდა, მაგრამ არც ზეზე ყოფნა ეხალისებოდა. მას ერთად თავმოყრილი ნათესავების ყაყანი და კილვა აშინებდა და მათი მხრივ ისევ ცალცალკე გაკილვა ერჩივნა.

ყველაზე ადრე აკაკის და გრიგორის მეუღლენი შემოვიდნენ. თამარა ქეთოს ბალიშთან დაიხარა, თავის წითური თმა აპენტილ მატყლივით დააყარა სახეზე, სწრაფად აკოცა სამჯერ და უთხრა:

— ქეთო, შე უსინდისო, მე რაღად მიმალავდი? არა გრცხვენიან? მონასტერში გაზრდილმა ანიკომაც დაჰკოცნა და მონოზნურად დალოცა.

— გენაცვალოს ჩამი თავი, ქეთოჯან. მხურვალედ მოგილოცავ და უფალსა ჩვენსა ვთხოვ გაკურთხოს მადლითა თვისითა და ბედნიერ გყოს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ! — უთხრა და ცრემლი მოიხოცა.

ორივენი მიუსხდენ და გუნება გამოკითხეს. თამარა სხაპასხუპით ლაპარაკობდა და სხვას აღარ აცლიდა. ქეთო თავდაჭერით უსმენდა და ცივად უჭრიდა: „არა... დიაღ... ვიცი... არ ვიცი.“ ანიკო ხმას არ იღებდა,

— ავშაროვის დედაზე ამბობენ, განათლებული დედაკაცი უნდა იყოსო. მაგრამ „უნდა იყოს“ შემოწმება სჭირდება. ზოგ დედამთილს ჯოჯოხეთი სჯობია, მე გამოცდილი ვარ და დამეჯერება.

„გამოცდილ“ თამარას ერთი დღეც არ ეცხოვრა თავის დედამთილთან და ქეთომ ვერ გაიგო, სად გამოსცადა ეს ჯოჯოხეთი. თამარამ ბევრი რაღაც სთქვა ირიბულად და ბოლოს პირდაპირ უთხრა:

— გენაცვალეთ სადაური გათხოვებაა! თუ ერთმანეთი ვიცოდა მოსვლა ალარ გვექნება, თუნდ აქ გათხოვილხარ და თუნდ ციმბირში გადაკარგულხარ.

— ძალო ანიკო, ავშაროვის ბინაზე რომ ავად გავხდე, არც შენ მინახულებ? — ჰკითხა ქეთომ გრიგორის მეუღლეს.

— ქაა, ეგ რა საკითხავია — გაოცდა ანიკო. — კარგად ყოფნაშიც თავს მოგაბეზრებ და ავად რომ გახდე...

ქეთომ ალარ გაათავებინა: ლოგინში წამოიწია, ანიკოს გადაეხვია და რამდენჯერმე აკოცა.

— მაგას რა უშავს! — თავი იმართლა თამარამ. — არც აქ დასძრახავს ვინმე და არც სოფელში, ჩვენ კი მთელი საქართველო გვიცნობს და ყველგან თავი მოგვეჭრება.

ქეთომ ველარ მოითმინა და ცივად უთხრა:

ძალო თამარავ, ჩემთვის ფრჩხილსაც კი ნუ გაიკაწრავთ, თორემ თავის მოჭრა რა სახსენებელია!

— გენაცვალეთ, მოგვეჭრა და გათავდა! ავშაროვი ჩვენი სიძე ხდება.

— მაშ რას მირჩევ, არ მივთხოვდე? — ოდნავი დაცინვით ჰკითხა ქეთომ.

— გენაცვალეთ, რაღა დროსია! შენ და შენს დედმამას სიტყვა მიგიციათ და ჩვენ ვინღა გვეკითხება!

— მეც აგრე მგონია. თქვენ მართლა არაფერიც გეკითხებათ. მოურიდებლად მიუგო ქეთომ და სახე კედლისკენ მიიბრუნა.

თამარა გაიბუტა. ცოტა ხანს იჩუმა, მერმე ადგა და ხმაამოუღებლივ გავიდა. ქეთომ ცრემლიან კილოზე უთხრა ანიკოს:

— ხომ ხედავ, ძალო. მილოცვას ვინღა ჩივის, გაბედნიერებაც კი არ მისურვა.

— იჰ. გენაცვალოს ჩემი თავი! შენ არხეინად იყავი და მართლა გაბედნიერდი, თორემ დანარჩენი ვისი რა საქმეა? — მიუგო ანიკომ.

და კიდევ მიუალერსა: თმები შეუსწორა, შუბლზე ხელი გადაუსვა, რამდენიმე გასამხნევებელი ამბავი უამბო და საკუთარიც დაურთო.

— ვინ იცის გრიგოლს ვინ არ შეუჩნდა, ჩემზე ეუბნებოდნენ, შენი ტოლი არ არისო და მეც ჩამაცივდნენ გრიგოლი ფლანგველი კაცია და მზითევს ერთ წელიწადში გაგინიავებსო, მაგრამ მადლობა უფალსა, რამდენიმე თვეში დაჭკვიანდა. რაც მე გრიგოლის ხელში ბედნიერება მინახავს, ღმერთმა იმის ნახევარი გიბოძოს და შენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. შენ სული დაიმშვიდე, თორემ დანარჩენი თავისთავადაც დალაგდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალო, ძია გრიგოლი რაღას აპირებს? — ჰკითხა უკვე დამშვიდებულმა ქეთომ.

— გრიგოლი თვითონვე გეტყვის.

მალე გრიგოლი და დიმიტრიც ამოვიდნენ.

— რაც მართალია, მართალია. არჩევანს ვერ მოგილოცავ, გაბედნიერებას კი წრფელის გულით გისურვებ — უთხრა უფროსმა ბიძაშვილმა გრიგოლმა და შორიახლოს ჩამოჯდა.

— მეც გისურვებ ცივად დაუმატა მეორე ბიძაშვილმა და ზურგშექცეულმა ქეთოს წიგნებს დაუწყო ფურცვლა, რომელიც მაგიდაზე ეწყო.

— გმადლობთ, — ცივად მიუგო ქეთომაც და ხმა გაკმიდა.

ხანგრძლივი და უხერხული სიჩუმე გრიგოლმა დაარღვია:

— ქართულ ოჯახს ვერ ააშენებ. — და მერმე ძმას მიუბრუნდა: — შენ რას იტყვი, მიტო?

— ვერ ააშენებს — დაუდასტურა ექიმმა და არც კი მობრუნდა.

— თურმე იმისთვის გაგვიზრდია, რომ... — ისევ დაიწყო გრიგოლმა და მცირე დუმილის შემდეგ დაასრულა: — ვერც კი გავიგე, ჩვენი სიძე ვინ არის: რუსია, ქართველია, სომეხი თუ გერმანელი.

— ის კი ვიცით, რომ ქართველი არ არის, სხვაფრივ კი სულერთია ვინც უნდა იყოს. — ისევ ამოიღო ხმა დიმიტრიმ. — ერთი ქალი ჩვენ გვაკლდება და სხვა ვილაცას ემატება, მორჩა და გათავდა! ნეტა ჟანდარმის მუნდირი მაინც არა სცმოდა.

— პანაშვიდს მიხდით? ამისთვის ამოხვედით? — ამოიკვნესა ქეთომ და ბალღივით ატირდა.

ახლა კი ჩაერია ანიკო, რომელიც მანამდის მუნჯი ლალასავით იჯდა მოშორებით:

— დროა გაბრძანდეთ. სჯობდა სულაც არ ამოსულიყავით. ქალის გულისა რა გესმით, რომ ამ უმანკო კრავს ჯალათებივით დასდგომიხართ და უწყალოდ აწამებთ. გადით მეთქი!

ორივენი კარისკენ იხევდნენ და დასჯილი ბალღებივით ბუტბუტებდნენ:

— რას ვიფიქრებდით რომა... ჩვენგან არ უნდა ეწყინოს... რა მუტრუკები ვართ!

— გადით მეთქი!

ანიკომ კარი მიხურა, ქეთოს მიუბრუნდა და ხელახლა შეუდგა მამამთილის ძმისწულის დამშვიდებას. გამხნევებას და სანუგეშო ამბების თხრობას.

ანიკოს ილიკო მიეშველა: ისე შემოვარდა, თითქოს იმ სახლს ცეცხლი მოჰკიდებოდა და კარებშივე მორთო ყვირილი:

— ჩემს დაიკოს მზეგრძელობა, დღეგრძელობა და ბედნიერება დაეკვებოს! შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი

ანგელოზისა! გაუმარჯოს! — და ხვევნა-კოცნით სული შეუგება. ულოცავდა, ლოცავდა, მასხრობდა, კიდეც აცინებდა, თითონაც იცინოდა და ლაღობდა.

— ისეთ ლეკურს დავუვლი, რომ ეშმაკებიც კი დასკდებიან შურითა, ისეთ მაყრიონს მოგიყვან, რომ თამარ მეფესაც არ ეყოლებოდა. მე შენს ქორწილში ვიქეიფებ და მერმე ჩემ ქორწილში გაქეიფებ, მაშა!

— მართალს ამბობ თუ მეხუმრები? — ჰკითხა დამ.

— მეყო რაც ვიხუმრე. უხუმრად მიუგო ძმამ, — მაგრამ ჯერ არავის უთხრა, თორემ საზარელი აყალმაყალი ატყდება.

— რად ატყდება? — განა ვის ირთავ?

ილიკო გაკერპდა, მაგრამ ქეთომ შეჰფიცა, არავის ვეტყვიო და ათქმევინა:

— სახელად ლიდა ჰქვიან. ისე ცეკვავს, რომ პეტიპას გაახუნებს.

— ბარემ გვარიც მითხარი.

— გვარად მადამ ჰოპკინსია.

ქეთო დაიბნა. არ იცოდა, მართალს ეუბნებოდა ილიკო თუ ეხუმრებოდა.

— რაო? წუხელის შანტანში რომ ვნახე, ის არის? — ჰკითხა და თვალებში მიაჩერდა.

— დიაღ, ის არის. რამ გაგაოცა?

ქეთომ გადიკისკისა.

— რა ოხუნჯი ვინმე ხარ! მადამ ჰოპკინსი პეტიპას მეტოქე კი არა, ყასაბის მეტოქეა, ყასაბისა! არა მჯერა. ხუმრობ მეთქი!

ახლა ილიკო შესცქეროდა გაოცებული:

— რის ყასაბი, რა ყასაბი! გესმის რას ამბობ?

— შენ კი გესმის რასა სჩადი? — შეუბრუნა დამ. — ანდრია ახატნელის შვილმა შანსონეტი უნდა შეირთოს? —

— მაშ ანდრიას ქალიშვილი ჟანდარმს უნდა მითხოვდეს?

— გაჩუმდი მეთქი! — წამოიძახა ქეთომ და წამოიწია. — ავშაროვს და იმ გომბიოს ერთმანეთს ადარებ?! არ გახსოვს ავშაროვმა წუხელის იმ წითურ გომბეშოზე რა გითხრა? იმას ზანგი ქმარი აცმევს და გახდით კი სხვები ხდიანო. ნამდვილად კი მგონი იმ ზანგსაც შენი საცოლე აცმევს და აჭმევს გაიგე რა გითხარი?

— ადელი პატიოსანი ქალია — წაილუღლუღა ილიკომ.

— რაო, პატიოსანიო?! — შეშფოთდა ქეთო და, დედა რომ დაინახა მაშინვე გაჩუმდა.

ამ დროს მარიამი შემოვიდა. ორივემ ხმა გაკმიდა. დედამ შვილებს თვალი მოავლო და ჰკითხა:

— რაზე ლაპარაკობდით?

— ჩემს გათხოვებაზე ვლაპარაკობდით — გადაასხვაფერა ქეთომ. მარტო ილიკომ და ძალო ანიკომ მომილოცეს, დანარჩენი ნათესავები კი კრუხებივით აიფხორნენ. აკაკი არც კი ამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიკომ დუმილის ნიშანი მისცა დას და კარებში გაიძურწა.

— უნდა მოითმინო, შვილო. — ანუგეშა დედამ.

— მოვითმენ, დედი. კიდევ ბევრ რამეს მოვითმენ.

სალამო ჟამს ქეთო წამოდგა, სასტუმრო ოთახში გავიდა, როიალს მიუჯდა და რამდენიმე მოკლე პიესა დაუკრა. უცებ წვერაძე შემოვიდა, თავდაბლა მისცა სალამი და უთხრა:

— ქალბატონო ქეთევან, მუდამ რომ სხვებისთვის უკრავთ, ერთხელ ჩემთვისაც დაუკარით, რაღა!

— რა გნებავთ დაგიკრათ, ბატონო იაკობ?

— ბაიათი დაუკარით.

ქეთომ გაიღიმა და ცალი თითით ცალხმოვანი ბაიათი დაუკრა. წვერაძე მოუსვენრად დადიოდა. ქეთომ თვითონაც იცოდა, და დედამაც გააფრთხილა, რომ იაკობი მის თხოვას აპირებდა. „ბაიათი მხოლოდ შესავალია. იაკობი სათქმელს ამზადებს. ბაიათს რომ გავათავებ მაშინვე მეტყვის“ — გაიფიქრა მან და დაასწრო: სიმების წვალება უცბად შესწყვიტა, ტრიალ სკამზე მიბრუნდა და სტუმარს უთხრა:

— ბატონო იაკობ, თქვენც მომილოცეთ.

— რა მოგილოცოთ?

— ვთხოვდები.

იაკობი გაშტერდა. მერმე კრიჭა ძლივს გაიხსნა და წაილუღლუღა.

— ვინ... ვისზე?

— ავშაროვზე ვთხოვდები — მაშინვე მიაწოდა ქალმა.

— მე... მე რაღას მეუბნებით?

ქეთომ გულიანად გაიცინა და ჰკითხა:

— თქვენც გინდოდით? გულთამხილავი ხომ არა ვარ. რატომ აქამდის არ მითხარით?

— იმიტომ არ გითხარით, რომ ვერ გაგიბედეთ. ეჰ, სჩანს ბედი არა მქონია. — და წვერაძემ უიმედოთ ჩაიქნია ხელი:

აღებ-მიცემაში და კომბინაციებში იაკობს ბედიც სწყალობდა და კადნიერებაც ჰყოფნიდა, ხოლო ერთ უძლურ ქალს რამდენიმე სიტყვაც ვერ გაუბედა. დიდხანს ფიქრობდა, ემზადებოდა, და „მე რაღას მეუბნები“ მაშინლა წამოროშა, როცა ქეთომ დაასწრო და უთხრა: ავშაროვზე ვთხოვდები და მომილოცეთო.

იაკობს თავისი ნაროშვალისა თვითონვე შერცხვა, ქეთოს არც მიუღლია, აღარც უთხრა რამე, ზურგი შეაქცია და გავიდა.

ქეთოს კი თან ეცინებოდა და თანაც ენანებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე მართაც შემოვიდა. ქეთოს ლიმილით შეხედა თვალებში და ჰკითხა:

— მართალია?

— მართალია, მათიკო, მართალი. — მიუგო ქეთომ მეგობარს, მაშინვე თავის ოთახში შეიყვანა, სკამზე დასვა, თითონაც გვერდით მიუჯდა და განაგრძო: — ჩემს თავზე რაღაც ამბავი ტრიალებს და ვერ გამიგია, საბედნიეროა თუ საუბედურო. გახსოვს ერთხელ რომ მითხარი: შესაძლოა მტრის ოჯახში ცხოვრობდე და ერთობას იქიდანაც უშველოო? ახლა მეც სწორედ მაგ დღეში ვარ და არ ვიცი შევძლებ თუ არა ეს ტვირთი პირნათლად ვზიდო ბოლომდის.

— აბა რა გითხრა, ჩემო ქეთო. — მცირე მოფიქრების შემდეგ უპასუხა სიყრმის მეგობარმა. — ახლა ეგ ტვირთი თითქმის ყველას ჰკიდია: პატარას და დიდსაც, ქალსა და ვაჟსაც, გლეხსაც და მუშასაც. ზოგი ბოლომდის ძიტანს, ზოგიც დავარდება. გააფთრებულ ომში ვართ და ამიტომ ბევრი მებრძოლი წაგვექცა და კიდევ ბევრი წაგვექცევა. ვინც თავის ძალა ტვირთს კარგად შეუწონა, ის უეჭველად პირნათლად ივლის და ბოლომდე გაიტანს, ვინც არა და ადვილად დამარცხდება და, შესაძლოა კიდეც ინანოს. სულმოკლე მალე გატყდება, გულმაგარი კი ჯალათს ხელს ჰკრავს და სახრჩობელაზე თვითონვე ავა. შენ პატარაობიდანვე გიცნობ და ისიც ვიცი ვინა ხარ და რა შეგიძლიან. გაფრთხილებ: ერთობის სამსახურში ყოფნა მეტად სახიფათო საქმეა. თითქმის ყველას შეუძლიან ჭუჩაში გავიდეს, აკრძალული სიმღერა იმღეროს და დაიძახოს: „ერთობას გაუმარჯოს! ძირს ჯალათები!“ მაგრამ სამეფო ტახტი მარტო ამით არ დაინგრევა. ამაზე უფრო სახიფათო საქმეც არსებობს და შენც გაგიზრახავს სწორედ ამნაირ საქმეში ჩაერიო. თუ გაგიგეს, ვაი შენი ბრალი!

— მე მშიშარა ქალი არა ვარ — გაახსენა ქეთომ.

— მეც ვიცი, რომ გულადი ხარ. მაგრამ გულადობა სხვა არის და სიმტკიცე კიდევ სხვა არის. შენ კი თავდაპირველად სიმტკიცე გჭირდება, მერმე — სიფრთხილე, შემდეგ — გამძლეობა, და ბოლოს — თვალთმაქცობა გინდა.

— პირველიც მომეპოვება, მეორეც და მეოთხეც. — მტკიცედ განაცხადა ქეთომ.

მართა ერთხანს თავის ჭკუიანი თვალებით დააკვირდა ქეთოს და მერმე ჰკითხა:

— სად, რაში და როდის გამოსცადე?

— ყველგან და ყველაფერში ვცადე.

— თვალთმაქცობაც გიცდია? — უნდობლად ჰკითხა მართამ და გაულიმა.

— მეგობრებთან არ მიცდია. სხვებთან კი კიდეც მიცდია და კიდეც გამიმარჯვნია. — ლიმილითვე უპასუხა ქეთომ და დაუმატა:

— ეს მძიმე ტვირთი შენცა გკიდია და ჩუმათ მიუტანია [illegible] ჩვენ და არც იდრიკები.

მართამ ჩაიღიმა და უპასუხა:

— მე ჩემი გითხარი, დანარჩენი კი შენ იცი. გულით და სულით გისურვებ პირად ბედნიერებასაც და მაგ ტვირთის დაძლევასაც.

— გმადლობ, ჩემო მათიკო, გმადლობ.

მეგობრებმა ერთმანეთს აკოცეს. მერმე მართამ უთხრა:

— გუშინ ის ბეჭედი ტყუილად მიეცი. პოლიციას უიმისოდაც დავალწიეთ თავი.

— ვიცი მეც იქ ვიყავი. ბეჭედი კი ერთობის ჭირის სანაცვალო იყოს. იმისთანა ათი კიდევ მექნება. იცი იქიდან სად წავედი?

ქეთომ ყველაფერი უამბო მართას: ზურაბის მოხსენებაც, გამოცილებაც, გზადაგზა გამართული საუბარიც, შანტანში მომხდარი ამბავიც და ბოლოს სთქვა:

— დღეს დილით ნიკომ ძლიერ გამლანძღა. საწყალი ბიჭი! ძალიან იტანჯება.

მართა მიუხვდა. ორთავემ იცოდა, რაც სტანჯავდა სტუდენტს, მაგრამ არც ერთმა ხმა არ ამოიღო.

იმ დილას ქეთომ ზურაბი თავის გულში მართას დაულოცა. ახლა კი სინანულმა თუ სხვა რამ გრძნობამ გაჰკრა. მან მოისურვა, რომ ზურაბის გულში არც ერთი ქალი არ ყოფილიყო. არც მართა, არც ნინო და არც ელო. მარტო იმ ფიქრმაც კი მწვავედ გაჰკაწრა ავშაროვის საცოლე, რომ შესაძლო იყო ზურაბი სხვას რგებოდა. მაგრამ ამ აზრისა შერცხვა, თავი შეარხია, თითქო იგი მოიშორაო, და გაიფიქრა:

„ღმერთო, რა სულელი ვარ! რა ხარბი ვყოფილვარ!“.

XII

ლევანი, რაჟდენი, თედო, მართა და ნიკო ტრამვაის ვაგონიდან გადმოვიდნენ და ისე დაშორდნენ ერთმანეთს, როგორც უცნობები.

ლევანი რკინის გზის საბარგო სადგურისაკენ გაემართა. თედო მორიახლოს გაჰყვა. ნიკომაც იქვე საბაჟოსკენ შეუხვია. მას მართა აედევნა. რაჟდენი მარტო დარჩა და ხალხით, დროგებით და ეტლებით სავსე მოედანზე დაიკარგა.

თედო ლევანს ადევნებს თვალყურს, მართა ნიკოს, რაჟდენი კი — ოთხივეს.

ნიკოს ნოჭარივით აცვია: ღია-ფერის ვიწრო პიჯაკ-შალვარი გახამებული ქალალდის საყელო, ზედ — ვარდის-ფერი ყელსაბამი, თავზე — იაფი

ჩალის შაპო, ხელში — წვრილი შავი ბამბუკის წკეპლა და საერთო იერიც — მსუბუქი, კოპწია, ნოქრული. ნამდვილად აგრეთვე ... ნიკო წვერაძის ნოქარია. ჯიბეში სათანადო მოწმობაც მოეპოვება. წვერაძეს უცხოეთიდან საქონელი მოუვიდა და მისმა ნოქარმა უნდა გამოიყიდოს.

ნიკო ჯერ კანტორაში შევა, თავის რიგს მოუცდის, სამოდე თუმანს საბაჟო ხარჯს გადაიხდის, იქვე დიდ საწყობში შევა და ვიღაც მწვანე-სირმიან მოხელეს მიადგება. ის ქვითარს გულდასმით გაუსინჯავს, ნიკოს ვეება საწყობის ბოლოში გაიყვანს და წვერაძის საქონელს უპოვნის. მას ორი სხვა მოხელე მიეშველება და იწყება საქონლის ჩხრეკა და ნოქრის გამოკითხვა.

— საიდან მოდის საქონელი?

— ლაიპციგიდან. — უპასუხებს ნოქარი და ბამბუკის წკეპლას უდარდელად ათამაშებს.

— რა საქონელია?

— სახელოვანი გენერლების, მწერლების და მეცნიერების სურათებია.

— გენერლებისა? მაშ ბისმარკიც იქნება.

— ბისმარკიც არის, მოლტკეც, სუვოროვიც და კუროპატკინიც.

— კუროპატკინიც? — გაოცებით ჰკითხა მოხელემ.

— როცა ეს სურათები შეგვიკვეთა მუშტარმა, მაშინ კუროპატკინი ძალაში იყო, ახლა კი შეძულებულია და მაგის ვაჭარი უეჭველად ... რალებს. კისერიმც მოუტეხია! რა ჩვენი საქმეა!

ოთხივე ყუთს საბაჟოს მუშებმა თავი აჰხადეს და აქეთ- იქიდან სანიმუშოდ რამდენიმე ცალი გამოიღეს. სრული სიმართლეა: ლიტოგრაფიული სურათებია და მეტი არაფერი. მრგვლად დახვეულ მუყაოს გარედან სურათი აქვს მოხვეული, ხოლო სურათს უბრალო ქაღალდი აქვს გადაკრული.

— კეთილი და პატიოსანი. — სთქვა ბოლოს უფროსმა მოხელემ. — შეგიძლიან წაიღო.

„ჩერჩეტებო! — გაიფიქრა ნიკომ. — ერთი მაინც გახიეთ, გაშალეთ და შიგ „პროლეტარს“ და „ვპერიოდს“ იპოვნით“.

უეჭველად იპოვნიან, მაგრამ გახევას ოდნავ ეჭვი მაინც სჭირდება. საეჭვო კი სულაც არაფერია.

საბაჟოს მუშებმა ოთხივე ყუთი ჭუჭაში გამოიტანეს, იქვე დააწყეს და უკანვე შებრუნდნენ. რაჟდენმა დროგი მოაყენა. ზედ დაალაგეს და სადგურისაკენ დასძრეს. ორასი ნაბიჯის მანძილზე ლევანი და ხუთი მძიმე ყუთი ელოდა. ისიც დატვირთეს და გზას გაუდგნენ. დროგს შორიახლო ლევანი და რაჟდენი გაჰყვნენ, სხვები კი ისე გაჰქრნენ, რომ ერთმანეთს არც კი დალაპარაკებიან. ალარც ლევანი და რაჟდენი ლაპარაკობდნენ.

ერთმანეთისთვის თითქო უცხონიც იყვნენ: ლევანი დროგს ამოდე ნაბიჯით მიუძღოდა წინ და გზას ზვერავდა, რაჟდენი კარაულობდა და ისიც ფრთხილად ათვალიერებდა მგზავრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე საღამოს ლევანმა ზურაბი ნაძალადევში იპოვა და მოკლედ უთხრა:

— ჩვენ რომ ვიცით, მზად არის. წამო, გაჩვენო.

ნახევარი საათის შემდეგ ორივემ მამა-დავითის აღმართი აიარეს და იმ პაწია სახლს მიადგნენ, რომელიც ახატნელთა სახლის პირდაპირ იდგა. ხის ჭიშკარს რომ მიაღწიეს, ზურაბმა მას ხელი ჰკრა.

— დაკეტილია. — ჩუმი ხმით უთხრა ლევანმა. — მუდამ დაკეტილი იქნება და გარეშეს თვალს აუბამს, ჩვენ კი სხვა გზით ვივლით. მომყევი.

ახატნელის სახლის წინ ნავთის ფარანი იდგა და მიდამოს ოდნავ ანათებდა. მისი შუქი რამდენიმე ხის ბურვილში იკარგებოდა და იმ პაწია სახლს ისე მკრთალად სწვდებოდა, რომ სიბნელეში მისი ლანდილა მოსჩანდა.

ლევანმა ზურაბი ზევით აიყვანა და მარცხნივ ვიწრო ორლობეში შეუხვია.

— ვერაფერს ვერ ვხედავ. — ჩაიჩურჩულა ზურაბმა.

— ხელი მომეცი. — მიუგო ლევანმა და ხელში ხელი წაავლო, ბრმასავით ატარა, ისევ მარცხნივ შეუხვია და იმ ეზოში შეიყვანა, სადაც უნდა შესულიყვნენ. მთვარემ მუქი ღრუბლები გაფხრიწა და იქაურობა გულდასმით მოათვალიერა.

— ხომ გახსოვს, რომ ამ ალაგას აგურის კიბე იყო? — ჰკითხა ამხანაგს ლევანმა.

— მახსოვს. სარდაფის კიბე იყო.

— იყო და აღარ არის. ახლა აქეთ წამოდი. ხომ გახსოვს, რომ ამ სახლს ორი კარი ჰქონდა? ახლა ერთიღა დარჩა. აბა შევიდეთ.

კარი შეაღეს და ოდნავ განათებულ მოზრდილ ოთახში შევიდნენ. ახალმოსულებს მართა, ნიკო, თედო და რაჟდენი დაუხვდნენ.

— გამარჯვება, ამხანაგებო! — მიესალმა მათ ზურაბი და ოთახს თვალი მოავლო.

ხის კედლები და ჭერი კირით იყო შეღებილი. აგურის იატაკზე ერთ კუთხეში ხის ტახტი დგა. ზედ ფარდაგი ეგო და ლოგინი ელაგა. წინ უბრალო მაგიდა და ოთხი ტაბურეტი ედგა. იქვე კედელზე თუნუქის პირსაბანი ეკიდა. აგურის განიერ ბუხარში პრიმუსი შიშინებდა. ზედ მოზრდილი ლურჯი ჩაიდანი დუღდა. ბუხრის გვერდით ერთი დაგლეჯილი ჩემოდანი ეგდო, სადაც ალბათ იმ ოთახის მდგმურის მთელი ავლადიდება ეყარა.

— ამ სასახლეში როდის გადმოსახლდი? — ღიმილით ჰკითხა რაჟდენს ზურაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წუხელ გადმოველი.
— დედა-შენი?
— ძველ ბინაზე დარჩა.
— გუშინ რომ პროკლამაცია გამოგიგზავნე, ააწყე თუ ვერ მოასწარი?
— წუხელივე ავაწყე ახალ სტამბაში და წუხელივე დავბეჭდე.
— აბა სტამბა მაჩვენეთ.
— იპოვე და ნახავ. — მიუგეს ერთხმად ლევანმა და რაჟდენმა.
— სტამბა და საწყობი ხომ ერთად არის? — ჰკითხა ზურაბმა.
— ერთად არის.
— კარი გარედან აქვს თუ შიგნიდან?
— შიგნიდან აქვს. აი აქვეა, ამ ოთახშია ვინც იპოვნის, რაც უნდა, შომთხოვოს. ხელოსანი ვარ და გავუკეთებ. — ცბიერი ღიმილით შესთავაზა ლევანმა.
— ერთი საათია რაც ვეძებთ და ვერ გვიპოვნია. — ჩაურთო თედომ.
— მაშ დავიწყოთ. — სთქვა ზურაბმა და ჯერ ბუხარი გასინჯა გულმოდგინედ.

ბუხარი ბუხარს ჰგავდა. წლეულს ჯერ არ აენთოთ და ამიტომ იგი სუფთად მოეგავათ და ჭვარტლიც ჩამოეწმინდათ. მხოლოდ კედლისა და დიდი ფილაქანის კიდურებში დარჩენილიყო ნაცარი.

— თქვენც მიშველეთ, რალა! — მიმართა ზურაბმა ამხანაგებს. — ლევანი მპოვნელს კარგ საჩუქარს დაჰპირდა.

— ტყუილად ვეძებთ ვერ ვიპოვით. — უპასუხეს აქეთ-იქიდან და ყველანი მეხუთეჯერ შეუდგნენ კედლების კაკუნს, იატაკის რახუნსა და საცოდავი ავეჯეულის ჩხრეკას. ჩემოდანი და ტახტიც გამოსწიეს, პირსაბანიც ჩამოიღეს და სტამბის გზაკვალს მაინც ვერ მიაგნეს.

ლევანი და რაჟდენი დონჯშემოყრილი იდგნენ, საგონებელში ჩავარდნილ ამხანაგებს ამაყი ღიმილით ადევნებდნენ თვალყურს და თანაც დასცინოდნენ:

— მაგ პირსაბანში ჩაძვერი და შიგ სტამბაში ჩავარდები.
— ბარემ იატაკი აშალეთ, კიბეც მოიტანეთ და უაჭველად იპოვნით.
— ბარემ ლამფა ჩამოშალეთ, იქიდან ჭერში ადით, ჯერ პირდაპირ იარეთ, იქიდან მარცხნივ გაუხვიეთ, მერმე მარცხნივ დაეშვით, შემდეგ ალმადალმა ივლით, ოლოროლოროს გადასჭრით, ცხრა მთას გადალახავთ, ცხრა ზღვას გასცურავთ, ცხრა ძმას იპოვნით და გზას ისინი გასწავლიან, ოხო-ხო! იცინოდა ლევანი, რომელმაც ამ იატაკის ქვეშ ეს ცხრა-კლიტური სტამბა შექმნა და ამდენ ხალხს მისი კარიც კი ვერ ეპოვნათ.

— მაშ თითი მოლუნეთ და გასწავლით. — უთხრა ბოლოს ლევანმა.
— აჰა, მომიღუნავს. — დამორჩილდა ზურაბი და თითი მოღუნა. — ფეშქაში კიდევ სხვა იყოს.

ლევანმა თუნუქის ლამფა ჩამოიღო, ბუხრის გვერდით დადგა, თვითონ ბუხარს ეცა, ჩაიდანი გადმოდგა, პრიმუსიც განზე გადგა. ნაბარტყებიდან ნაცარი გამოგავა და მარცხენა კუთხიდან ერთი გარუჯული აგური გამოიღო, რომელიც სხვა აგურებისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა. ის აგური ოდნავ აწვებოდა ფილაქნის ერთ კუთხეს, რომელიც აგურის გამოღების შემდეგ განთავისუფლდა. ახლა ლევანმა იმ კუთხეს ჩაავლო ხელი, ფილაქანი ასწია, გამოიღო და მოზრდილი შავი ხვრელი გამოაჩინა, რომელიც ურჩხულის დაღებულ ხახას ჰგავდა.

— ბიჭოს!.. ყოჩაღ!.. ოსტატიც ასეთი უნდა! — მოისმოღა გაოცებული ამხანაგების ჩურჩული.

— ახლა მომყევით. ნუ შეშინდებით. აქ მკვიდრი კიბეა და არ ჩავარდებით. რაჟდენ, შენ ლამფა ჩააქრე და მართას უშველე. — სთქვა ლევანმა, თან სანთელი აანთო და ურჩხულის ბნელ ხახაში ჩაძვრა. მას ზურაბი ჩაყვა, ზურაბს მართა და სხვებიც მიჰყვნენ. რკინის ხვეულმა კიბემ ყველანი წყვდიადით მოცულ სარდაფში ჩაიყვანა. ლევანმა სანთელი ზევით ასწია, თითი კედლისკენ აიშვირა და ამხანაგებს უთხრა:

— იმ ნაჩვრეტს ხომ ხედავთ. ეს მილი საკვამლეში ადის და იქიდან სუფთა ჰაერი ჩამოდის. აქაურობას შმორი მაინც ვერ მოვაშორე და მგონი არც მოშორდება.

— მაგას ვინა ჩივის! შენ დანარჩენი გვაჩვენე.

— რასაც აქ ხედავთ, ჯერ აგერ იმ უწინდელ კარიდან შემოვიტანეთ, — სთქვა ლევანმა და თითი მეორე კედლისკენ გაიშვირა. — მერმე ის კარი ამოვაშენეთ და გარედან რომ კიბე ჰქონდა, ის ადგილიც მიწით ამოვავსეთ. ახლა ნახეთ და ისიამოვნეთ. აი აქ იარაღი აწყვია. რომ არ დაჟანგდეს, ნავთში და ზეთში ვინახავთ, რაღა.

და სანთლით გაუშუქა მოზრდილი თუნუქები, კალათები, ყუთები და ხის კასრები, სადაც მრავლად ელაგა ყუმბარები, ყველა ჯურის რევოლვერები, თოფები, ვაზნები, კაპსულები, ბიქფორდის დახვეული პატრუქები, რუსული და აქაური ხმლები, ხანჯლები და ბებუთებიც.

— სულ რამდენი მოგროვდა? — ჰკითხა ზურაბმა.

— ას-ოთხმოცი აქაური ყუმბარაა, ორმოცი მაკედონურია, ას-ოცი რევოლვერია, ორასამდე თოფია და ამდენიც ხმალ-ხანჯალი იქნება. — პატაკივით მოახსენა ლევანმა.

— დღეს რომ მიიღეთ, იმიანად თუ უიმისოდ?

— იმიანად მაშა!

— ეს კაცზე ერთი თოფიც არ მოვა. — მწუხარე ხმაზე ჩაილაპარაკა ზურაბმა.

— არც ორასზე მოვა და არც ხუთასზე. — ჩაურთო თედომ. — ერთი რომ დაიძახო, მთელი ხალხი ერთი კაცივით წამოდგება.

— ყველას სად გავწვდებით! — მიუგო ჩაფიქრებულმა გურგენიძემ. — ხძალ-ხანჯალი ყველას აქვს, მაგრამ ახლანდელ შაშხანას და ხარბაზანს კაჟიანი თოფი და ხანჯალი უნდა დავუხვედროთ? — ცოტაოდენი იყუჩა და მტკიცე ხმაზე დაუმატა: — მეტი გზა არ არის, ძალიც უნდა დავუხვედროთ... რაცა გვაქვს, ის უნდა დავუხვედროთ... ერთი თოფიც რომ არა გვქონდეს, კბილებით, მუშტით, კეტით და ქვით დავუხვდებით.

— ჯარი თანდათან იხრწნება. უამრავი სალდათი მოგვიდგება. — გაამხნევა ზურაბი **თედომ.**

— მეც მაგის იმედითა ვარ. — მიუგო გურგენიძემ. რაც ძალა და ლონე გვაქვს, ყაზარმას და იარაღს უნდა შევალიოთ. შენ რაღას გვაჩვენებ, რაჟდენ?

— აი ჩემი სტამბა. — უპასუხა ასოთამწყობმა და ლევანს სანთელი ჩამოართვა.— აი ამერიკული საბეჭდავი მანქანა... ესეც კასა... ესეც მაგიდა, ესეც წვრილმანი და დღევანდელი ჩემი ნამუშევარი.

მაგიდაზე რამდენიმე დასტა ახლად დაბეჭდილი პროკლამაცია ეწყო. ზურაბმა ერთი **დასტა** აიღო და ისე დაუწყო კითხვა და სინჯვა, როგორც შეყვარებული სინჯავს ხოლმე სატრფოს სურნელოვან ცხვირსახოცს. ბოლომდე ჩაიკითხა და რაჟდენს ჰკითხა:

— ქაღალდი კიდევა გაქვს?

— მაქვს, მაშა!

— მაშ ხუთასიც მიუმატე.

— ესეც კობას დაწერილია? — ჰკითხა მართამ ზურაბს და დაბეჭდილ პროკლამაციებზე უჩვენა.

— კობასია, მაშ ვისი იქნება?

რაჟდენმა მანქანა ფეხით ამუშავა, თანაც მას ოთხად გაჭრილ სუფთა ფურცლებს აწვდიდა და დაბეჭდილს იქვე აწყობდა. ქაღალდი ოდნავ შრიალებდა. მანქანა ნელ ხმაზე ჩახუნობდა.

— ნათქვამია, ჩაროზს ბოლოს მიირთმევენო. — უთხრა ნიკომ ზურაბს და იქით გაიყვანა. — ეს საჩუქარი ბოლოსთვის შეგინახე. აჰა, დატკბი.

— ბიჭოს, ესეც მოასწარით? შე არამზადავ, აქამდე რაღას მიმალავდი? — წამოიძახა ზურაბმა და ხარბად დასტაცა ხელი უცხოეთიდან მოსულს გაზეთ „პროლეტარს“.

— აბა, თქვენც მიშველეთ. — სთქვა ლევანმა და ყველანი დიდ გროვას ეცნენ. იმ ხვეულებს ხევდნენ, სურათებს ცალკე აწყობდნენ და ჟურნალებს ცალკე ალაგებდნენ.

ზურაბი კიბეს ეცა, ზევით ოთახში აცოცდა, ლამფა აანთო და თავდაპირველად ცეცხლით დაწერილს ლენინის წერილს დაეწაფა. ხარბად კითხულობდა და თვითონაც ცეცხლი ეკიდებოდა.

— ზურაბ, შენც გესმის რამე? — ჰკითხა უცებ მართამ და. პასუხი რომ არ მიიღო, მხარზე ხელი დაადო და ხელმეორედ ჰკითხა. — გესმის მეთქი თუ არა?

ზურაბს არაფერიც არ ესმოდა. მართას ამოსვლაც [illegible] ახლა კი თავი ასწია და დაბნეულივით ჰკითხა:

— რა იყო, რა მოხდა?

— აბა ყური დაუგდე, შენც ხომ არაფერი გესმის?

ზურაბმა სმენა გაიმახვილა და მცირე ხნის შემდეგ მიუგო:

— რაღაც ჩუმი გუგუნი მესმის.

— ჩვენი საბეჭდი მანქანის გუგუნია. — წარბშეკვრით სთქვა მართამ. — ამ იატაკზე ქეჩა და ფარდაგი უნდა დავაგოთ, თორემ შესაძლოა სწორედ ამ გუგუნმა გაგვცეს. ხვალ ჩემ ხალიჩებსა და ფარდაგებს მოვიტან და დავაგებ.

— საჭირო არ არის. სად ეს ქოხი და სად ხალიჩები! ამას ორიოდე თუმნის ქეჩაც ეყოფა და ამ ლატაკ ოთახზედაც ზედგამოჭრილი იქნება.

ურჩხულის ბნელი ხახიდან ზედიზედ თედო, ნიკო და ლევანიც ამოძვრნენ. მალე რაჟდენმაც გაათავა ბეჭდვა და სარდაფიდან ამოვიდა. ზურაბმა მათ ლ ე ნ ი ნ ი ს წერილი გადაუთარგმნა და დაწვრილებით განუმარტა. ლ ე ნ ი ნ ი ნათლად და გადაჭრით მოითხოვდა, რომ ძლიერი აგიტაცია გაეწიათ ბულიგინის სათათბიროს წინააღმდეგ. რომ ამ აგიტაციას საფუძვლად დასდებოდა ასეთი ლოზუნგები: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური ჯარი, დროებითი სარევოლუციო მთავრობა, გავრცელება ამ მთავრობის პროგრამისა;

რომ ამ აგიტაციისა და შეიარაღებული ბრძოლის ირგვლივ მხოლოდ ის ელემენტები შემოეკრიბნათ, ვინც ამ ლოზუნგებს იზიარებდა, და რომ დაუნდობლივ გაეშიშვლებინათ და დაედაღნათ ბურჟუაზიული თეორია შესახებ შეთანხმებისა, და მუშათა კლასიც სათანადოდ გაეფრთხილებინათ.

მეგობრები სულგანაბული უსმენდნენ ზურაბს და ხანგამოშვებით ორიოდე სიტყვას აწოდებდნენ: *)

— აგრეა... მართალია...

— ისე ნათლად ვხედავ მაგ გეზს, თითქოს ხელის გულზე მედოს.

— ნამდვილი საბრძოლველი ლოზუნგებია.

— კალამში ვენაცვალე მაგის დამწერსა!

კითხვა და საუბარი რომ გაათავეს, ყველანი სახელდახელო სუფრას მიუსხდნენ, რომელსაც ცოტაოდენი ღვინო, ყველი, ხმელი თევზი, ძეხვი

*) ავტორი ჰგულისხმობს ლ ე ნ ი ნ ი ს წერილს „მონარქისტულ ბურჟუაზიას გავუყვეთ კუდში თუ რევოლუციონურ პროლეტარიატს და გლეხობას ჩავუდგეთ სათავეში?", რომელიც ბოლშევიკურ „პროლეტარში" 5 სექტ. 1905 წ. № 15 დაიბეჭდა.

და ცხელცხელი ჩაი ამშვენებდა. ერთმანეთის სადღეგრძელო დალიეს, ერთობას გამარჯვება უსურვეს და ადრე დაიშალნენ, ვინაიდან ყოველ მათგანს ქუჩაში ჩხრეკა და რიჟრაჟზე ადგომა ელოდა.

ეზოში თითოთითოდ გადიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზურაბ, შენ შორი გზა გაქვს გასავლელი, — უთხრა მას რაჟდენმა. — ძალიან სახიფათო დროა და სჯობს აქ დაიძინო, მე კი ამ ღამეს ისევ დედა-ჩემთან გავათენებ.

ზურაბმა უარი უთხრა.

— დარჩი, ზურაბ. — ურჩია მართამაც და ცხელი მთრთოლვარე ხელი ისე მაგრად მოუჭირა, რომ თითები ატკინა.

— კარგი, დავრჩები. — დაეთანხმა ბოლოს ზურაბი და, ყველანი რომ გავიდნენ, ისევ გაზეთების კითხვას შეუდგა.

ნახევარი საათის შემდეგ შუალამის სიჩუმე კარის ფრთხილმა კაკუნმა დაარღვია. მუდამ საფრთხეში ყოფნით და დაპატიმრების მოლოდინით აშლილი ზურაბი შეკრთა, ზეზე აიჭრა და მისი მარჯვენა უნებურად ეცა რევოლვერს, მაგრამ გურგენიძე მაშინვე მიხვდა, რომ სახიფათო არაფერი იყო. ამ კაკუნს წელანაც ელოდა, მაგრამ გაზეთის კითხვამ გაიტაცა და დაავიწყა. მაინც ხელი არ მოაშორა რევოლვერს, ლამფა ჩააქრო, ფეხ-აკრეფით გადასჭრა ოთახი და მეორე ხელი ურდულს დაადო. კაკუნი განმეორდა: ერთხელ ძლიერ დაჰკრეს. ხოლო პაუზის შემდეგ ორჯელ ზედიზედ და ნელა დააკაკუნეს. ზურაბმა თამამად გასწია ურდული და შალ-მოხვეული მართა მკერდზე მიიკრა.

— უშენობამ დამაღონო. — მხურვალე კოცნის შემდეგ ჩასჩურჩულა ქალმა

— მეც შენს დღეში ვარ, მათიკო გენაცვალოს ზურაბი. — მიუგო ვაჟმა და ორიოდე წუთის შემდეგ მართა ტახტზე დასვა.

*
* *

ნიშნობის დღიდან ანდრო ახატნელის ოჯახი მოუსვენრობამ მოიცვა. ბანკებში ანდროს ამოწურული ჰქონდა კრედიტი. მან ველარც წვერაძეს შეუბედა და ძალაუნებურად მევახშეებს მიადგა კარზე, რომელთაც ოცდაათ წელიწადს ებრძოდა პრესაში, მიადგა და მამასისხლად სამოდე ათასი მანეთი ძლივს იშოვა.

მარიამმა ილიკო ყველაზე პატარა ოთახში გადაასახლა და მისი მოზრდილი ოთახი სამკერვალო სახელოსნოდ აქცია. ხუთი მკერვალი ქალი დილით-საღამომდე ქეთოს კაბებს, საცვალსა და თეთრეულს სჭრიდა და ჰკერავდა. ქეთოს აღარ ასვენებდნენ, წამდაუწუმ უძახოდნენ, გაუთავებლივ ატოლებდნენ და სარკის წინ ატრიალებდნენ.

ანიკოც იმ ოთახში აღამებდა დღეს. მართაც დღეში ორიოდე საათით ამოდიოდა და იმ საქმეს თავის გემოვნებას და გამოცდილებას უმატებდა. მხოლოდ თამარი და მისი ქმარი აკაკი ერიდებოდნენ [illegible] იმ ოთახსაც. აკაკი რამდენიმე დღის შემდეგ მაინც შეეხვდა თავის დას, თავი ველარ მოარიდა, წინ გაუჩერდა, რამდენჯერმე გააქნ-გამოაქნია ხელები და იმდენჯერმე უთხრა:

— აბა რა გითხრა... მასწავლე, რა გითხრა... რა გითხრა მეთქი?

— შენი ჭირი მე, ნურაფერსაც ნუ მეტყვი, ისევ ესა სჯობია. — მოუჭრა დამ და მოშორდა.

მარიამი და ქეთო თითქმის ყოველ დღე გადიოდნენ ქალაქში. უამრავი სასყიდელი ჰქონდათ და უფრო მეტად დონერ-ლეიცის, ცინდელის, აშვანგისა და დოროჟნოვის მაღაზიებში ტრიალებდნენ. დედაშვილი ამ მაღაზიების მუდმივი მუშტრები იყვნენ და მათი პატრონები და ნოქრები ნამეტან ახლა უხვდებოდნენ მათ ქლესური ღიმილით და ჭარბი თავაზიანობით. სკამებს მიართმევდნენ, უამრავ საქონელს აჩვენებდნენ და ნავაჭრს შინ თვითონვე უგზავნიდნენ.

მალე საერთო გაფიცვა დაიწყო და ქეთოს ბევრი რამე დარჩა შესაკვეთელი და სასყიდელი. იმ დღიდან სამი მკერვალი სულ აღარ მოდიოდა. აღარც მართა მოსჩანდა. ორი მკერვალი დროგამოშვებით ამოდიოდა, მაგრამ ისინიც ღელავდნენ და მალიმალ უკანვე გარბოდნენ.

თეთრ საქორწინო კაბას პირადად მადამ ჟანი უკერავდა. იმ დღეს ქეთო დასატოლებლად უნდა მისულიყო მასთან და შინიდან თერთმეტ საათზე გავიდა. მამა-დავითის ქუჩაზე რომ დაეშვა, უცებ შორიდან დაინახა ავშაროვი, რომელიც ჩაფიქრებული ამოდიოდა თავალმა. რამდენიმე დღის წინათ მან ძვირფასი საჩუქარი მიართვა ქეთოს: ოქროსგან ჩამოსხმული სამაჯური ტიტველი ქალვაჟის სხეულებისაგან შესდგებოდა, რომელნიც ურცხვად გადახლართულიყვნენ.

— გენაცვალეთ, რა სალდათური გემოვნება ჰქონია! — ცალკე უთხრა ქეთოს მარიამმა. — შორს სადმე შეინახე და მახლობელსაც არ აჩვენო, თორემ თავი მოგეჭრება.

დედასაც რომ არაფერი ეთქვა, იმ სამაჯურს არც ქეთო გამოაჩენდა.

ახლა ავშაროვმა მაშინ შეამჩნია ქეთო, როცა ქალი ზედ მიადგა მას.

— რას ჩაფიქრებულხარ? ხომ არაფერი მოხდა? — ჰკითხა ქეთომ საქმროს.

როტმისტრმა ორივე ხელი დაუკოცნა მას და მჭმუნვარედ მიუგო:

— ამაზე მეტი რაღა მოხდებოდა: რკინის-გზელთა გაფიცვა საერთო პოლიტიკურ გაფიცვად გადაიქცა.

— ეგ ხომ მეც ვიცი.

— ამას საშინელი შედეგი მოჰყვება. გუშინ ქალაქში კიდევ რამდენიმე ალაგას ისროლეს ყუმბარები. ველიამინოვის ქუჩაზე პოლიციელი და-

სჭრეს. ნაძალადევში რკინის გზის მემანქანე მოჰკლეს, რომელმაც გაფიცვა დაარღვია. ვერაზედაც ერთი აგენტი მოგვიკლეს. წუხელის ყარსის გზაზე სამხედრო ძატარებელი ლიანდაგიდან გადაგვიგდეს და რვა ვაგონი დაგვიჭრეს და მოგვიკლეს. ამგვარი საზარელი ამბები თითქმის ყოველ დღე ხდება და ალარ თავდება. ხელისუფლება დამბლადაცემულია. ეს-ეს ალარ იცის როგორ მოიქცეს. ზოგი ალთას მიიწევს და ზოგი ბალთასა. რევოლუცია იმარჯვებს და ყველა ჩვენთაგანი თაგვის სოროს დაეძებს.

— ბედოვლათები ხართ და სოროს იმიტომ დაეძებთ. — მიახალა უცებ ქეთომ და თავის ნათქვამის მძაფრი კილო თვითონაც გაუკვირდა. — მაშ არ იცით როგორ მოიქცეთ? მე ქალი ვარ და მაინც ვიცი. ერთ დროს თითქოს ვაჟკაცები იყავით, ახლა კი გაქალაჩუნდით და ამიტომ ვილაც ჯიქი, ვილაც ტოგო, ვილაც კუროკი და ძმანი მათნი კიდეც გამახსარავებენ. დროა გონს მოხვიდეთ და ისე დასცხოთ, რომ მეორეჯერ თითიც ველარ გაანძრიონ. თუ არა და, ეს ველური ოხლოსი ყველაფერს გაანადგურებს და ჩვენც დაგვხოცავს. აგერ კიდევ ერთი ნაყოფი მათი სამართლისა. — და ქეთომ თითი ქუჩის მეორე მხარეს გაიშვირა, სადაც ფეხით და ეტლებით ამოდიოდნენ სოფლიდან გამოქცეული მღვდელი და აზნაურები თავიანთი ცოლშვილით, ბავშვებით, ხურჯინებით და მაფრაშებით დატვირთულნი. — ეს უერთგულესი ლაშქარია მეფისა, რომელიც საუკუნოებით დაგროვილ ქონებას და ბუდეს თავს ანებებს და ცხვრის ფარასავით გამორბის: თქვენ კი შებრძოლების მაგიერ გულხელი დაგიკრეფიათ და ბურტყუნებთ: არ ვიცით რა ვქნათო.

ავშაროვი გაოცებული უსმენდა თავის საცოლეს. ქეთომ უკანასკნელ დროს „ძირ-ფესვიანად გამოიცვალა აზრი“ და ეს ცვლილება პირველად იმ ღამეს გამოაჩინა შანტანში, რომელმაც ისინი საბოლოოდ შეაკავშირა. მას აქეთ ქეთომ ავშაროვს იმგვარივე აზრი ორიოდეჯერ კიდევ გაუმეორა, მაგრამ ასეთი სიმკაცრე ერთხელაც არ გამოუჩენია. „დასცხეთ“ — ეს ხომ გოროდცევის, გენერალ გრიაზნოვისა და „ჭეშმარიტი რუსების“ ლოზუნგი იყო!

მაშ ქეთოც ამ გზით მიდენილა, წითელი დროშა დაუგმია და თეთრს მიჰკედლებია.

ავშაროვი თავის დანიშნულს გამოჰყვა. ქეთოს ჯერ ეხამუშებოდა ჟანდარმთან ერთად გამოჩენილიყო ქუჩაში. ამას წინათ ავშაროვმა ახატნელები ოპერაში დაჰპატიჟა. ოთხ-ალაგიანი ლოჟა ეყიდნა. ქეთო თავის დედმამას ძალდატანებით გაჰყვა და ისე იჯდა საქმროს გვერდით, თითქო ვილაცას ემალებოდა.

იმ ლოჟას უამრავი ლორნეტი და ბინოკლი დაუმიზნეს და ახალ დანიშნულებს გულმოდგინე მუშტარივით სინჯავდნენ. ქეთომ ანტრაქტის დროს ცნობისმოყვარეთა ბრბოს თავი დააღწია და თეატრის ფოიეში გავიდა. მუნდირით გამოწკეპილი საქმრო დეზების ოდნავი ჟღერით გაჰყვა მას

და ხალხს მედიდურად ათვალიერებდა, თან ისე მოსწონდა თავი, თითქო ყველას ეუბნებოდა: სანაქებო ვაჟკაცი ვარ და ასეთი მზეთუნახავი-ამიტომ დავიუფლეო. მაგრამ ხალხს ფოეში უფრო უდიერად ეჭირა თავი და ქეთოს მოურიდებლად ათვალიერებდნენ, თანაც იმის თეთრი ნასთის, შავი თვალწარბისა და მოხდენილი ტანადობის გამო თითქმის პირში ესროდნენ ხოტბას და აღტაცებას.

ყველაზე უარესი მაინც ის იყო, რომ ქეთო რამდენიმე წუთში პირისპირ ათიოდე ნაცნობს, მეგობარსა და ნათესავს შეეხვდა და ველარ გააროკვია, ვისთვის რანაირი სალამი მიეცა და ვის წინაშე რანაირად დაეჭირა თავი. ავშაროვის მუნდირმა ყველანი გამოცვალა. ზოგმა ქეთოს დამცინავი ღიმილით გაუღიმა, ზოგმა გაოცებით შეხედა, ვინ ცივი სალამიც ძლივს გაიმეტა და ვინ თვალიც კი მოარიდა. ქეთო თვალცრემლიანი დაბრუნდა, ლოჟის უკანა კუთხეში გაინაბა და საქმროსთვის „ჰო-არას“ მეტი ერთი სიტყვაც ველარ იპოვნა.

ავშაროვი მიზეზს მიუხვდა და ასე ანუგეშა საცოლე:

— ნუ გწყინს, ჩემო ძვირფასო. მალე შეგვეჩვევიან. გარდა ამისა, ჩვენცა გვყავს კეთილშობილი საზოგადოება, რომელიც თქვენს სანაქებო ინტელიგენციას არც განათლებაში, არც ქონებაში და არც ჩამომავლობაში დაუვარდება. აი მაგალითად...

მაგალითები წეღანაც უჩვენა და ეხლაც დაუმატა: აგერ იმ ლოჟაში გუბერნატორი ბარონი რაუშ ფონ-ტრაუბენბერგი და მისი უპატიოსნესი და უგანათლებულესი მეუღლე ბრძანდებიან.

აი ჟანდარმთა სამმართველოს გამგე პოლკოვნიკი ბეზგინი და მისი მეუღლე — ზრდილობით და ენების ცოდნით განთქმული.

• პარტერის პირველი რიგი თითქმის ცალიერია. იგი დრაგუნთა აფიცრებს აქვთ აბონემენტით დაჩემებული, რომელნიც ახლაღა მოდიან, ვინაიდან დროზე მოსვლა მათ „შოკინგ“-ად მიაჩნიათ. ავშაროვს მათ შორის ბევრი მეგობარი შერჩა.

აგერ კიდევ რამდენიმე გამოჩენილი მოხელე და აფიცერი: ბარონი ნოტბეკი, გრაფი სეგუნი, აზნაური ნაზიმოვი („ნუ ეხუმრები, სახელოვანი ადმირალის ნაზიმოვის ბადიშია“).

აგერ კიდევ რამდენიმე პოლკოვნიკი, „სტატსკი სოვეტნიკი“, კორნეტი, როტმისტრი და კაპიტანი, რომელნიც ქეთოს თავიანთ ოჯახში სიამოვნებით მიიღებენ და სათანადო პატივსაც მიუძღვნიან.

ქეთოს არც ახლა უნდოდა საჯაროდ მიჰკერებოდა ავშაროვის მუნდირს და ამიტომ საქმროს მისი სამსახური გაახსენა.

— რა დროს სამსახურია! იქაც აღარაფერი კეთდება. ჩვენც გავიფიცენით. რა სხვაზე ნაკლები ჩვენა ვართ! — ხუმრობით მიუგო საქმრომ და ქეთოს გამოჰყვა.

დანიშნულები გოლოვინის პროსპექტზე ჩავიდნენ და ერევნის მოედნისაკენ გაემართნენ.

ოქტომბრის თბილი მზიანი დარი იდგა. მოლურჯო [illegible] ხმელი ჰაერი თითქო გამდნარი ქარვით გაჟღენთილიყო. [illegible] ყველა დარაბები დაკეტილი იყო. ქუჩაში აღარც ეტლი მოსჩანდა და არც ტრამვაის ვაგონები. უსაქმურობის გამო დიდი-პატარაც გარეთ გამოსულიყო, განიერი ტროტუარები გაევსო და ქვაფენილზედაც გადაღვრილიყო. ხმალთოფში ჩამჯდარმა დრაგუნთა ესკადრონმა ნელი ნაბიჯით ჩაიარა. ხალხი არ ეპუებოდა და ნასუქალ ცხენებს ისე მოურიდებლად ეხლართებოდა ფეხებში, თითქო ხელისუფლებას ეუბნებოდა: თქვენი დღენი დათვლილია და ვერ შეგვაშინებთო. წინ მიმავალმა ესკადრონის მეთაურმა და ავშაროვმა ერთმანეთს გაულიმეს და მხედრული სალამი მისცეს.

ესკადრონს ოთხი სამთო ზარბაზანი მოჰყვა, რომელმაც ხალხი ზღარბივით აბურძნა და აქა-იქ დრტვინვა გამოიწვია.

— ზარბაზნები აქამდისაც უნდა გამოეტანათ. — უთხრა ქეთომ საქმროს. — აქა-იქ ოციოდეჯერ რომ დაგექუხებინათ, თაგვის სოროს თქვენ მაგიერ ესენი მოსძებნიდენ და არც ამდენი სისხლი დაიღვრებოდა.

— რას იზამ, ვარანცოვი ლიბერალობს და სჯერა, რომ მისი გაუთავებელი მოწოდებანი და ქადაგებანი ტერორისტებს კრავად აქცევს. — ჩასჩურჩულა ქეთოს ავშაროვმა.

— ვინც მგლის თავზე სახარებას კითხულობს, იმას და იმის ფარასაც მგლები შესჭამენ. დროა ასეთი მწყემსი თავიდან მოვიშოროთ.

— სუ, გაჩუმდი, თორემ... — და ჟანდარმმა მახლობელი მგზავრები შიშით აათვალიერა.

პირველ სავაჟო გიმნაზიასთან ხალხში შუქურაული გამოჩნდა. პოეტი თვალმიბნედილი იყო და ბრმასავით მოსდევდა ოცნებას. ქეთოს რომ გაუთანასწორდა, უცბათ თვალი გაახილა, შეშინებულმა გაუღიმა და გაბურძვნილი თავი ოდნავლა ჩაუქნია. ქეთომ ზედაც არ შეხედა და უცნობივით გაუარა.

— მაგ საცოდავ პოეტს რაღას ერჩი? რატომ სალამი არ მიეცი? — ჰკითხა ავშაროვმა.

საცოლემ ნამდვილი მიზეზი დაუმალა და მიუგო:

— მე თავის ჩაქნევა სალამად არ მიმაჩნია. ვისაც უნდივარ, ის ღირსეულ სალამს მომცემს, ვისაც არა და, სჯობს სულაც აღარ ვიცნობდე.

სწორედ ამ დროს მართას შეეფეთნენ. ისიც დაიბნა და იმანაც ოდნავ დაუკრა თავი. ქეთომ უკმეხად შეიკრა წარბები, გაოცებით გადახედა მართას და არც იმას აკადრა პასუხი.

ეგ ქალი და შენ სადღაც მინახიხართ ერთად. — გაახსენა ავშაროვმა. — მაგას რაღაზე უწყრები?

— სცდები, ჩემო კეთილო. სულაც არ ვიცნობ. ალბად შესცდა, ან სხვა ვინმეს მისცა სალამი. — დინჯად უპასუხა ქეთომ.

„ყოჩაღ, ქეთინო! შენი თავის პატივი გცოდნია და ... ...

მილით უთხრა: — თქვენი ქალბატონისთვის ერთი მშვენიერი რამეცა მაქვს და, თუ ნებას მიბოძებთ...

— მაჩვენე. — მოკლედ მოუჭრა ავშაროვმა.

ვაჭარი ისევ მაღაზიაში შეცუნცულდა, მალე სიასამურის მაღალტინი გამოუტანა და თან ასეთივე სუფთა, შაპო „პარადიზი“ და მოოქროვილი ფეხსაცმელი გამოაყოლა.

— ამის მსგავსი ჩვენს ქალაქში არაფერი იშოვება. — აჩურჩულდა მაღაზიის პატრონი. — ვიღაც აქტრისა წასვლას აპირებს და საჩქაროდ ჰყიდის, ცოლშვილს გეფიცებით, რომ ამის ფასი, სულ ციტა, ორასი თუმანია, მაგრამ ძალიან ეჩქარება და სამოც თუმნად ყიდის. სულ ახალთ-ახალია. ერთხელაც არ არის ნატარები გირჩევთ ახლავე იყიდოთ, თორემ მერმე ბევრს ინანებთ.

— შენ რას იტყვი? — ჰკითხა საცოლეს ავშაროვმა. — მე ბეწვეულისა არაფერიც არ მესმის. მოგწონს თუ არა?

მოსწონს თუ არა ეს სიასამური? აბა რა საკითხავია! ქეთოს პალანტინი კისერზე აქვს მოხვეული. იგი თითქმის მუხლამდე სწვდება. შავი განიერი შაპო უკვე თავზე ხურამს, ზედ ფასკუნჯის ფერადი ჯიღა ერთი მტკავლის სიმაღლეზე ასვეტილა და ცისარტყელასავით კამკამებს. ქალის გრძელი და ნათელი თითები მოუსვენრად დაცოცავს ბეწვეულში. ხან ზედაპირს უალერსებს, ხან შიგა ჰყოფს, სიამით ელამუნება და მისი საამური სილბოთი და თვალწარმტაცი ჭავლით ტკბება. მერმე მან მოოქროვილი ფეხსაცმელი ჩაიცვა, ორივე ხელი თბილ მუფთაში შეჰყო და სარკის წინ გაჩერდა. სარკეში წელანდელი უბრალოდ ჩაცმული „ბარიშნას“ ნაცვლად ახლა ნამდვილი „გრან დამ“ იდგა — ივდითივით მკაცრი, ამაყი და მშვენიერი.

— მითხარი, ღირს თუ არა სამოცი თუმანი? — ერთხელ კიდევ გაახსენა ავშაროვმა.

— ორჯელ მეტიცა ღირს. — მიუგო ქეთომ და მომხიბლავი ღიმილით გაულიმა სარკეში მდგომ „გრან დამს“, რომელმაც ისეთივე ღიმილით უპასუხა მას.

სანამ ქეთო იმ ქალს ემანჭებოდა, მანამ ავშაროვმა რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა ვაჭარს და ქალალდის ნაგლეჯზე ორი მისამართი დაუწერა, თავისი და ქეთოსი.

— ერთ საათში მოგართმევთ. — უპასუხა ვაჭარმა და მაღაზიაში გავიდა.

— ჩემო ქეთუნი, ეგ ძველი და სხვა ახალი. მშვიდობაში გაცვითე. — მიულოცა ავშაროვმა და ხელზე დაეკონა.

— გმადლობ, ჩემო არტემ. — მიუგო ქეთომ და გაპარსული ლოყები სწრაფი კოცნით დაუკოცნა. ნაყიდი ნივთები მაღაზიის პატრონს დაუტოვეს გამოსაგზავნად და ეზოში გამოვიდნენ.

— მე ჩემი თავი ჯერაც ვერ დამიჯერებია, რომ შენ-ოთხ-ოდის შემდეგ ჩემი ცოლი გახდები. — უთხრა ფიქრში წასულმა ავშაროვმა.

— ვერც მე წარმომიდგენია. უცნაურია, საოცარია.

— ამბობენ, დიდ ბედნიერებას დიდი უბედურება მოსდევსო.

— არტემ, ნუ მაშინებ, გაჩუმდი.

— დედა-ჩემისაგან დეპეშა მომივიდა: რკინის გზა აღარ მუშაობს, მაგრამ მაინც მოვდივარ და იქნება ქორწილში ჩამოგისწროთო. ალბათ გემით ჩამოვა.

— ღმერთსა ვთხოვ, რომ მშვიდობით ჩამოსულიყოს.

ამგვარ საუბარში პეტრე დიდის ქუჩაში გავიდნენ და მადამ ჟანის საბელოსნოს მიადგნენ. ქეთო გამოეთხოვა და დააპირა მადამ ჟანთან საქორწინო კაბის დასატოვებლად ასულიყო. საქმრომ ერთხელ კიდევ დაუკოცნა ხელები და ჟანდარმერიისაკენ გატრიალდა, რომელიც იმავე ქუჩის ბოლოში იყო მოთავსებული.

სანამ ავშაროვს მოშორდებოდა, ქეთომ მანამდის ორი მხცოვანი ტანადი კაცი შენიშნა, რომელნიც მათკენ მოდიოდნენ. ერთი მათგანი წვერგაპარსული იყო. ხშირი მოგრძო თეთრი ულვაშები ჰქონდა, სქელ ჯოხზე ეყრდნობოდა და კოჭლობით მოდიოდა. მეორე კი იმაზე უფრო ხნიერი, უფრო მოსრული იყო და პატრიარქს ჰგავდა. თოვლივით თეთრი წვერი განიერ მკერდზე ხშირად და განივრად ეყარა. ხშირ-თმიანი გათეთრებული თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაწეული და დიდრონ თვალებს ოდნავ სჭუტავდა.

ნეტა ქეთო ერთი წუთით უფრო ადრე დაშორებოდა ჟანდარმს! მას უნდოდა ამ ბებრებს როგორმე გასხლტომოდა, მაგრამ დაიგვიანა. დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა უკვე გაუღიმა მას, ხოლო მეორე მწერალმა ანტონ ფურცელაძემ სწორედ იმ დროს მიაძახა, როცა მან კარის ყურს მოავლო ხელი:

— დაიცა, ქეთო, სად მიეჩქარები?

წერეთელი ქეთოს ძმის აკაკის ნათლია იყო, ხოლო ფურცელაძე ჭავჭავაძის შემდეგ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აერჩიათ და ანდრო ახატნელთან ერთად მუშაობდა. უწინ ორივენი ხშირი სტუმრები იყვნენ ახატნელისა, მაგრამ შემდეგ სტუმრობა თანდათან შეანელეს და ბოლოს სულაც შესწყვიტეს.

ფურცელაძემ ქეთოს ხელი ჩამოართვა, ხოლო აკაკიმ ორივე ლოყა დაუკოცნა და თავის ნელი ტკბილი ხმით ჰკითხა:

— ერთი მითხარი, ეს ჟანდარმი ვინ არის, ხელზე რომ გკოცნიდა?

ქეთოს სიწითლემ აჰკრა.

— ავშაროვია.

— მე გვარს არ გეკითხები.

ვერა ქეთინო პასუხს ვერ გაეჭცევი. ნათლია-მგოსანი გეკითხება, ის ყანდარმი შენი რა არის, რომ გასათხოვარ ქალს ხელს გიოცნიდაო? მეტი გზა არა გაქვს, უნდა უპასუხო. და ქალმაც ჩურჩულით უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი დანიშნულია.

უპასუხა და თავში ალმური აუვარდა.

— დანიშნული? — გაოცებით იკითხა აკაკიმ და დუმილის შემდეგ დაუმატა: — ანდრიამ და მარიამმა თანხმობა მოგცეს?

— დიაღ, მოგვცეს.

— გლახები ყოფილხართ. — წყენით სთქვა აკაკიმ, თან ხელი ჩაიჭნია და მოშორდა.

— სამწუხარო ამბავია, ძლიერ სამწუხარო ამბავია. — დაუმატა ანტონმაც და კოჭლობით გაჰყვა აკაკის.

თავლაფდასხმული ქეთო კი თვალცრემლიანი და ალეწილი შევარდა იმ კარებში.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გამბესკერია

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები

ხსოვნაში ზოგის სახე წაშლილა,
ვით ძველი ტაძრის ძველი მხატვრობა;
დამაშორებდა მათ ღიმილს ხშირად
ვე სიყვარულის მაგვარი მტორბა.

ოდეს ტბასთან მზე აენთებოდა —
აიშლებოდა მათი ნავები,
წყალში ფარულად იხატებოდა
მათი ღიმილი და ნაწნავები.
შემიმჩნევია მე სევდა ზოგში
როს მდუმარებდენ როგორც ჩრდილები;
სად გადასულან, რომელ ეზოში
ჩემი ბავშობის ქალიშვილები?!
ჩამავალ მზეზე, ზღვაზე ფქრობდენ,
არ იგონებდენ შორეულ სოფლებს
მეოცნებენი დღეს შესცქეროდენ
როგორც ნიჟარის ყვითელ საფერფლეს!

ეხლა თქვენ გხვდებით ვისთვისაც ახალ
ქვეყანამ შექმნა საქმე ულევი
და საქართველოს მზეში რომ დახვალთ
ვარდით და გიშრით დახატულები.

განახლებია ახლა მიზნები
ბრძოლებში მოღლილ, დაკოდილ მხარეს...
თქვენც სიყვარულის თეთრი ისრები
ჭარხნებს, მინდვრებს და ცას მიაყარეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როს ვეგებებით ოქროს ფრთებიანს
დღეებს და ყვავილთ იწყება თოვა —
თამარები კვლავ ეჯიბრებიან
შორს ჩრდილოეთელ ვინოგრადოვას!
როცა რიჟრაჟი თეთრ ღრუბლებიდან
ისრებით დასჭრის ნაბდიან მხედარს —
თქვენ ლამაზ ქვეყნის ფრინველებივით
ზღვასთან ნარინჯის ბაღებში გხედავთ.
დაშორებულხართ წარსულს სრულიად
დე, ფიქრი, დარდიც წარსულში დარჩეს...
თქვენი კისკისი — ნაკადულია,
თქვენი ღიმილი — ნაპერწკლებს აჩენს!

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჭაჭახიძე.

ზღვაზე

ნაპირიდან დამინახავს
წყლის ვეება ლურჯი სივრცე;
გაურთვივარ... მაგრამ ახლა
გული რაღაც მძიმედ მიცემს.
არ ვკრეფ ბალში ვარდის ფურცლებს, —
ირგვლივ ზღვაა სახემკაცრი...
რა ცუდია, წყალი უცებ
გაცობდეს და წახდე კაცი!
ვეძებ ნაპირს, ხეებს ნაზებს,
ვაცქერდები რუკას ხშირად,
პირველად ვარ გემით ზღვაზე
და მან წუხელ შემაშინა.
სწუხდა ღამე ნისლის მსგავსი,
ერთობოდა ცა და ზღვა შორს;
გემი იყო თითქოს კასრი
დიდი ტალღის სათამაშო.
ქარს ველოდი ყოველ მხრიდან
ხომალდების მტერს და დამჭერს.
ცის კიდური წყალზე ჰხრიდა
დროშებივით ლრუბლის ნაჭრებს.
ვარსკვლავების შუქი მდარე
ესწრებოდა სადღაც ავდარს.
სამხრეთისკენ მყოფი მთვარეც
შეშინებულ მოხუცს ჰგავდა.
განვიცადე დარდი, დაღლა.
ახლა მზეა, სივრცეც ბრწყინავს;
დღე თბება, და ორი ტალღა
უკან მოგვსდევს ისევ წყვილად.
წინ ტალღები ტალღებს ჰგლეჯენ,
აქვთ სადაო რაღაც დიდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ გებულობ კაცი ბევრჯერ
ჩვენი გემი დგას თუ მიდის!
ანძის ახლო მდგომი დიდხანს
მზის ვაჟკაცურ ღიმილს ვუმზერ,
მინდა სხივმა რამე მითხრას,
შორს რა ხდება მიწის ზურგზე.
ფიქრში ვხატავ ცოცხალ ვარდებს,
ტოტებგაშლილ დაბალ ჭერამს....
აღტაცების გრძნობებს ბადებს
სადმე გემის გამოჩენა.
ამ უსაზღვრო ფართო ზღვიდან
მომენატრა მინდვრად გასვლა...
ჩემს ცხოვრებას მიწა ზრდიდა
ჯეჯილის და ბაღის მსგავსად.

1936 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პანტ. ჩხიკვაძე

მურზაყან ღაღეშქელიანი

რომანი

თავი მესამე *).

2.

ხანშესულთა თათბირს კოხტაია გურული შეესწრო. მოიბოდიშა უდროოდ სტუმრობა და მოშორებით დაჯდა.

ხანშესულნი განაგრძობდენ ბჭობას: უკმურსა და ციებცხელებას სვანური რისხვით აძაგებდენ... აგინებდენ ბარს, სამეგრელოს მიწა-წყალს, კუდიანებსა და ჭანჭროში მობინადრე ჭინკებს. საშველს მაინც ვერაფერს პოულობდენ. ციებცხელებიანი სიზმარშიაც არ ენახათ სვანებს. მისი წამლობა ვისღა ეცოდინებოდა...

ცოდვამ გვიწია სვანებო! — ამბობდა ქურდან მანაგაძე. — მამა-პაპისა თუ შორეული წინაპრის წყევლა აგვიხდა... ამოვწყდებით, თუ საწირავი დროზე არ შევწირეთ.

— ხარი გვმართებს, — დაემოწმა ქურდანს ჩხვიმიანი.

— სადედაღვთისოც, — დაუმატა გუშტი ქალდანმა.

— მე როგორც მახსოვს, ყაზბულათს სამარგიანო საწირავიც გადაუხდელი აქვს.

— მართალია, გადაუხდელი მაქვს, — დაემოწმა ყაზბულათ, თხისური ჩაჩი მოიხადა და მაღლა კრძალვით აიხედა. — მადროვე, ყოვლის შემძლე ღმერთო! ერთად გაახლებ საგვაროსა და სადედაღვთისოს...

ყასბულათმა პირჯვარი გამოისახა. სასოწარკვეთა იხატებოდა გადმოხვეწილთა წინამძღოლის სახეზე. სვანები ხედავდენ, რომ აქამდე გულშეუპოვარი ყასბულათ დღითი-დღე ქედს იხრიდა... ყოველ გათენებისას ჭაღარა ემატებოდა. ხელაპყრობილი ყასბულათის დანახვა მაინც ბევრს ეუცნაურა... ურწმუნოდ არავინ სთვლიდა მონადირე მარგიანს, მაგრამ ხელაპყრობა სისუსტედ ჩაუთვალეს სვანებმა.

კოხტაიას საქციელი წაუხდა. რამდენჯერმე გადასწყვიტა ჩარეოდა ხანშესულთა საუბარში, მაგრამ თავს იჭერდა, იქნებ იწყინონ და მატრაკვეცობაც დამწამონო. ბოლოს ველარ მოითმინა. ახლო მივიდა. ჩაერია ლაპარაკში, აუხსნა სვანებს ციებცხელების ავან-ჩავანი. დაარწმუნა ყვე-

*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 3.

ლანი რომ უკმური და ჭინკა აქ არაფერ შუაში იყო. საწირავზე კრინტი არ დაუძრავს. თვითონაც სწამდა საწირავ-სალოცავი და დრიტა ელოდა, შემოქმედების მონასტერს სტუმრებოდა, წაეხსნა ბაწარი სამწყალიან კუროსთვის და გაეშვა ეზოში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოხტაია იმასაც ამბობდა: გურიის აჯანყების დროს, ოსმალეთიდან, რომ ექვთიმე შემოქმედელს დაელოცა და ერთი წირვა გადაეხადა შემოქმედის მონასტერში, აჯანყება არ დამარცხდებოდაო... ეს სწამდა კოხტაია გურულს. განგების ძალა და ღვთის დაწესებული კანონ-სამართალი ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

მაგრამ ციებცხელებით დასნეულებული სვანები რომ განგებისა და წინაპართ საწყევარ-საწირავებს მიაწერდენ ხაშმით დაავადებას, ეს საეჭვოდ არ ყოფნიდა. მოდგა და აუხსნა სვანებს, რაც რამ იცოდა ხაშმის შესახებ. ცალკე გულგატეხილი ყასბულათ ანუგეშა... და ზედმეტი დამაჯერებლობისათვის ერთი გურულად შეუცაცხანა დაღვრემილებს: ჰაიტ, თქვე გლახებო, ციებამ რავა შეგაშინათ ვეფხვივით ვაჟკაცებიო!

დაჯდა და მოჰყვა სილაბანდურას.

კოხტაიას კარგად იცნობდენ გადმოხვეწილი სვანები. ისიც იცოდენ, რომ კოხტაია გურიის აჯანყების მონაწილე იყო. ჯანყის მეთაურის ამბავკო შალიკაშვილის მარჯვენა ხელი. მეგრელებთან შეტაკებისას ორჯელ ისახელა თავი კოხტაიამ. ოტია ჯაიანსაც მან მოარტყა თოფი. ოზურგეთში რუსებთან შეტაკების დროს კოხტაია ბესიას გვერდით იდგა. დღესაც ყურში ჩასწივის კოხტაიას მომაკვდავ ბესიას სიტყვები: გვილალატე, ხასანბეგო, მარა გადაგიხდის გურია!

თითონ კოხტაიამ მოინდომა სამაგიეროს გადახდა. მოღალატე ხასან-ბეგ თავდგირიძეს მწევარივით გამოუდგა, მაგრამ ჯანყი ჩქარა ჩააქრეს. ჯანყის მეთაური შალიკაშვილი გააციმბირეს. თავკაცებს ციხე-კატორღით გაუმასპინძლდენ. კოხტაიაც ვერ ასცილდებოდა ბორკილებს. მაგრამ თავს უშველა. გურიელი დაიხმარა და სამეგრელოში მოახერხა გაპარვა.

სამეგრელოში ისე მოაჭახრაკა საქმე, რომ პირდაპირ დადიანის სასახლეში ამოჰყო თავი. კოხტაია დაუახლოვდა კარის მსახურთ, შინაყმებსა და მოჯალაბეთ. გვიან სვანებიც გაიცნო კოხტაიამ... გაუშინაურდა გადმოხვეწილებს და თავისი თავგადასავალი უამბო.

— არ ელალატა ხასან-ბეგს... ნახავდენ რა ბიჭები ვიყავით გურულები, მარა...

კოხტაია ღალატის ხსენებისთანავე ამოიოხრებდა... თავს დაბლა დახრიდა, თითქო რაღაცას იგონებს და ვერ მოუგონებიაო.

— მერე? — ეკითხებოდენ დაინტერესებული სვანები.

— დავმარცხდით... ღალატმა დაგვამარცხა... უცხო კანონ-სამართალი შემოიღეს... ბოქაული დაგვინიშნეს და მშვიდობით, ორი დღის თავისუფლებავ!

აქ კოხტაია საუბარს შეწყვეტდა და ცდილობდა სასაუბრო თემაც გამოეცვალა... დაშინებულს ყველგან ღალატი და მოღალატე ელანდებოდა.

ნოშრევანს ახლო დაუმეგობრდა კოხტაია. სული და გული მიანდო. პირველად ისიც შორიდან მოსინჯა. ვნახოთ, რა ბიჭია... [illegible] დარწმუნდა, რომ ნოშრევან კოხტაიას მსგავსად იყო გულდაკრეული შინაყმების მდგომარეობით, დაუახლოვდა. გურიის ამბები გააცნო და ნელ-ნელა შეაპარა: აჯანყდით, იქნებ მოღალატე არ გამოგერიოთ და ქე გაიმარჯვებთო... სვანეთშიაც დაბრუნდებით და ბატონებსაც ძააჩიჩვირებთო.

ნოშრევანს თვალები უბრწყინავდა კოხტაიასთან საუბრის დროს, მაგრამ სვანეთში დაბრუნებაზე ჯერ ფიქრიც ზედმეტი იყო... დადეშქელიანთა შორის სისხლის ღვრა თუ შეასუსტებდა თავაშვებულ მებატონეებს... მაგრამ როდისღა... ნოშრევანის მოუთმენლობას ციებცხელებაც ზედ დაერთო და ახლა თითქმის ყოველგვარი იმედი დაჰკარგა მან... გული მოუხუცდა ლომის ბოკვერივით ჩაბუსკნულ ვაჟკაცს...

დღეს კოხტაიამ ნოშრევანის სანახავად შეაღო გადმოხვეწილ სვანთა კარავის კარი.

— ჰო და იმას ვამბობდი, — განაგრძობდა კოხტაია, — დახაშმულის წამალი ათასი რაღაცა გამიგონია სოფლის აქიმებისგან: არაყში გალესილი დანაყილი ანწლის კაკალი... არაყში დაყენებული ნივრის წვენი... თან კიდევ ძეწვებიანი ჭაჭის არაყი, მოლს რომ მოხრაკავს, იმისთანა. ანწლის არაყიც გამიგონია...

სვანებს ნერწყვი მოუვიდათ ანწლის არაყის გაგონებაზე. ერთმანეთს გულდაწყვეტით გადახედეს.

— მარა ყველაზე სანდო, — განაგრძობდა კოხტაია, — საიმედო და საჭეშმარიტო ცხაკუნიე ურიეს წამალია... ადესიდან ჩამოაქვს თურმე, რაღაც ფიფქი ყოფილა, ენაზე დასაყარი... შხამსა და დურბელას არ ჩამოუვარდებაო სიმწარით... ათი ფიფქი საკმარისი ყოფილა. რა გინდ მძიმე ავადმყოფი იყოს, მის ტანში ციება აღარ გეივლისო.

თავი ასწია ყასბულათმა. თვალები სჭყიტეს დარდისაგან თითქო მთვლემარე სვანებმა... ბევრს ეჭეშმარიტა კოხტაიას ნაამბობი. იმედი დაუბრუნდათ. „თუ ნოშრევანზე კეთილად იმოქმედა, მერე ყველა ადვილად დავაღწევთ თავს ბარის უკმურსო“, — გაიფიქრეს ზოგიერთებმა.

— რას იტყვით, სვანებო? — ჰკითხა ხანშესულებს ყასბულათმა.

— ვშინჯოთ!

დასტური ესიამოვნა მარგიანს. სულ სხვა პასუხს მოელოდა და ერთბაშად გაიჩარა, მაგრამ წამიც და ისევ მოიღრუბლა გადმოხვეწილთ მეთაური.

— რომ ვერ ვიშოვოთ? — დაარღვია ხანგრძლივი დუმილი ყასბულათმა.

— ფული გაუჩხრიალეთ და ცხაკუნია უშვილობის წამალს გააჩენს, — დააიმედა სვანები კოხტაიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ფულზე ვართ ხელფართოდ, — ამოიოხრა ნოშრევანმა.

ყასბულათმა ქალდანს შეხედა. უცებ თვალი მოარიდა ქალდანს, მიწას დააშტერდა. გააფურთხა და თითქო შერცხვაო, ფეხი დაადგა. „ხელფართოდ“ — გაუელვა ყასბულათს და ციებისგან გაყვითლებული გუშტის თვალი ველარ გაუმაგრა. ნოშრევანისკენ გახედვას მოერიდა... ცხაკუნიას ვალი მოაგონდა და სირცხვილით ცეცხლი მოეკიდა. „შიმშილით ვიხოცებით. უქმური გვანადგურებს... ცოლშვილი“... გააჟრჟოლა ყაზბულათს. „საბრალო გივერგილა!!... ნოშრევანიც რა დღეში მყავს“...

ვერ გაბედა. ის, რისი გადაწყვეტაც სურდა, ვერ გადასწყვიტა. ვერ მოერია საკუთარ თავს. ვერ დასძლია გაკერპებული გული.

„წამალი მაინც მივაწოდო“, — ესლა გაიფიქრა ყასბულათმა და კოხტაიას მიუბრუნდა: — ნამდვილ ექნება ცხაკუნიას უქმურის ფიფქი?!

— ექნება, ადესიდან ახალი ჩამოსულია... და ჯერ ვერ გეიცლიდა ხელს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ციებამოხდილი ნოშრევან მოხარშულ მიწავაშლივით გამოიყურებოდა. თითქო კბილები დაგრძელებოდა ავადმყოფობის დროს. ღიმილი აღარ უხდებოდა წინანდებურად. კარგა ხნის მოუპარსავი გინგლი ოფლს ჩამოერეცხა. გულალმა იწვა ნოშრევან. გაქვარტლულ ჭერს მიჩერებოდა. სიცხე უკვე აღარ აწუხებდა, მაგრამ არც მასლაათის გუნებაზე იყო. კოხტაიას შეცაცხანებაზე გაახილა თვალები. კოხტაიას მუნჯური სალამი დაუბრუნა და ისევ გაქვავდა.

ფიფქვის ხსენებაზეც გამოიხედა ნოშრევანმა. გუშტიმ ქალდანის სიტყვაზე თავი გააქნია. და წამით ანთებული თვალები ისევ უიმედობის ნისლში გაეხვია. ახლა უფულობის გრძნობამ მოუშხამა გუნება. „უფულოდ ცხაკუნიასთან ვინ რას გააწყობს“, გაიფიქრა მან.

— კოხტა! — დაარღვია სიჩუმე ყასბულათმა.

პასუხის ნაცვლად კოხტაიამ თვითონ მიირბინა ყასბულათთან, ჩაცუცქდა და ხმაამოუღებლივ ანიშნა, მზად ვარ სამსახურისთვისო.

ყასბულათ წამოდგა, წამოაყენა კოხტაია, ხელი გამოსდო და კარავიდან გარეთ გაიყვანა. კარავს რომ გაცდა, უბიდან ტყავის ქისა ამოიღო ყასბულათმა და ერთი ოქრო მუხლის თავზე დაიდო. თან დააატანა: წაიღე, ამის ფიფქი გამოართვი ცხაკუნიასო.

კოხტაია სახტად დარჩა. იწყინა კიდეც, რატომ ხელში არ მომცა ფულიო, მაგრამ მოაგონდა, გურიაშიც იყო დარჩენილი ასეთი ჩვეულება, ხანშესულნი იბრძნიდენ ხელადობასა და ფეხადობასაც. დაიხარა, აიღო ოქრო მუხლის თავიდან და გზას გაუდგა.

ყასბულათმა იმედით სავსე თვალები გააყოლა ფეხის ცერებზე მიმავალ კოხტაიას.

3.

ყასბულათ მოგვიანებით დაბრუნდა კარავში. [illegible] ბულმა დინჯად შეალო კარავის კარი და პირდაპირ ნოშრევანის საწოლისაკენ გასწია. მისი აზრი და გონებაც იმ რაღაც ფიფქის ირგვლივ ტრიალებდა. თვალწინ ცხაკუნია ედგა... ეშინოდა, უარი არ სთქვასო.

ნოშრევანის საწოლს რომ მიუახლოვდა, თვალი მოიჩრდილა, გაოცება აღიბეჭდა მის ნაოჭებიან სახეზე.

ნოშრევანს ფერხთით ეჯდა დიგორხანის დისწული დარეჯანი... დარეჯან სხაპუნით ჰყვებოდა რაღაც ამბავს, მხიარულსა და სასაცილოს. ნოშრევან კუშტად იწვა ქეჩა წაფარებულ ძელზე. დარეჯანს არც კი უსმენდა. ამაყ სვანს სირცხვილად მიაჩნდა, რომ ამ დღეში იმყოფებოდა. ყველაზე მეტად ის წყინდა, რომ დარეჯანი საკუთარი თვალით ხედავდა გადმოხვეწილი სვანების უმწეობას... დარეჯანისთვის ეს უცხო არ იყო. მან ხომ სამეგრელოში გადმოხვეწამდე რამდენიმე თვე გაატარა განდგომილებთან. მაშინ უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიდნენ სვანები, მაგრამ ნოშრევან აინუნშიაც არ იგდებდა ამ მდგომარეობას. დღეს კი... დღეს დარეჯან ისევ ის თავადის ქალი... ისევ განცხრომილი და გაზულუქებული დასცქეროდა ისლისა და ჩეჩქის საგებს, ქეჩასა და ნაბდის ძველას... გაპოხილ ტყაპუჭებსა და გადაუფხეკავ ქალამნებს. დღეს დარეჯან სულ სხვა იყო ნოშრევანისთვის... გაცილებით უფრო შორებელი და უცხო, ვინმე მონათმფლობელ ქალიშვილებს ქარავანში ან თავისუფალ სვანეთში განდგომილებთან ერთად ყოფნისას. მაშინ ნოშრევან უყვავებდა დარეჯანს. დარდსა და სვანების მიერ მიყენებულ შეურაცყოფას ალერსით უქარვებდა... თანაც, ერთ ბედში მოხვედრილთ, ვაჟკაცური გრძნობაც ხშირად გაჰკრავდა ხოლმე გულში და ზოგჯერ მზად იყო ნოშრევან სულისა და გულის მეგობრადაც გაეხადა დარეჯან.

არ მოხერხდა.

ნოშრევანმა თითონვე აიღო ხელი ასეთ განზრახვაზე. მონად გაყიდული თავადის ქალი სამეგრელოში ჩამოიყვანა და პირდაპირ დედოფალს მიჰგვარა: ჩაიბარეთ და უპატრონეთო.

ახლა თითონ დარეჯანი მოსულა ნოშრევანის სანახავად.

ალბათ სამაგიეროს თუ მიხდისო, გაიფიქრა ნოშრევანმა და თვალშიც არ შეხედა აკისკისებულ თავადის ქალს, რომელიც არც ისე მხიარული და ბედის კმაყოფილი ჩნდა საერთოდ, როგორც ნოშრევანს აჩვენებდა დღეს თავს.

ამას სხვებიც ხედავდენ: ჭურდან მანაგაძე შუბლზე მიჩერებოდა თვალწარმტაც-დარეჯანს. ნაოჭს ამჩნევდა და უკვირდა: გუშინდელ ბღარტს ნაოჭები რამ გაუჩინაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშტი ქალდანი მის დანისლულ თვალებს ზვერავდა. მასაც მოეჩვენა, რომ დარეჯანის ღიმილი ნაძალადევი იყო, ხელოვნურად ფალსიფიცირებული.

„იქნებ ავადმყოფს ამხნევებს და იმიტომ მხიარულობს", — დაასკვნა გუშტიმ. დარეჯანს თვალი მოარიდა, მაგრამ თავი ველარ შეიმაგრა და ისევ მას მიაშტერდა მონუსხული ჩიტივით.

კარავში სოზარ შემოვიდა.

დარეჯანის დანახვაზე ისე დაიბნა, მისალმებაც ვერ მოახერხა. დაჯდა და ჭურდულად უცქერდა მართლაც და ბუნების ამ თვალწარმტაც ქმნილებას.

დამუნჯებული სვანები ისევ ყასბულათმა გამოიყვანა უხერხულობიდან. ჭირვარამი გადაივიწყა გადმოხვეწილთ მეთაურმა, შუბლი გახსნა და დარეჯანის მხიარულ საუბარს თავისი შეუერთა.

გზადაგზა უსაყვედურა კიდეც: დაგვივიწყე, დარეჯან, ახლოს აღარ გვეკარებითო.

დარეჯან თითქოს ამ საყვედურს ელოდაო. მიდგა და მოჰყვა თავის წლევანდელ თავგადასავალს.

— მოგზაურობამ გადამიყოლა, პატივცემულო ყასბულათ! — დაიწყო დარეჯანმა. — გაზაფხულს აქეთია დავდივარ ნათესავებში და ჯერაც ვერ მოვათავე განზრახული მოგზაურობა. ჯერ აფხაზეთს ვიყავ, კნეინა კესარია შერვაშიძის ოჯახში. ჩემი მურზაყანის მეუღლეც მარტო იყო დარჩენილი და ვცდილობდი გამერთო და გამემხიარულებინა. ერთი თვე იმერეთშიაც დავყავი: დედულეთი მოვიარე: ბიძა და ბიძაშვილები ვინახულე... ერთი კვირაა, რაც დედოფალ კატოს ოჯახში დავბრუნდი და დღეს ეს არი თქვენთანაც მოვედი. ნოშრევანის ავადმყოფობა სასახლეშივე მიამბეს. დედოფალი შეწუხებულია ამ ამბით... დედას გეფიცებით! — იცრუა დარეჯანმა და რომ არავის შეეშჩნია ეს სიცრუე, დედა დაიფიცა. — დღეს ცხაკუნია ვიხმე... დედოფლის სახელით შევუთვალე აქ გაჩნდი მეთქი! სასახლეში მითხრეს, რაღაც წამლები აქვს ცხაკუნიას ჩაძოტანილიო... უარი ვერ მითხრა...

დარეჯანმა ფულუსფერ ხავერდზე ოქრომკედით ამონაქარგი ხელის ჩანთა გახსნა, რაღაც ფხვნილები ამოიღო და ნოშრევანს გადააწოდა.

— დარწმუნებული ვარ, კეთილად გარგებსთ და ჩვენ ყველას ერთნაირად გვესიამოვნება შენი გამოჯანმთელება, — დაატანა დარეჯანმა.

ნოშრევანმა ზედაც არ შემოხედა. დარეჯანს გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა. მოგვიანებით იგრძნო ნოშრევანის პროტესტი და მხიარული ღიმილით სახეზე შეაკვდა.

— გამომართვი! — მიმართა დარეჯანმა ხმაგაკმენდილ ნოშრევანს, თითქო ამით სურს მისი გატეხაც და მდგომარეობიდან თავის დაძვრენაც.

გაჯიქდა ნოშრევან. მუნჯურ პროტესტს სიტყვიერი [illegible] ეუბნებოდა: ტყუილა გარჯილხართ, სულერთია მაგ ფხვნილებს მე არ ვიხმარო.

ახლა კი იფეთქა დარეჯანმა. თავმოყვარეობის გრძნობა ველარ დაიმორჩილა და გაჭარხალებულმა მიახალა:

— არ გათეთრდება ყორანი, რაგინდ რომ...

— ყვავ-ყორნების ყრანტალი ბავშობიდანვე გულს მიზარებდა... ვატყობ ამ სახიზნო კარავშიც არ მომასვენებენ... თუ აისუნთქეს...

უმისამართოთ წარმოსთქვა ნოშრევანმა.

სოზარს სიხარულით თვალები აუბრიალდა. ნოშრევანის მკვახე სიტყვები ესიამოვნა. დარეჯანის გაშეშებული ხელი რომ დაინახა, კინაღამ შეხტა. თავი ველარ შეიკავა და მუხლებში თავჩარგულმა მოგუდულად ჩაიხითხითა.

ყასბულათმა არ დასთმო. გაკიცხა ნოშრევან უხეში საქციელის გამო და ისიც დააყვედრა, როცა სიცხე გაქვს, მაშინ მუდამ დარეჯანი გაკერია ენაზე, „დარეჯან, წყალი", გაიძახიო.

ყასბულათის საყვედური არც ნოშრევანმა დასტოვა უყურადღებოდ. დაიჯერა მამის ნათქვამი: ალბათ, ვბოდავო, — დაუდასტურა თავს და თავისი საქციელი საქვეყნოდ დატუქსა.

— იქნებ მაკერია კიდეც ენაზე, მაგრამ... აბა, გონიერი, ჭკუათამყოფი ადამიანი რა პასუხს აგებს იმის გამო, რასაც ის სიზმარში ან მალალი სიცხით გაბრუებული რაღაცას წამოროშავს... ხომ მართალს ვამბობ, დარეჯან?

თითონ დარეჯანს მიმართა ნოშრევანმა დასტურისათვის.

დარეჯანმა გალიპულ ქაღალდში შეხვეული ფხვნილები ნოშრევანის სასტუმალთან დადგმულ სამფეხ სკამზე დაჰყარა... ნოშრევანს ცალი თვალით გადახედა... თითქო ნანობს თავის ქედმაღლურ წამოძახილსო.

შეტბორილი თვალები ფაფუკი აბრეშუმის ცხვირსახოცით ამოიწმინდა... მუშკისა და ვარდის წყალის სურნელი უხვად მოეფინა გადმოხვეწილთა კარავში. ცრემლით დაპკურებულმა ცხვირსახოცმა საამო სურნელის გვიფი დააყენა.

ყასბულათს ცხვირის ცემინება აუვარდა. მოიბოდიშა. ალბათ, ნაოფლარზე ქვენამ დამკრაო, — დაუმატა განმარტებისათვის. დარეჯანის ხათრი, თორემ შინაურებში, თუ გინდ სტუმრებთანაც, ყასბულათ ცხვირის დაცემინებას არ ბოდიშობდა... პირიქით... სხვებს უყურებდა, „ღვთის წყალობას" ვინ შემომთავაზებსო.

დღეს დარეჯანმა შესთავაზა „ღვთის წყალობა" და ყასბულათ შაქარნაყინივით დადნა... თავადის ქალის დალოცვამ მხიარულ გუნებაზე დააყენა. ყასბულათს სჯეროდა, რომ დარეჯანის „ღვთის წყალობა" უფრო ჩქარა დააყენებდა ფეხზე ნოშრევანს, ვიდრე ცხაკუნიას ფხვნილი...

„თავადი და აზნაური რასაც შენგან წაიღებს, დაღუპულია... — ფიქრობს ყასბულათ. — ისიც დაღუპულია, რაც შენ [illegible] ბადალი... ათი წლის წინათ დადეშქელიანმა ჩემს [illegible] გამოიარა, ყველული მოეწონა... მიირთვი მეთქი, არ დავაყოვნე. წაიყვანა და ის დღე იყო და ის... ჩემს ოჯახში ქათმის სახსენებელი ამოვარდა.

ათასი სხვა რამ მოაგონდა:

— ფეხი კარგი აქვთ... თუ რამე აქეთ გამოართვი, იმას ხომ არაფერი სჯობია. ერთი ათად იქცევა... ცარიელი სიტყვაც რომ შემოგაწიოს, „აშენდი", „გაიხარეო", უთუოდ კეთილად აგიხდება".

ასე აქვს დაცდილი ყასბულათს. ამიტომ ესიამოვნა დღეს დარეჯანის „ღვთის წყალობა"...

ნოშრევანის საქციელი არ მოეწონა, მაგრამ ავადმყოფს რა უთხრას... ისედაც აღრენილია ნოშრევან, პაწია ბავშვივით ამიზეზებული.

გარდა ამისა, თავისუფალ სვანეთში ყოფნისას რომ ნოშრევანისა და დარეჯანის ცხარე საუბარს შეესწრო ტყეში, ისიც კარგად ახსოვს ყასბულათს... მაშინაც გაუწყრა დარეჯანი ნოშრევანს. გაექცა და სხმარტალით ჩაირბინა დამრეცი...

ყაზბულათ მაშინაც ნოშრევანს ადანაშაულებდა, მაგრამ გულში თვითონაც შვილის მხარეს იდგა. დღეს თავაზიანობის გამო, თორემ... ყასბულათისათვის მზესავით ნათელი იყო თავადაზნაურებსა და შინაყმებს შორის გათხრილი უფსკრული...

ყასბულათ ყოველ დღე თავს დასტრიალებს ამ უფსკრულს... ცდილობს შემოუაროს, მაგრამ შემოუვლის კი?!

თვითონაც ათასჯერ ჩაჰფიქრებია ამ თავსამტვრევ კითხვას. რანაირი ბონდი არ გაუბამს უფსკრულის ნაპირებს შუა... მაგრამ საკმარისი იყო ბონდზე ფეხის შედგმა... წყდებოდა ბონდის მავთული და წლობით ნაკოწიწები ბონდი მიექანებოდა უფსკრულისაკენ.

ესეც თვალწინ დაუდგა ყასბულათს. „ნოშრევან მართალიაო", — გაიფიქრა, მაგრამ თავის გადაწყვეტილებას ბოლომდე ვერ მიჰყვა და ნოშრევანის მაგიერ ბოდიში მოიხადა დარეჯანის წინაშე... „ავადმყოფია, ნუ გეწყინებათ მისი უხეში და უხეირო საქციელიო"...

დარეჯან ახლა სხვა ოცნებას გაეტაცნა და თვალებს არც კი ახამხამებდა: განის კარიდან დამწიფებულ ლომის თაველებს გასცქეროდა... თავდაზნექილ, შეყვითლებულ თაველებს.

ბელურები ჯგროთ ფრთქიალებდენ ლომის თაველებზე. გამალებით კენკავდენ შემწიფებულ მარცვალს და საამოდ ჟღურტულობდენ.

დარეჯან ყურს უგდებდა ბელურების ჟღურტულს, მათ მოუსვენარ ფრთქიალსა და ჭიკჭიკს.

განის კარის ზღურბლზე ვასაკა შემოხტა, მშვენიერი, მწვანე ვასაკა. შემოხტა თუ არა, ორჯერ-სამჯერ ისეთი ცივი ხმით დაიყეფა, ლაყუჩები გამოებარა. ისკუპა და სოზარის ლოგინზე დახტა.

— რა ლამაზია! — წამოიძახა დარეჯანმა.

— ავდარი მოვა! — სთქვა სოზარმა უფროსთაგან გაგონილი.

— რა იცი? — დაინტერესდა დარეჯანი და ვასაკას დასაჭერად წამოდგა.

— ასე იტყვიან... — წამოეხმარა სოზარს ყასბულათ მარგიანი. — დაცდილიც მაქვს. ვასაკა რომ ყაპყაპს დაიწყებს, ავდარი მოახლოებულია.

დარეჯანი თავს წაადგა ვასაკას. ცხვირსახოცი მოიმარჯვა თავზე წახაკრავად, მაგრამ შედგა. საშინელი სისინი შემოესმა. გადაბმული სისინი, შხუილს რომ მოგაგონებდა.

გაცბა დარეჯან. კარისკენ მიიხედა. უცებ შეჰკივლა და უკან დაიხია.

განის კარის ზღურბლზე თავი შემოჰყო მიხაკისფერმა გველმა. წამოიგრაგნა. ერთი წყრთა მაინც აშორდა ზღურბლს და კარავს თვალიერება დაუწყო.

ვასაკა გაქვავდა. გადახტომა ველარ მოახერხა.

სოზარმა ურდულს წამოავლო ხელი და გაექანა, მაგრამ ყასბულათმა შეუძახა: არ მოჰკლაო.

ვასაკა იდგა მონუსხული... თვალის დახაფვას ვერ ახერხებდა. დაგეშილი მცურავი კი პირდაპირ მისკენ მიიწევდა.

— შესჭამს! — სასოწარკვეთით აღმოხთა დარეჯანს.

— მისი ლუკმაა... სულ ერთია, როცა შეჭამს. — გულგრილად სთქვა ყასბულათმა, წამოდგა, ვასაკა ხელში აიყვანა და აქოჩრილ გველს მიუგდო...

შებრუნდა მცურავი. ვასაკას დაედევნა. ორი გადახტომა ძლივს მოასწრო საცოდავმა, წინ დაუხვდა მცურავი. შეავლო თვალი და გაინაბა. როცა დაიმონა, მიუახლოვდა. დააღო პირი და თითქო სულს უბერავსო, თავპირზე მიუალერსა. ნელინელ შეეხო და ვასაკა არც კი განძრეულა, ისე მოექცა მცურავის ხახაში...

დარეჯანს გაჟრჟოლა. ამოიოხრა სოზარმაც.

— აი, ხომ ხედავთ, — მიუთითა ყასბულათმა, — ძლიერმა ჩაყლაპა უსუსური... სილამაზემაც ვერაფერი უშველა ვასაკას... ასეთია ბუნების კანონი...

— ღმერთი?! — მოუფიქრებლად წამოიძახა დარეჯანმა და ისე გაშინაურდა, თითქო სულ გადაავიწყდა წელან ნოშრევანთან შემთხვეულიო.

— ღმერთი დიდია, შვილო, ღმერთი ყველაფერს ხედავს.

— ხედავს და შორიდან იღიმება... — ჩაურთო ნოშრევანმა.

— ვინ იცის... იქნებ იღიმება კიდეც. — დაუდასტურა ყასბულათმა და გამძლარი მცურავი ურდულით ღომის ყანაში გადააგდო.

4.

ის ღამე კოშმარულ სიზმრებში გაატარა დარეჯანმა. სულ შეუთუალი ღამე იყო, ჭარბად თბილი და კუპრივით ბნელი. ჯერ ძილი გაუჯიქდა დარეჯანს. წალულა თუ არა მიხაკისფერი გველი [illegible] წინ, ყალყზე შედგა, აიქოჩრა და სისინით გამოუდგა მომწვანო ვასაკას.

დარეჯანმა თვალი გაახილა. მოლანდება გაჰქრა. ვარსკვლავებს გაეყოლა თვალი (აივანზე ეძინა დარეჯანს). შუაღამე იქნებოდა ანაკლიიდან ნელქარმა წამოუქროლა და აშრიალდენ სასახლის წინ ჩარაზმული ჭანდრები. ბალჩიდან მწიფე კომშის სურნელი მოიტაცა სიომ.

დარეჯანს კვლავ მიელულა. ღრმად ამოსუნთქვა ვერ მოასწრო, რომ ისევ იმ სურათმა გაურბინა თვალწინ. შეშინებულმა უკან დახევა განიზრახა. ძილში ფეხი შეანძრია და გამოეღვიძა.

ახლა, წელანდელზე მეტად შეეშინდა დარეჯანს. თვალებგახელილსაც მოეჩვენა საზიზღარი ქვეწარმი და ტანში გააზანზარა.

ველარ მოისვენა აივანზე, ოთახში შევიდა. ირანული ნოხით დაფარულ ტახტზე გაშალა ლოგინი... ნოხი კედელსაც ფარავდა, ტახტს და იატაკსაც. სადილის შემდეგ აქ უყვარდა მოსვენება სამეგრელოს მთავარს — დავით დადიანს... წამოწვებოდა მხართეძოდ, ოქრომკედით ამოქარგულ მუთაქებს მიეყრდნობოდა. თავქვე გედის ღინღლით დატენილ ყურთბალიშებს ამოიდებდა და შესცქეროდა კედელზე მიკიდ-მოკიდულ იარაღსა და საჭურველს. ზოგს უძველესსა და სახსოვრად შენახულს, ზოგს სადღეისო ტანსაჭურველს. აქ ეკიდა თათარყან დადეშქელიანის ნაჩუქარი ხორასნული ხმალი. გველის თავით თავდებოდა ხმლის ხეტარი. ხეტარი მოოქვრილი იყო ინდური ოქრომკედით, თვალთ ადგილას კი ალუბლის ოდენა ბრილიანტები კიაფობდენ. დავით დადიანს მარჯვენს ერჩია ეს ხმალი. კიდევ მეტი: მისი შეხედვა თათარყანს აგონებდა... მის შვილებს: ოთარსა და ჯანსუღს... მოხარული იყო, რომ სვანეთის სამთავრო ტახტი თათარყანის შტომ ჩაიგდო ხელში დადეშქელიანებიდან. მურზაყანს არ სწყალობდა დავით დადიანი. მას შემდეგ კი რაც მურზაყან შერვაშიძის სიძე გახდა გულიდან მთლიანად ამოიგდო სამეგრელოს მთავარმა. ამ ბოლოს ხმა გავარდა, მურზაყანმა დადიანს საძოვრების გამო ნამესტნიკთან უჩივლაო... ამან სულ გადარია მთავარი... სვანეთის ხსენებასაც ველარ იტანდა. ის ოთახიც კი შეიძულა სადაც თათარყანის ნაჩუქარი ხმალი ეკიდა და უკვე ერთი კვირა გახდება, რაც მთავარს სადილის შემდეგ იქ ალარ მოუსვენია...

სამაგიეროდ, დარეჯანს მიუჩინეს ეს ოთახი მთავრის ოჯახში სტუმრად ყოფნის გამო... რადგან ძალზე ცხელოდა დარეჯან აივანზე არჩევდა დაძინებას. დღეს, შიშის დასაძლევად ოთახში შევიდა. ფანჯრებს შტორები გადასწია... იქნებ ოდნავ მაინც შემოიხედოსო ოთახში სინათლემ... დაწვა და კედელს მიაშტერდა. იარაღებთან სიახლოვით შეეცადა გულის

გამაგრებას... მაგრამ შეხედა თუ არა ხორასნულ ხმალს, რომლის ტარს ბრილიანტები ამკობდა, ისევ ის მიხაკისფერი გველი დაუდგა თვალწინ და ახლა ოთახში ყოფნა უფრო გაუძნელდა დარეჯანს ვინემ აივანზე ყრძნობდა შიშსა და შეწუხებას.

აი, ვითომ დასძლია შიში დარეჯანმა... თვალი [illegible] თითქო ჩაეძინა... მაგრამ ახლა კედლიდან წამოდგა ხორასნული ხმალი... იქცა მიხაკისფერ გველად... აიქოჩრა, დაიგრაგნა და გამოუდგა ვასაკას.

„რა ლამაზი სასა ჰქონია ამ დაწყევლილს — გაუელვა დარეჯანს, — ატმის ყვავილს არ მიუგავს?!. ლაშებზე რა თეთრი არშია უვლის. თვალები მწიფე ქლიავისფერი... კიდევ უფრო ქუფრი, ურცხვი და შეუპოვარი. ასე ვგონია ყოველ შეხედვისას თითო წყვილ ალმასს ისვრისო თვალებიდან“...

დარეჯან სწორედ ამ თვალებს უფრთხოდა... მიტომაც ხშრად ელვიძებოდა. გამოღვიძებულს ძილი დიდხანს აღარ ეკარებოდა. გათენებამდე ასე იწვალა. დაიღალა და როცა ტრედისფრად იტიალა, ღრმა ძილი დაადგა თავს.

ნოშრევანმაც თეთრად გაათენა ის ღამე. დარეჯანის მოსვლას უკავშირებდა უხსენებლის მოყოლას. აღარ იცოდა რა უფრო საზიზღარი იყო ამჟამად მისთვის, ის მიხაკისფერი მცურავი, რომლის მხოლოდ თავკისერი დაინახა ნოშრევანმა, თუ დარეჯანი.

თუმცა დარეჯანმა რა დამიშავა იმისთანა, — გაუელვებდა ხანდახან ნოშრევანს. — არაფერი... მაგრამ მიხაკისფერმა გველმა რაღა დამიშავა? სრულიად არაფერი... არაფერი, დიახ არაფერი ძილს კი მიფრთხობს... ბაშინებს... მე რომ მკითხო გველისთანა ჟშიშარა არც ერთი სულიერი არ დადის ქვეყანაზე... დაგინახავს თუ არა გარბის... ადამიანს მაინც ეზიზღება ის... მისი მუდმივი მტერია. იშვიათად გველი რომ დაინდოს ადამიანმა... სამეგრელოში თუ ნახავთ ასეთებს... გველის გამოლოცვა რომ იციან, აი ისინი არ მტრობენ გველთა მოდგმას... შეულოცავენ და თვინიერს გახდიან. ფუპ, მეზიზღება! მაინც მეზიზღება. ცივი სისხლის პატრონია და... დასწყევლოს წმინდა გივარგიმ...

გათენებამდე მოსვენებას არ აძლევდა ეს ფიქრი. ეძინა თუ ღვიძავდა თვალის წინ ედგა ზღურბლზე შემართული უხსენებელი... ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ისე აზანზარებდა, თითქო ეს არის გააცივაო.

მეორე დღეს მართლაც ადრიანად გააცივა... შუადღისას მაღალი სიცხე მისცა და მთელი დღე ბოდავდა: „გველი, გველიო“.

ხანშესულხი კეთილად ხსნიდენ უხსენებლის სახლში შემოსვლას. რძის დადგმას აპირებდენ, ნოშრევანს რომ არ დაეშალა.

„სიხარული იცის... ოჯახის სიმსუყე და ბარაქაო“ — ამბობდენ წინაპრებიდან გაგონილს და საკუთარი ფანტაზიით შეთხზულს. (წარმართობის დროინდელი თუ იყო ეს ცრუმორწმუნება... გველის სიბრძნის ამბა-

ვიც ალბათ იმ დროიდან მოდის და ჯერაც არავის დაუმტკიცებია, თუ რატომ ითვლება გველი სიბრძნის სიმბოლოთ).

სოზარძა დაარღვია მთლიანობა. დაიჩემა: გველი ... და ყეყეჩი... ათასჯერ ფეხი კინაღამ დავადგი, განძრევა ვერ მოვბეზრდაო...

სასახლეშიც ერთი ალიაქოთი გამოიწვია ამ ამბავმა. პირველად მართა დედოფალს მოახსენეს სვანების კარავში ასეთი ამბავი მოხდაო... დარეჯანიც იქ იყო ამ დროსო.

ფიცხლავ დარეჯანი იხმო მართა დედოფალმა. ნანახი ორჯერ მოაყოლა. ცოტა ხან უკან ისევ თავიდან გაამეორებინა. გულმავიწყობა შეპაროდა ჭაღარამორეულ დედოფალს. თანაც უსაქმობით გულშეწუხებული, უცნაური ამბებით ირთობდა თავს. მოსმენაც უყვარდა და თხრობაც კაზმული იცოდა. სამთავრო საქმეებს კარგა ხანია ჩამოშორებული იყო მართა დედოფალი. მომქმედ დედოფლად ახლა მართას რძალი კატო ითვლებოდა, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული. რძალსა და დედამთილს ამ ნიადაგზე უსიამოვნებაც ჰქონდათ, მაგრამ მთავარი დავით უხასიათო და უნებისყოფო ადამიანი იყო. დედოფალი კატო ჭკვიანი, გამჭრიახი და ძალზე ეშმაკი... მთავარი დედოფლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ეს კიდევ უფრო აღელვებდა მართა დედოფალს.

„მეგრელებს ბედი დაგვიკარგავს, სვანებს მიდგომია კარზე" — წყენით სთქვა მართა დედოფალმა, როცა გველის ამბავი მესამეჯერ მოისმინა... მოხსნა თავი საყვედურებს და, ათვალწუნებული რძალიც კარგა შეამკო...

„გველის საქციელი დასახედავია... უბრალო ამბავი არ გეგონოთო"... — არ ცხრებოდა მართა დედოფალი... მოდავე და სიტყვის შემბრუნებელი არავინ ჰყავდა, მაგრამ საოცარი ოსტატობით ახერხებდა მართა ხანგრძლივი მონოლოგის გამართვას. ფარეშები და კარის მსახურნი დიდის ინტერესით ისმენდენ ყოველთვის დედოფლის სიტყვას... თითო ორ-ორი მოენეც ყოველთვის უსმენდა მართა დედოფალს. რძლისა და მთავრის საწინააღმდეგო თუ რამ წამოცდებოდა ხანდაზმულ დედოფალს უმალ მიარბენინებდენ სასახლეში და დედოფალი კატო გესლიანი კისკისით იკლებდა იქაურობას. დღესაც ბევრი იხარხარა მართა დედოფლის აუგის გაგონებაზე. მოენე სეფე-ქალი, მართას ვითომ ახლო მეგობარი და მოამაგე შუბლზე კოცნით დააჯილდოვა და სახლთუხუცესს უბრძანა, მართა დედოფლის სასტუმრო დარბაზი გაანთავისუფლეთ პარაზიტებით სავსე ხარახურასგან... შეღებეთ და ახალი დგამით მორთეთო. დგამი საფრანგეთიდან გამოიწერა კატო დედოფალმა და ეს იყო მიიღო კიდეც უზარმაზარი ყუთებით.

„სულკატიანი დედაბერი... — გაივლო გულში კატომ დედამთილის მიმართ და დავითის კაბინეტში გავიდა, რათა შვილთანაც დაებეზღებინა კატოს, ათვალწუნებული დედამთილი.

— მისმინე, დავით... — დაიწყო კატომ.

ეზოში ხმაურობა ატყდა. სასახლის მმართველი ნიკო დგებია ტაქანით ამორბოდა კიბეზე. მთავარმა პარმალს მიაშურა, თოფ[illegible] შეეგებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო ჩემო!

— რა იყო მოხუცო... რას იტყვი ახალს?

— ივანე მუხრან-ბატონი გეახლათ, ამალით. ორმოცი ცხენოსანი ახლავს. გვიბრძანე, სად დავაბინაოთ..

— გეზარებოდეს, გეძალებოდესო... ტყვილა როდი უთქვამთ. — ჩაილაპარაკა ოდნავ გასაგონი ხმით მთავარმა და დგებიას მიუბრუნდა: მუხრან-ბატონს აქ შემოუძეხ, სალდათები კი... კინჩხი უტეხიათ. გასწი!

ბუნდოვანი პასუხი წაიღო შეშფოთებულმა დგებიამ... ეზოში მუხრან-ბატონის მხლებელი სალდათები შფოთავდენ: ყურადღებას არ გვაქცევენო.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. თავაძე

ფრთები

რომანი *)

VII

ხრამჰესის სამუშაოთა სამმართველო გზად დაბანაკებული ჯარის შტაბსა ჰგავდა.

არც არაფრით განირჩეოდა იგი სხვა სახლებისაგან, ისეთივე რუხი ქვით იყო ნაშენი, და არც აზრად მოუვიდოდა ვისმეს, რომ ამ ვიწროდ გადატიხრულ საკანებში ორასი ათასი ცხენი მოუთმენლად ხრავდა ლაგამს.

ჯერ მაინც ხომ ეს 200.000 რაში ნახაზებისა და გეგმების მიღმა ისხამს ხორცს, მაგრამ თრიალეთის კალთებსა და ქციის ტრამალებზე დასაბამიდან არავის მოსწრებია ეგზომ რიცხვმრავალი ჯოგი. არც ის უნახავს ვისმეს, ამდენი მერნები ჭოჭიანის ხრამებში კისრისტეხით გადაჭრილიყვნენ და ავსულებით სავსე სკვარამიდან სინათლის დაუშრეტელ წყაროს ეფეთქოს.

მანგლისის სიახლოვეს, მოსახვევში, ზვავი ჩამოწოლილა და მესამე დღეა ტფილისიდან მანქანა არ მოსულა.

თოვლიანი გორებით შემოზღუდული ბარმაქსიზი უდაბნოში ჩარჩენილ აქლემთა ქარავანივით გარინდულა ამ დილით და ამომავალი მზის სხივებს სოფლის ირგვლივ შემოსეული ნისლი ვერ გაურღვევია ჯერ.

და არავითარი ბაიბური, არც ცისა და არც მიწის ხმა, თითქო ნახაზებისა და გეგმების მიღმაც კი არ ემზადებოდეს ელვისებური ნახტომისათვის ორასი ათასი რაში, თითქო ნიკო გოგოლაძის ბრიგადამ რომ განთიადისას გვირაბში დინამიტი ჩააწყო — ეს უბრალო გასართობი იყოს და მხოლოდ ეკლესიის გუმბათის ჯვარზე შესვენებულ ფრინველს ჰქონდეს სრული წარმოდგენა, თუ რა ხდება მთელს ქვეყანაზე.

მოხალისეებმა დავით ტვილდიანისა და ვასო დვალიშვილის მეთაურობით მარხილებში ცხენები გააბეს და გზის გასაწმენდად გაეშურენ.

---

*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 3.

ხიდს რომ გასცილდნენ და ალმართს შეუდგნენ, მწყობრად შემოსძახეს სიმღერა და უდაბნოში ჩარჩენილი ქარავანიც დაიძრა — თითქო — შორეული მთებიდან გადმოიჭრა საიმედო ზარის წკრიალი და გაიხსნა გზა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხომ ვასოს ხმაა, მოწინავე ფრინველივით რომ ეკვეთა სიმაღლეს და ლალი სრბოლით მიილტვის წინ, სულ წინ.

სერგო ნიკურაძეც აქვეა, მის გვერდით, ხმას აყოლებს და გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებს თოვლით დაყურსულს ქედზე თეთრნაბდიან ცხენოსნებივით დაბანაკებულ ნისლს.

დავით ტვილდიანი კი ისე უფარდებს ბანს თავისი ბოხი ხმით, თითქო მალალი კლდიდან ორბი გადმოეშვა და ლამობს შევარდენს წინ გაუსწროსო.

ავიდნენ ზეგანზე და ცხენებმა წელი გაისწორეს, ფეხმარდად გასწიეს ბედანისაკენ.

ნელი ქარი ქრის და ალაგ-ალაგ ნამქერი ვერცხლის ბადესავით ტრიალებს.

უკანა მარხილზე ზის ელექტროტექნიკოსი გივი ასხაბაძე და გამუდმებით ატრიალებს ხელში მათრახს, კაცმა არ იცის, ცხენებს უყივის იგი, თუ მღერის სიხარულით აღტაცებული. თეთრგვრემანი სახე წამოგზნებული აქვს და ცისფერი თვალები ლაჟვარდივით უკაშკაშებს.

მზის მოქათქათე შუქთან ერთად გადმოიღვარა თითქო ამ სპეტაკ სივრცეში სიხარული დაუშრეტელი და შეზარხოშებულივით მიაქროლებენ ბიჭები მარხილებს გადასარკულ ზეგანზე.

სიმღერა შემოსძახეს და არც კი შეუმჩნევიათ, ისე დაეშვნენ დალმართისაკენ, სადაც ზვავი იყო ჩამოწოლილი და ავტოებს გზა გადაჭრილი ჰქონდათ.

ხევს გაღმა, გზის პირად, საბარგო ავტომობილის სიახლოვეს, დაენთო შოფერს ცეცხლი და ახლა, მარხილებს რომ თვალი მოჰკრა, ქუდი მოიხადა და შორიდან მიესალმა ამხანაგებს.

მათ შუა გზა კარგა მანძილზე იყო გაჭედილი ფერდობიდან გადმომსკდარი ხრეშით, ტალახითა და თოვლით.

დავით ტვილდიანმა ხელში ნიჩაბი მოიმარჯვა და ბიჭებს სარდალივით მოავლო თვალი...

გზა უკვე თითქმის გაწმენდილი იყო, შეოფლიანებული ვასო რომ ბარს დაეყრდნო და ირგვლივ მიმოიხედა.

— ბიჭოს, ეს ვინ არის? — უნებლიედ ჩაილაპარაკა და თავის გვერდით მომუშავე კაცს დააცქერდა.

ტყავის ჭურჭში იყო ეს კაცი გახვეული, ტყავისავე ქუდი ეხურა და ხელებზედაც ტყავის თათმანები ეცვა. ნიჩაბს კი ისე საცოდავად აწ-

ვებოდა, ისე უჭირდა მცირეოდენი ხრეშის აწევა, თითქო მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ლოგინიდან ახლა ამდგარაო.

დაკვირვებით შეათვალიერა ვასომ უცნობი და გაუკვირდა, რაკი მის სახეზე ვერავითარი სნეულების ნიშანი ვერ ამოიკითხა. ის კი, ნაფუფუნევი სიჯანსაღის იერი გადაჰკრავდა ამ ქერა კაცსა და მარტ თვალებსაც შემპარავი ლაქუცით ატრიალებდა.

— თქვენ ბარმაქსიზში მობრძანდებით?

ტყავის ქურქიანმა გულგახსნილი ღიმილით შეხედა ვასოს, ნიჩაბს მაშვრალივით დაეყრდნო და დაშაქრული ხმით უპასუხა:

— დიახ, მინდა იქ მოვეწყო. თუმცა ზამთარი კი მკაცრი სცოდნია, მაგრამ ახლა უკვე გაზაფხული იწყება და შევეჩვევი როგორმე.

„ნამდვილი ქონდრის კაცია, — გაივლო გუნებაში ვასომ, — შეუძლებელია ვაჟკაცს ასეთი მომხვრჩვალი ხმა ჰქონდეს“...

გზა რომ გაწმინდეს და ავტომობილი გუგუნით შეუდგა ალმართს, ვასომ დავითს გადაულაპარაკა:

— რა უნდა გააკეთოს მაგან ჩვენთან!

დავითი მყისვე მიხვდა, ვისზედაც ეუბნებოდა, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— ვისზე ლაპარაკობ, კაცო?

— ვისზე და აი იმაზე, შოფერის გვერდით რომ ჩაჯდა. ვერ შეხედე, რას გავდა? სოფლელ ბიჭს რომ პირველად ჩანგალს მისცემენ ხელში და აღარ იცის რა უყოს, სწორედ ისე არ ეჭირა ნიჩაბი!

— ახირებული კაცი ხარ, ვასო! ყველა შენსავით მიწისმთხრელი ხომ არ იქნება. იმ კაცს სხვა რაიმე სპეციალობა ექნება...

ალგეთის ხეობიდან დაძრული ნისლი ცაში აჭრილ ესკადრილიის აჩრდილივით წამოეპარა ბედანის ქედს, ბიჭები რომ კვლავ მარხილებზე დასხდნენ და ყიჟინით გასწიეს ხრამჰესისაკენ.

VIII

მიიწურა ზამთარი და ჩამოდნა თოვლი მახლობელი გორების კალთებზე. მზიანი დღეები დადგა და სუსხიანმა ქარმა ამოაშრო თემშარებზე სქლად შეზელილი შავი ტალახი.

მუშათა საცხოვრებელი ბინებიც უკვე ააგეს და მშენებლებმა თავი დააღწიეს გლეხების კვამლიან სახლებს, თავისუფლად ამოისუნთქეს თეთრად შელესილ ოთახებში.

გვირაბების სათავესთან, ზეგანზე რომ ერთსართულიანი სტანდარტული შენობაა, აქ ცხოვრობს ახლა დავით ტვილდიანი, უკვე ჩამოიყვანა იმერეთიდან თავისი მეუღლე, შეიძინა შინაური ცხოველები და მოეწყო ოჯახურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოეწონა სალომეს ეს მიდამო. ხშირი მარტოობაც გულს ულონებდა, მაგრამ ბედს მაინც არ უჩიოდა, რაკი ქმრის სიახლოვეს, ოლ, ფა ხელს უწყობდა ყოველდღიურ მუშაობაში . ხოლო თუ მის მოგრძო, ჭკნობაშეპარულ შავგვრემან სახეს სევდის იერი არ შორდებოდა და შავად მოელვარე თვალებში ღიმილის დროსაც კი გამოკრთებოდა ხოლმე იდუმალი მწუხარების შუქი, ეს იმიტომ, რომ შვილი არ ჰყავდა და უნებლიედ უკვნესდა დედობას მოწყურებული გული.

დავითი რომ სამუშაოდან დაბრუნდებოდა, მხიარული ღიმილით შეეგებებოდა და ცდილობდა მოეხსნა სახიდან კაეშნიანი რიდე, არ ეგრძნობინებინა მისთვის მარტოობის ჟამს განცდილი უსასოება, მაგრამ განა დავითიც იმავე ნაღველით არ იყო შეპყრობილი, განა სალომეს რომ თავისებური ბავშვური მეამიტობით გაუცინებდა ეს ორმოცდაშვიდი წლის კაცი და ქვემო ბაგეზე ნერვიული თრთოლვა გაჰკრავდა, სალომეს თანაზიარი ტკივილებით არ იყო იგი გამოწვეული?

აი ახლაც, თუმცა გარეთ ჯერ კიდევ სუსხიანი ღამეა, ჭაბუკური სისწრაფით წამოდგა დავითი, შუქი აანთო და სამუშაო ტანისამოსს იცვამს.

რამდენი ხანია მოუთმენლად მოელის დღევანდელ დღეს, როდესაც წყალსრინი გვირაბის გაყვანა უნდა დამთავრდეს. მრავალი წლის გამოცდილებით იცის ძველმა მაღაროელმა: დღეს გაინგრევა მიწის გული და ორი მხრიდან ნაფეთქი სინათლის ნაკადი გაიელვებს ქვესკნელში. გუშინ რომ ქვიან ნიადაგს ყური მიადო და მეორე მხრიდან მომუშავეთა ხმაური ნანატრი მუსიკის ჰანგებივით შემოესმა, უმალვე მიხვდა, რომ მოახლოვდა ახალი გამარჯვების ჟამი. ამიტომ იჩქარის ახლა, ადრევე უნდა ჩავიდეს გვირაბში და ყველაფერი წინასწარ მოამზადოს.

ტანზე რომ ჩაიცვა, მოპარული ნაბიჯით მივიდა კუთხეში და განჯინიდან პური და ყველი გამოიღო, თან ალმაცერად გადახედა სალომეს, ხომ არ გამოვაღვიძეო.

მზრუნველი საყვედურით შემოეფეთა სევდიანი თვალები სალომესი და ოდნავ შეკრთა, თითქო დედამ პატარა ბავშვი ცელქობაში დაიჭირაო.

— მოგკლავს, შე უბედურო, ამდენი დაუსვენებლობა... შუაღამეა ჯერ. საათს მაინც დახედე! — ტკბილი ხმით ეუბნება სალომე, თან ცდილობს გაიღიმოს და ჩამოიხსნას სახიდან კაეშნიანი რიდე, მაგრამ დავითს ახლა, როცა წინასწარ განიცდიდა გვირაბის დამთავრებით გამოწვეულ სიხარულს, არ მოეწონა სიტყვა უბედური, სალომეს მიერ ესოდენი სიღრმით ნათქვამი, ქვემო ბაგე ნერვიული თრთოლვით დაუგრძელდა და თავისდაუნებურად ჩაილაპარაკა:

— მომკლავს, თვარა, ნუ გეშინია, ჩვილი ბაღნები არ დამრჩეს გაუზრდელი...

დაფეთებულივით წამოსწია თავი სალომემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის შეყვითლებულ ფოთლებზე ხომ არ ჩამოგრეულა ცვარი მოკამკამე?

არა, ეს სალომეს ღაწვებია, და დავითი ნანობს ახლა უნებლიედ წამომცდარი სიტყვების გამო. სურს ანუგეშოს, გაუზიაროს მას დღევანდელი გამარჯვების დიდი სიხარული.

დგას გარინდული და ოთახში ჩამოწოლილი მყუდროებაც მასთან ერთად დაეძებს თითქო სიტყვას, რომელიც გამოხატავს ამ დიდ გრძნობას, მცხუნვარე შუქით ააშრობს სალომეს მოგრძო ნიკაპზე ასე საოდავად მოციმციმე კურცხალს. ეს გრძნობა ხომ ვიწრო პიროვნულ ბედნიერებასა თუ უბედურებაზე მაღლა დგას, მისი ფესვები ღრმად არის გადგმული აწმყოსა და მომავალში, იგი იცოცხლებს და იყვავილებს მუდამ, ვიდრე არ ამოიწურება ნოყიერება დედამიწისა... მაგრამ ვერ მოსძებნა დავითმა ამ განცდის გამომხატველი სიტყვა, ვერ მისწვდა მისი მეტყველება უსაზღვროებაში აელვებულ სხივს და ჩვეულებრივი დაყვავებით მიმართა სალომეს:

— რამ შეგაშფოთა, ადამიანო, ქვეყნიერება ხომ ჩვენით არ მთავრდება...

ესეც საკმაო იყო სალომესათვის, ამ უბრალო სიტყვებშიაც შეიცნო მშობლიურად ტკბილი ალერსი, გულში ნაფეთქი ღიმილით გაუბრწყინდა ცრემლიანი თვალები და, სახიდან რომ სევდიანი რიდე შამოიხსნა, თან დააყოლა:

— კარგი, დავით, წადი, არ დაგაგვიანდეს...

დავითმა პური და ყველი ძველ გაზეთში გახვია, ჭურთუკის ფართო ჯიბეში ჩაიდო და მერე უხერხულად გადადგა ნაბიჯი, სალომესთან მივიდა და თავისი ძარღვმაგარი ხელი თავზე გადაუსვა.

— ასე არ ჯობია, შე ქალო... ადამიანი ვარსკვლავებს უნდა ეთამაშებოდეს. მწუხარება უდროოდ აჭკნობს სიცოცხლეს...

და სალომე მთელი გულით გრძნობს, რომ გაზაფხულის მზესავით თბილია და ნაზი ეს კოჟრიანი ხელი, თვალნათლივ ხედავს თითქო იმ ვარსკვლავებს, რომელთაც ადამიანი უნდა შეჰხაროდეს; ამ ვარსკვლავთა შორის იცინის ახლა მისი პატარა ბიჭიკო, ძუძუმონატრებულივით რომ გადმოჰყურებს თვალშეუდგამ სიმაღლიდან, იცინის და ტკბება ნორჩი სიცოცხლით.

და მწუხარების ცრემლი კი არაა ეს, სალომეს ლოყებზე რომ აიკინძა, კოჟრიანი ხელის სითბომ გაალხვო იგი, რათა დილის ცვარნამთან ერთად აორთქლდეს დედის ცრემლები, შეუერთდეს სივრცეში მოფარფატე ნისლს და იფრინოს ვარსკვლავებისაკენ დასაბამიდან დასაბამამდე...

ფრთხილად მიხურა ოთახის კარი დავითმა და მოახლოვებული რიჟრაჟის სუსხი ცივ წყაროსავით შემოეშხეფა სახეზე, ცხოველმყოფელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადივით დაუარა მთელ სხეულში და ამჩატებული ნაბიჯით გასწია სამექანიკო სახელოსნოს ფარდულებისაკენ.

ბექობზე რომ ავიდა, გამსჭვირვალე ბურუსში გახვეულ-თბილისის ქედს მოავლო თვალი და მწვერვალებზე დარჩენილმა თოვლმა ვარსკვლავების სხივთა ანარეკლი შემოაფრქვია. ახედა ცას და მარად უჭკნობი ლიმილით ანთებული ყვავილნარი მოალერსე ციმციმით გადმოადგა თავზე.

ჩაუხვია გვირაბისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე და სალომეს აცრემლებული სახე რომ თვალთაგან მოეშორებინა, ლმობიერი ლიმილით შეუტია, თანაც უნდოდა ეთქვა:

— რა გატირებს, შე საწყალო! ადამიანი ხომ მხეცი არ არის, რომ მარტოოდენ საკუთარი სისხლის ჩქეფას გრძნობდეს. უფრო შორს უნდა გაიხედო, აი იმ ვარსკვლავებს უნდა შეხედოდე, უამრავი ადამიანების გულებს უნდა გაეხმაურო, ისინიც ხომ შენი სისხლისა და ხორცის თანამოზიარენი არიან... რა არის ბედნიერება, თუ არა შრომა და ბრძოლა უფრო დიდი ბედნიერებისათვის? შენი წვლილიც უნდა იყოს იქ. შენი მაჯისცემაც უნდა ჰფეთქდეს მასში...

შეჩვეული ჩხრიალით შემოეგება დავითს ხრამში დაქანებული მდინარე. აი ამ კლდეებზეც უზარმაზარი ცხოველების აჩრდილებივით რომ გადმომდგარან ამ სიბნელეში, თითოეულ ლოდს იცნობს დავითი. რამდენჯერ დაჰკვირვებია ამ რუხ ქვებზე ამოქარგულ საუცხოო ჩუქურთმებს. ახლაც ხედავს თითქო პირველყოფილ ადამიანთა ბუნაგივით შეროხვილ კბოდეს, ჟამთა დენისაგან დაღარულს...

გვირაბში შესავალთან აანთო ფარანი და ბრძოლის ველზე დავიწყებული ხმლებივით აპრიალდა დაცხრილულ წყვდიადში ვაგონეტის რელსები.

კოკისპირული წვიმა რომ მოახლოვდება და აქა-იქ ჩამოცვივა დიდრონი წვერები, ისე შხაპუნებდა გამონგრეულ კლდეში მჟონავი წყალი. თავსა და მხრებზე ეცემოდა დავითს და ეჟღენთებოდა ფილტვები გვირაბში ლამენათევი სინესტით. მაგრამ დიდი ხანია შეეჩვია ის ამ ჰაერს, ოცდა შვიდი წელიწადია მაღაროებში მუშაობს, ამ ჰაერში ეწრთო და გაკაჟდა მისი სხეული. წინათ მარტოოდენ ლუკმა პურისათვის ეწეოდა მძიმე ჯაფას და მუდამ თვალწინ ედგა უმუშევრობის აჩრდილი, სიკვდილის ჩონჩხივით ცივი და საზარელი, ახლა კი საყოველთაო პატივისცემისა და დიდების იერითაა მოსილი მშრომელი ადამიანის გზა, ახლა ყოველდღიურად განიცდის დავითი, თუ როგორ იღვრება მის გულში ამხანაგების თვალთაგან შემონაფრქვევი შუქი. მართალია, ფრიად მგრძნობიარე გულია საჭირო, რომ კაცმა შეამჩნიოს მშენებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ შუქის იდუმალი ელვარება, ხშირად მას მიწასა და მზეს შუა გაფენილი ნისლივით ჰფარავს ადამიანთა არსებაში ჩარჩენილი ძველი ცხოვრების შხამი — შური და სულმოკლეობა, მაგრამ კარგა ხანია განს-

ჭვრიტა დავითმა ეს რიდე, განსჭვრიტა და დაინახა თანამებრძოლთა თვალებიდან გამომკრთალი სხივი, თანაზიარი შემოქმედების სიხარულითა და სიამაყით ანთებული სხივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ახლაც დინჯად და ხელხვავრიელად შეუდგა დავითი მოსამზადებელ მუშაობას, რათა კვლავ გამოჰკვეთოს ახალი საფეხური წარმატებათა მწვერვალისაკენ აღმავალ გზაზე და მოწყურებულივით გახვიოს თავისი გაუტეხელი გული მშენებელთა თვალებიდან შემონაფრქვევ შუქში.

სისხამი დილა იყო, დავითის ბრიგადაში მომუშავეთა პირველი ცვლა რომ ჩავიდა გვირაბში, და მყისვე გაჩაღდა მძაფრი იერიში...

საათის პირველზე დავითმა საკუთარი ხელით ამოავსო დინამიტით შვიდ ადგილას გამობურღული კლდე.

ამასობაში ვასო დვალიშვილის ბრიგადასაც აცნობეს, რათა გვირაბიდან სასწრაფოდ გასულიყვნენ და მოსალოდნელი უბედური შემთხვევისათვის თავი აერიდებინათ. დავითი დარწმუნებული იყო, რომ ამ ლაღუმის ძალა იქითა მხარეზედაც გაატანდა.

როგორც კი მორჩა გამობურღულების დატენვას, ბიჭებს ანიშნა და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდნენ გარეთ, ხოლო ამფეთქებელმა პატრუქს ცეცხლი წაუკიდა.

გვირაბში შესავალთან, გორის ძირას, მზვარეში ჩამოსხდნენ მუშები. სახე მეწისქვილესავით ჰქონდათ მტვრით შემურული და მარტის მზის მცხუნვარე სხივებს სიბნელეში შეჩვეულ თვალებს ვერ უსწორებდნენ.

უკრაინელებმა გაზეთის ქაღალდი გიდელივით დაახვიეს, ბოლო გადაუტეხეს, მახორკით აავსეს, და ათასნაირი რკალებად დაიკლაკნა გამსჭვირვალე ჰაერში ისფერი კვამლი.

მათ წინ, ორიოდე ნაბიჯის მანძილზე, მრავალხმიანად ჩხრიალებდა ტაფობიდან ხრამში შემოჭრილი ქვია, მოწყვეტით ეხეთქებოდა ვეება ლოდებს და შადრევანივით აფრქვევდა ირგვლივ ბროლივით მოკამკამე შხეფებს.

— იგვიანებს აფეთქება, — ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა ათისთავმა, ნიკიტა ზოდენკომ, და ყველამ მას შეხედა. თითქო ეუცხოვათ ამ გამძაფრებულ მოლოდინში ასე რბილად დარხეული ხმა. ხანდაზმულ ნიკიტას რგვალ და სავსე სახეს კი შინაგანი ღიმილის შუქსა ჰფენდა ნაცრისფრად დამტვერულ წარბებს ქვეშ მოელვარე წვრილი, ფირუზისფერი თვალები.

გარინდული იდგა ვაგონეტის გადაფერდებულ როფთან დავითი. მაღალი, ახოვანი, წელში ოდნავ მოხრილიყო და კისერი ისე ჰქონდა წაგრძელებული, თითქო საბედისწერო ნაპრალს მიადგა და გადახტომას აპირებსო. სახეზე შეფრქვეული ქვის ფიფქი არ ჩამოუბერტყია და ულვაშები დაობებული პურის ნატეხებს მიუგავდა. ქუფრი თვალები დაწკურული ჰქონდა და სმენად იყო გადაქცეული.

რა მოუვიდა, პირველად ხომ არ აფეთქებს დავითი კაკივით მაგარ კლდეს? რამდენი ხანია გამობრძმედილი არტილერისტივით შეაჩვია ყური ლალუმების გრიალს, მაგრამ ახლა სულ სხვაა, ახლა ამ ... ვადამდე უნდა დამთავრდეს გვირაბის გაყვანა და გეგმა გადაჭარბებით შესრულდეს. ამიტომ არის ასე გალურსული. გვირაბში რომ ხმები დაირხევა, წინასწარ შეატყობს დავითი — გაატანა მეორე მხარეს თუ არა.

და უცებ — ერთი, ორი, სამი... შვიდჯერ დაახველა ბუნდოვან გამოქვაბულში მომწყვდეულმა მდევმა, უმწეოდ დაილმუილა, აღრიალდა, აზუზუნდა და ამ დახუთულ გრუხუნში დაინთქა მდინარის ჩხრიალი. გადაეშვა ხევში და გაბმული გუგუნით გადაიკარგა შორეულ ხრამებში.

ქუფრი ნისლივით დაიძრა მკერდგანგრეული კლდის სილრმიდან კვამლი და ლანდივით მოსჩანდნენ გვირაბში სწრაფად მიმავალი მუშები, ხოლო დავითი აღარ იჩქარის, უკვე იცის, რომ მისი ვარაუდი გამართლდა და მოზომილი ნაბიჯით მიჰყვება ვაგონეტის ლიანდაგს, მოაგარაკესავით სიამითა და ნებანება უშვებს ფილტვებში კვამლსა და მტვერში გარეულ გრილ ჰაერს, მთის იქითა მხრიდან შემოჭრილს.

ბნელა, მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდება გვირაბის თაღზე მიმაგრებული ნათურა, მღვრიე ტბაში ჩაძირულ სხივდაშრეტილ მთვარესავით.

— განგრეულია, განგრეული! — შემოესმა დავითს მუშების ხმა. ახლა კი გამარჯვებულ მონადირესავით მოწყვეტით გადახტა, რათა ხელი შეახოს მის მიერ გასროლილი ტყვიით განგმირულ მხეცს.

— აა, შე ბებერო, მომასწარი ხომ?

ეს ვასო დვალიშვილი იყო, მეორე მხრიდან გადმოწოლილიყო ჩამოხვავებულ ქვებზე და დავითმა რომ ფარანი მიანათა, მხოლოდ თეთრად ჩარაზმული კბილები და სხივჩამდგარი თვალები დაინახა.

ვასომ დაჭრილივით აითრია წელი, ნანგრევთა შორის მელიის სოროსავით ვიწრო სარკმელში გადმოძვრა, მყისვე ბავშვების სათამაშო რეზინის კაკივით მარდად წამოხტა და დავითს მოეხვია.

რამდენი ხანია დავითისა და ვასოს ბრიგადები თავგამეტებით ებრძვიან ამ კაკივით მაგარ კლდეს, რამდენი დაბრკოლება გადალახეს ამ ზამთარში, რამდენჯერ გახვეულან გამთოშავ გრიგალსა და ქარბუქში, რამდენჯერ უტეხიათ ღამე ამ გამარჯვების მოლოდინში და ახლა დაღლილობის ბრალი ხომ არ არის, დავითი რომ ოდნავ მოეშვა, გულის სილრმიდან ჟრუანტელივით დაძრული გრძნობები ყელში მოაწვა და უძილობისა და მტვერისაგან დაწითლებულ თვალებს ეამა თბილი სინესტე. მაგრამ არა უშავს რა, ამ სიბნელესა და განუჭვრეტელი ნისლივით ამდგარ მტვერში ვერავინ შეამჩნევს დავითს ამ სისუსტეს, ვერავინ დაინახავს მის თვალებში ჩამდგარ სიხარულის ნამს.

— ვითომ რაო, რომ გაამაყდი და ხმას აღარ იღებ? — ხუმრობით ეუბნება ვასო და მაგრად უჭერს ხელს მაჯაზე. — მე ხომ მაინც ხუთი მეტრით გაჯობე!

— რა უყოთ მერე, ეს ქვეყანა იმითაა კარგი, რომ მჯობნის მჯობნი არასოდეს არ დაილევა.

— ჰო, მაგით ინუგეშე ახლა თავი! — დამტკბარი ხმით უპასუხა ვასომ და მერე ამხანაგებს გადასძახა:

— აბა, ბიჭებო, დავსცხოთ ახლა! მეორე ცვლის მოსვლამდე სარკესავით უნდა გავწმინდოთ აქაურობა!

აჭრიალდა, არახრახდა რელსებზე დაცვენილ ქვის ნამსხვრევებზე ვაგონეტის თვლები და მუშებმა რომ ნიჩბებს ხელი დაავლეს და როფის ტვირთვას შეუდგნენ, კიდევ უფრო გასქელდა გვირაბში მტვერი, გაცხელდა ჰაერი და განუჭვრეტელ ნისლში გაეხვივნენ ადამიანები. მაგრამ როგორც კი შეზვინული ვაგონეტი გააგორეს, მყისვე გაჰფანტა მტვერით გაჟღენთილი გარუჯული ჰაერი მიწის გულში თავისუფლად მოძრავმა ნიავმა.

IX

ნაშუადღევს დაღლილი, თავიდან ფეხამდე მტვერში ამოგანგლული დავითი რომ გვირაბიდან გამოვიდა და ბინისაკენ მიდიოდა, ზევიდან ლადი ალანიამ ჩამოირბინა.

ღიმილით შეათვალიერა დავითმა ხტუნვით მომავალი სამუშაოთა მწარმოებელი და ეუცხოა, ასე კოხტად ჩაცმული რომ დაინახა, თან გული ტკბილი სიამით აუჩქროლდა, ვინაიდან ლადისათვის გვირაბის დამთავრება უნდა ეხარებინა.

სამი დღეა ლადი აქ არ იყო, ტფილისში წავიდა ახალი კვარტალის გეგმის შესათანხმებლად. აქამდე ამ საქმეს სხვები აკეთებდნენ, ხან ფოსტით აგზავნიდნენ, და გეგმის დამტკიცებას მუდამ აგვიანდებოდა, ხოლო ამით ბრკოლდებოდა მიზანშეწონილი მუშაობა და ბრიგადებს შორის შეჯიბრების გაშლა. ამასთანავე შემოდგომა და ეს მკაცრი ზამთარი ისე გავიდა, რომ ლადის ნათელა არ უნახავს, ამ ბოლო ხანებში წერილიც იშვიათად მოსდიოდა და ველარ მოითმინა, უსაზომოდ მოსწყურდა მისი ხმის გაგონება, მის ბუდეშურ თვალებში ანთებული ღიმილის შუქის დანახვა.

გვიან ღამით ჩავიდა ტფილისში და მეორე დღეს შუადღემდე სამმართველოში ტრიალებდა, მერე კიდევ სპეციალისტების თათბირი გაიმართა და მხოლოდ საათის ექვსზე განთავისუფლდა. ნაჩქარევად ისადილა რესტორანში და მყისვე ნათელას ბინისაკენ გაეშურა.

სახემოწყენილი, ხნიერი ქალი გამოეგება იქ და გაკვირვებით ახედ-დახედა ამ უცხო ჭაბუკს.

— ნათელა, შვილო, ახლა აეროკლუბშია სამეცადინოო...

ბოდიში მოუხადა და სწრაფად გამობრუნდა.

ქუჩაში გამვლელს გამოჰკითხა კლუბის მისამართი, [illegible] ეტაბონს შეახტა და ბალთან რომ გადმოვიდა, მხოლოდ მაშინ [illegible] — შეიძლება თუ არა მეცადინეობის დროს მისვლა. ბალში შეუხვია ჩაფიქრებულმა და მოსეირნენი ლანდებივით ირეოდნენ მის ირგვლივ. თვალწინ ედგა ნათელას სახე, ქუთაისში უკანასკნელი შეხვედრის დროს სხივანთებული თვალებითა და ლაღი სიცილით რომ დაეშვა ფერდობზე...

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ! ლაღი სავსებით ჩანთქა ყოველდღეურმა მუშაობამ, მეტად ძნელ პირობებში დაწყებულმა მშენებლობამ. მხოლოდ ახლა იშოვნა დრო და ნუ თუ პირისპირ ვერ უნდა ნახოს ის?

ნაბიჯს აუჩქარა, მეორე ხეივნიდან ჭიშკარში გავიდა და... მოულოდნელად შეკრთა, კლუბის შესავალ კარებთან გუშაგმა რომ შეაჩერა. მერე ღიმილი მოერია და შინაურულად განუმარტა გუშაგს:

— მე აქ ერთი ამხანაგი მყავს, ძალზე საჩქარო საქმე მაქვს და აუცილებლად უნდა ვნახო.

— ცოტა ლოდინი მოგიწევთ. ახლა მეცადინეობენ. მეორე სართულში ადით და იქ დაუცადეთ.

მაინც სწრაფად აირბინა ლადიმ ფართო კიბის საფეხურები, დერეფანში გაიარ-გამოიარა და მერე ოდნავად შეაღო დარბაზის კარი, ცალი თვალით ჭურდულად შეიხედა შიგ და ჭარბი სიხარულისაგან გული აუჩქროლდა: ეს ხომ ნათელაა! აგერ მის პირდაპირ, განაპირა სკამზე ზის და გულმოდგინედ უგდებს ყურს ლექტორს, რომელსაც ლადი ვერ ხედავს, თუმცა მისი ხმა კი ესმის ბუნდოვნად.

პროფილს სჭვრეტს მხოლოდ და მარჯვენა თვალის წამწამებს. თმა კიდევ უფრო დაუმოკლებია და ვაჟურ საყელოს ყელი ოდნავ აუმაღლებია. მოლისფერი ხალათი აცვია და ყვითელი ღვედი მხედრულად აქვს შემორტყმული მხრიდან წელამდე.

აი თითქო იგრძნო ლადის მოწყურებული ცქერა, პირი მოაბრუნა და კარს თვალი შეავლო.

„გამხდარა, სახეც ერთობ მკრთალი აქვს — გაივლო გულში ლადიმ. — დაიღლებოდა ამდენი მეცადინეობით“...

არ შეუმჩნევია ნათელას, ლადი რომ ფარულად უთვალთვალებდა, კვლავ ლექტორისაკენ გაიხედა, მერე თავი დახარა, რვეული გაშალა და რაღაცა ჩაიწერა.

ლადი კარს მოშორდა და ფრთხილი ნაბიჯით მიმოდიოდა დერეფანში. აღელვებული იყო და გულნატკენიც. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ნათელას ცქრიალა სახე ოდნავ გაცრეცილა? ჰო, ესეცაა და კიდევ რაღაც ახალი იერი ამოიკითხა ლადიმ მის ჩაფიქრებულ თვალებში, უცხო გრძნო-

ბათა •მსახველი ერრი. იდუმლად დაეშვა თითქო მათ შორის ცივი ფარდა და დაიჩრდილა სიყვარულის თვალით ხილული ქვეყნიერება.

მაგრამ როდესაც დარბაზში სკამები არახუნდა და ბრბოსაკენ ერიამულით გამოდიოდნენ გარეთ, აფართქალდა ლადის გულში ფრთებდაშვებული სიხარული, სახე წამოეგზნო და კარისაკენ გაეშურა.

აგერ ნათელაც გამოჩნდა. შავი ტყავის ჭურთუკი გადაუცვამს ხალათზე და ეს ოდნავ ჩრდილსა ჰფენს მის ქალურობას, მაგრამ მაინც ის არის — მზიური ეშხით მიმზიდველი გოგონა, მამაცი და შეუპოვარი.

— ნათელა!..

შეკრთა და სახე დაუმშვენდა, თვალები აუსხივოსანდა და უნებლივდ წამოცდა:

— დედაჩ, ეს ვინ მოსულა!..

მერე ირგვლივ მიმოიხედა, თითქო ვისილაც ერიდებაო, თავს ძალა დატანა, ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო და მაგრად, ვაჟურად ჩამოერთვა ხელი ლადის.

ჭუჩაში რომ გამოვიდნენ, ლადიმ მკლავში ხელი გამოსდო, ბაღში შეუხვიეს და მხოლოდ ახლა ჰკითხა:

— ავად ხომ არ იყავი, ნათელა?.. რალაც გამხდარი მეჩვენე.

— რატომ? მე ძალიან კარგად ვარ!

— მაშ წერილს რატომ აგვიანებდი?

ნათელამ წარბები შეჭმუხნა და ღიმჩამდგარი თვალებით ახედა ლადის:

— საყვედურობს ყმაწვილი!.. ამდენი ხანი გავიდა და ერთხელაც არ იკადრა ტფილისში ჩამოსვლა!

— ჰოო, მაგიტომ გამებუტე? — უპასუხა ლადიმ და გული სიამით აუთრთოლდა.

— არა, ლადი, გაბუტვა რა შუაშია. ძალზე დავიტვირთე ამ ბოლო დროს. თეორიასა და პრაქტიკასთან ერთად საერთო განათლებაცაა საჭირო. მე რომ ბიბლიოთეკაზე ვარ მიმაგრებული, იქ იმდენი წიგნია, რომ კაცი ას წელიწადს ვერ გადაიკითხავს...

— წიგნებისა და მეცადინეობის მეტი არაფერი გიშლიდა ხელს?

უნებლიედ ჰკითხა ლადიმ და თვითონაც გაუკვირდა — გულის რომელი კუნჭულიდან დაიძრა ეს სიტყვები, ეჭვის შხამით მოწამლული სიტყვები? რამდენი ხანია მოელოდა ამ უსაზღვრო ბედნიერებით აღსავსე წუთს და ახლა რომელი ეშმაკი ამეტყველდა მის ნაცვლად!

— სხვა რა უნდა ყოფილიყო?! — მეამიტად უპასუხა ნათელამ და ზერე უცებ შესდგა, თვალები დაწკურა და მკაცრად შეათვალიერა ღიმშორეული ლადი.

— ვითომ რაო, ბატონო ინჟინერო? როდის შეითვისე ეგ მეშჩანური ჩვეულება?

ლადის სიცილი წასკდა, მაგრად ჩაავლო ნათელას მკლავში ხელი, ოდნავ მისკენ დაიხარა და სწრაფი ნაბიჯით აჰყვნენ აღმართს.

— დამიჯერე, ნათელა, სულ არ გიხდება გაჯავრება... არც ეს ტყაპუჭი გშვენის. კაცს ეგონება, სამოქალაქო ომიდან ახლა დაბრუნდაო...

კვლავ შედგა ნათელა, გამკილავი ღიმილით შეავლო ლადის თვალი და მერე, მათ წინ ნათურის შუქში რომ წყვილი გამოჩნდა, იმათზე მიუთითა.

ძვირფასი ბეწვეულის ქურქში იყო გახვეული შუახნის ქალი და კი არ მოდიოდა, კავალერს დაყრდნობოდა სავსებით. მაღალი ბოტები ეცვა, მაგრამ მაინც ისე უმწეოდ ადგამდა ფეხს, თითქო ეშინია ლაფში არ ჩავარდესო. გრძელ საყურეებს ეჟვანივით მოარხევდა და სახე ვიტრინაში გამოდგმულ მანეკენივით ჰქონდა შეღებილი.

— შენ როგორც გატყობ, ასეთი ქალბატონი უფრო მოგწონს, — სთქვა ნათელამ და იმ ქალს მიბაძა, ლადის მკლავზე დაეკიდა, ბალერინასავით ფეხის თითებზე აღიმართა და მხარზე თავი საცოდავად მიაყრდნო.

ეს პირველად იყო, ასე ახლოს რომ იგრძნო ლადიმ ნათელას სუნთქვა, და მწვავე ბედნიერების ნექტარით აღევსო გული. უნდოდა ერთიბ მრავალმეტყველი სიტყვით გამოეხატა ეს განცდა, მაგრამ ვერ მოახერხა და მიალერსების ნაცვლად უსაყვედურა:

— დიდი ალქაჯი გოგო ხარ შენ, ნათელა! კაცი ვერ გადაურჩება შენს მჭირდავ თვალებს.

შემდეგ დიდხანს მიმოდიოდნენ პროსპექტზე, ტკბილად საუბრობდნენ და თავს ისე გრძნობდნენ, თითქო ქალაქის მრავალხმიანი გუგუნი, ტრამვაისა და ავტოების ხრიალი და გამვლელთა სახეები სადღაც შორს, მიუვალ ხევში დანთქმულიყოს.

ლადიმ უამბო, რამდენი სიძნელე გადალახეს ამ ზამთარში, როგორ იბრძოდნენ გეგმების შესასრულებლად, რამდენი გამოცდილება შეიძინა ახალი მშენებლობის ფრონტზე, ხოლო ნათელა აღფრთოვანებით მოუთხრობდა თავის წარმატებებს. უზიარებდა თავის დიდ სიხარულს, პირველი სასწავლო გაფრენის დროს განცდილს...

და მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა უკანასკნელმა ტრამვაიმ შლეგივით გაიშხუილა ჭუჩაში და თან გაიყოლა მიყუჩებული ქალაქის გუგუნი, შორეული ხევიდან ანაზდად ამოვარდნილი.

ნათელას ბინის კიბესთან შესდგნენ და გამოსამშვიდობებლად რომ ერთმანეთს ხელი გაუწოდეს, ლადის ღაწვებზე ყაყაჩოს ფოთლები გადაეფინა და მოალერსე ღიმილით ანთებულ სახისაკენ გადაიხარა, მაგრამ ნათელამ მყისვე გამოსტაცა ხელი, მბრძანებელივით თითი დაუქნია, ხმამაღლა გადიკასკასა და დამფრთხალი ხოხობივით შეფართქალდა კიბეზე.

X

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოხტა ავტობუსიდან, ტანისამოსი არ გამოუცვლია, სამუშაოთა სამმართველოში შეუვლია, ხელბარგი ამხანაგისგან გამოსცალა და პირდაპირ გვირაბისაკენ გაეშურა. თუ ამ რამდენიმე დღეში არ დამთავრდა ეს საქმე, სამარცხვინო გარღვევა დაიწყება. პირველადაა დანიშნული ლადი ხელმძღვანელად ამ უბანში და ახალგაზრდა ინჟინერის გატაცებული გულმოდგინობაც რომ არ იყოს, განა გუშინ არ მისცა პირობა თამაზ ბედანელს, რომ გვირაბის გაყვანა ვადამდე დამთავრდებაო. ჯერ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობაა ამ უზარმაზარ მშენებლობის ფრონტზე და ახლა რომ ჩაიჭრას, როდის-ღა უნდა აღიდგინოს გატეხილი სახელი.

ჩაუხვია ხრამისაკენ და მშობლიური იერით შემოანათა კლდეებზე დაფენილმა მარტის მზის ანარეკლმა, მოხუცი დედის ჩონგურის ჟღერასავით შემოესმა ნდინარის გაბმული შრიალი. ხომ ასეა: ფრიად შეუყვარდება კაცს ის არე, სადაც ჭაბუკური ოცნების აღმაფრენით, შრომითა და ბრძოლით დაუმკვიდრებია თავისი სიცოცხლის პირველი საფეხური.

აგერ დავითი. მეტის-მეტად დაქანცულა, ხელი წელზე შემოუდგამს და ძლივს მოაბიჯებს.

— როგორაა ბიძია, საქმე?

— არა უშავს რა... უკანასკნელი ლაღუმი ავაფეთქეთ.

— როგორ?! შეერთებულია უკვე?!

— ჰო, — დამტკბარი ღიმილით უპასუხა დავითმა და ქუფრი თვალები აუციმციმდა.

— ვაშა, ბიჭო, დამკვრელებო! — აღმოხდა ლადის და გვირაბისაკენ გაიქცა.

ჩვეული მზრუნველობით შემოეგება სალომე დავითს, სახეც მოიმხიარულა, მაგრამ მაინც წამოცდა:

— რავა დამტვერულხარ შე საწყალო!

— რა უშავს, ბეჩა ქალო, მერე! ასეთი მტვერი მუშა კაცს არ აწყენს... ის რად ღირდა, ჩვენს ლადის რომ გვირაბი დამთავრებული დახვდა და სიხარულით ფრთები გამოესხა. არც ვასოს სჯეროდა, რომ დღეს მოხდებოდა ეს, მარა მე ერთი მესაიდუმლე მყავს, ჩუმად გამოძვრება მიწის გულიდან და თვალით მანიშნებს ყველაფერს... ისეთი ლამაზია... შენ რომ ნახო, მგონი ეჭვიანობაც ქე დამიწყო.

— მეტი რა გითხრა შენ! დაიბანე ხელპირი, სადილი ცივდება.

ამჩატდა, წელში გაიმართა დავითი, მტვერი რომ მოიშორა და სამოსი გამოიცვალა. დიდი ხანია ასეთი გემო არ ჰქონია იმერულად შეზავებულ ლობიოს. სუფთად მილაგებული ოთახის ჰაერიც განცხრომასავით ტკბილი იყო და უშფოთველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამოს ვასომ გამოალვიძა.

— ადე, კაცო! საზეიმო კრება დაიწყება მალე!

— რას ზეიმობთ, ბიჭო!

— კარგი ახლა, თავს ნუ იკატუნებ! მთელი ზამთარი რომ იმ კლდეში ბრძოლას შევალიეთ, ცოტა საქმე იყო ეს?

— ჰოო... ასე თუა, მომაწოდე, სალომე, ჩემი მამაპაპური ტანისამოსი, კაი ხანია, არ ჩამიცვამს.

— რად უნდა ახლა ჩოხა-ახალუხი?! — წარბშერჭმით ჩაილაპარაკა სალომემ, გულში კი გაუხარდა, ვინაიდან ძალიან მოსწონდა, დავითი რომ ღილებს შეისკვნიდა, წელზე ხანჯლიან ქამარს შემოირტყამდა, და ჭაბუკური იერით დამშვენდებოდა.

კარებში რომ გამოდიოდნენ, ხარბად შეათვალიერა უკან ჩამორჩენილმა სალომემ წელში გამოწკეპილი, მაღალი, ბეჭებგანიერი დავითი. კვლავ თავისი უშვილობა მოაგონდა, სახეზე კაეშნის ბინდი გადაეფინა და მწარედ ამოიოხრა.

სუსხიანი ქარი ჰქროდა და შორეულ სილაჟვარდეში ჩაძირული ვარსკვლავები ციებ-ცხელებიანის თვალებივით ცახცახებდნენ.

ქედზე რომ გადადგნენ და სოფელს გადახედეს, მწკრივად ჩარაზმულიყო თემშარაზე ელნათურები და ნისლში გახვეული გემის იალქანივით მოსჩანდა ეკლესიის მაღალი გუმბათი.

იქვე ახლოს, გორის ძირას, ტიალ მინდორზე ისე ნაჭერ-ნაჭერ მოფენილიყო ორსართულიანი სტანდარტული სახლის ფანჯრებიდან გადმოფრქვეული შუქი, თითქო ნოხებზე ხორბალი გაუშლიათო.

ამ სახლის ქვედა სართულში ვიწრო და მოგრძო დარბაზი ასრულებდა ჯერჯერობით კლუბის დანიშნულებას. მიადგნენ დაბალ კარს და კლუბში თავმოყრილმა მუშებმა რომ ჩერქეზულად გამოწყობილი დავითი დაინახეს, ღიმილი მოერიათ, გაიწ-გამოიწიეს და გრძელ სკამზე ადგილი დაუთმეს.

დაიწყო საზეიმო კრება. მოლაპარაკენი სიამაყით იხსენიებდნენ დავითს, ვასოს, ლადისა და ყველა მოწინავესა და დამკვრელს, რომელთაც მრავალი დაბრკოლება გადალახეს და გვირაბის ვადამდე დამთავრება უზრუნველჰყვეს. დონბასელი მაღაროელი — ნიკიტა იზოტოვიც არ დაივიწყეს, მეტი უნარი უნდა გამოვიჩინოთ მისი მუშაობის მეთოდების გადმონერგვისათვისო, ხოლო მშენებლობის ხელმძღვანელს — ამხ. თამაზ ბედანელს მოკლე პატაკი გაუგზავნეს და მჭუხარე ტაშით დასძინეს — გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს — ს ტ ა ლ ი ნ ს ო.

დავითს სიტყვა არ წარმოუთქვამს, საჯაროდ ლაპარაკი არ ეხერხებოდა; სახე ოდნავ შეფაკლოდა და ულვაშებში ეღიმებოდა.

სხვებთან ერთად მისი სახელის ხსენებაზედაც რომ ტაში დაუკრეს, ირგვლივ მიმოიხედა და თითქო თვალი ჰკიდა ჯურღმულებიდან ამომავალ

გზას, შორეულ ზოლად გაფენილს გაზაფხულის მზით ასხივოსნებულ ველზე.

ამხანაგების თვალთა შუქმა აანთო ეს მზე და მიდიან ... ...

ნაც ლომივით ამაყია და ძლიერი, არც ერთი ნაოჭი არ ემჩნევა გაბრწყინვებულ სახეზე და სანდომიანი ღიმილის იერი ჰფარავს ულვაშებში გარეულ ჭალარას.

— ტაში, ბიჭებო, ტაში! რა ყოფილა ეს ჩვენი დავითი! — ხმამაღლა წამოიძახა სახეაგზნებულმა ლადიმ, და დაფდაფივით აეწყო მწკრივში ჩარაზმულთა ხელები.

განკერძოებულად იდგა ახალგაზრდა ინჟინერი ქალი — ტასო ამაღლობელი და ვერც კი წარმოედგინა, თუ ამ მოუწყობელ და ჰაერდახშულ კლუბში ოდესმე საცეკვაოდ გავიდოდა, მაგრამ დავითის თამაში ისე მოეწონა, რომ კარგად არც კი მოუსაზრებია, თუ როგორ შეიჭრა წრეში. შვინდისფერი ბერეტი გაისწორა, შავგვრემანი სახე გაუსხივოსნდა, ხელები ეშხიანად შეათამაშა და...

ცერებზე შესდგა დავითი, მხრებგაშლილი მიეგება ტასოს, მაგრამ როდესაც ქალი მკლავს ქვეშ გაუსხლტა, მთელი არსებით აედევნა, თითქო ამ ქალში განხორციელებულიყოს ის დიდი სიხარული და ბედნიერება, რომელმაც ძველი ცხოვრების მორევში ჩაძირული სიჭაბუკე დაუბრუნა, თითქო შარავანდედივით გარს ეხვევა ამ ქალს ამხანაგების თვალთაგან შემონაფრქვევი შუქი, თანაზიარი აღმაფრენის შუქი... აი პირისპირ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს და დავითი გაბრწყინვებული თვალებით მიიწევს მისკენ... ხოლო როდესაც ტასო შედგა და ტაში დაუკრა, დავითმა ხანჯალი იშიშვლა, ხელმარჯვედ მოიქნია, ქალის სიახლოვეს ჩაასო და ბასრ მახვილს გამალებით შეათამაშა ფეხები.

სალომეც იქვე იდგა, მოზეიმე მშენებელთა წრეში, სახიდან კაეშნის იერი ჩამოეხსნა, თვალებში ახალგაზრდული აღტაცების სხივი ჩასდგომოდა და ტაშს უკრავდა.

XI.

იშვიათად შეივლიდა ასალო გურგენიძე მუშათა სასადილოში. ახლა უკვე საკუთარი ოთახი ჰქონდა სტანდარტულ სახლში და ნავთურაზე იმზადებდა საჭმელს. მაგრამ დღეს მეტად მძიმე სამუშაო შეხვდა, დაიქანცა და ბინაში წასვლა დაეზარა.

გრძელ დარბაზში რამდენიმე მაგიდა იყო ჩამწკრივებული.

ცისფერ მუშამბაზე აქა-იქ მინის სურები იდგა.

და სასადილოს მთელი მორთულობა ის იყო, რომ დახლში, პირმცინარე ნოქარი მუშებს ჩეკს აძლევდა და ოქროს კბილებს აელვარებდა, ხოლო ახალგაზრდა გერმანელ ქალს ქერა სახეზე მოწყენილობა აღბეჭდოდა და მუშამბას ჩვარით ასუფთავებდა.

— ნეტავი არასოდეს არ მიექცევა ყურადღება ამ ჩვენს სასადილოს? — შესჩივლა ასალოს ზეინკალმა სარდიონ წილოსანმა, რომელიც მის

გვერდით იჯდა და სადილს რომ მორჩა, პურის გულს გრძელი თითებით ზელდა. გამხდარი იყო და მაღალი. შავი წვერი მოეშვა და ჩალურჯებული ტუჩები სუსხისაგან დახეთქილი ჰქონდა. — ხომ [illegible] ოდესმე ურტყაძს ცეკა — მუშათა მომარაგება უნდა გაუმჯობესდესო. ესენი კი ამას არ აქცევენ ყურადღებას. არა, საცხა იქნება, კი მოიტეხს კისერს მაი სანებლიძეა, თუ ვილაც ოხერი...

მწარედ ეღიმებოდა ასალოს. სარდიონზე მეტად სტკიოდა გული, სანებლიძის „კერძო ინიციატივას" რომ ჯერ კიდევ გასავალი ჰქონდა აქ.

— კარგი ბიჭი ხარ, სარდიონ, მაგრამ ცოტა წუწუნი კი გიყვარს. მე რომ შემომჩივი, აიღე და დასვი ეს საკითხი სადაც საჭიროა.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ!! დასმულია და გათავებული! ორჯერ არ იყო ჩვენს გაზეთში წერილი? კი ვიცი, სადაც არის ძაღლის თავი დამარხული, მარა...

ირგვლივ მიმოიხედა სარდიონმა და თან გუნებაში გაივლო: ძველი კომკავშირელი ვარ და ამ უპარტიო კაცთან ზედმეტი არაფერი წამომცდესო.

— ჰო, იმას ვამბობდი, — განაგრძო შემდეგ, — ვინც ოჯახურადაა მოწყობილი, რა უჭირს. სურსათი აქ იაფია და შინ დაამზადებს. ჩემისთანა მარტოხელა კაცმა კი რა უნდა ქნას... აი, იმ ახალ მოსულს შეხედე. კაი გაპიწკინებული გოჭი რომ იქნება, იმას არ უგავს ლოყები! მაგას ვასო დვალიშვილი ქონდრისკაცს უძახის, ქონდრისკაცს მაგი კი არა, მე დავემსგავსე აგერ...

დაკვირვებით დააცქერდა ასალო განაპირა მაგიდასთან ჩამომჯდარ კაცს. რამდენჯერ შეხვდა თემშარაზე, მაგრამ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება, რაკი წარბებამდე ჩამოფხატული საყურებიანი ბეწვის ქუდი მოხდილი ჰქონდა.

ლია წაბლისფერი თმა. მარღი თვალები, ბუსავით წამოკაკლული. ოდნავ მოხრილი ცხვირი და... გრძელი ულვაშებიღა აკლია...

ჟრუანტელივით დაუარა მთელ სხეულში ასალოს მეხსიერებაში ბოლმად ჩარჩენილმა მოგონებამ.

მყისვე მიაწება სქელ ტუჩზე ქერა ულვაშები, ეპოლეტებიანი ნაცრისფერი მაზარა ჩააცვა, კაკარდიანი ქუდი დაახურა, ხელში ვერცხლით მოსვადებული მათრახი დააჭერინა და.... ეს ხომ ბოქაული მიქატაძეა, ბათომის მუშების ჯალათი მიქატაძე!.. ერთის წუთით გაჰქრა სინამდვილე, მახლობელი მდინარის შეჩვეულ ჩხრიალივით ესმის მხოლოდ მოსადილეთა გაბმული ხმაური, მაგრამ ეს თითქო ჯადოსნური ფრთების შრიალია, ესოდენი სისწრაფით რომ გადააფრინა შორეულ წარსულში.

ბარცხანა. 1907 წელი. თოვლნარევი თქორი. ხანდახან ფართო ფანტლები გამოერევა და პეპლებივით ერთმანეთს აედევნებიან.

წინა დღით გამოიპარნენ ასალო და მისი ამხანაგი, წითელარაზმელი ირაკლი ინწკირველი გურიიდან, სადაც ყაზახებმა რამდენიმე სოფელი გადასწვეს. ირაკლის დედმამის სახლ-კარიც ჩაიფერფლა [illegible] დანიშნული — მამაცი და შეუპოვარი დარინე ყაზახებს [illegible] ალა და ხმლით მკერდი გაუპეს...

— ბიჭო, ასალო, მოვკვდები, თუ მაგ ჯალათების სისხლი არ დავლიე! არავითარი დისციპლინა არა მწამს ახლა მე. მაინც მკვდარი ვარ... შენ გგონია, გული მაქვს მე! ბინძური ხელებით ამომგლიჯეს, სულში ჩამაფურთხეს და მე თვითონ ვხედავ, როგორ სრესენ ლურსმნიანი ჩექმებით ჩემს გულს...

ტანმორჩილი და თეთრგვრემანი ჭაბუკია ირაკლი. ბავშვივით უბრწყინავდა სახე, მოსირმული ჩაქურა რომ შეიკერა და წელზე ბელყაიში შემოირტყა. გადაჭრილი ბერდენკა ჰქონდა და მკერდზე ორმაგი სავაზნე. ამით იწონებდა თავს ამხანაგებში. არ იცოდა მოწყენა და უყვარდა გურული კრიმანჭული. ახლა კი ხაფანგში ჩავარდნილი ნადირივით ტრიალებს ვიწრო ფიცრულში, ღაწვები გაცრეცია და ნაკვერცხლებივით აელვარებს ცრემლამომშრალ თვალებს... აგერ შემობრუნდა, კუთხეში გარინდულ ასალოს მკაცრად დააცქერდა და თხელი ტუჩები აუთრთოლდა:

— ჩემთვის სულ ერთია, ვინც იქნება. კაი იყო, მაშინ რომ შევჭრილიყავი იმ მხეცებში, მაგრამ თქვენ არ გამიშვით, იარაღი ამხადეთ... ოო, თქვენ ხართ ჩემი ხელით მოსაკლავი, თქვენ! რა გენაღვლებოდათ, მეც იქ მოვეკალი იმ ძაღლებს... სხვა სოფლებსაც გადაწვავენო. დასწვან, დაარბიონ, დასჩეხონ! მაშინაც არ ამოიღებენ ხმას? მაშინაც არ გამოვლენ საბრძოლველად!.. არ გეცოდები, ბიჭო? ქვის გული გაქვს, ბიჭო?.. არა, შენ ნუ წამოხვალ, მე გამიშვი, ვიცი, მე რასაც ვიზამ... მიქატაძე პრისტავი რომ დათარეშობს აქ, იმას დავხვდები, იმაზე ვიყრი ჯავრს... ისე მე კაცად არ ვივარგებ. თუ ძმობა და ამხანაგობა გწამს, მიყავი ეს სიკეთე...

ასალოც ახალგაზრდა იყო მაშინ, ფიცხი და მეგობრისათვის თავდადებული. სოფლებს რომ ცეცხლი წაუკიდეს, მის გულსაც მოედო ეს ალი, მაგრამ ირაკლის მდგომარეობა მაინც სხვა იყო: მას ხომ დარინე მოუკლეს, სიცოცხლეზე უსაყვარლესი დარინე. მაინც ცდილობდა დაემშვიდებინა ამხანაგი, გადაერჩინა აუცილებელი დაღუპვისაგან. ამიტომ მოაშორა იქაურობას.

— გონს მოდი, ირაკლი! მთელი ჩვენი სიცოცხლე ბრძოლაში არ უნდა დავლიოთ. მოვისაზროთ კარგად, ორგანიზაციას დავუკავშირდეთ...

— რათ მინდა ახლა მე ორგანიზაცია! იგენის დადგენილებას ვუყურო მე?.. არა, რა გინდა, ძამია, ჩემთან? რას ამეკიდე! მომშორდი და მე ვიცი ჩემი თავის ამბავი! მომეცი ჩემი რევოლვერი, თვარა რაცხა საშინელს ვიზამ... თავს მოვიკლავ, თავს! — განწირული ადამიანის ხმით წამოიძახა

ირაკლიმ და სახეზე მუშტი დაიშინა. ასალომ რომ ხელები მოხვია და მოეფერა, ირაკლიმ მკერდზე თავი მიაყრდნო და ბავშვივით აქვითინდა...

მერე თითქო დამშვიდდა. ფიცრულში ერთი ძველი ტახტი იდგა და იმაზე დაემხო პირქვე. ორი ღამის უძინარი იყვნენ და ასალოც მიწვა მის გვერდით; ირაკლის ბოხჩიანი რევოლვერი თავქვეშ ამოიდო, ხოლო თავისი ნაგანი ხალათის ქვეშ ჰქონდა ჩამოკიდებული. ყურს უგდებდა ამხანაგის მძიმე სუნთქვას და ლაფაროში წვიმის წვეთების შხაპუნს...

დახუჭა თვალები და ...

მაღლობიდან გადაჰყურებს, სოფელში რომ ჩოხიანი მხედრები დადიან, ოხუნჯობენ და თავის შესაქცევად უპატრონოდ დარჩენილ სახლებს ცეცხლს უკიდებენ... ეს ხომ დარინეა?! გულისპირი სისხლით აქვს შეღებილი და უშველებელი ხმალით მისდევს ყაზახს... „დაჰკა, დაიკო, დაჰკა! არ შეგეშინდეს!“ — ეძახის ასალო, მაგრამ ეს რაა?! ყაზახი გაჰქრა და ახლა ირაკლის დაედევნა დარინე... მონუსხა, ალბათ, იმ მხეცმა, თვალები აუხვია და თავის საქმროს უნდა ჩასცეს მახვილი ზურგში...

შფოთავს ასალო, სურს მიეშველოს განწირულ ირაკლის, მაგრამ ენა სასაზე მიკვრია და ხმა ვერ დაუძრავს... ა-ა-ხ! — წამოიხროტინა და ზეწამოიჭრა.

— ბიჭო, ირაკლი! — აღმოხდა გმინვასავით და ღამის დუმილმაც დაიგმინა თითქო, დაიგმინა და გარს შემოეხვია წყვდიადი უსაშველო, აღსავსე ზარდამცემი საშინელებით...

და უცნაური ფრთების შრიალი შემოესმა თითქო, შურდულივით გადაიჭროლა სახურავზე და აშხაპუნდა ლაფაროში წვიმის წვეთები... გარინდულ ასალოს კი ჰგონია, რომ დარინეს მკერდიდან გადმოსჩქეფს სისხლი, დაკლული ფრინველივით აფათქუნებს ხელებს, მაგრამ არავინ ჰშველის მას... „შენ მაინც სად დაიკარგე, შე საწყალო ირაკლი“! — უხმოდ შეისიტყვა და ტახტზე ხელი მოუსვა. მყისვე გამოერკვა. ასანთს გაჰკრა. ბოხჩიან რევოლვერს ჰკიდა თვალი და ეამა — აქვე ახლოს იქნებაო, გაიფიქრა... მერე წელზე მოივლო ხელი და... გაპარულა! ნაგანი წაუღია!..

დიდხანს იხიტიალა ქუჩებში. განუმეორებელი ნისლივით იდგა ღრუბლებიდან დედამიწამდე ჩამოწოლილი ლეშხი და მხოლოდ აქა-იქ აირის ნათურების შუქში მოსჩანდა ვერცხლის ძეწკვებივით მოციმციმე წვიმა...

ღილა ადრიანად მიაკითხა ნაცნობებს. ვერსად იპოვნა.

თავშესაფარში მიბრუნდა და არც იქ დაუხვდა...

შუადღისას კი რეაქციის სისხლიანი ბრჭყალებით სულშეხუთულ ქალაქში დაირხა ხმები; სადგურის სიახლოვეს ტერორისტებმა ბოქაული მიქატაძე და ერთი ჩაფარი დასჭრესო. სამი კაცი დააპატიმრესო. სამივეს იარაღი აღმოაჩნდა და უთუოდ ჩამოახრჩობენო...

„თავისი მაინც არ დაიშალა“, — გაივლო გუნებაში ასალომ და მოუწონა მეგობარს გმირული საქციელი. ახლა იმას ნანობდა მხოლოდ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან ერთად არ იყო ამ თავგანწირვის ჟამს. მაგრამ ორი ამხანაგი სად იშოვნა? აკი სამი კაცი დააპატიმრესო!..

ქალაქში გასვლა აღარ შეიძლებოდა, შეკრული ბეჭედივით ბანდიტებისა და ჯარისკაცების მიერ.

ჩამონგრეულ ბუხარში ცეცხლი აანთო და სამოსს იშრობდა... და მოჩვენება ხომ არაა, ირაკლიმ რომ კარი შეაღო და დარცხვენილი ღიმილით მიაჩერდა ასალოს... ჟვავში ამოწუმპული ლანდივით დგას და ნაკვერცხლებივით აელვარებს ცრემლამომშრალ თვალებს...

— ირაკლი, ძამია, ცოცხალი ხარ?! — წამოიძახა ასალომ და ამხანაგს მოეხვია.

— ჰო... არ მომკვდარვარ ჯერ... მაპატიე, თუ ძმა ხარ, წუხელის რომ გაგეპარე... ეს რომ არ მექნა, სულ ერთია, თავს მოვიკლავდი...

— კი, მარა აკი სამი კაცი დააპატიმრესო?

— არ ვიცი... აქედან რომ გბევდი, დარინეს სახე მედგა თვალწინ და სად მივყავდი, მეც არ ვიცოდი... ერთი საბარგო ვაგონი იდგა ჩიხში, კარი ღია იყო და დილის მატარებელის მოსვლამდე იქ შევაფარე თავი. მერე ნავთსადგურისაკენ ჩავუყევი... სულ ერთი იყო, ვინც შემხვდებოდა იმათგანი. მხოლოდ უბრალო პოლიციელზე ხომ არ გავისვრიდი ხელს... მთავარ ქუჩაზე. თუ გამელელი თვალში არ მოეწონებოდათ, ჩხრეკდნენ, მარა, მე რატომღაც ხელი არ მახლეს... ვერავის გადავეყარე ისეთს... ისევ სადგურისაკენ გავეშურე. იქ რომ ახმახი ჟანდარმია, იმას მაინც ჩავაძალლებმეთქი. მარა, ალბათ, ილიბალი იყო. ვინც გუნებაში ამოჭრილი მყავდა, სწორედ ის შემხვდა. სადგურის უკან გაჩერდა ეტლი და დეზების ჩხარუნით გადმოხტა მიქატაძე... ორი ტყვია დავახალე, მესამე სტრაჟნიკს მივაყოლე და აუჩქარებლად შევედი მესამე კლასში. დაჭერის არ მეშინოდა, თავი მაინც გადადებული მქონდა. მარა დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და ჩოჩქოლი რომ ატყდა, მეც სხვებთან ერთად გამოვედი გარეთ და ვუყურებდი სეირს.

თხრობა შესწყვიტა, სველი ყაბალახი მოიხადა და ბუხართან ჩამოჯდა. შეაჟრჟოლა, ხელები ცეცხლს მიუფიცხა და თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა ტკბილია, ძამია, სიცოცხლე!.. ეს მაშინ ვიგრძენი, როცა სხვებთან ერთად სადგურს გავშორდი და უკან მოვიხედე: იქ უკვე ცხენოსნებმა ალყა შემოარტყეს. საკუთარმა გულისძგერამ გამომარკვია და მივხვდი, რომ გადავრჩი. ნაბიჯს ავუჩქარე... ეს რომ სადგურში მომსვლოდა, მაშინ რომ ბურანში არ ვყოფილიყავი გახვეული, უსათუოდ შემამჩნევდნენ და დამიჭერდნენ...

სველ სამოსს ორთქლი ასდიოდა და გამსჭვირვალე ბინდი უფერმკრთალებდა ისედაც მჭრთალ სახეს.

შეშრა. პურს მიატეხა და მყისვე ძილი მოერია. მეზობლად ნაცნობ მუშის ცოლს გამოართვა ასალომ ლეიბი და საბანი და [illegible] გაუშალა, მაშინვე ჩაეძინა...

ასალომ თავშესაფარის ახლო-მახლო მიიარ-მოიარა და დარწმუნდა, რომ საფრთხე არ მოელოდათ. მაინც რევოლვერი მზად ჰქონდა და კარისაკენ თვალი ეჭირა.

ვახშმობისას გამოეღვიძა ირაკლის, შეშფოთებულივით წამოიჭრა და ბუხართან ასალოს გვერდით ჩამოჯდა.

— მგონია, შენ მითხარი — სამი კაცი დააპატიმრესო. მართალია ნეტავი?

— მართალი უნდა იყოს, ჩვენ თითონ ვნახოთო, მეუბნებოდენ. ცხენოსნებს მიჰყავდათო სამი ახალგაზრდა. ხელები შეკრული ჰქონდათ და მათრახით უმოწყალოდ სცემდენო.

— ჰო-და, ჩემი საშველი მაინც არ ყოფილა!.. ვატყობ, რომ დარინეს შემდეგ სიცოცხლე აღარ მიწერია!..

— რა მოგივიდა ახლა, ირაკლი?.. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...

— სიკვდილს გააჩნია, ძამია! შეიძლება სიკვდილს ახლა მეც კი ვნატრობდე... ცეცხლზე ნავთი გადაასხესო, რომ იტყვიან, სწორედ ისე მომივიდა. სამხედრო წესებია ახლა და იმ ბიჭებს რომ რამე დაემართოს, რაღად ღირს მაშინ ჩემი სიცოცხლე!

— ავად ხარ, ბიჭო, შენ. წავიდეთ ზემო გურიაში, გაიარ-გამოიარ და დამშვიდდები.

— არავითარი ავადმყოფობა არ მჭირს მე! ხომ შეხედე. დღეს ორი კაცი გავაგორე... აქედან არსად არ წავალ, სანამ დაპატიმრებულების საქმე არ გამოირკვევა. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამოვცხადდები და იმ ხალხს გავათავისუფლებინებ...

ახლაც გულს უშხამავს ასალოს იმ ათი დღის მოგონება. ყოველივე საშუალებით ცდილობდა გადაერჩინა მეგობარი. ორ საიმედო ამხანაგს გაანდო საიდუმლოება და მათი დახმარებით დაარწმუნა, რომ ის ბიჭები იმ დღეს შემთხვევით ჩავარდნილიყვნენ, სხვა დიდი ბრალდებებიც ჰქონდათ წაყენებული და ირაკლი რომ გამოცხადებულიყო და მიქატაძის მკვლელობა თავს ედო, იმათ მაინც ვერ იხსნიდა.

მეათე დღეს გაიგეს: საველე სასამართლოს დადგენილება სისრულეში მოეყვანათ — სამივენი ჩამოეხრჩოთ.

საღამომდე ხმა არ დაუძრავს ირაკლის. ლანდივით მიმოდიოდა ფიცრულში და ხანდახან თავის თავს გაესაუბრებოდა უხმოდ. მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა და ასალოს თვალს არიდებდა...

ვახშმობის დრო რომ მოახლოვდა, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა და ასალოს გაუღიმა.

— შენც დაგტანჯე, ძამია!.. თუ ძმობა გწამს, დამიჯერე, წადი ამხანაგთან და ამელამ იქ მოისვენე! რისი გეშინია, ის ბიჭები ხომ ჩამოახრჩეს და აწი რისთვის უნდა გამოვცხადდე... მეც მარტოდ [illegible] ვარ. ხანდახან რამდენ აბდლურს ეტყვის კაცი თავის თავს და გულს მოიოხებს, სხვასთან კი მოერიდება... რაო? იქნება ბგონია — თავს მოიკლავსო? აჰა, წაიღე ჩემი რევოლვერი, უფრო უდარდელად დაგეძინება... მე, ძამია, თავი მაშინ უნდა მომეკლა, როცა დარინეს გული გაუპეს... მეგონა, შურს ვიძიებდი და დავმშვიდდებოდი, მარა ხომ შეხედე, სამი სახრჩობელა აღიმართა ჩემ წინ. მე ის ერთიც მეყოფოდა და ამ სამს როგორ გავუძლებ... ცოტა არეულად ვლაპარაკობ ხომ?.. არაფერია, გაივლის, ყველაფერი გაივლის... მიწა მუნჯია და ადამიანი მიცვალებულს ადვილად ივიწყებს... მე ხომ გამონაკლისი არა ვარ, რომ დარინეს თვალები არ მშორდება?.. კმარა ახლა! ჰა, გამომართვი რევოლვერი! შენ, ძამია, ჩემი ბუდუაის შვილი ხარ და ამაზე უკეთესი საჩუქარი გეკადრება... რატომ შეკრთი? ნუ გეშინია, არსად არ წავალ, დილას აქ დაგხვდები... ან-კი სად უნდა წავიდე! საწყალი დედის ნახვა კი მენატრება, მარა ახლა იქ მისვლა არ შეიძლება... თუ ვინიცობაა შენ უფრო ადრე შეხვდე, უთხარი — მაპატიოს, ამდენი ტანჯვა რომ მივაყენე. ახ, კიდევ! კაცმა არ იცის, რას ვბოდავ!.. წადი ახლა, ძამია, წადი! შენც მოისვენე და მეც მომასვენე...

სთქვა ეს და ასალოს რევოლვერი ჯიბეში ჩაუდო, თითქმის ძალით გაისტუმრა.

ჩამობნელებულ ეზოში შესდგა ასალო, თავშესაფარისაკენ მიიხედა და მიხურულ კარს დააცქერდა.

„შეიშალა ნამდვილად ეს ბიჭი!.. მარა სად უნდა წავიდეს? იქნება მარტომ უფრო მოისვენოს...“ — გაივლო გუნებაში და მეგობრის ბინისაკენ შეუხვია.

ზამთრის ნესტიან ღამეში გარინდულიყო ზარდაცემული ქალაქი. სისხლიანი მრისხანებით მიმოდიოდნენ ქუჩებში პოლიციელები და ყრუდ ისმოდა ტალღებდამცხრალი ზღვის შორეული გუგუნი...

ვერ მოისვენა ასალომ მეგობრისას. მცირე ხნით ჩასთვლემდა და მყისვე ირაკლის გაწამებული სახე ეზმანებოდა, შფოთავდა, თავის თავს უსაყვედურებდა — ამხანაგი მარტო რატომ დავტოვეო...

მოალწია განთიადმა და უმალვე თავშესაფარისაკენ გაეშურა... შეაღო კარი და... გველნაკბენივით დაიგმინა...

ჭერზე გამოება ირაკლის მარყუჟიანი თოკი. სკამი სკამზე შეედგა, ფეხი ეკრა და მჩვარივით ეკიდა გაგუდული, სახედამანჭული, თვალებწამოკაკლული...

აი, ახლაც სიყრმის მეგობრის საშინელ სახეს შეჰყურებს. ჰგონია, ასალოს და მიქატაძისათვის თვალი ვერ მოუშორებია...

მაგრამ ის ხომ დიდი ხანია სიცოცხლეს გამოასალმა ბუნებამ — ირაკლი ინწკირველმა? თან ეს უფრო ახალგაზრდაა და არც იმდენად ჰგავს, როგორც პირველად მოეჩვენა...

— ...ასე აირია მონასტერი, — დაბალი ხმით ეუბნებოდა სარდიონი. — ქონდრისკაცებისათვის ტაფამწვარიც იშოვება და შემწვარი წიწილიც.

სასადილოში ბაასის თემა იყო ეს. სარდიონიც ამ საგანზე ესაუბრებოდა ახლა ასალოს, მაგრამ ის მეტად მწვავედ განცდილ მოგონებაში იყო დანთქმული და, მიქატაძე რომ გარეთ გავიდა, მთვარეულივით აედევნა.

— უკაცრავად, თქვენმა სახემ ერთი ნაცნობი მომაგონა...

მყისვე შემობრუნდა, ასალოს ცივად ახედ-დახედა, მერე მოკრძალებით გაუღიმა, ღაჟღაჟა ღაწვები შეუფორაჯდა და მეგობრულად ხელი გაუწოდა.

— ძლიერ სასიამოვნოა... მოსე მიქატაძე გახლავართ... თქვენც მეცნობით. ტფილისში მოგკარით თვალი. არჩილ სანებლიძეს ესაუბრებოდით. დიდი ხანია მას შემდეგ...

— ჰმ... ბათომში რომ ბოქაული იყო, მიქატაძე, ის მამა ხომ არ იყო თქვენი?

მყისვე ჩაუქრა მოსეს სახეზე აფარებული ღიმილი, მკაცრმა ელვარებამ გაუელვა წამობერილ თვალებში, მაგრამ უმალვე თავს ძალა დაატანა, კვლავ დარბაისლურად გაუღიმა და სინანულით უპასუხა:

— სამწუხაროდ... მაგრამ მამების ცოდვას რომ გამოვეკიდოთ, ეს დიდებული სოციალიზმი მხოლოდ ტურებსა და მგლებს დარჩებათ. ხა, ხა, ხა... ასე არ არის, მეგობარო?

ლახვარივით მოხვდა გულზე ასალოს ეს ორი სიტყვა — „დიდებული“ და „მეგობარი“, მაგრამ მომლოდინე გამომეტყველება მაინც შეინარჩუნა.

— დიახ, ბატონო... ბოდიში, თქვენი სახელი?.. ჰო, ბატონო ასალო, მამაჩემი ბოქაული იყო, მაგრამ თქვენ უთუოდ მოგეხსენებათ, რომ იმათშიაც იყვნენ პატიოსანი ადამიანები, პროგრესიული მიმართულების მომხრენი. განა სოციალ-დემოკრატი სტაროსელსკი გუბერნატორი არ იყო? მამაჩემიც მოლიბერალო კაცი იყო. რაც შეეძლო, მოძრაობას ხელს უწყობდა... ვიღაც უვიცმა ტერორისტმა მოკლა. ამისათვის ორგანიზაციამ სასტიკად გაკიცხა ის და იძულებული შეიქნა თავი ჩამოეხრჩო...

ბაგეზე იკბინა ასალომ. მიქატაძეს თვალი აარიდა და ძველი ეკლესიის ნანგრევს დააცქერდა. „მართლა მუნჯი ყოფილა მიწა, თუ კი ეს ღორივით ჩასუქებული არამზადა ასე უდიერად გიხსენიებს შენ, უბედურო ირაკლი! სადა ხარ ახლა, რატომ არ ადგები და თვალებში არ მიაფურთხებ ამ გაიძვერას!.. იქნებ შენს მაგიერ მე უნდა მოვიმოქმედო ეს?.. მაგრამ

დამაცადე, გამოვარკვიოთ ჯერ, რისთვის მოსულა აქ, რა „საზოგადოებრივ“ მოღვაწეობას ეწევა?“...

ზიზღით გააფურთხა ასალომ და ცალყბად ახედა მიქატაძეს.

— რა მოგვიდათ, ბატონო ასალო? აქაურმა საქმეებმა გაგაწყინათ?

— ჰო... არა... როგორც ვიცი, მამათქვენის მკვლელობაზე სამი კაცი ჩამოახრჩეს კიდევ?

— არ ვიცი, არ მახსოვს... აკი მოგახსენეთ, მამის ცოდვები შვილს არ მოეთხოვება-მეთქი. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, გიმნაზიაში ვსწავლობდი, სულ სხვა წრეში ვტრიალებდი. მამულიშვილურმა გრძნობებმა გამიტაცა და სოციალ-ფედერალისტების პარტიას მივეკედლე...

— მენშევიკების დროს სანებლიძესთან ხომ არ მუშაობდით მომარაგების დარგში?

— დიახ... ძალიან რთული და უმადური საქმეა ეს, განსაკუთრებით ახლა... ბოდიში, თქვენ პარტიელი ბრძანდებით?.. ჰო, ასე მახსოვდა მეც... დიდი უსიამოვნობა შემხვდა, რამდენიმე წელი გადასახლებულიც ვიყავი, ბაგრამ

ფიზკულტურულ გულმოდგინეობით დაიბანა ხელპირი, ნავთურაზე ჩაისთვის წყალი დაადგა და თავის ვიწრო მაგიდას მიუჯდა.

კომკავშირელთა პოლიტწრის ხელმძღვანელია ლადი [illegible] მორიგი მეცადინეობაა. აი მის წინ ძევს დიადი მასწავლებლის წიგნი — „ლენინიზმის საკითხები". წუხელ შუალამემდე იმეორებდა „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა"-ს და ახლა თვალს ავლებს გადაშლილ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმულ სტრიქონებს.

მიჰყვა გენიალური სიმარტივით შექმნილ დიად აზრთა დენას და მხოლოდ მაშინ დახურა წიგნი, როცა ნავთურაზე ჩაიდნიდან გადმოღვრილი წყალი ათუხთუხდა...

ავტორი სახლის წინ ოდნავ შემწვანებულ მინდორზე იდგა და ლადის გამოსვლას ელოდებოდა.

აპრილის სუსხიანი დილა იყო და თრიალეთის თოვლიანი ქედიდან გადმოვარდნილი ქარი ჯადოსან მთიბავივით ტრიალებდა ტაფობში, სცელავდა მზის სხივებს და უწესრიგოდ ჰფანტავდა ირგვლივ ოქროსფერ ძნებს.

ფრიად გართულდა — ფიქრობდა ავტორი, — თანამედროვე მწერლის შემოქმედებითი მუშაობა. დღითიდღე იცვლება, ახალ საფეხურზე ადის, ვითარდება ჩვენი ქვეყანა და ეს ისეთი სისწრაფით, ისეთი სიღრმითა და ელვარებით ხდება, რომ საკმაოა ორიოდე თვით განშორდე ქალაქს, დაბრუნდები და ნაცნობ ადგილებს ველარ იპოვნი.

ადამიანები?

ბავშვობის ჰასაკში მყოფს შეუძლია მხოლოდ ასეთი სისწრაფით ამ უზარმაზარი ქვეყნის შეთვისება. დიადმა ოქტომბერმა შექმნა ეს ახალი მსოფლიო, ეს ცხოველმყოფელი ცხოვრება და ამ ეპოქის შვილებიც — დიდი და პატარა — ზღაპრულად იზრდებიან. გუშინ რომ უბრალო მუშა იყო, წერა-კითხვაც ხეირიანად არ იცოდა, დღეს სახელოვანი ოსტატია, შრომის გმირია. აი თუნდაც ვასო დვალიშვილი, დავით ტვილდიანი, ნიკო გოგოლაძე...

ჩვენი ლადი?

ქვრიობითა და სილატაკით დაბეჩავებულმა ძაძუმ გამოზარდა ის, სიმწრით ნაშოვარი ლუკმით გამოზარდა, და ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ მისი ობოლი ბიჭის სავალი გზა ნამოჯამაგირალი გლეხის ბედს გასცილდებოდა. ახლა კი წამოისხამს ჯოლმე შვილის მიერ ნაყიდ ძვირფას შალს და ამაყად გაივლის კოლმეურნეებში, რათა სხვებსაც გაუზიაროს თავისი დიდი სიხარული: „ჩემმა ლადიმ, დედა ენაცვალოს მას, წერილი მომწერა, მალე გინახულებო..."

აი ეს სანახებიც, ეს გომურებიდან ამომავალი სოფელიც საიდან საით მიენართება! ძველი ეძანია ეს და იმ ხალხიდან, რომელმაც ეს სახელი შეარქვა მას, ხავსმოდებული ეკლესიების ნანგრევები დარჩა მხოლოდ და გაწამებული ადამიანის გოდება:

„თავს რეხავ, ბოლოს ეძანო,
შუაში ბეშკენაშენო,
თუ მტერმა ასე გვირია,
სახლი როდისღა ვაშენო?!.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰეი, სადა ხარ ამ გოდების ავტორო? შენი კაეშნიანი ხმა კვლავ ისმის ამ სტრიქონებში და მე, შენი სისხლი და ხორცი, აღორძინების ბრწყინვალე ეპოქაში გადაზრდილი, შენთან ერთად გადავჰყურებ სახეშეცვლილ თეზს; თეთრ წყაროს, ოლთისს, ბარეთს, ახალქალაქს, ანდრაფს, მერეკანს, ფარეხას, შუასოფელს, არწივანს, სამეხრეოს, ხევლრმას, ბეჟანოს... და მშობლიურად გეხმაურები:

— შენ გომურის აშენებას ნატრობდი, გამოქვაბულებში მიძვრებოდი, მაგრამ შემოსეული მტერი იქაც არ გასვენებდა... აბა ახლა შეხედე: ხომ ხედავ, როგორის ძლევამოსილებით მოდის სოციალისტური კულტურისა და აღორძინების შემომქმედი ძალა! აი, ამ გოლიათებს, ამ დაუცხრომელ რაინდებს ხომ ხედავ? ზღაპრებში ხომ შენატროდი მათ? ახლა ეს ზღაპარი აღარაა. რაღაც ოთხიოდე წელიწადში ასი ათას ტონა საშენ მასალასა და მოწყობილობას ამოზიდავენ ისინი აქ, ამ ძველ ეძანში, ახალ ქალაქს გააშენებენ, ცხრა კილომეტრის მანძილზე გაარღვევენ გრანიტის ტინს და ქცია რომ ჭოჭიანის ხრამებისაკენ გადაეშვება, მაშინ მოხდება „სასწაული“: ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავები, ადამიანის ხელით სივრცეში დაჭერილი და მაღალ ანძებზე მიმაგრებული, ჩამწკრივდებიან შეუვალ კბოდეებზე, იმ თვალუწვდენელ ხევების პირად, შენ რომ ჭინკები და ავსულები გაშინებდა, მოელვარე ნექტარივით გადაეშვებიან დედაქალაქის ძარღვებში, მოეფინებიან დაბებსა და სოფლებს, აამოძრავებენ უამრავ მანქანას და... მაგრამ შენ კვლავ ძველებურად ჰგოდებ — „სახლი როდის-ღა ვაშენო“-ო და ეს ახალი სინამდვილე უცნაური ზღაპარი ჰგგონია.

ჰო-და თეთრი სახლის წინ იდგა ავტორი და ლადის გამოსვლას ელოდებოდა. თანაც ფიქრობდა: „მოდი და ასეთ აღმავალ ხანაში, როცა ესოდენი „უძვირფასესი კაპიტალი“ გროვდება ყველგან, როცა მზიური ხალისით აღსავსე ადამიანები შეუპოვრად იპყრობენ მიწის გულს, მდინარეებს, ზღვებსა და ცის იერს, — ჩაიკეტე შენს ოთახში, აჰყევი ასოციაციების თამაშს, ან არა და, მოგონებათა ფრთები შეისხი, განვლილი დღეების სუსხით დამზრალი ფრთები, პოეტური შთაგონებით ეძიე ფერადფერადი სახეები, — რა გამოგივა? არაფერი! ცხოვრება ივლის თავის გზით და შენ დარჩები განაპირებული მებადურის მიერ რიყეზე გამოგდებულ თევზივით...

აგერ ლადიც გამოვიდა.

დეე მკითხველი ნუ დამძრახავს, ამ რომანის გმირი რომ სრულებით არა ჰგავს **რ უ ს თ ვ ე ლ ი ს** მიერ ხოტბა შესხმულ მიჯნურს. ის არც „ძოწ-

ულითაა მოსილი", არც „ხმალ-კაპარჭითაა" შეჭურვილი, არც მერანზე ზის და „მზე ველად მიეფინების". უბრალო ბიჭია ლადი, საშუალო ალნაგობისა. მოკლე ქურთუკი აცვია, ნაცრისფერი, სამუშაო ჩექმები — ტყელი და უხეში; მაღალ შუბლზე, შავად გადაშვილდულ წარბებამდე, პილოტის ქუდი აქვს შემოგარსული, ფართო სახე და თხელი ტუჩები, პირწმინდად მოპარსული, კეთილი ღიმილი შვენის ფრიად, ხოლო თუ განრისხდა, უტეხი ნებისყოფით დაწკურავს თაფლისფერ თვალებს და მაშინ იგი აღარ არის თაფლისფერი, ფოლადისფერია უფრო, მკაცრი და ულმობელი.

ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მსუბუქი ნაბიჯით აჰყვა სერს. თამაზის გაბადრული სახე ედგა თვალწინ და იმაზე ფიქრობდა, თუ რას ეტყოდა თამაზი სამუშაოთა მიმდინარეობის შემოწმების შემდეგ.

მრავალი ბრძოლისა და უდიდესი მშენებლობის ფრონტებზე გამობრძმედილი ბოლშევიკია თამაზი და არა სჩვევია ქათინაურების ამაოდ ფანტვა.

ლადისათვის ისიც საკმაოა, წარბებს რომ გახსნის თამაზი და ნათელი ღიმილი შემოეფრქვევა თეთრგვრემან სახეს, თითქო საამო სიომ დაუბერა და ციმციმით გაიტაცა მთვარეზე გადაფენილი თეთრი ნისლიო.

და მაშინ ერთობ მშობლიური და ამამაღლებელი ძალა იფეთქებს ხოლმე ლადის გულში, კეთილი სიამაყით იმსჭვალება და თვალნათლივ ხედავს, რომ ვერავითარი სიძნელე ვერ შეაფერხებს საბჭოთა ქვეყნის საკაცობრიო გამარჯვებას. ის კი არა, თამაზმა რომ უთხრას — აი ამ ხევში გადახტი და სიკვდილს პირისპირს შეებრძოლეო, მყისვე ფრთებს გამოისხამს ლადი, მოწყვეტით გადაეშვება და მაშინაც დარწმუნებული იქნება, რომ იქიდან უვნებელი დაბრუნდება...

გზა კბოდის პირად უხვევდა და ლადიმ თვალი ჰკიდა ვეება ლოდებიან ხრამში დაქანებულ მდინარეს. გუნებაში გაეღიმა და თავის თავს უსაყვედურა: „ფიქრმა მოიტანა, თორემ როდის იყო, თამაზი რომ ვისმეს ასეთ სკვარამში გადახტომას ავალებდა!.." მაინც რა კარგი იქნებოდა, ლადი რომ გამოიგონებდეს მეტად მარტივ და იოლად ასაშენებელ მანქანას... მიუდგამდა ამ გორებს და რამდენიმე თვეში გამობურღავდა გვირაბს როზენბერგამდე... ნათელი ღიმილით შეხვდებოდა მაშინ თამაზი, მაგრა ჩამოართმევდა ხელს და ეტყოდა: „აი, ჩვენი ლადი, ნამდვილი ბოლშევიკი და კარგი ინჟინერი..."

ერთი წამიც არ დაყოვნებია ამ ოცნებას, ჭაბუკის ფიქრთა დენაში მაცდურად შეპარებულს, მაგრამ ლადიმ წარბები შეჭმუხნა და სადღეისო რეალურ ამოცანებს დაუბრუნდა. თან ოდნავ გულიც მოუვიდა — საიდან ამეკვიატა ეს უსაფუძვლო ოცნებაო.

— რამ შეგაშფოთა, ძამია? — მინდოდა შევსიტყვებოდი ჩემს გმირს. — ვის არ გამოუცდია მიუწვდომელი მისწრაფებებით გულსავსე ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდობა! ესეც ხომ ცნობილია: დიდი ადამიანები დიდი მეოცნებენიც იყვნენ მუდამ...

სამექანიკო უბანს მიადგა და თვალი მოავლო ბაბლიოთეკაზე, ღია ცის ქვეშ, ომის ასპარეზზე დარჩენილი ნადავლივით მიმოფანტულ მანქანების ნაწილებს. გული ეტკინა. რამდენი შრომა დაიხარჯა ამ მანქანების ამოზიდვაზე. აქ კი თოვლსა და წვიმაში იჟანგება. აი ეს დიზელი, საფლავის ძეგლივით რომ დაყუდებულა და მთავარი ნაწილები აღარ გააჩნია, თუ უვარგისი იყო, რისთვის ამოათრიეს აქ?..

მიხა ფოფხაძის უშუალო მოვალეობა იყო, ყურადღება მიექცია ამ საქმისათვის, რამდენჯერ მიმართა ლადიმ ამხანაგურად, მაგრამ მიხა ირონიულად გაიღიმებდა ხოლმე და ისეთი გამომეტყველებით შეავლებდა თვალს ეს ჩამრგვალებული კაცი, რომ სიტყვის თქმა აღარ სჭირდებოდა, ისედაც აგრძნობინებდა — სხვის საქმეში ნუ ეჩრები, მე უკეთ მესმის ჩემი მოვალეობაო...

არ მოსწონდა ლადის ეს კაცი. მართალია, პარტიელი იყო, მაგრამ ლადის რატომღაც გული ეუბნებოდა, რომ მიხას არ გააჩნდა კომუნისტური გრძნობები და ის დიდი ადამიანობა, რაც თითოეულ ბოლშევიკს უნდა ახასიათებდეს....

სახელოსნოს კარებიდან მოკრა თვალი ასალომ გვირაბისაკენ მიმავალ ლადის და მყისვე გული გაუნათლდა, ქლიბზე ხელი გაუშეშდა და უნებლიედ მიაძახა:

— ლადი, ლადი, ერთ წამს შემოიარე ჩვენთან!

ფარდულაში მოტორი დამდგარიყო და თვლებზე მოხსნილი ღვედი საქანელასავით ეკიდა. ხელოსნები გულმოსულნი იყვნენ და სდუმდნენ...

— აბა, ერთი მოუსმინე ამათ! — მიმართა ლადის ასალომ. — ლამის ჩაქუჩი თავზე დამამტვრიონ, მოტორი წესიერად რატომ არ მუშაობსო. განა ერთჯერ შევსჩივლე ფოფხაძეს, მოტორი არ ვარგა და გამოცვლა უნდა-მეთქი, მაგრამ...

— მავნებლობაა ეს და მეტი არაფერი! — შეაწყვეტინა ასალოს სერგო ნიკურაძემ, სახე წამოეგზნო და ხელს მოჩხუბარივით იქნევდა. — ამდენი საქმეა გასაკეთებელი, დენიც საკმაოა და ჩვენ კი დღეში ორი საათის მეტი ვერ გვიმუშავნია! იმხელა დანჯღრეული დიზელი რომ ამოათრიეს ტფილისიდან და ეგერ ცის ქვეშ იჟანგება, ამ პატარა მოტორის გამოცვლა აღარ შეიძლებოდა!...

— მუდამ ასეთი ფიცხი რატომ ხარ, სერგო, შენ! — უსაყვედურა ლადიმ, — სიტყვას უნდა დაუკვირდე. რა შუაშია აქ მავნებლობა! ხომ ხედავ, რამდენი დაბრკოლება გვეღობება ამ მოსამზადებელ პერიოდში. ქუთაისი ხომ არ არის აქ, რომ როგორც კი დაგვჭირდება, მაშინვე იშოვნო ყველაფერი? რიონჰესის ფუფუნება უნდა დავივიწყოთ აქ...

— კარგი ერთი, ჭკუის დარიგება არ მჭირდება მე!

ყურს უგდებდა ასალო ახალგაზრდების ცხარე საუბარს და ულვაშებში ეღიმებოდა. კარგად იცოდა, რომ მათი დაუცხრომელი ენერგია ერთს კი არა, ათას მოტორს აამუშავებდა. თან ლადი იყო [illegible] ხმა ესმოდა და... იფრქვეოდა ირგვლივ საოცრად ნაცნობი ღიმილით ანთებული თვალების შუქი... ცალ-ცალკე აქვთ ახლა ბინა და ისე ხშირად ველარ ხვდება ლადის.

დიდი ხანია შეეჩვია ასალო მორტოობას, შეგნებულადაც გაურბოდა ხოლმე მხიარულ საზოგადოებაში ყოფნას, განთვისდებოდა გულდამძიმებული, სქლად გაახვევდა თამბაქოს და გაჰყვებოდა ნაირნაირ ფიქრთა დენას... ხანდახან იმასაც კი წარმოიდგენდა, რომ აღარაფერი პიროვნული არ აკავშირებდა ამ ქვეყანასთან. ცოლი მას არ ჰყავდა და შვილი. ძველი მეგობრებიდანაც აქ არავინ ეგულებოდა. დარჩა მხოლოდ სიყრმისას ზმანებელი დიდი საკაცობრიო მზე, ხან განუჭვრეტელ ღრუბლებში გახვეული და ხანაც მეწამული ნისლით შარავანდედმოსილი. მაგრამ მას შემდეგ, ლადიმ რომ ის ჯადოსნური სურათი უჩვენა, ველარ იტანდა, გაურბოდა მარტოობას. თუ მუშაობაში გართული არ იყო, მუდამ ლადის ხმის გაგონება ენატრებოდა. ხშირად, როცა შეიტყობდა, რომ ლადი მარტო იყო ოთახში, რაიმეს მოიმიზეზებდა, შეაღებდა კარს, ჯერ მოკრძალებული ღიმილით მიესალმებოდა, ხოლო შემდეგ, მაგიდასთან რომ ჩამოჯდებოდა და თამბაქოს გააბოლებდა, თვისდაუნებლიედ თავს ისე წარმოიდგენდა, თითქო მამა უკვე მომწიფებულ და საკუთარ გზაზე დამდგარ შვილს ესაუბრებაო...

ამ დილითაც, ლადის რომ თვალი მოჰკრა, გულის ხმამ უკარნახა და იმიტომ შეიხმო სახელოსნოში...

ლადის ავტომობილის გუგუნი შემოესმა, „თამაზი მოდისო", გაივლო გუნებაში და უმალვე გვირაბისაკენ გაეშურა. ჩაირბინა ფერდობი და გორის ძირას, ფარდულში, კომპრესორისა და ელექტროენერგიისათვის დადგმული ტრაქტორი დაათვალიერა, მერე ახალგაზრდა ელამწყობი სიმონიკა ცერაძე გაიყოლია და გვირაბში ნათურების ანთებას შეუდგნენ.

ტანმორჩილი და ჯმუხი ბიჭი იყო სიმონიკა, უყვარდა ოხუნჯობა და ნაყვავილევ სახეს მუდამ ღიმილი უმშვნებდა, მაგრამ დღეს რატომღაც ხასიათზე არ იყო.

ამ დროს გვირაბის გასასვლელი მხრიდან ხმაურობა შემოესმათ. და რამდენიმე კაცის ლანდი ცახცახით შემოეფინა მკრთალი სინათლის ზოლში.

ლადიმ და სიმონიკამ სწრაფად აანთეს ნათურები და გვირაბში შემოსულთ მიეგებნენ.

აი ეს მუშურად გამოწყობილი ქერა კაცი, ხელში რომ გრძელტარიანი ჩაქუჩი უჭირავს, ცნობილი პროფესორია, გეოლოგი; ეს ბრგე და პირსავსე კაცი ინჟინერია, დინჯი და გულმოდგინე მუშაკი, ხოლო ეს სათვალებიანი უცნობი მოსკოვიდან ჩამოსული სპეციალისტია.

„თამაზი სადღაა?“ — გაიფიქრა ლადიმ, გვირაბის კარებს მიადგა და ირგვლივ მიმოიხედა.

აგერ მდინარის პირად დგას მაღალი, ახოვანი. წყალს დასჭყურებს ჩაფიქრებული. საწვიმარივით თხელი პალტო აცვია მხრებგამლილი. სახე შექცეული აქვს და რა იცის ლადიმ, თუ რას ჰგეგმავს ახლა ეს დიდი მშენებელი. ლადისათვის მხოლოდ ერთია ცხადი: საკმაოა თამაზის შორსმჭვრეტელი გადაწყვეტილება და ეს მდინარე გეზს შეიცვლის, საკმაოა თამაზის უტეხი ნებისყოფა და გაპარტახებულ მიდამოში სოციალისტური ქალაქი გაშენდება, საკმაოა თამაზმა თვალი მოავლოს სიცხის და გვალვისაგან გადარუჯულ ტრამალებს და ის ველი არხების ქსელით დაისერება. ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს უძლეველმა პარტიამ გამოზარდა ის და ახლა წინ მიუძღვის შრომის გმირთა შეუდრეკელ ლაშქარს.

სხვა რა იცის კიდევ ლადიმ? ბევრი არაფერი. თამაზის პირად ცხოვრებას კარგად არც კი იცნობს.

იცის მხოლოდ: ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა ჭაბუკი რაინდი და ბრძოლის ცეცხლით გულანთებული. სასწაული იქნებოდა, რომ ასეთი შეუპოვარი და მაღალი მისწრაფებებით გატაცებული ახალგაზრდა იმ დროს სკოლაში ბოლომდე დაეტოვებინათ...

ხოლო 1919 წელს, როდესაც ოქტომბრის რევოლუციის ბედი ბეწვზე ეკიდა და ლ ე ნ ი ნ მ ა თავისი ს ტ ა ლ ი ნ ი გაგზავნა წითელი პიტერის ირგვლივ შემოსეულ თეთრგვარდიელთა ბანდების შესამუსრავად, თამაზი ახალგაზრდა მეთაურთა რაზმებს მიუძღოდა მოწინავე პოზიციებზე. ამ რაზმებმა გმირული თავგანწირვით შეუტიეს მტერს და მე-7 არმიის სხვა ნაწილებთან ერთად სამუდამოდ უკუაქციეს, დაქსაქსეს და გაანადგურეს სისხლიანი იუდენიჩის ჯარი...

მთელი კაპიტალისტური მსოფლიო, თავით ფეხამდე, შეიარაღებული და გააფთრებული, თავისი ტექნიკითა და მეცნიერებით, თავისი გენერლებითა და მოსყიდული ავაზაკებით თავს ესხმოდა საბჭოთა ქვეყანას, ხოლო შიგნით მგლებივით დაძვრებოდნენ ძველ ბუნაგებში მშრომელთა დაუძინებელი მტრები, გველებივით ასანსალებდენ შხამიან ენას, სწამლავდნენ ჰაერს და უკანასკნელი ძალღონით ცდილობდნენ ზურგში ლახვარი ჩაეცათ შავად მოზღვავებული ურდოების წინაშე პირისპირ მდგარ მუშათა კლასისათვის. მაგრამ მუდამ შეუდრეკელი რაზმები და მათ შორის თამაზიც საგაზაფხულო ჭექა-ქუხილივით გადადიოდნენ ფრონტიდან ფრონტზე, გზადაგზა სახელდახელოდ იხვევდნენ ჭრილობებს, თავიანთი სისხლით რწყავდნენ და ძვლებით ჰკენჭავდნენ მომავლისაკენ ალმავალ გზას, მკერდებში ფოლადის გულებს იდგამდნენ და ერთხელაც არ დაუხრიათ ძირს ახალი ქვეყნის დროშა, ამომავალი მზისფერი დროშა.

თამაზი ინჟინერ გრაფტიოსანთან ერთად ლ ე ნ ი ნ ი ს გეგმის პირველ პირმშოს — ვოლხოვის ჰიდროელსადგურს აშენებდა, სამოქალაქო ომის ასპარეზიდან მშენებლობის ფრონტზე გადავიდა...

მერმე აი ეს ახოვანი კაცი, ახლა რომ ხრამის პირად დგას ჩაფიქრებული და ტაფობიდან შემოჭრილი ნიავი ოდნავ ურხევს საწვიმარივით თხელ პალტოს, საქართველოში წითელი არმიის ნაწილ[illegible]ველი ორგანიზატორთაგანია; მხედართმოძღვარიც არის და [illegible]ც. რევოლუციის ფრონტებიდან და ვოლხოვის მშენებლობიდან დაბრუნდა ის საქართველოში და ახლა რომ ელექტროდენი ტფილისიდან რიონამდე ელმავლებს მიაქროლებს და შორაპანში ფერომარგანეცის ქარხნის ღუმელებს ავარვარებს, იმ ცხოველმყოფელ ნაკადში თამაზის დაუშრეტელი ენერგიაც ელვარებს.

დღეს კი აქ, ამ ძველ ეძანში, ძველი ქართლის მეწინავე სადროშოში, მიმოქრის მისი შემომქმედი ოცნება; მიწაში ღრმად ფესვებგადგმული მუხასავით დგას ქციის ნაპირას უტეხი ძალღონით აღსავსე თამაზი და წინასწარ სჭვრეტს ახალი კულტურის ბრწყინვალე სარბიელს...

ამიტომაა, ლადი რომ ესოდენი სიყვარულით შეჰყურებს ახლა თამაზს და მოუთმენლად მოელის მისი გაბადრული პირის მობრუნებას.

არა, მასწავლებლის ხოტბა და წახალისება არ სჭირდება ლადის, ის უკვე მომწიფებული მშენებელია, მაგრამ მაინც ერთობ საამურია, თამაზი რომ წარბებს გახსნის და თეთრგვრემან სახეს ნათელი ღიმილი მოეფინება.

მართლაც ღრმად ჩაფიქრებული ყოფილა თამაზი: აგერ შემობრუნდა და ლადის თითქო ვერ ამჩნევს, მისკენ გამოემართა და სალამზე თავის დაქნევით უპასუხა; წინ ჩაუარა და შესდგა, მოხიბლულივით გაშეშებულ სიმონიკას ახედ-დახედა, ფიქრთაგან გამოერკვა და ღიმილით შეეკითხა:

— როგორ ხარ სიმონ, ხომ კარგად?

— რა მიშავს, ამხანაგო თამაზ, ქე ვარ კარგად!.. ცოტა ფეხსაცმელმა მიღალატა აგერ, მარა რა უჭირს მერე!..

გაბრწყინვებულ სახეზე ნაყვავილევი აღარ ემჩნეოდა სიმონიკას; ერთობ ბედნიერად გრძნობდა თავს, თამაზმა რომ ასე გულთბილად მოიკითხა და სულ დაავიწყდა თავისი საჩივარი, უკანასკნელ დღეებში გულმოდგინედ გაზეპირებული. ალბათ, ამ გაზეპირების ბრალი იყო, ფეხსაცმელი რომ ახსენა, მაგრამ ხომ მყისვე უკუაგდო იგი და თავმომწონედ გააყოლა თვალი თამაზს, რომელსაც ჩაქუჩიანი პროფესორი შემოეგება.

ლადი უკან მიჰყვებოდა მათ და სპეციალისტების საუბარს ყურს უგდებდა. ხშირად ჩერდებოდნენ ისინი გვირაბში; სიმონიკა ფრთხილად და ფეხაკრეფით გაძვრებოდა ხოლმე მათ შორის და ნათურას გარღვეული კლდის ფენებს მიანათებდა.

პროფესორი მსუბუქად უკაკუნებს ჩაქუჩს ფერად-ფერად ქანებს, თითქო ექიმი ავადმყოფს სინჯავსო, და საოცარი სისწრაფით გამოაქვს დასკვნა — ეს ფენა ამადაამ პერიოდს ეკუთვნისო.

და მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ცვივიან დროისა და სივრცის ბნელ უფსკრულში ათასეული და ასეული საუკუნეები, ციცინათელე-

ბივით გაიელვებენ ვასო დვალიშვილისა და დავით ტვილოდანის ბრიგადები მიერ გარღვეულ კლდეში უზარმაზარი ეპოქებ[illegible]

ლადი სიხარულით ისმენდა პროფესორის დასკვნებს — [illegible] [illegible]ელაც არ მოსვლია აზრად გადაეხედა შორეულ წარსულში. ის კმაყოფილი იყო იმით, რომ ეს ნიადაგი ფრიად ხელსაყრელი აღმოჩნდა ჰიდროელსადგურის მშენებლობისათვის.

გამოვიდნენ წყალსარინ გვირაბიდან და პროფესორმა რუხი გორებით შემორკალულ ვრცელ ტაფობს გადახედა:

— აქ წინათ ტბა იყო, — დაბეჯითებით ამბობს ის, თითქო თავისი თვალით ენახოს ეს ტბა და მასში დაჭერილი კალმახიც ეჭამოს.

— მით უკეთესი ჩვენთვის,! ახალ ტბას რომ დავაყენებთ, წყლის მარაგი აღარ დაგვეკარგება, — სთქვა თამაზმა და ლადიმ სიყვარულით ჰკიდა თვალი. თამაზს რომ წარბები გაეხსნა და ნათელი ღიმილი შემოეფრქვა თეთრგვრემან სახეს, თითქო საამო სიომ დაუბერა და ციმციმით გაიტაცა მთვარეზე გადაფენილი თეთრი ნისლი.

აიარეს ფერდობი და ავტომობილში რომ სხდებოდნენ, შემობრუნდა თამაზი და ლადი მიიხმო:

— აი, რა, ლადი! ჩვენ ახლა ამ უბნებში მუშაობა უნდა შევანელოთ და მთავარი ძალები ტაშბაშში გადავიყვანოთ. დროებითი სადგურია ახლა ჩვენთვის უმთავრესი . შენ ინიშნები იქ სამუშაოთა მწარმოებლად. გვირაბის გაყვანა 810 მეტრის მანძილზე სექტემბრის ოცამდე უნდა დამთავრდეს და აბა შენ იცი!...

დაიძრა ავტომობილი.

ერთ წამს გარინდებული იდგა ლადი, მის სმენამდე არ მიულწევია, სახელოსნოს კარებიდან ასალომ რომ მიაძახა — თუ ბიჭი ხარ, მცირე ხნით შემოიარეო. მერე ანაზდად მოსწყდა ადგილს და გვირაბისაკენ დაეშვა...

უცებ შესდგა: აკი შვებულება უნდა აელო? რამდენი ხანია ეხვეწება დედა — ერთი კვირით მაინც დარჩი ჩემთან ამ მოხუცებულობის დროსო. ნათელა?.. ხომ მისცა პირობა... მაგრამ რა დროს შვებულებაა ახლა! ძაძუ შეიძლება რამდენიმე დღით აქ ამოვიდეს, ვისმეს გამოყვება. ნათელა კი, ნათელა ჩვენია! ვერ ხედავს, რამოდენა დავალება მისცა თამაზმა! ოცი სექტემბერი! რამდენი ლაღუმი უნდა აფეთქდეს მანამდის... არაფერია, ნიკო გოგოლაძისა და ვასო დვალიშვილის ბრიგადებს რა გაუძლებს! იერიშს იერიშზე განავითარებენ... ტემპები, ბიჭებო, ტემპები! — ხმამაღლა შეეხმაურა მათ და გზა განაგრძო.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჩავლეიშვილი

ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური შეხედულებანი

თუ ესთეტიკად, როგორც მეცნიერულ დისციპლინად, ვიგულისხმებთ მოძღვრებას მარტოოდენ სილამაზესა და მშვენიერებაზე, მაშინ ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებათა ირგვლივ მსჯელობა შეუძლებელი იქნება, რადგან მთელ თავის თეორიული შინაარსის წერილებში ილია არ ლაპარაკობს მშვენიერების, როგორც შემოქმედებითი კატეგორიის შესახებ. ამიტომ ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებათა დალაგების დროს ჩვენ გამოვდივართ ესთეტიკის იმგვარი გაგებიდან, რომ იგი არის არა მარტო მოძღვრება მშვენიერების შესახებ, არამედ მხატვრული შემოქმედების თეორიაც. მართალია, კვლევაძიების ობიექტის გაგების თვალსაზრისით, ესთეტიკამ ისტორიულად მრავალი ცვლილება განიცადა, მაგრამ მარქსისტულ-ლენინური გაგებით მისი ნამდვილი ამოცანა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ იგი არის ხელოვნებისა და საერთოდ მხატვრული შემოქმედების ფილოსოფია. ესთეტიკის ამგვარი გაგების შემდეგ ილიას ესთეტიკურ შეხედულებათა გამოკვლევის ობიექტად იქცევა ყველა ის მოსაზრება, რომელიც მას გამოუთქვამს საერთოდ ხელოვნებისა და მისი დარგების შესახებ, როგორიც არის პოეზია, მხატვრობა, სკულპტურა, მუსიკა და სხვა.

დიდ ისტორიულ პიროვნებათა მოღვაწეობის შეფასების დროს მარქსიზმ-ლენინიზმი არ ხელმძღვანელობს იმ სუბიექტური მოსაზრებით, თუ როგორი წარმოდგენისა იყვნენ ეს პიროვნებები თავიანთი თავის შესახებ. მთავარია არა ის, თუ „რას ფიქრობენ თვით ისინი თავიანთ თავზე", არამედ მათი საქმიანობის გამოყვანა და ახსნა იმ კონფლიქტით, რომელიც მათ დროს არსებობდა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ისტორიულია, რადგან ურთიერთობა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის

ისტორიულ-კონკრეტულია. ამასთან კვლევაძიების ამგვარი მეთოდი დიალექტიკურია; იგი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენებს იმ წინააღმდეგობას, რომელმაც განსაზღვრა ... ფაქტის წარმოშობა, ისე მისი განვითარება და მოსპობა. ამასთანავე ეს მეთოდი ფაქტის მოსპობას არ უყურებს როგორც მექანიკურ ნეგაციას, არამედ მასში ეძებს იმ დადებით მხარეებს, რომლებსაც განვითარების აღმავალი ხაზი შემოინახავს. კლასიკური მემკვიდრეობის საკითხიც ამ მხრივ განიხილება. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები აშენებენ სოციალიზმს და წარსულის ცოდნა მას სჭირდება. ამიტომ მიუთითებდა ლენინი წარსულის შესწავლის საჭიროებაზე: „კომუნისტი შეიძლება გახდე მხოლოდ მაშინ, თუ გონებას გაამდიდრებ ცოდნის იმ სიმდიდრით, რაც გამოიმუშავა კაცობრიობამ". წარსულის ცოდნით გონების გამდიდრება ლენინს ესმოდა არა როგორც ამ წარსულისადმი პასიური დამოკიდებულება, არამედ როგორც რევოლუციურ კრიტიკული დაძლევა და ათვისება, კრიტიკული შერჩევის კრიტერიუმს კი წარმოადგენს თანამედროვე სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა: ის რასაც წარსულიდან კრიტიკულად გამოვყოფთ არის სოციალიზმის აშენების უძლიერესი საშუალება. წარსულიდან დადებითი მომენტების კრიტიკული გამოყოფა აუცილებლად გულისხმობს იმ შემცდარ შეხედულებათა უარყოფას, რომლებიც, ერთის მხრივ, მჟღავნდება წარსულისადმი ბრმა, ოპორტუნისტულ დამოკიდებულებაში, ხოლო მეორე მხრივ — ნიღილისტურ — მექანისტურ უარყოფაში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც განადგურებულ იქნა ლიტერატურის კლასიკოსებისადმი „მემარცხენე"-ვულგარიზატორული დამოკიდებულება. მათი აზრით, თანამედროვე საბჭოთა მწერალი ვერაფერს ვერ ისწავლის კლასიკოსებისაგან, გარდა იმისა, რომ ისინი არიან იმის მაგალითის მაჩვენებელი, თუ საერთოდ როგორ უნდა უყვარდეს მწერალს თავისი კლასი. საბჭოთა მწერალი შეხედავს კლასიკოსს და მის მაგალითზე ისწავლის პროლეტარული კლასის სიყვარულსაო. ამ დებულებას ასაბუთებდნენ კლასიკოსის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე მითითებით: კლასიკოსი მწერალი ჩვენთვის პოლიტიკურად მიუღებელია, ასეთივეა მისი შემოქმედება, როგორც მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით განსაზღვრული მოვლენა. კლასიკოსების ამგვარმა გაგებამ საქართველოს სინამდვილეშიაც ჰპოვა თავისი გამოხატულება. იბრძოდნენ რა „კლასიკოსებისათვის" ვულგარული, ნიღილისტური პოზიციებიდან, უარჰყოფდნენ ი. ჭავჭავაძისა, გ. ორბელიანისა და სხვა ქართველ კლასიკოსებისაგან სწავლების საკითხს. ისინი პირდაპირ აყენებდნენ საკითხს და ამბობდენ, რომ როგორც მწერალი ი. ჭავჭავაძე რეაქციონერი იყო და ამიტომ, ცხადია, მისგან რაიმეს სწავლება შეუძლებელია; მემამულე და მებატონე ილია ჭავჭავაძესთან საერთო რა აქვს პრო-

ლეტარულ მწერლობასო. როგორც ხედავთ, აქ აბსოლუტურად უარყოფილია ის პროგრესიული როლი, რომელიც ი. ჭავჭავაძემ თავის დროზე შეასრულა. ა/კ-ის ბოლშევიკთა საუკეთესო ხელმძღვანელი ამბ. ... კი გარკვევით ამბობს, რომ ი. ჭავჭავაძე იყო „ფეოდალურ-პროგრესიული მიმართულების მწერალი", რაც იმას ნიშნავს, რომ ილია თავისი მოქმედების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ქვეყნის ზეაღმავალი განვითარების სასარგებლო საქმეს აკეთებდა. ამბ. ლ. ბ ე რ ი ა მ ა მ ი თ გ ა მ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ე ლ ი მ ა ხ ვ ი ლ ი ჩ ა ს ც ა ვ უ ლ გ ა რ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ს დ ა გ ვ ი ჩ ვ ე ნ ა კ ლ ა ს ი კ უ რ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს ლ ე ნ ი ნ უ რ ი შ ე ფ ა ს ე ბ ი ს ბ რ ძ ნ უ ლ ი მ ა გ ა ლ ი თ ი. მართალია, მწერლის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესწავლა, გამომჟღავნება და ლენინურად გაკრიტიკება აუცილებელია მისი მემკვიდრეობის პროლეტარული ათვისებისათვის, მაგრამ მემკვიდრეობის საკითხი მარტო ამ ოპერაციის შესრულებით არ ამოიწურება. ლ ე ნ ი ნ მ ა გენიალურად დაამტკიცა ის დებულება, რომ შეიძლება მწერლის მსოფლმხედველობა ჩვენთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ მისი მხატვრული შემოქმედება პროგრესიულ საქმეს აკეთებდეს. ლ. ტ ო ლ ს ტ ო ი რელიგიას ქადაგებდა და ქვეყნის გარდაქმნა სახარებით უნდოდა, მაგრამ მისმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა ნიღაბი ჩამოხადეს კაპიტალიზმის საზიზღროებას და გვიჩვენეს რევოლუციის არსებითი მხარეები. ი. ჭავჭავაძეს ლუარსაბ თათქარიძის გაკეთილშობილება ჰსურდა, მაგრამ „კაცია ადამიანით" მისი დაღუპვა დააჩქარა. ასეთი იყო ზოგიერთი სხვა კლასიკოსის შემოქმედების სოციალური ფუნქცია და ვისაც სურს მხარი აუქციოს ამ გარემოებას, მას საერთო არაფერი აქვს მარქსიზმ-ლენინიზმთან.

ჩვენც ამ მხრივ მივუდგებით ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებათა ანალიზს და მისი კრიტიკული დაძლევის საფუძველზე ვეცდებით ცხადვყოთ ის დადებითი და პროგრესიული მხარეები, რომლებიც ახასიათებენ არა მარტო ილიას მხატვრულ შემოქმედებას, არამედ მის ესთეტიკურ კონცეპციასაც.

1. ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა დ ა პ ო ე ტ ი.

ი. ჭავჭავაძის თეორიული წერილები ხელოვნების შესახებ, როგორც შესწავლის ობიექტი, ხასიათდება მრავალი განსაზღვრულობით, რომელთა არსებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მისი გაშლა შემოქმედებით ფაქტებში. ამ რთულ შეხედულებათა დაყვანა მარტივ კატეგორიებამდე უნდა დავიწყოთ ხელოვნების ფუნქციონალური დანიშნულების თეორიული გაგების ანალიზით. ეს საკითხი შედარებით ზოგადია, რომლის კონკრეტული განსაზღვრულობა მხატვრული, მხატვრული ფაქტების ანალიზის დროს, რადგან ფუნქციონალობის კონკრეტული გამოვლენა

მხოლოდ ამ გზით ხდება. ხელოვნების უტილიტარული ფუნქციის აღიარება ჯერ კიდევ არ მიგვითითებს იმაზე, თუ როგორია მისი პრაქტიკული რეალიზაცია. ხელოვნების მეთოდოლოგი შეიძლება აღიარებდეს ხელოვნების უტილიტარული დანიშნულების თეორიას, მაგრამ აქ მჭედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოება: როგორია ამ დანიშნულების კლასობრივი მიზანდასახულება. მაგალითად, თუ ვიტყვით: ხელოვნება ცხოვრების გასაუმჯობესებელი საშუალებაა, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის გაკეთილშობილებას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის პოზიტიურ გადაწყვეტას, რადგან საკითხავია: ვისი ცხოვრების? საერთოდ ცხოვრების თუ რომელიმე კლასის ცხოვრების? ადამიანთა გაკეთილშობილებას რა მიმართულებით, რომელი გზით და საშუალებებით მოელით. ისმის საკითხი ესთეტიკურ ფაქტებში უტილიტარობის კლასობრივი გაადგილების შესახებ. ეს საკითხი მაშინ მით უფრო რთულდება, თუ ხელოვნების თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ერთი და იგივე პიროვნებაა. ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის მწერალი თითონ ადგენს შემოქმედების ნორმებს. წესებსა და პრინციპებს, მაგრამ ხშირად თითონ ვერ ატარებს მათ შემოქმედებაში, ე. ი. განსაზღვრულ ესთეტიკურ პრინციპზე აგებული შემოქმედებითი პროდუქცია მომხმარებელში არ იწვევს იმ აღქმითს რეაქციას, რომელიც განსაზღვრული ჰქონდა შემომქმედს, ე. ი. პოეტი თეორეტიკოსი და პოეტი პრაქტიკოსი „კონფლიქტში" ვარდება. რით უნდა ავხსნათ ეს გარემოება? შემოქმედების აქტის ანალიზით რომ მწერალმა ვერ შესძლო თეორიული კონცეპციის პრაქტიკულად განხორციელება და გამოუვიდა სხვა, ვიდრე ჰქონდა, თუ აღქმის აქტის ანალიზით რომ მკითხველი მწერალს ხვდება გარკვეული ფსიქო-იდეოლოგიური მარაგით, რომელიც არ ღებულობს მისთვის უცხო შემოქმედებას?

როგორც არ უნდა ავხსნათ ეს, ყოველ შემთხვევაში ხელოვნების ფუნქციონალური დანიშნულების გაგება მარტივია და რამდენადაც მისი შემოქმედებითი რეალიზაციის სფეროში შევდივართ, იმდენად მდგომარეობა რთულდება. პირველის ცოდნა გზას გაგვიხსნის უცნობისაკენ, რომელიც ერთად-ერთი დიალექტიკური გზაა მოვლენის ჭეშმარიტი შემეცნებისათვის.

ილია ჭავჭავაძისათვის ხელოვნება წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ თავისი იდეური მიზანდასახულების განამდვილების უძლიერეს საშუალებას. მთავარი იყო ის სოციალური საქმე, რომლის სამსახურში ჩააყენა მან ხელოვნება და საერთოდ თავისი მხატვრული სიტყვა. საქმის შინაარსის გარკვევა კი წარმოადგენს ისტორიული პიროვნების ამა თუ იმ ჯგუფისათვის მიკუთვნების კრიტერიუმს. თითონ ილ. ჭავჭავაძე იტყოდა ხოლმე, რომ საზოგადოებრივ სარბიელზე მომქმედ კაცს „სახელი ერქმევა იმის და მიხედვით, თუ რომელი აზრის ან საქმის პატრონია და

მიმყოლი". ის აზრი და საქმე, რომლის პატრონი და მიმყოლი ილია შეიქნა საქართველოში, იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. და თუ ამ საქმიანობას ავხსნით იმ კონფლიქტით, რომელიც [illegible] ებრძოდა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობას შორის, შემდეგი სურათი დაგვეხატება:

საქართველოს განვითარების ისტორიაში 50—60-იანი წლები ხასიათდება ღრმა ეკონომიური ცვლილებებით. ახალ საწარმოო ძალთა განვითარების გამო ირღვეოდა ნატურალური მეურნეობის ფორმა და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობა, იკაფავდა რა გზას, იწვევდა ძირითად გარდატეხას როგორც სოციალურ წყობილებაში, ისე იდეოლოგიური ზედნაშენის ყველა დარგში. ფაბრიკა-ქარხნების განვითარებამ მოითხოვა თავისუფალი მუშა ხელი. ეს კი ნიშნავდა იმ სამარცხვინო უღლის დამსხვრევას, რომელსაც ბატონყმობა ეწოდება. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და ბაზრების გაჩენის გამო, თანდათან ირღვეოდა ნატურალური კარჩაკეტილობა და მთელი ქვეყანა დგებოდა ეკონომიური გაერთიანების ნიადაგზე. ჯერ კიდევ ეკატერინეს დროიდან დაწყებული რღვევა ფეოდალური კლასისა თანდათან ძლიერდება და მისი საბოლოო დაღუპვა უკვე აშკარა გახდა. მოვლენები გაშიშვლდა. სოციალური ჯგუფები უფრო ანტოგონისტურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ცნობილია, რომ მომაკვდავი კლასი ნებაყოფლობით არ ჩამოდის ისტორიის სცენიდან, ჩაღდება გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც გამოხატულებას პოულობს ცხოვრების ყოველ სფეროში, მხატვრული ლიტერატურა, როგორც საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი დარგი, მთლიანად ამ ბრძოლაშია ჩაბმული, და შეიძლება ითქვას, რომ იდეოლოგიური ბრძოლა იმ დროს უმთავრესად ამ სფეროში პოულობდა თავის ყველაზე ნათელ გამოხატულებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო გარდამავალის, ძველის შეუჩერებელი ნგრევისა და ახლის თანდათანი განმტკიცების პერიოდი.

ეპოქის ამ გარდამავლობას ნათლად გრძნობდა თითონ ილია, რაც მან შემდეგნაირად გამოხატა ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება. მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფრისა". ილია არა მარტო გრძნობდა ამ წინსვლას და განახლებას, არამედ იგი ერთგვარ შიშსაც განიცდიდა: „ქვეყანა ჩემ თვალწინ როგორღაც უხეიროდ წალმა-უკუღმა ტრიალებს, თითქოს ღერძი გაუტყდა და საცა არის, ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევა. მე ვშიშობ და ვკანკალობ". ილიას შიში ბუნებრივია და გასაგებიც, რადგან მთელი თავისი წარმოშობით და კლასობრივი მდგომარეობით მიმავალს ეკუთვნოდა. მაგრამ აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო სასოწარკვეთილებისა და აუცილებლობის წინაშე ფარ-

ხმლის დაყრის შიში. ილიას პროგრესული შორსმჭვრეტელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან, შეიგნო რა კაპიტალიზმს განვითარების აუცილებლობა, მისი სასურველობისა თუ არა სასურველობის გარეშე, საკითხი ამ განვითარების ფორმის შესახებ იმგვარად, რომ ახლის გახამდვილება ყოფილიყო არა ძველის აბსოლუტური უარყოფა არამედ მისი შემონახვა და გაკეთილშობილებულ ფორმაში ახალთან შეგუება: „უარყოფა ცალკე, ჰოსთან არ დაპირისპირებული, არ შეჭიდებული“ ილიასთვის მიუღებელია, რაგდან ამ გზით არ შეიძლება ჭეშმარიტების განმტკიცება. თუ ილიამ ძველის ახალთან შეგუება განიზრახა, საკითხავია“ — რაში ხედავდა იგი ამ შეგუებისა და შეზრდის საფუძველს? ჩვენის აზრით, ეს იყო კერძო საკუთრება და მისი დაცვის პრინციპი. მართალია, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი დაპირისპირებული სოციალური ფორმაციებია, მაგრამ მათ შორის მაინც ის საერთოა, რომ ორივე კერძო საკუთრების პრინციპზეა აგებული. საერთოდ ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე არსებული რევოლუციები „მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას ცვლიდნენ ექსპლოატაციის მეორე ფორმით, ხოლო თვით ექსპლოატაცია რჩებოდა“. *) ასევე იყო ბურჟუაზიული რევოლუციის დროს. მარქსის და ენგელსის სიტყვით რომ ვთქვათ, „ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ მოუსპია კლასების დაპირისპირება, მან მხოლოდ ძველი კლასების ადგილზე დააყენა ახალი კლასები, გამოიმუშავა ჩაგვრის ახალი წესები და ბრძოლის ახალი სახე“. **) ამიტომ რღვევის პროცესში მყოფი ფეოდალური კლასის რომელიმე განათლებული მემამულე ინტელიგენტისათვის კერძო საკუთრების ფეოდალური ფორმიდან გადასვლა საკუთრების კაპიტალისტურ ფორმაზე უფრო შესაძლებელი და ადვილია, ვიდრე ყოველგვარი კერძო საკუთრების უარყოფის მხარეზე დადგომა.

ილიამ ხელი ჩასჭიდა ამ კერძო საკუთრების პრინციპს და თავისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად მისი დაცვა გამოაცხადა: „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“. ***) კერძო საკუთრების ფილოსოფიაა აგრეთვე ილიას შემდეგი მტკიცება 1879 წელს: „თვითეულს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ამ კანონზეა აშენებული ყოველი ადამიანობრივი საზოგადოება“ ****) თუ ამ მხრივ მიუდგებით ილიას მხატვრულ შემოქმედებას, დავინახავთ, რომ იგი კაპიტალიზმის „პრუსიული“ გზით განვითარების წარმომადგენელია. ასევეა, რუსეთში გოგოლი, ტურგენევი, გონ-

*) Сталин: „Вопросы Ленинизма“, გამ. X, გვ. 527.

**) К. Маркс и Энгельс: „Коммунистический манифест“.

***) ილ. ჭავჭავაძე: ტ. 9, გვ: 190.

****) ილ. ჭავჭავაძე: ტ. 8, გვ. 295.

ჩ ა რ ო ვ ი და სხვა. ისინი გამოხატავდნენ გაბურჟუების გზაზე დამდგარი ფეოდალების ცხოვრებას. ი. ჭავჭავაძე სწორედ ამ მხრივ ადგენდა ბურჟუაზიული განვითარების აუცილებლობას, რომლის ერთადერთი გზა შემდეგში მდგომარეობს: „ბატონყმობის ნაშთები შეიძლება აღმოიფხვრას მემამულურ მეურნეობათა გარდაქმნის გზითაც და მემამულური ლატიფუნდების მისპობის გზითაც, ე. ი. რეფორმის გზით და რევოლუციის გზით". ლ ე ნ ი ნ ი ს აზრით, ორივე ეს გზა ბურჟუაზიული განვითარების გზაა; პირველს ეწოდება პრუსიული გზა, რომლის დროსაც „ბატონყმური მემამულური მეურნეობა ნელნელა გადაიზრდება ბურჟუაზიულ-იუნკრულ მეურნეობაში", რომელიც, მეორე მხრივ, უმზადებს გლეხობას „უსაშინელეს ექსპლოატაციას" *) როგორც ხედავთ, ეს გზა განვითარების ევოლუციური, თანდათანობითი გარდაქმნის გზაა, და უნდა ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძე თავის მხატვრული შემოქმედებით და ესთეტიკური კონცეფციით ამ გზის დამცველია. ეს ნათლად ჩანს როგორც პუბლიცისტურ წერილებში, ისე მის პრაქტიკულ საქმიანობაში. ფეოდალურ-ბურჟუაზიული ინტერესები საკმაო სიცხადით არის გამოთქმული მის ერთ პუბლიცისტურ წერილში, რომელიც „შინაური მიმოხილვის" სახით არის წარმოდგენილი. აქ ილია გარკვევით იცავს აგრარული კაპიტალიზმის იდეას, რაც გამოხატულია სასოფლო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განმტკიცების მოთხოვნით. ეს კი შესაძლებელია განვითარებული ტექნიკის გამოყენებით და არა მამა-პაპური გუთნის საშუალებით. აცხადებს რა მიწას და გუთანს ეროვნებისა და ერის სიმდიდრის შემომქმედად, ილია მოითხოვს „მიწის იმდენად შეკეთებას, რომ რაც შეიძლება დიდი გამოსავალი მისცეს მშრომელს"(ტ. IX, გვ. 239). ეს კი შესაძლებელია მიწის დამუშავების ევროპული წესის გამოყენებით, ე. ი. ხარ-გუთნის ნაცვლად. „ინგლის-ბულგარული გუთნის" მოხმარებით.

ასეთია ილ. ჭავჭავაძის პოზიტიურ-სოციალური პროგრამა 80-იან წლებში. მაგრამ ცნობილია,რომ ილიამ მოღვაწეობა დაიწყო 60-იან წლებში და შექმნა გარკვეული მიმდინარეობა, რომელიც „თერგდალეულთა" ჯგუფის სახელწოდებით არის ცნობილი. ეს არის ილიას მოღვაწეობის პირველი პერიოდი. ჩვენი აზრით, ამ ორ პერიოდს შორის არავითარი პრინციპული სხვაობა არ არსებობს, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ილიას ევოლუციის ორ სხვადასხვა მომენტს. მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდი უფრო პროგრესიულია; ამ პერიოდში ილიამ, უპირველეს ყოვლისა, ალლო აუღო განახლებულ ცხოვრებას, იგი განვითარების ობიექტური ტენდენციის სასარგებლო საქმეს აკეთებდა. ეს ტენდენცია კი, უპირველეს ყოვლისა, ბატონყმობის მოსპობასა, შრომისა და პიროვნების თავისუფლების მოთხოვნაში მდგომარეობდა. იქვე შედიოდა აგრეთვე საკუთარი

*) ლენინი: ტ. XII, მე-3 გამ., გვ. 348 — 9.

ვინაობის გამორკვევა, ე. ი. ეროვნული მთლიანობის იდეის წინ წამოწევა. ევროპის ბურჟუაზიული ჰუმანისტების კაპიტალიზმის განვითარების გარიჟრაჟზე იყენებდნენ პიროვნების თავისუფლების პრინციპს. კაპიტალიზმის განვითარება თხოულობდა თავისუფალ მუშა ხელს და ადამიანი იდგა მოძრაობის ცენტრში, როგორც ქვეყნის შემქნელი და გარდამქნელი.

ქვეყნის განვითარების შესახებ თავისი შეხედულება ილიამ გამოსთქვა მის მიერ ახლად დაარსებულ „საქართველოს მოამბეში“ მისი სადირექტივო წერილი „საქართველოს მოამბეზე“ 1863 წელს წარმოადგენდა ლიტერატურულ მანიფესტს, რომელიც აშკარად ღაღადებდა სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი თაობის გამოსვლას. ილია ხედავს, რომ ცხოვრება იცვლება, წინ მიდის, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის. მაგრამ, რაც მთავარია, ეს განვითარება პროგრესიულია, ზე აღმავალი, „მეორე უკეთესია პირველზე“. ილია ახდენს მოძრაობის აბსოლუტიზაციას და იგი მიაჩნია ყოველ წინმსვლელობის წყაროდ: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“. მოძრაობას წინ მიჰყავს ქვეყანა, მაგრამ ქვეყნის წიაღში არის ბევრი ისეთი რამ, რაც წინ ეღობება განვითარებას. ეს არის ჩამორჩენილობა და რუტინა. საჭიროა, უპირველს ყოვლისა, ეს არის ჩამორჩენილობა რაც შესაძლებელია მხოლოდ შრომის თავისუფლების საფუძველზე. ამიტომ იგი უმღერის შრომას სუფევას და ამით გამოხატავს ბურჟუაზიული განვითარების იდეას:

„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას.
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.
ალლო აილო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე და დღე მის წყობა ირღვევა
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა“.

შრომის თავისუფლების იდეას მარტო ილია არ გამოსთქვამდა თავის ლექსში. მისი ახალი ჟურნალის თანამშრომელნი თეორიულად ასაბუთებდნენ თავისუფალი შრომის უპირატესობას. მაგ., ამავე ჟურნალის მეოთხე ნომერში მოთავსებულია დ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს წერილი, სადაც გარკვევით არის ნათქვამი: „თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია და თუ ს ზ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებაში ყოველი იმის წევრი ნაყოფიერადა შრომობს. საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევა". აქედან აშკარაა, რომ ილია მომხრე იყო ბატონყმობის უღლის გადაგდებისა და ვინც ილიას ამ სამარცხვინო ძოვლენის დამცველად აღიარებს, იგი შეგნებულად ამახინჯებს ილიას პროგრესიულ როლს ამ დროს (მაგ., პ. გელეიშვილი).

ჰუმანისტურ-პროგრესიული როლი ნათლად მოსჩანს აგრეთვე ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის იდეის დაცვაში. ჭავჭავაძის მთელი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართველში გაეღვიძებინა „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთნოდეს" იდეა. ეს არც გასაკვირველია, რადგან ეროვნული დამოუკიდებლობისა და მთლიანობის იდეა ამომავალი ბურჟუაზიის განუყრელი ნიშანია. ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ეროვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია მისი ისტორიულობა, რომელიც ჩნდება, ამომავალი კაპიტალიზმის ეპოქაში. „საქართველო, როგორც ეროვნება, გაჩნდა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყმობის დამხობამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, მიმოსვლის საშუალებათა განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარეს შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყიეს სამთავროების სამეურნეო კარჩაკეტილობა და შეაკავშირეს ისინი ერთ მთლიანობად" *). თუ ამ ნაციონალური მთლიანობის იდეას მივმართავთ იმ დროს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაშინ გასაგები გახდება ილიას პროგრესიულობა. ზოგადად ასეთი იყო ის პროგრესიული იდეები, რომლების ცხოვრებაში გამტარებელიც შეიქნა ილ. ჭავჭავაძე თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

რით აიხსნება ილიას მოღვაწეობის პროგრესიული შინაარსი? ის ხომ მომაკვდავი კლასის შვილი იყო თავისი სოციალური წარმოშობით და მდგომარეობით? ხშირად არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ეს უკანასკნელი პირობა ირღვევა. მიუხედავად ამისა, ილიას საქმიანობას ჩვენ არ ვაშორებთ მის კლასს, ჩვენ იგი მიგვაჩნია ფეოდალური კლასის იმ ფენის გამომხატველად, რომელმაც გამოხატა კაპიტალიზმთან შეზრდისა და შეგუების ტენდენცია. აქვე უნდა აღინიშნოს ის პირობა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ილიას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ეს არის მისი აღზრდის პრობები. როგორც ცნობლია, ილია რუსეთში 4 წელს იმყოფებოდა, და არავითარი უფლება არა გვაქვს არ დავუჯეროთ მას, როდესაც ამ ოთხი წლის მნიშვნელობას თავისი ცხოვრებისათვის შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიყავი. ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმისათვის, ვინც რუსეთში

*) И. Сталин: „Марксизм и национально-колонильный вопрос", 1935 წ., გვ. 6.

წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა“. ბუნებრივია, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში გამოიკვანძა ილიას მსოფლმხედველობრივი პროგრამა. მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ კვირტის გამოკვანძვის წყაროს არ წარმოადგენს მარტო ის გონებრივი მოძრაობა, რომელიც რუსეთში ხდებოდა ამ ოთხი წლის განმავლობაში. ე. ი. 1857-1861 წლებში. როგორც ვიცით, რუსეთისათვის ეს პერიოდი იყო „რაზნოჩინცური“ ინტელიგენციის მოძრაობის პერიოდი, ეპოქა ჩერნიშევსკის და დობროლიბოვისა, რომელთაც შექმნეს და ჩამოაყალიბეს გლეხური (უტოპიური) სოციალიზმის თეორია.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ილ. ჭავჭავაძე თავისი როგორც სოციალური, ისე ესტეტიკური კონცეპციის შემუშავებაში განიცდიდა არა ჩერნიშევსკის, არამედ ჰეგელისა და ბელინსკის გავლენას. მართალია, იგი ხშირად ჩერნიშევსკისაც მიმართავს, მისთვის არც ფეიერბახის ანთროპოლოგიური მატერიალიზმია უცხო, მაგრამ ყოველივე ეს მოსჩანს როგორც არა არსებითი. ძირითადი და გადამწყვეტი ბელინსკის გავლენაა.

აქ ისმის საკითხი ილიას ესთეტიკური კონცეპციის სათავეების შესახებ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებათა შესწავლა უნდა მოხდეს საერთოდ ესთეტიკის ისტორიასთან დაკავშირებით, ე. ი. უნდა გაირკვეს მისი ადგილი საერთოდ ესთეტიკურ მოძღვრებათა ისტორიის სფეროში. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ დაიძებნოს ის ესთეტიკური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ხელოვნების შესახებ ილიას თეორიულ შეხედულებათა სათავეს. ეს სათავე კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჰეგელისა და ბელინსკის ესთეტიკასთან მიგვიყვანს. კერძოდ ილია ჰეგელს უკავშირდება ბელინსკის გზით და ამიტომ ბელინსკის ესთეტიკასთან გაცნობა აუცილებელია.

ცნობილია, რომ ბელინსკიმ განვლო შემოქმედებითი ევოლუციის მეტად რთული გზა. ეს გზა მოდის შელინგიდან და ფიხტე-ჰეგელის გავლით ფეიერბახამდე აღწევს. პირველ პერიოდს მიეკუთვნება მემარჯვენე ჰეგელიანობის ხანა 1840 წლის დამლევამდე, როდესაც ლინსკი რეალურ ქვეყანას იხილავს, როგორც აბსოლუტური სული სხვად ყოფნას და განვითარების მიზეზს ეძებს ცნების თვითგანვითარებაში. ამ პერიოდში ბელინსკისათვის ხელოვნება იყო ქვეცნობიერებითი აქტი, როგორც გრძნობად ფორმაში აბსოლუტური იდეის უშუალო გამოვლენა. ჰეგელი ამგვარად განსაზღვრავდა ხელოვნების დანიშნულებას. ხელოვნება ოგივე ფილოსოფიაა თავის დაბალ საფეხურზე. მსოფლიო იდეის შემცნება ხდება ფილოსოფიის გზით, როდესაც ცნების საშუალებით იგი შეიცნობს თავის თავს ადეკვატურად. ხელოვნებაც იდეის

შემცნებაა, მაგრამ არა ადექვატურად და ბუნდოვნად, არა ცნებებისა. არამედ ცოცხალი წარმოდგენების სახით, რომლებსაც სახეები ეწოდება. რადგან ყოველივე არსებული არის აზრის შემოქმედებითი ... აბსოლუტური სულის გამოვლენა, ამიტომ, მწერალს არ შეუძლია არსებულისადმი იქონიოს კრიტიკული დამოკიდებულება. რადგან „რაც არის, ის მისთვის გონიერია, ხოლო რაც გონიერია, ის არის მხოლოდ“ *) თუ ის, რაც არის, გონიერი და აუცილებელია, ცხადია, არ შეიძლება დაისვას საკითხი მისი მოსპობისა თუ გაუქმების შესახებ. ამ პრინციპის თანახმად, არ შეიძლება მწერალი შესცდეს, რადგან იგი აბსოლუტური სულის უშუალო ორგანოა. როგორც ვხედავთ, ბელინსკი დაადგა შემარიგებლობის გზას და დაეშვა იქამდე, რომ კანონიერად სცნო მეფის და თვითმპყრობელობის არსებობა: „მეფე არის ღვთის მოადგილე და ჩვენ უნდა ვამაყობდეთ მისი სიყვარულით“. 1840 წლის მიწურულში ბელინსკი ეცნობა ფეიერბახის მოძღვრებას და ხდება მემარცხენე ჰეგელიანელი.

აქედან იწყება მეორე პერიოდი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა უარყოფის პრინციპის წინწამოწევაში. ბელინსკიმ დასწყევლა თავისი შემარგიებლობა თვითმპყრობელური სინამდვილისადმი და შეიქნა არსებული წყობილების თავდადებული მოწინააღმდეგე. 1841 წელს ლერმონტოვის შესახებ დაწერილ წერილში იგი არ უწოდებს გონივრულს ყველაფერს, რაც არსებობს: „სინამდვილე არ არის ყველაფერი ის, რაც სინამდვილეში არის, ხელოვანისათვის კი უნდა არსებობდეს მხოლოდ გონიერი სინამდვილე“ *). ბელინსკი ახლა აღარ ამბობს, თითქოს მხატვრული წარმოების ყოველი იდეა ჭეშმარიტი იყო. თუ უწინ შემოქმედებითი პროცესი წარმოადგენდა შეუცნობელ საიდუმლოებას, რომელიც არ გამოდგებოდა გარეშე მდებარე მიზნის მისაღწევ საშუალებად, ეხლა ხელოვნება იქცა სინამდვილის ასახვად, საზოგადოებრივი მდგომარეობის გამომხატველად. მწერალმა უნდა გამოამჟღავნოს თავისი შეხედულება სინამდვილის მრავალფეროვან მოვლენებზე, იგი უნდა ჰქადაგებდეს გარკვეულ პოლიტიკურ მიმართულებას, მაგრამ ეს მიმართულება გატარებული უნდა იყოს მის „პოეტურ ბუნებაში“, სისხლსა და ხორცში, როგორც განცდა და არა როგორც პუბლიცისტური მსჯელობა. „ჩვენი საუკუნე მტერია წმინდა ხელოვნებისა, ეხლა ჩვენი ხელოვნება მონაა და არა ბატონი“. მან არა მარტო წარჩინებულთა საზოგადოების ცხოვრება უნდა გადმოგვცეს, არამედ გლეხთანაც უნდა დაეშვას, რადგან გლეხიც ადამიანია და მას არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ბატონს. გოგოლის რეაქციულ წიგნს „მეგობრებთა მიმოწერიდან“ ბელინსკიმ უძლიერესი პროტესტით უპასუხა და თავისი აღშფოთება მკვეთრად გამოხატა მასთან გაგ-

*) Белинский: „Менцель, критик Гете“.

**) Велинский: „Стихотворения Лермонтова“, გვ. 628-29 იხ. „соб. соч. Белинского“ ნოსკოვის რედაქციით.

ზავნილ წერილში. შენ გსურს რუსეთი გამოიყვანო გაჭირვებიდან ლოცვა-კურთხევით, ნამდვილად კი ხსნა მდგომარეობს არა რელიგიაში, არამედ ცივილიზაცია-განათლებაში, ჰუმანიზმში. დღეს, ... წარმოადგენს საშინელ ქვეყანას, სადაც ადამიანი ვაჭრობს ადამიანით, ქვეყანას, სადაც არის მხოლოდ „მოსამსახურე ქურდებისა და გამყვლეფელების დიდი კორპორაცია". დღეს საჭიროა არა ცრემლების ღვრა და დამშვიდებისაკენ მოწოდება, არამედ „ბატონყმობის მოსპობა, ფიზიკური დასჯის გაუქმება" *). მოკლედ ასეთი იყო ბელინსკის შემოქმედებითი ევოლუცია.

ილია უშუალოდ განიცდის ბელინსკის გავლენას, მაგრამ არა შემარიგებელი ბელინსკისას, არამედ მემარცხენე ჰეგელიანელისას. თუმცა პირველი პერიოდის რეციდივებსაც აქვს ადგილი, მაგრამ მთავარი და წამყვანი არსებული უარმყოფელი ბელინსკის გავლენაა.

როგორც აღვნიშნეთ, წერილი „საქართველოს მოამბეზედ" წარმოადგენდა „თერგდალეულთა" ჯგუფის ლიტერატურულ მანიფესტს, რომელშიაც გადმოცემული იყო მათი სამომქმედო პროგრამა. თუ მის შინარს გავეცნობით, აშკარა იქნება ილიას შეხედულება ხელოვნების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, ილია გამოდის იმ თვალხილული მოვლენიდან, რომ ცხოვრება წინ მიდის და დღითი-დღე იცვლება. მართალია, მოძრაობა ყველაფერია, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მიზეზი და მიზანი. წინმსვლელობის მიზეზს ილია ხედავს ცოდნასა და მეცნიერებაში: „რა აახლებს, რა სცვლის და ცხოვრება რას მიჰყავს წინ?" — კითხულობს ილია და იქვე უპასუხებს: „ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან" (IV, 68). საკითხის ამგვარად გადაწყვეტა გასაკვირველი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ევროპის განათლებული ენციკლოპედისტები გონების პრიორიტეტს აღიარებდნენ. ასე ილიაც რაციუსის ყოვლის შემძლებლობას ასაბუთებს. როგორც ვხედავთ, ცხოვრების ცვლილებისა და წინმსვლელობის მიზეზს ილია ეძებს არა საწარმოო ძალთა განვითარებაში, რაც, მარქსის აზრით, ისტორიის საფუძველს წარმოადგენს, არამედ ცოდნაში, და, საერთოდ, აზრის წინ მსვლელობაში: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა განუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი, და ლონიერი, ამასთანავე დაუქცეველი, მარადმყოფი სალაროცა აქვს — მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ინაზებიან" (IV, 68) **). ცხოვრება თვით აყენებს მოთხოვნილებას, იგი თვით დაამუ-

*) Белинский: „Письмо к Гоголю".

**) ილიას ნაწარმოებიდან მოყვანილი ციტატები ყოველთვის მითითებული იქნება ამგვარად, ე. ი. ტომი და გვერდი ლიას სრული თხუზულებიდან, პ. ინგოროყვასა და ს. აბაშელის რედაქციით გამოცემული.

შავებს მომავლის კვირტს, როგორც შესაძლებლობას. ცხოვრების ძალნი შეუჩერებლივ მოქმედებენ და შეუწყვეტლივ წარმოშობენ ახალს და ახალს თავიანთ წიაღიდან. მეცნიერებამ და ხელოვნებამ კი უნდა ასახოს ცხოვრების ეს მოთხოვნილებები: „მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა. აი, როგორ შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება კი მასზედ ამოსული შტოები არიან (IV, 73). აქ ხაზგასმულია ხელოვნებისა და მეცნიერების უკუმოქმედობითი ფუნქცია: არა მარტო პასიური ასახვა სინამდვილისა, არამედ ბრძოლა მისი გაუმჯობესებისათვის: „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“ (IV, 79). მართალია, ცხოვრების ეს გაუმჯობესება ევოლუციურია და არა რევოლუციური, მაგრამ იგი მაინც იბრძვის არსებულის შეცვლისათვის, და იმ დროისათვის საკმაოდ რადიკალურ მოსაზრებებს აყენებს. მეცნიერება და ხელოვნება „იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებს გამო და მერე თავის რიგზე თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება“ (IV-83). ეს ამონაწერი იმიტომ მოგვყავს, რომ აქ ისე ნათლად არის გამოთქმული ხელოვნების უტილიტარული დანიშნულების თეორია, რომ რაიმე განმარტება ზედმეტად უნდა ჩაითვალოს: „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმოდგენილი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, მთვარის ხვეწნასა; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლაქსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა“ (IV, 80).

მართალია, ილიამ ხელოვნებას მოსთხოვა არსებობის პური, ცხოვრებაში გამომცხვარი, რომელიც უნდა მოხმარებოდა და გამოსდგომოდა მშივრებს, მაგრამ ჭავჭავაძე არ დასულა პისარევისა და ანტონ ფურცელაძის ნიგილიზამდე. ამაშია მისი ერთი თავისებურება, რომლითაც ილ. ჭავჭავაძის ესთეტიური შეხედულებები განსხვავდება ანტ. ფურცელაძის ესთეტიკისაგან.

მეორე მხრივ ილიასათვის უცხოა არჩილ ჯორჯაძის ხელოვნების ზე უტილიტარიზმის თეორია: „მატერიალური გარემო არ ჩაითვლება იმ მთავარ ღერძად, რომელიც ჰქმნის პოეზიის შინაარსს. უტილიტარიზმის გამეფება ხელოვნებაში ხშირად სულიერი უმოძრაობის გამეფებას, მოაშწავებს“, *) — ამბობს არჩილ ჯორჯაძე და ხელოვნებას ახასიათებს,

*) არ. ჯორჯაძე: „ცოტა რამ ხელოვნების შესახებ“, წიგნი III. გვ. 41.

როგორც შეუცნობელ მოქმედებას, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს მარტოოდენ ესთეტიკური დატკბობა. მართალია, ორივე მწერალი, ა. ჯორჯაძე და ი. ჭავჭავაძეც, იზიარებს კლასთა შემოქმედებითობის „საერთო ნიადაგს“ თეორიას, მაგრამ ხელოვნების უტილიტარული ფუნქციის გაგებაში ილიას საერთო არაფერი აქვს არჩილ ჯორჯაძესთან.

ი. ჭავჭავაძე არც იმგვარი ნორმატიული ესთეტიკის მომხრეა, როგორიც მოცემულია ბუალოს „პოეტურ ხელოვნებაში“ და მამუკა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „ჭაშნიკში“. ილია ყოველთვის ებრძოდა ცრუ კლასიციზმს და მის ესთეტიკურ თეორიას.

ამგვარად, ილიას ესთეტიკურ შეხედულებათა ადგილი ესთეტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში სავსებით თავისებურია. ამ თავისებურებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი რეალისტური შინაარსი. „წმინდა ხელოვნებას“ მან იმთავითვე ბრძოლა გამოუცხადა და გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ბარბარე ჯორჯაძის ტიპის თეორეტიკოსებს. „ცისკრის“ ირგვლივ შემოკრებილი პარნასელები ილიამ დაახასიათა, როგორც „ყვავები ფარშავანგის ფრთებით“, „ბულბულნი ყორნის ჩხავილით“. ილიამ გადააგდო ყუმბარა ამ ბულბულების ბუდეში და ამით დაუფრთხო მათ „მამა-პაპური ძილი“. აქ მხედველობაში გვაქვს ილიას პირველი კრიტიკული წერილი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს „შეშლილის თარგმანზედა“. ამ წერილით ილია პირველი იყო თავად-აზნაურთა წოდებიდან, რომელმაც ციხე შიგნიდან გასტეხა. მაგრამ ილია არ ყოფილა საერთოდ პირველად, მასზე უფრო ადრე, 1859 წელს, ჟურ. „ცისკარში“ დაიბეჭდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“. ნამდვილად ეს იყო პირველი ყუმბარა, რომელიც მოხვდა ბატონყმობის ინსტიტუტს არა მისი გაუმჯობესების, არამედ დანგრევისა და მოსპობის მიზნით. მართალია, ი. ჭავჭავაძე თავად-აზნაურობას მოყვრულად პირში უძრახავდა, მაგრამ მან მაინც ნიღაბი ჩამოგლიჯა თათქარიძეების ცხოვრებას და ამ მხრივ დასაბამი მისცა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას. დავას ენის შესახებ ჩვენ არ ვეხებით, რადგან იგი უფრო ისტორიული გრმატიკის საკითხია, ვიდრე ესთეტიკისა.

შემოქმედების უტილიტარული დანიშნულების თეორია ილიამ არა მარტო სოციალურად დაასაბუთა, არამედ იგი გამოხატა ერთ თავის ლექსშიც, რომელსაც „პოეტი“ ეწოდება.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა;
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმე ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში“.

ყველაზე საინტერესო ამ ლექსში ის არის, რომ ილიას თავი მიაჩნია ღმერთის წარმომადგენლად ამ ქვეყნად. ის ციური ყოფილა, რომელიც ღმერთთან ლაპარაკობს და რომლის გულში ღვივის „ადამ ფრიუფეს საკურთხეველის ცეცხლი. როგორც ვიცით, ასეთი შეხედულება მწერლის ბუნებაზე იდეალისტურია. როგორ შევაგუოთ პოეტს არსების ეს მისტიური გაგება მის უტილიტარულ თეორიასთან?

ზევით, როდესაც ილიას შეხედულებებს ვარჩევდით, ხელოვნების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ აღვნიშნეთ, რომ ცხოვრება თავის წიაღში გამოიმუშავებს ახალს, გამოჰკვანძავს მომავალი ცხოვრების კვირტს, რომელსაც მეცნიერება და ხელოვნება ამოჰკრეფენ, მოიყვანენ სისტემაში და ცოდნისა და აზრის სახით გადასცემენ ხალხს მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ ჩვენ არ აღგვინიშნავს, რომ ყველას არ შეუძლია ცხოვრების სალაროში შესვლა. აქ ჩვეულებრივი ადამიანი უძლურია, ეს გენიოსის მოვალეობაა. გენიოსი, როგორც დიდი პიროვნება, სწორედ იმიტომ არის გაჩენილი, რომ ეს მძიმე მოვალეობა შეასრულოს. იმას, რაც ჩვენს შორის არის, ჩვენ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, ვერ ვამჩნევთ, გენიოსი კი „ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს შორის იყო და არ გვესმოდა“ (IV, 72). ასევე ესმის ბელინსკის გენიოსის დანიშნულება: „რაც ხალხში შეუგნებლად ცხოვრობს როგორც შესაძლებლობა, ის გენიოსში გვევლინება როგორც განხორციელება, როგორც სინამდვილე. ხალხი თავისი დიდი კაცებისათვის წარმოადგენს იმას, რასაც ნიადაგი მცენარისათვის“. *) როგორც ხედავთ, ილია ზუსტად იმეორებს ბელინსკის შეხედულებას სინამდვილისა და გენიოსის ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ. ილიას აზრით, პოეტი, როგორც ღმერთთან მოლაპარაკე გენიოსი, ერის წარმომადგენელია, მისი არსება ეროვნულია. ასეთივეა, ბელინსკის აზრით, დიდი ადამიანის ბუნება: „დიდი კაცი ყოველთვის ეროვნულია, ისევე, როგორც მისი ხალხი, ვინაიდან იგი სწორედ იმიტომ არის დიდი, რომ წარმოადგენს თავისით თავის ხალხს“.*)

ამგვარად, ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს ა და ილიას შეხედულებები გენიოსისა და დიდი ადამიანების შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. ილია უფრო აღრმავებს ამ მოსაზრებას: მეცნიერება და ხელოვნება არის „უდიდესი სალარო“, სადაც გენია აწყობს „გონიერ საუნჯეს“. ეს სალაქო არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი. სალაროში შედის რჩეულ ადამიანთა მხოლოდ მცირე რიცხვი და მხოლოდ მათ აქვთ ამ სალაროს გასაღები. ამიტომ ბუნე-

---

*) В. Белинский: „Взгляд на русскую литературу 1846 года“. „Соб. соч. Белинского в трех томах“, ივ. რიაზონის რედაქციით. ტომი III, გვ. 769.

**) იქვე, გვ. 768.

ბრივია, რომ პოეტი, როგორც გენიოსი, ჩვეულებრივად ადამიანისაგან განსხვავდება თავის უშუალო კავშირით ღმერთთან. საეჭვოა, რომ ეს ღმერთის ცნება ილიას გაგებული ჰქონდეს სასულიერო-ფილოსოფიურ შინაარსით. იგი ილიას წარმოდგენით, წინმსვლელობისა და ცოდნისაკენ სწრაფვის სიმბოლოა. ასეთი ინტერპრეტაცია მით უფრო მართებული იქნება, თუ გავიხსენებთ იმ მდგომარეობას, რომ ჰეგელისა და ბელინსკის ფილოსოფიაში ღმერთი იგივე აბსოლუტური სულია, რომელიც, შეიმეცნებს რა თავის თავს, წარმოდგება აბსოლუტური ცოდნის სახით. ღმერთი როგორც ყოვლის შემძლე იდეა. ხელოვნებაც სწორედ ამ იდეის უკუფენაა მის გრძნობად კონკრეტულ ფორმაში. ილიას დაახლოებით ასეთივე აზრს გამოსთქვამს: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია,—ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებს ხმარობენ, როგორც მუსიკა—ხმასა, მხატვრობა—ხაზსა, პოეზია—სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან“ (IV, 32). ასეთივეა ბელინსკის და ჰეგელის შეხედულება ხელოვნების შინაარსისა და მისი გვარებად და სახეებად დაყოფის საფუძვლების შესახებ. მართალია, პოეზია, ილიას აზრით, სიტყვაში გამოსთქვამს აზრს, მაგრამ იგი არ არის „ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმისა“, არამედ „განსახეობა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა“, ამით ჰეგელიანურ ფორმულას მოცემული აქვს უფრო მატერიალისტური შინაარსი: „პოეტს ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძვლით ამბობენ — „პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო“.

2. ხელოვნების სპეციფიკისა და პოეტური უნარის შესახებ.

თავის თეორიულ წერილებში ილია განსაკუთრებით არ შეჩერებულა ხელოვნების სპეციფიკაზე. მაგრამ ერთი რამ გარკვევით უნდა ითქვას: ამ თავისებურებას იგი ხედავს არა შინაარსში არამედ გამოხატვის ფორმაში. მისი აზრით, მეცნიერებისა და ხელოვნების შინაარსი ერთი და იგივეა, ე. ი. ხალხის ცხოვრება, ობიექტური სინამდვილე. მხოლოდ: „მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“ (IV, 70). საკითხის ამგვარად დასმა სწორი და მისაღებია. ორივეს მიზანი ერთია—სინამდვილის შემეცნება და მისი გარდაქმნა განსხვავდებიან მხოლოდ ამ მიზნის რეალიზაციის გზებისა და საშუალებებით. მაგრამ ეს ჯერ არ მიგვითითებს ამ გზების თავისებურებაზე. ზევით დავინახეთ, რომ ილია ხელოვნების სპეციფიკას მის სახეობრიობაში ხედავს, მაგრამ ეს თავისებურება მხოლოდ ზოგადად არის მითითებული, მისი კონკრეტული შინაარსის დადგენის გარეშე. ვიდრე მკვლევარს არ დაუდგენია სახის განმასხვავებელი ნიშანი მეცნიერული

ცნებისა და ლოგიკური კატეგორიებისაგან, მანამდე საქმე გვაქვს ზოგად დებულებასთან, თუმცა სწორთან, მაგრამ მაინც არა კონკრეტულად განძარტებულთან. სახის თავისებურების გარკვევას კი ეს ვერ ეხმარება აწარმოებს, აძიტომ ეს საკითხი მას თითქო გაურკვეველი რჩება. მაგრამ თუ საგანთან უფრო ახლო მივალთ,ვნახავთ, რომ ილიას აქვს ზოგიერთი შეხიშვნა, რომელიც გამოხატავს საკითხის თუ არა სავსებით გადაწყვეტას, მის სწორად დაყენებას მაინც. მაგალითად, 1860 წელს „შეშლილის" თარგმანის გამო დაწერილ პირველ წერილში იგი ასეთ აზრს გამოსთქვამს: „კაზლოვი არ არის მოსაწონი, როგორც მწერალი, რადგან მას არ აქვს პოეტობის ტალანტი და ამიტომ ძალზე მცირე აქვს ლექსები, „სიამოვნებით წასაკითხავნი და გრძნობებით გამთბარნი" (IV,4). როგორც ხედავთ, ლექსის პოეტურობისათვის აუცილებელია მისი „გრძნობებით გამთბარობა". ამ ნიშნით (გრძნობით გამთბარი) გამოჰყოფს ილია პოეტურ ლექსს არა პოეტური ლექსისაგან. ილია ასეთსავე აზრს გამოსთქვამს „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთადმი" მიძღვნილ წერილში: „პოეზია საგრძნობელია. იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა და ლხინთა" (V,225). აქაც ილია ხაზს უსვამს პოეზიის გრძნობადობას, მის ემოციონალურ მხარეს.

უნდა ითქვას, რომ აქ სწორად არის აღნიშნული ხელოვნების თავისებურება, რადგან გრძნობადობის გარეშე ხელოვნების არსებობა შეუძლებელია. მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურათმცოდნეობაში დღეს დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მხატვრული ლიტერატურული შემოქმედების სპეციფიკას მისი გრძნობად კონკრეტულობა წარმოადგენს. გრძნობად კონკრეტულობა იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ხელოვნება გამოხატავდეს ადამიანის მხოლოდ გრძნობებს, როგორც მის ფსიქიურ ფუნქციას; ეს ნიშნავს გამოსახატავი ობიექტის იმგვარად მოცემას, რომ იგი გაცოცხლდეს მკითხველის წინაშე, თვალწინ დაუდგეს აღმთქმელს, როგორც სინამდვილის ფაქტი, რომელიც თითქოს იმ წამში შემოდის გრძნობათა ორგანოებში, თითქოს ეხები საკუთარი ხელით, გესმის მისი ხმა, ხედავ მის მოძრაობას და სხვა. ხელოვნების უდიდესი თეორეტიკოსი ლესინგი ამაში ხედავდა ხელოვნების სპეციფიკას: „პოეტი ზრუნავს არა მარტო იმისათვის, რომ იყოს გასაგები; მას სურს, იდეა, რომელსაც ჯერ ჩვენში გააღვიძებს, იმდენად ცოცხალი იყოს, რომ გვეგონოს, თითქოს გამოსახატავი საგნის შესახებ ვღებულობთ ნამდვილ გრძნობად წარმოდგენას" *). Sinnlihen Eidruke-ნის კონკრეტულ ფორმას მხატვრულ შემოქმედებაში მისი სახეობრივობა წარმოადგენს. სახე სწორედ ის ძირითადი უჯრედია, რომლის საშუალებითაც მიიღწევა გრძნობად კონკრეტულობა, როგორც მხატვრული შემოქმედების თავისებურება.

*) Lessing: „Laokoon", გვ. 99.

როგორც დავინახეთ ილია ხაზს უსვამს ხელოვნების გრძნობადობას. მაგრამ ხელოვნების თავისებურება მისი გრძნობადობით არ ამოიწურება, იგი სახეობრივიც არის. „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, ერთი — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა“ (V,256). აქ მოცემულია მხატვრული აზროვნების თავისებურება, როგორც სურათხატიანობა. მართალია, ილიამ ვერ გვიჩვენა კონკრეტულად ის კავშირი, რომელიც არსებობს „გრძნობად გამთბარობასა“ და მხატვრულ სურათს შორის, მაგრამ ცალცალკე ორივეზე მიგვითითა, როგორც ხელოვნების თვისებებზე, და ამიტომ ვამბობთ: ხელოვნების სპეციფიკის საკითხზე ილიამ მართებულად მიუთითა, მაგრამ მხოლოდ მიუთითა, მისი თანმიმდევარი ანალიზი კი არ წარმოგვიდგინა.

ილიას ესთეტიკაში ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ იგი აღიარებს პ ო ე ტ ო ბ ი ს უ ნ ა რ ს, რ ო გ ო რ ც ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ ფ ე ნ ო მ ე ნ ს. პოეტობა ყველას არ შეუძლია, შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც პოეტად არის დაბადებული და ვისაც გააჩნია თანდაყოლილი თვისება პოეტური შემოქმედებისა: „პ ო ე ზ ი ა უ ც ნ ა უ რ ი მ ა დ ლ ი ა და პ ო ე ტ ი ამ მ ა დ ლ ი თ მ ო ს ი ლ ი კ ა ც ი ა“ (V,255).

მწერლის პიროვნების პრობლემა ზოგიერთი ესთეტიკოსისათვის არ არსებობს. არ არსებობს იგი განსაკუთრებით მექანისტებისათვის, რადგან მათი გაგებით, შემოქმედება თამაშია და სოციალური ყოფის უშუალო მათი გაგებით, მოქმედება თამაშია და სოციალური ყოფის უშუალო პროექცია. ამიტომ ხელოვანი მხოლოდ ის ფოტოგრაფიული აპარატია, რომელიც აწარმოებს ამ ობიექტივაციის პროცესს. ასეთი თეორეტიკოსები შემომქმედის ინდივიდუალური თავისებურების შესწავლის პროცესში ყურადღებას აქცევენ მხოლოდ ორ გარემოებას: 1) თუ როგორია მისი კლასობრივი მსოფლმხედველობა და 2) ასახული სინამდვილის მეცნიერული ცოდნა. აქ არაფერია ნათქვამი ხელოვანის ტალანტის შესახებ, მისი იმ ფსიქიური თავისებურების შესახებ, რომლითაც იგი გამოიყოფა სხვა სპეციალისტებისაგან. მტკიცე კლასობრივი მსოფლმხედველობა და სინამდვილის ცოდნა ყოველი ადამიანისათვის არის საჭირო, რომელსაც კი სურს რაიმე ახალი სთქვას ქვეყნის შემეცნებისა და მისი გარდაქმნის მიზნით. პოეტის პიროვნების პრობლემა არ არის მარტივი და უბრალო. პ ლ ა ტ ო ხ ი დ ა ნ დაწყებული მომდინარეობს მისი შესწავლა, და გარკვევით უნდა ითქვას, რომ მას უკვე გააჩნია მტკიცე მეცნიერული საფუძველი. რომ პოეტობისათვის საჭირო არ იყოს თავისებური „მადლი“, ტალანტი, და მხატვრული ნაწარმოების დაწერა ყოველ ადამიანს შეეძლოს, მაშინ არც დაისმებოდა პოეტობის პიროვნების პრობლემა. პოეტი ადამიანია, მაგრამ ყველა ადამიანი არ არის და არც შეიძლება იყოს პოეტი: „მხატ-

ვრული შემოქმედების უნარი არის თანდაყოლილი მონაცემი, ისევე, როგორც სახის სილამაზე, ძლიერი ხმა" *). საკითხი ისმის მხოლოდ ამ თავისებურების შესახებ. უნდა დაიძებნოს ის ფსიქიური [illegible] ნიშნითაც გახსხვავდება მწერალი არამწერლისაგან. ამ თავისებურების ახსნის გამორკვევაზე მუშაობდა და მუშაობს მრავალი მეცნიერი. ზოგი მათგანი იდეალისტურად აშუქებს პოეტის ბუნებას, ზოგი კი სწორად და მატერიალისტურად. ჩვენ შევაჯამებთ იმ მონაცემებს, რომლებიც, ჩვენის აზრით, სწორად სწყვეტენ ამ პრობლემას. ასე, მაგალითად, ლ უ ნ ა ჩ ა რ ს კ ი პოეტის სპეციფიკას ხედავს მალალ, „აწეულ გრძნობიერებაში" **). ნ. გოგოლის აზრით, მწერალს აუცილებლად უნდა ახასიათებდეს ისეთი უხარი, რომ მოცემულ მომენტში ჩვენს თვალწინ „არ მყოფი საგნები წარმოადგინოს ისე ცოცხლად, თითქოს ისინი ჩვენ თვალწინ იყვნენ" ***). პროფ. ლ ა ზ ურ ს კ ი ს ხელოვნის სპეციფიკად მიაჩნია: „ცოცხალი აღქმადობა, ნათელი მეხსიერება, ძლიერად განვითარებული წარმოსახვა, აწეული აფექტიურობა და აღგზნებადობა" ****). რეფლექსოლოგიური სკოლის წარმომადგენელი ვ. ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი ც კი არ უარჰყოფს მწერლის ფსიქიურ თავისებურებას, რომელსაც იგი ხედავს ინტენსიურ აღქმადობისა და „აღქმელი ორგანოების ღონიერ მუშაობაში *****). დ ო ბ ი ლ უ ბ ო ვ ი კი ასაბუთებს, რომ მხატვარს ახასიათებს „ბევრად უფრო მეტი ცოცხალი და ძლიერი აღქმადობა ******). მიულერ ფრეინფელსიც ასეთ დასკვნამდე მიდის, რომ მწერლისათვის თანდაყოლილია განცდის ინტენსიურობა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მჟღავნდება „აწეულ ემოციონალობასა და გრძნობადი აღქმის გამახვილებაში" *******).

თუ ყველა ზემოთქმულს შევაჯამებთ, მივიღებთ მხატვრისათვის დამახასიათებელ შემდეგ ფსიქიურ თვისებებს: მ ო ჭ ა რ ბ ე ბ უ ლ ი გ რ ძ ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა, ძ ლ ი ე რ ი ა ფ ე ქ ტ ი უ რ ი ა ღ გ ზ ნ ე ბ ა დ ო ბ ა, თ ვ ა ლ წ ი ნ ა რ მ ყ ო ფ ი ს ა გ ნ ი ს ც ო ც ხ ლ ა დ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა რ ო გ ო რ ც ძ ლ ი ე რ ა დ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ა, ც ხ ო ვ ე ლ ი ა ღ ქ მ ა. ამ ფსიქიური ფუნქციების გარეშე მხატვრულად შემომქმედი შეუძლებელია.

თუ ხელოვანის აღნიშნულ ფსიქიურ ნიშნებს დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ იქარ არის არც ერთი ისეთი ფსიქიური ფუნქცია, რომელიც

*) В. Брюсов: „Опыты", მოსკოვი, 1919 წ., გვ. 8.

**) Луначарский: „Социол. и патол. факторы в истории искуства", ტ. III, გვ. 42.

***) Н. Гогол: „Авторская исповедь, ტ. VIII, გვ. 35.

****) Н. Лазурский: „Классификация личности", 1923 წ. გვ. 126.

*****) В. М. Бехтерев: „Личность художника в рефлексологическом изучении". ალმანახი „Арена", 1924 წ., გვ. 32.

******) Добролюбов: „Темное царство", გვ. 86.

*******) Р. Мюллер-Фременфельс: „Поэтика", გვ. 43, ხარკოვი.

არ ახასიათებდეს საერთოდ ადამიანს, მიუხედავად იმისა, ხელოვანია იგი თუ მეცნიერი *). მწერალი ახალი ქვალიტეტი კი არ არის, არამედ ადამიანის როგორც ბიოსოციალური ქვალიტეტის თავისებური თვისება. მაგრამ ეს თავისებურება არ მიდის თვისობრივ განსხვავების იქით და აოაქმნის ახალ არაადამიანურ რომელობას, რომელიც პრინციპიალურად განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი ადამიანისაგან. მისი თავისებურების საფუძველი ისევ ადამიანის ზოგადი ფსიქიური შემადგენლობაა. პოეტად ყოფნა შეიძლება მხოლოდ ამ საფუძვლის შიგნით. ერთი ქვალიტეტის შიგნით ყოველი რაოდენობრივი განსხვავება არის ახალი თვისების გამოვლენა და სწორედ ამ კანონზეა დამყარებული პოეტური უნარის არსებობის შესაძლებლობა. შემადგენლობის თვალსაზრისით პოეტს გააჩნია ყველა ის ფსიქიური ფუნქცია, რაც არაპოეტს, მაგრამ იგი განირჩევა ამ ელემენტების ინტენსიობით, მისი მოჭარბებულობით, რაც უმთავრესად ვლინდება მის ძლიერ გრძნობადობასა და ემოციონალური სამყაროს აქცენტაციაში. ეს რომ აგრე არ იყოს, მაშინ მხატვრული ნაწარმოების გაგება შეუძლებელი იქნებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტური ბუნების ობიექტურ მყოფობაზე მითითება არ ნიშნავს იდეალიზმში გადავარდნას, რადგან პოეტობის უნარი არ არის ტრანსცენდეტალური აპრიორული უნარი. მართალია, იგი თანამედროვე ადამიანისათვის მოცემულობაა, მაგრამ ისტორიულად მან გაირა მოცემის რთული პროცესი. მართალია, ჯერჯერობით გამოურკვეველია, თუ როგორ ხდება ისტორიულად მხატვრული უნარის გამომუშავება, მაგრამ მარქსიზმში მოცემულია მისი შესწავლის სწორი მეთოდოლოგიური დებულება. მხატვრული ტალანტის წარმოშობას კ. მარქსი უკავშირებს შრომის პროცესს: „მხატვრული ნიჭის კონცენტრაცია ცალკეულ ინდივიდში წარმოადგენს შრომის განაწილების შედეგს“ **). როგორც ხედავთ, მხატვრული ტალანტის არსებობა ფაქტია და მისი გენეზისის შრომის პროცესიდან გამოყვანა მტკიცედ დასაბუთებულია.

ი. ჭავჭავაძისათვის პოეზია და პოეტობა მადლია, თავისებური ნიჭი, მაგრამ იგი „ტვირთიც არის“, რომელიც ადამიანმა უნდა ზიდოს არა იმისთვის, რომ იმღეროს ვით გარეგანმა ფრინველმა ტკბილ ხმათათვის, არამედ მოსწმინდოს ერს ტანჯვის ცრემლი და აგვიხსნას ის „რაც ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში“. ამის შესახებ ჩვენ საკმაოდ

*) ამიტომ პრინციპიალურად შემცდარი და იდეალისტურია ჟენეველი მხატვრის ტ. ტოპფერის შეხედულება, როდესაც იგი ასურათებს ადამიანის მეექვსე გრძნობის — მხატვრული გრძნობის — არსებობას. იხ. მისი წიგნი „О прекрасном в искусстве“, გვ. 3.

**) „Маркс и Энгельс об искусстве“. 1933 წ., გვ. 30.

ვილაპარაკეთ, როდესაც ხელოვნების ფუნქციონალურ დანიშნულებას ვარკვევდით და აქ აღარ შევეხებით.

2) პოეზიადაპოეტობამადლია, მაგრამ ადამიანის აზრის გამოთქმის ძლიერი საშუალებაა. მის შინაარს წარმოადგენს არა მარტო გრძნობის გამოხატვა, არამედ, რაც მთავარია, იდეური მიზანდასახულების რეალიზაცია. ყოველ მწერალს აქვს მსოფლმხედველობრივი მოსაზრებანი, და მხატვრული შემოქმედება სწორედ იმ ღერძის ირგვლივ ტრიალებს. ხელოვნების სპეციფიკურ ენაზე ხელოვანი ამბობს იმას, რაც შეიძლება თქმულიყო პუბლიცისტურად, სილოგისტიკის ფორმაში. 1868 წელს ილია სწერს კირილე ლორთქიფანიძეს „კაცია ადამიანის“ შესახებ: „როცა ეგ მოთხრობა გავათავე, მინდოდა ცალკე წინასიტყვაობაც დამეწერა, მაგრამ როცა გადავიკითხე, გამოჩნდა, რომ რაც წინასიტყვაობაში მინდოდა მეთქვა, სულ ყოველიფერი შიგ მოთხრობას აჩნდა ჩემდა უნებურად“ *). ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილ წერილშიაც ილია ასეთსავე აზრს გამოსთქვამს „გლახის ნაამბობის“ შესახებ: „რაც მინდოდა, იმას კი ვიტყვი ჩემს გლახის ნაამბობში, და კარგად ვიტყვი თუ ცუდად — ამის დარდი არა მაქვს“ **). როგორც ხედავთ, პოეტობის უნარის არსება მიზნობრივია, როგორც მისი სპეციფიკურად გამოხატვის საშუალება.

3) მართალია, პოეტი უცნაურ მადლით მოსილი კაცია, მაგრამ „მადლი ხომ მადლია, ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება“ (V,255). ამ გამოთქმის ჭეშმარიტი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მარტო „უცნაური მადლის“ ობიექტურად აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელოვანის სპეციფიკური უნარის არსების სწორ ინტერპრეტაციას, რადგან ერთია აღიარო ამ უნარის არსებობა და სულ სხვაა მიიჩნიო იგი მეტაფიზიკურ-სტატიურ მოვლენად, რომელიც არ ემორჩილება ამ ქვეყნიური მოძრაობა-განვითარების კანონს. ი. კანტი აღიარებს ხელოვნების უნარის თანდაყოლილობას. მაგრამ, მისი აზრით, ეს უნარი აპრიორულად თანდაყოლილია, რომელიც არ არის ობიექტური სინამდვილის განვითარების შედეგი და არც გონიერებას ემორჩილება. მას საკუთარი იმანენტური წესი გააჩნია, რომელიც შეუძლებელია შესწავლილ იქნას. შემოქმედების აქტში პიროვნების მიზანდასახულება ამოკვეთილია, რადგან იგი, როგორც გენიოსი, აქ მხოლოდ იმ წესს ანხორციელებს, რომელიც მას აპრიორულად ეძლევა. შემოქმედების აქტში მეცნიერული ჩახედვა შეუძლებელია, ასე რომ „თუ როგორ ქმნის გენია თავის პროდუქტს, არ შეიძლება აღწერო ან უჩვნო მეცნიერულად“.

*) ჟურ. „მნათობი“, 1933 წ. № 8—9, გვ. 274.

**) იქვე გვ. 282.

გენიოსმა თითონ არ იცის, თუ როგორ ჰქმნის თავის პროდუქტს, და ამიტომ მას არ შეუძლია რაიმე გვითხრას, ხოლო გარეშე პირიანება მით უმეტეს ვერაფერს ვერ გვეტყვის, რადგან თითონ მას არ გაუგია. ამიტომ შემოქმედებითი პროცესი არა ძევს „წესის მიხედვით გამორკვევისა და გაზიარების ბუნებრივ გზაზე“. *) შემოქმედებითი გენიის კანტიანურ დახასიათებაში უარყოფილია შემოქმედებითი უნარის განვითარება-გაწრთვნის შესაძლებლობა.

ნამდვილად კი პოეტობის უნარი თანდაყოლილია. მხოლოდ როგორც შესაძლებლობა, რომელსაც „უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება“, — ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ. ამ „მადლის“ აღზრდა და დავაჟკაცება უნდა მოხდეს პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. პოეტური „მადლი“ ადამიანის თვისებაა და ადამიანი კი არა ცხოვრების პასიურად მჭვრეტელია, არამედ ცხოვრების შემომქმედი: „ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული“ (IX, 20), ამბობს ილია ერთ თავის წერილში. ერთხელ ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ს უთქვამს ილიასთვის, რომ კარგი იქნება, თუ ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ს და სხვა ნიჭიერ მწერლებს საზღვარგარეთ გავგზავნით ცოდნის შესაძენადო. ილიას უპასუხნია: „იქ ფილოსოფიას დაეწაფება, ე მაგ პოეტობას კაჩხაზე ჩამოკიდებს და დავილუპებით, აღარ გაეკარება ფშავის მთებს, რომელიც აძლევენ მის სხივოსან პოეზიას საზრდოს. განვითარება შინაც შეიძლება... თუ კვალდაკვალ არ მიჰყევი ცხოვრებას, თუ განვითარების გზას ერთი წუთითაც ჩამოუდექ — დაჩლუნგდები“ **). და მართლაც, მხატვრული შემოქმედება გადმოგვცემს იმას, რაც მწერალმა განიცადა, იგრძნო და იფიქრა სინამდვილეზე ზემოქმედების პროცესში. მწერლის უშუალო კავშირი სინამდვილესთან წარმოადგენს შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს. ილია სწორედ ცხოვრებასთან მტკიცე კავშირში ხედავს შემოქმედის გამარჯვების გარანტიას.

აქ ისმის კიდევ ერთი საკითხი: ერთის შეხედვით, თითქოს ილია წინააღმდეგია მწერლის ფილოსოფიური განათლებისა. მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ აქ ნაგულისხმევია ფილოსოფიის აბსტრაქტიულობა, თორემ ხელოვნებისა და მეცნიერების დაკავშირებას მთელი თავისი ენერგიით იცავს და ასაბუთებს ი. ჭავჭავაძე: ეს პოეტური მადლი „მალე ჭკნება, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არ ჰფურჩქნის“ (V, 255). „ეხლა რომ კაცმა სწეროს, ცოდნისა და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ცოდნა და განათლება ისე აუცილებელი

*) I. Kant: „Kritik der Urteigkraft“, 1913 წ., გვ. 161.

**) ს. მგალობლიშვილი: „ქართველ მწერალთა წერილები“, ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ., № 9, გვ. 14.

და საჭირონი არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი“ (IV, 33). „მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ ძერე პოეტის შთაგონებითმა სიტყვამ აღმობეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს, ადამიანის გასატაცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველი ამ წიგნისა არ არის“ (V, 256). ჩვენი აზრით, მეცნიერებისა და პოეტური „მადლის“ ურთიერთობის ამგვარი გადაწყვეტა სწორია და შეადგენს ჩვენთვის მისაღებ დებულებას ილია ჭავჭავაძის ესთეტიკური მემკვიდრეობიდან.

3. ტიპიზაციის თეორია და მისი შემოქმედებითი რეალიზაცია

ხელოვნებათმცოდნეობის ამა თუ იმ წარმომადგენლის თეორიულ შეხედულებათა პოზიტიური დალაგების დროს ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს ტიპიზაციის საკითხის გაშუქება. კერძოდ, ილია ჭავჭავაძემ, შეიმუშავა რა მხატვრული განზოგადოების თავისებური თეორია, ამასთანავე მოგვცა მისი შემოქმედებითი რეალიზაცია. ამიტომ ტიპიზაციის თეორიული გაგების მეთოდოლოგიური ანალიზი უშუალოდ დაკავშირებულია მისი მხატვრული ნაწარმოებების შესწავლასთან. საერთოდ ცნობილია, რომ ლიტერატურული სახე წარმოადგენს ზოგადისა და ინდივიდუალურის ურთიერთში შეჭრას გრძნობად კონკრეტული ფორმით. რამდენადაც სახე სინამდვილის კერძო მოვლენებს ანზოგადოებს და მათში ეძიებს არსს, იმდენად იგი შემეცნებაა. მაგრამ რამდენადაც იგი ამ ზოგადს იძლევა განსაკუთრებულ და ინდივიდუალურ გრძნობად კონკრეტულ ფორმაში, იმდენად იგი ხდება შემეცნების სპეციფიკურ ფორმად ე. ი. მხატვრულ შემეცნებად. ამ პროცესს სხვაგვარად ტიპიზაციის პროცესი ეწოდება. ზოგიერთი თეორეტიკოსი ტიპად გულისხმობს მხოლოდ ადამიანს, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ტიპის ვიწრო გაგებაა. ფართო გაგებით ტიპიზაცია იმ პროცესის აღმნიშვნელია, რომელსაც მხატვრული განზოგადება ეწოდება. და მართლაც, ტიპიურობა შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო ადამიანში, არამედ სიმანდვილის ყველა მოვლენაზე, როგორც სულიერში, ისე უსულოში. ამიტომ სახეს ტიპიურობა არ ნიშნავს აუცილებლად მის ადამიანურობას. ტიპის ამგვარი გაგება პერევერზევის ცნობილი თეორიის რესტავრაცია იქნებოდა, რადგან მისთვის სახე მხოლოდ სოციალური ხასიათის პროექციაა. შემეცნების თვალსაზრისით, სახეში მთავარია მისი ზოგადობა. ყოველი დიდი მწერალი შემოქმედების პროცესში ამ ზოგადს აქცევს ყურადღებას. მისთვის ყოველი ინდივიდუალური და დეტალური მხოლოდ იმდენად არის ღირებული, თუ რამდენად ავლენს ამ ზოგადს, როგორც მოვლენის არსს. ი. ჭავჭავაძისა და ლუარსაბ თათქარიძეს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

ლ უ ა რ ს ა ბ ი: რაღა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი, ათასია სხვა რემისთანა.
ი ლ ი ა: ბა უფრო მაგისთვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგუგხარ და ათასი შენა. რაც ბევრს ემსგავსები, უფრო კარგია.

როგორც ხედავთ, ილიას მიერ აქ ხაზგასმულია თანაარსებობა—სწორედ ის მომენტი, რითაც იგი სხვას ჰგავს. სწორედ ამაშია სანს ტიპიურობის არსება. რაც უფრო ბევრს ემსგავსება, მით უფრო კარგია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ილიამ გააუქმა ის, რითაც ლუარსაბი სხვისაგან განსხვავდება. ნამდვილ შემოქმედებაში მსგავსება არ შეიძლება აბსოლუტურ იგივეობამდე ავიდეს. ამ შემთხვევაში ხელოვნება დაჰკარგავდა განმაზოგადოებელ უნარს და სინამდვილის ერთეული მოვლენების ფოტოგრაფიულ გადაღებად იქცეოდა. მსგავსების სისრულით შემცირებაც ინდივიდუალურში ჩაკეტვა იქნებოდა. ტიპის ეს შინაგანი ბუნება, ბელინსკიმ გენიალურად დააახასიათა: „ჭეშმარიტი ტალანტისათვის თითეული პირი ტიპია და თითოეული ტიპი მკითხველისათვის არის ნაცნობი უცნობი“ *). ი. ჭავჭავაძეს ბელინსკის ამ მოსაზრების ანალოგიური მოსაზრება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ერთ თავის დაუბოლოვებელ წერილში შემდეგი აზრი გამოთქვა ტიპიზაციის პროცესის შესახებ:

„ვსთქვათ, მიდიხართ და ხედავთ ლუსკუმას (статуа), მარმარილოდამ გამოკვეთილს ადამიანის სახეს და აგებულებას თუ ის ლუსკუმა მართლა-და წმინდა ხელოვნებაა, თანდათან უფრო მიგიზიდავს, იმიტომ რომ იმ მარმარილოდამ თანდათან გამოსჭვივის შიგ მდებარე აზრი, რომელიც თან სულსავით ჩაუყოლებია გამომკვეთსა. როგორ გამოსჭვივის და რაში? დააცქერდებით სახის ყოველს ნაკვთსა, იმიტომ რომ გამომკვეთსა, რაკი ეგ სახე შეუქმნია, ის ფიქრი ჰქონია, რომ მაგ სახით მიგვახვედროს შიგ მდებარე აზრსა. ვსთქვათ, ის აზრი ვაჟკაცობის, თავგამოდების, დიდებულების აზრია. რაკი აზრს მიხვდით, მაშინვე იმას ჰგრძნობთ, რომ ამ მარმარილოს სახემ უსიტყვოდ, უთქმელად შეგატყობინათ გამომკვეთლის აზრი... ვსთქვათ. თქვენს სიცოცხლეში გინახავთ ვაჟკაცი, დიდებული, თავგამოდებული ადამიანი. ვსთქვათ, ამ ლუსკუმის ყურებაზედ მოგაგონდათ იმ ადამიანის სახეც და შეხედულებაცა. ახლა გინდათ, რომ ეს ორი, ლუსკუმა და იმ ადამიანის სახე, ერთმანეთს შეადაროთ. შეადარებთ, მაგრამ ნახავთ, რომ ეს ლუსკუმა ვაჟკაცობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ჰგავს ი მ თ ქ ვ ე ნ ს ნ ა ც ნ ო ბ ს ა და ს ხ ვ ა შ ი ს რ უ ლ ი ა დ არა,—ერთი სიტყვით, ეს მარმარილოს სახე იმ კაცის სახე არ არის... ახლა მესამე, ახლა მეოთხე, მთელი ქვეყნის ვაჟკაცების, დიდებულებისა და თავგამოდებულების სახეები ამ მარმარილოს სახეს რომ შეადაროთ, არც ერთი არ ეგვანება და ეგვანება კიდეც. გიკვირთ თქვენ, მაგრამ საკვირველი აქ არა არის რა. ჰ გ ა ვ ს ი მ ი ტ ო მ, რ ო მ რ ა ც ს ა ზ ო გ ა დ ო ნ ი შ ნ ე ბ ი ჰ ქ ო ნ ი ა თ მ თ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ვ ა ჟ კ ა ც ე ბ ს, დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ს, თ ა ვ გ ა მ ო მ დ ე ბ ლ ე ბ ს, ი ს ი ნ ი ს უ ლ ა რ ი ა ნ გ ა მ ო მ კ ვ ე თ ე ლ ნ ი ა მ მ ა რ მ ა რ ი ლ ო ს ს ა ხ ე ზ ე დ ა ა მ ი ტ ო მ გ ვ ა ნ ა ნ დ ა ა მ ი ტ ო მ ა ც ა დ ვ ი ლ ა დ მ ი უ ხ ვ დ ი თ გ ა მ ო მ კ ვ ე თ ე ლ ს ა ზ რ ს ა; დ ა რ ა ც კ ი კ ე რ ძ ო ო ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ჰ ქ ო ნ ი ა თ, რ ა ც კ ი ე რ თ ს ა ჰ ქ ო ნ ი ა დ ა მ ე ო რ ე ს კ ი ა რ ა, ი მ ი ს ა თ ვ ი ს გ უ ლ ი ა რ უ თ ხ ო ვ ე ბ ი ა გ ა მ ო მ კ ვ ე თ ს ა, ა მ ი ტ ო მ ა რ ა ჰ გ ა ვ ს. რ ა ც

*) „Собрание соч. Белинского“, გვ. 135, ნოსკოვის რედაქცია.

საზოგადო ჰქონიათ, ის მოუკრეფია გამომკვლევისა, და რაც კერძოობითი, მისთვის თავი დაუნებებია, იმიტომაც ისინი ჰგვანან კიდეც და არცა ჰგვანან ერთმანეთს. ზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეერწყმიან ზომება სიბრძნე და გონიერება ხელოვანისა" (IV, 402—3. — ხაზი ჩვენია).

ეს ადგილი მრავალ მხრივ არის საინტერესო:

1) ილიასათვის სახის ზოგადობა არის მისი აზრიანობის მაჩვენებელი, და ხელოვანი იმდენად გონიერია, რამდენადაც მაქსიმალურად შეჰკრებს სახეში ზოგად ნიშნებს. ი. ჭავჭავაძე რაციონალისტური ესთეტიკის წარმომადგენელია და ამიტომ სახის სიმძიმის ცენტრი გადაავჭს მის ზოგადობაში, ე. ი. შემეცნებითი არსების დასაბუთებაში. სახის ზოგადობა უმთავრესად მისი შემეცნებითი არსების მაჩვენებელია, რადგან სახის ტიპიურობა არა ჰფარავს მის მხატვრულობას. ზოგიერთ მკვლევარს კი ჰგონია, რომ სახის ტიპიურობის ხარისხი არის მხატვრობის ხარისხი. ჩვენის აზრით სახის ტიპიურობის ხარისხი არის მისი შემეცნებითი ღირსების ხარისხი და არა მხატვრულობის მაჩვენებელი. მართალია, როდესაც ტიპიურობის შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ზოგადის ინდივიდუალიზაციას, მის კონკრეტიზაციას, მაგრამ ყოველივე ეს ხომ შეიძლება მოხდეს არა მხატვრულ ფორმაში, ე. ი. არ იყოს მოცემული გრძნობად კონკრეტულად. ყოველგვარი ინდივიდუალიზაცია არ არის გრძნობად კონკრეტული და ამიტომ არც ყოველი ტიპიზაცია შეიძლება იყოს მხატვრული, რადგან, ჩვენის აზრით, გრძნობადი და მხატვრული ინდენტიური ცნებებია. ლიტერატურის ისტორიაში ბლომად მოიპოვება ისეთი ფაქტი, რომ სახე გრძნობად კონკრეტულად ინდივიდუალიზებულია, ე. ი. მხატვრულია, მაგრამ არ არის ტიპიური. მაგალითად, გოგოლის „მკვდარი სულებიდან" კოსტანჟოგლო მხატვრულია, მაგრამ არ არის ტიპიური, რადგან არ წარმოადგენს სხვა ადამიანების ზოგადი არსების შემკრებ პუნქტს. მისი არსებობა ავტორის ფანტაზიის და არა ცხოვრების განვითარების ნაყოფია, რადგან იმ დროს ადამიანის გამდიდრება ექსპლოატაციის და ფაბრიკა-ქარხნების გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ ტიპიურობა არ გამოდგება სახის მხატვრულობის კრიტერიუმად. როდესაც სახეს სინამდვილეს ვადარებთ, ვამბობთ: იგი არ არის მართალი, მაგრამ მხატვრულია, ამ სიმართლის მთქმელი, მაგრამ არა მხატვრული. ყოველივე ამის გამო შემოქმედებაში მხატვრულობა არ არის თვითმიზანი, ოღონდ მხატვრული იყოს და სულერთია რასაც ვიტყვით. მხატვრულ ნაწარმოებს კლასიკურ ფაქტად მარტო ის კი არა ჰქმნის, რომ იგი მხატვრულია, არამედ ისიც, თუ რამდენად ფართოა მისი შემეცნებითი დიაპაზონი. ისტორიას უძლეპს მხოლოდ ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომლის შინაარსადაც ალებულია სინამდვილის ისტორიული შემეცნებისა და მისი გარდაქმნის ალმაცილ ხაზზე მოთავსებული იდეა. ამაში მდგომარეობს სახის ზოგადობა.

როგორც სიბრძნის გამოხატულება. პოეზია „სიბრძნისაა ერთი დარგი", უთქვამს ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ს, და ამ სიბრძნის ადგილი ხედავს სახის ზოგადობაში, მის ტიპიურობაში. თუ აქ [illegible] კავშირს მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის, ილიამ რომ დაამყარა, მაშინ საესებით გასაგები გახდება მისი მოძღვრება სახის ზოგადობის შესახებ.

2) როგორც მოყვანილი ამონაწერიდან სჩანს, ილია სახე-ტიპის არსებას მის ზოგადობაში ხედავს, რომ იგი არის საზოგადო ნიშნების ერთად შეკრება და გამოკვეთა. მართალია, მას მაგალითი ხელოვნების იმ დარგიდან მოჰყავს, რომელსაც ქანდაკება ეწოდება, მაგრამ ასევე შეიძლება იგი გავრცელდეს ხელოვნების ყოველ ნაწარმოებზე, რადგან ილია თავიდანვე საკითხს იწყებს ხელოვნების არსების გარკვევით. ლიტერატურული სახის არსების დანახვა მის ზოგადობაში სწორი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ „ზოგადი ნიშნების კრებადობად" ვიგულისხმებდით მოვლენის არსის გამოხატვას და არა მოვლენების მექანიკური შეკრებას. ტიპის გაგება, როგორც საერთო ნიშნების მექანიკური შეკრება, პრინციპიალურად შემცდარია, რადგან იგი წარმოადგენს განზოგადოების არსების შეფასებას ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით. ტიპი იქნება არა მოვლენის გარეგანი ნიშნების ქვანტიტეტური შეკრების საფუძველზე, არამედ მოვლენის არსის გამოხატვის გზით. ტიპიზაციის პროცესის დაფუძნება საერთო ნიშნების რაოდენობრივ შეკრებაზე წარმოადგენს ფორმალური ლოგიკის აპოლოგიას, რადგან იგი გამოხატავს ცნებების შესახებ ფორმალური ლოგიკის გადატანას მხატვრულ სახეზე. ტიპის ზოგადობა, მართალია, მისი შემეცნებითი ღირებულების მაჩვენებელია, მაგრამ მისი მხატვრული ფუნქციონალური დანიშნულება ამით არ ამოიწურება. ტიპის მეორე თვისება, რომ იგი არის არა მარტო ზოგადი ნიშნების შეკრება, არამედ ინდივიდუალური ნიშნების თანხლებაც, აქცევს ტიპს მხატვრულ ტიპად. მხატვრულობა შეუძლებელია ამ მეორე მომენტის გარეშე. ი. ჭავჭავაძე კი თავის ხელოვნების თეორიაში უგულებელჰყოფს ტიპის ამ მეორე მხარეს, და ამიტომ ვამბობთ, რომ იგი ნაციონალისტური ესტეტიკის წარმომადგენელია. მართალია, სახე-ტიპი სწორედ ზოგადი ცნებაა, მაგრამ თუ მასში მარტო ეს ზოგადია შეკრებილი და არა სჩანს მისი მატარებელი კონკრეტული ინდივიდი, მაშინ ხელში შეგვრჩება რეალობას მოწყვეტილი აბსტრაქტული ზოგადი. ჩვენ კი ვიცით, რომ სინამდვილეში არ არსებობს მეტაფიზიკური, ვისი ინდივიდუალური გამოვლინებისაგან მოწყვეტილი ზოგადი, ისე, როგორც „ნაყოფი საერთოდ" მისი გრძნობად კონკრეტული მონაცემების გარეშე. როგორც „ნაყოფი საერთოდ", ისე მატერია, „როგორც ასეთი", „სხვა არაფერია, თუ არა იმ ნივთიერებათა ერთობლიობა, რომელთაგანაც აბსტრაქციაქმნილია ეს ცნება" (ენგელსი). ილიამ ერთის მხრით, სწორად შენიშნა ტიპის ნამდვილი ბუნება, როდესაც იგი მის ზოგადობაში მოათავსა. სამწუხაროდ, იგი ამით დაკმაყოფილდა თეორიაში

და სახეთა მსგავსება საფუძვლიდან გამორიცხვა მისი ინდივიდუალური თავისებურება. მაგ., ილია ამბობს: „რაც კერძოობით ნიშნები ჰქონია, ამისათვის თავი დაუნებებია გამომკვეთსო.“ ეს არ არის „ჩვეულებრივ“ ნამდვილად მწერალი, ეძებს რა საზოგადო ნიშნებს, უფრო ეს „ულრმოდგინებით აგროვებს იმ კერძოობით და ინდივიდუალურ დეტალებსაც, რომელთა გარეშე შეუძლებელია მხატვრული ტიპის შექმნა. ეს დეტალები, კერძოობითი ნიშნები იმისათვის არის საჭირო, რომ ამით გაცოცხლდეს მკითხველის წინაშე გამოსახატავი ობიექტი, რომ იგი თვალწინ დაუდგეს აღმქმელს, როგორც სინამდვილის ფაქტი, რომელიც თითქოს იმ წამში შედის მისი გრძნობათა ორგანოების სფეროში. ნ. გ ო გ ო ლ მ ა გენიალურად დაახასიათა ტიპიზაციის ეს მომენტი: „რაც უფრო მაღლაა აღებული პირის ღირსება, მით უფრო საგრძნობლად უნდა აისახოს იგი მკითხველის წინაშე; ამისათვის არის საჭირო ის უამრავი წვრილმანი დეტალი, რომელიც გვეუბნება, რომ აღებული პირი ნამდვილად სცხოვრობდა ამ ქვეყნად“. აქ გარკვევით არის თქმული იმ სპეციფიურობის შესახებ, რომელსაც ასრულებს „უთვალავი წვრილმანი დეტალი“ შემოქმედების პროცესში.

თვით ი. ჭავჭავაძე ამ წვრილმანებისა და ინდივიდუალური ნიშნების შემონახვით ჰქმნის თავის ტიპებს. ასეთია მისი მხატვრული პრაქტიკა, მაგრამ მის თეორიაში იგი არ პოულობს გამოხატულებას. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ წერილი არა არის დამთავრებული, მაგრამ ასეა თუ ისე თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით ილია თვით არღვევს თავის თეორიას ან, უკეთ რომ ვთქვათ, აშკარად ხდის მისი განმარტების უსრულობას. ასე, მაგალითად, მოთხრობა „საღრჩობელაზე“ იმით იწყება, რომ მეურმე გლეხებს ორი ყმაწვილი შეხვდათ. ილია იძლევა ამ ბიჭების დახასიათებას, მაგრამ მათში კი არ გამოჰყოფს მათ საერთო ნიშნებს, არამედ იძლევა თვითეული მათგანის დამახასიათებელ დეტალებს: „უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალები, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი, უფროსსა ჰგვანდა კიდეც და არცა ჰგვანდა: ჰგვანდა ზოგიერთ სახის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდენ. წარბშეკრული იყო და გულდახურული, თითქო რაღასაც ითმენსო და თავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო“.

როგორც ხედავთ, აქ მოცემულია სახის თითოეული განმამსხვავებელი ნიშანი. თითონ ილიას მარტო ის კი არ ამოუკრებია, რაც ამ ორ ყმაწვილს საზოგადო ქონია, არამედ კერძოობითი ნიშნებიც შემოუნახავს. ამიტომ არის, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან და არცა ჰგვანან. დეტალური ნიშნები შემონახულია, მაგრამ ყველა ისინი დალაგებულია იმ პრინციპის

მიხედვით, რომ გამოავლინოს თითოეული ყმაწვილის ფსიქოლოგიური თავისებურება. აქედან ცხადია რომ ინდივიდუალურ თავისებურებათა ფიქცია შემოქმედებაში არ წარმოადგენს თვითმიზანს, ეს სახეურება ზოგადის მაქსიმალურად გამოვლინების შესაძლეიბლობას. ლუარსაბ თათქარიძის რეალობა არა მარტო იმით ჩანს, რომ იგი „სხვას აქვს", არამედ იმითაც, რითაც იგი სხვისაგან განსხვავდება. მისი ღირსება, როგორც სახე-ტიპისა, სწორედ, იმაშია, რომ იგი წარმოადგენს ერთიანობას და ურთიერთში შეჭრას იმისას, რითაც იგი სხვას ჰგავს და რაიც სხვისაგან განასხვავებს. ეს უკანასკნელი თუ გინდ იმაში მდგომარეობს, რომ, მართალია, იმ დროინდელი თავადები განადგურების გზაზე იდგნენ, ჭამა-სმის მეტს არაფერს აკეთებდნენ და გონებრივად წყალწალებულნი იყვნენ, მაგრამ ყველა არ იყო ისე გამოკრეტინებული, რომ ორმოცდა ათ ბუზზე ეთქვა: გაფრენილან, თორემ ორმოცი იყოო.

ბაინტერესოა თვით ლუარსაბის ტიპის შექმნის პროცესის ანალიზი. თუ ჭავჭავაძის შემოქმედებითს ლაბორატორიაში ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ იგი უდიდესი გულმოდგინებით აგროვებს უთვალავ წვრილმანს ლუარსაბის ინდივიდუალური თავისებურების დასახასიათებლად. ილიამ შეკრიბა იმ დროინდელი თავადების საერთო ნიშნები, მათი ზოგადი არსება, მაგრამ ეძებს პიროვნებას, რომელშიც ხორცი უნდა შეასხა ამ ზოგადს და ცოცხლად მიაწოდოს მკითხველს. ლუარსაბის ფიზიკური ინდივიდუალობის დასახასიათებლად ილია ადგენს ორ ვარიანტს.

ვარ. I.

„თავად ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული კაცი, მრგვალი (უკაცრავად კი არ ვიყოთ შედარებაზედ) — როგორც კარგი ნასუქი კურატი. ისე რომ შეგეხედნათ, რომ როგორმე არ დაგენახათ თავ-კისერი, იტყოდით— გაბერილი რუმბიაო. თავი და კისერი ისეთი ჰქონდა, რომ ოფლის მაგიერ ქონი დასდიოდა თითქმის; სამკეცად ჰქონდა ნიკაპქვეშ ჩამოსული ღაბაბი, თვალები, დიდრონი, დაწითლებულნი ბევრის, რასაკვირველია, ძილისაგან და არა შრომისაგან, არაფერს კარგს არ ამბობდნენ თავის პატრონზედ; სახე ყოველთვის უცინოდა როგორლაც განსხვავებულ სულელობით, ამასთანავე აჩვენებდა, რომ ლუარსაბი კეთილი კაცია"

(ტ. III, გვ. 171)

ვარ. II (საბოლოო).

„თავად ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგათ ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი—უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზე — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებას; თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშოულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაღაბი; დიდრონი თვალები, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დ ა ს ი ს ხ ლ ე ბ უ ლ ნ ი, თითქო ყ ე ლ შ ი თ ო კ ი წ ა უ ჭ ე რ ი ა თ ო! გ ა ბ ე რ ი ლ ი, მ ე ტ ა დ გ ო ნ ი ე რ ა დ გ ა დ მ ო გ დ ე ბ უ ლ ი, დ ი ა ღ პ ა ტ ი ვ ს ა ც ე მ ი დ ა პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ი ღ ი პ ი, კ ო ტ ი ტ ა დ ა ქ ო ნ ი თ გ ა ტ ე ნ ი ლ ი ბ ა ლ ნ ი ა ნ ი ხ ე ლ ე ბ ი, დ ა მ ო რ ი ლ ი მ ს ხ ვ ი ლ ი ფ ე ხ ე ბ ი."

(ტ. II გვ. 150)

როგორც ხედავთ, ილია აწარმოებს პირველი ვარიანტის გადაკეთებას, მის შევსებას და გაღრმავებას სწორედ იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება მეტი სისრულით დაახასიათოს ლუარსაბის ინდივიდუალობა. რაც უფრო მოხდენილად მიდის ეს პროცესი, მით უფრო [illegible] ხდება ეს არაესტეტიური გვამი — ლუარსაბი. დამორილი ფეხები რა სილამაზეს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს აუცილებელი დეტალია ლუარსაბის სახის მხატვრული დახასიათებისათვის. შეიძლებოდა მრავალი მაგალითის მოყვანა, მაგრამ ესეც კმარა იმ დეტალების დასამტკიცებლად, რომ ტიპიზაციის არსების დეფინიციის უსრულობას და ცალმხრივობას ამჟღავნებს თვით ილიას მხატვრული პრაქტიკა.

3) თუ იმ თვალსაზრისიდან გამოვალთ, რომ სახე-ტიპი არის ზოგადი ნიშნების ერთად შეკრება, მაშინ გასაგები გახდება ის, რომ ილიასათვის ხელოვნება წარმოადგენს არა სინამდვილიდან ფოტოგრაფიულ ასლის გადაღებას, არამედ მისდამი შემოქმედების მიბაძვას. შემოქმედება აქ გაგებულია არისტოტელის და პლატონის თვალსაზრისით. პ ლ ა ტ ო ნ ი ს ესტეტიკაში მიბაძვა არ არის შემოქმედებითი აქტი, რადგან ყველაფრის შემომქმედი ობიექტური იდეაა და ეს გრძნობადი ქვეყანა მის ასლს წარმოადგენს, ამიტომ თუ მწერალი სინამდვილეს მიბაძავს, ეს იქნება ა ს ლ ი დ ა ნ ა ს ლ ი ს გ ა დ ა ღ ე ბ ა და ა რ ა ო რ ი გ ი ნ ა ლ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ ვ ა. ამის გამო ხელოვნების როლი პლატონის ესთეტიკაში დამცირებულია. ცნობილია ისიც, რომ მან პოეტები არ შეიყვანა თავის იდეალურ სახელმწიფოში.

სულ სხვაა მიბაძვის ცნება ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს. მხატვრული ნაწარმოები ესთეტიკური კატეგორიაა, რადგან წარმოადგენს სიამოვნების საშუალებას. მიბაძვა ადამიანის ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ იგი წარმოადგენს არა სინამდვილიდან უბრალო ასლის გადაღებას, არამედ მასთან შემოქმედების მისვლას, რაც უპირველეს ყოვლისა, იმით მჟღავნდება, რომ მხატვრული ნაწარმოები ემსგავსება სინამდვილეს, დამსგავსების საფუძველს კი წარმოადგენს მხატვრის მიერ ისეთი მოვლენების გამოგონება, რომლებიც შეიძლება მოხდეს სინამდვილეში აუცილებლობისა თუ ეგებისობის საფუძველზე. ხელოვნება სინამდვილეს მიბაძავს დამსგავსებისა და არა იგივეობის გზით, ამიტომ მშვენიერება ხელოვნებაში უფრო მაღლა დგას, ვიდრე სინამდვილეში: უშნო და მახინჯი ბუნებაში შეიძლება გახდეს მშვენიერი ხელოვნებაში, ე. ი. ესთეტიკური ემოციის გამომწვევი. დაახლოვებით ასეთია ილიას მიერ შემოქმედების არსების გაგება. ხელოვნების ამოცანას წარმოადგენს არსებულიდან ისეთი პროდუქციის გაკეთება, რომელიც ჰგავს და არცა ჰგავს მას. სინამდვილე ინდივიდუალურ და კერძოობით მოვლენებზე არ დაიყვანება, მაგრამ მის არსებას კი შეიცავს. ხელოვნება ამოჰკრეფს რა ზოგად ნიშნებს, ამით იგი სინამდვილეს სწმენდს არაარსებით და შემთხვევით ნიშნე-

ბისაგან. აქ ყველაზედ უფრო აშკარად ჩანს ბელინსკის გავლენა ილიას ესთეტიკურ შეხედულებაზე. „პოეზია არის ცხოვრების გამოხატვა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თვით ცხოვრება“, — მაგრამ, ბელინსკის აზრით, ესეც ცოტაა, რადგან „პოეზიაში ცხოვრება უფროა ცხოვრება, ვიდრე თვით სინამდვილეში“, რით არის გამოწვეული ის, რომ ცხოვრება პოეზიაში უფრო მაღლა დგას, ვიდრე სინამდვილეში? იმით, რომ პოეზია საშუალებას გვაძლევს ავითვისოთ ცხოვრება და სინამდვილე მის მთლიანობასა და საგნობრიობაში. „სურათი უკეთესია სინამდვილეზე?“ კითხულობს ბელნსკი და იქვე უპასუხებს: „დიახ, ნიჭიერი მხატვრის მიერ ტილოზე შექმნილი ლანდშაფტი უკეთესია ბუნებაში ყოველ ჩინებულ სანახავ ადგილზე. რატომ? იმიტომ, რომ მასში არაფერია შემთხვევითი და ზედმეტი. ყველა ნაწილი დაქვემდებარებულია მთელისადმი ყველა მიმართულია ერთი მიზნისაკენ, ქმნიან ერთ მშვენიერ მთლიანს და ინდივიდუალურს. სინამდვილე მშვენიერი არის თავის თავად, მაგრამ მშვენიერია თავისი არსებით, ელემენტებით, შინაარსით და არა ფორმით. ამ მხრივ სინამდვილე არის წმინდა ოქრო, მაგრამ გაუსუფთავებელი. მეცნიერება და ხელოვნება გასწმენდენ სინამდვილის ოქროს, გადაადნობენ მომხიბლავ ფორმაში“. *) როდესაც ილია ამბობს: „რაც საზოგადო ჰქონიათ, ის მოუკრეფია გამომკვეთსა, და რაც კერძოობითი,მისთვის თავი დაუნებებია“, — ეს აუცილებლად ბელინსკის იმ შეხედულების შესატყვისია, რომელიც ამბობს, რომ ხელოვნებამ უნდა გასწმინდოს სინამდვილის ოქრო, ყოველგვარი შემთხვევითი და ზედმეტი ელემენტებისაგანაო.

4) ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ილიამ ტიპიზაციის ცენტრი მის ზოგადობაში გადაიტანა. ეს ყველაზე უფრო უდგება მისი სოციალური კონცეპციის ესთეტიკურ გამოხატულებას,

---

*) ბელინსკის ეს შეხედულება მოყვანილია იმ წერილში, რომელსაც ეწოდება „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ და რომელსაც ილიას შეცდომით მიაწერდნენ ერთ დროს. მართალია, ეს წერილი 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ილიას არ ეკუთვნის, ამიტომ იგი ჩვენ არ გამოგვიყენებია ილიას ესტეტიკურ შეხედულებათა შესასწავლად. რომ იგი ილიას კუთვნილება ყოფილიყო, მხოლოდ იმას დაამტკიცებდა, რომ ილია ბელინსკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა ეს წერილი ეხლაც ამას ამტკიცებს, რადგან დაბეჭდილია „საქართველოს მოამბეში“ და, ცხადია ილიას რედაქციით. მასში არსებითად იმ აზრის დასაბუთებაა, რაც „საქართველოს მოამბეში“ იყო ნათქვამი ი. ჭავჭავაძის მიერ. ზემოდასახელებული ციტატი, რომელიც „ბაასის“ ტექსტშია მოყვანილი, ამოღებულია ბელინსკის წერილიდან „Стихотворения Лермонтова“, რომელიც დაწერილია 1841 წელს, ეს კი ის წელია, როდესაც ბელინსკი უკვე ადგილიდან დაიძრა და მემარცხენე ჰეგელიანობის გზას დაადგა. ცხადია, ილია იმყოფებოდა ამ პერიოდის ბელინსკის გავლენის ქვეშ. იხ. „Собрание соч. Белинского“, ნოსკოვის რედაქციით, გვ. 625.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ ტიპიზაციის პროცესის თეორიული გაგება ყოველთვის შეპირობებელია ისტორიულად, და ყოველი კლასი მხატვრული განზოგადების თავისებურ პრინციპს აყენებს. ამომავალი ბურჟუაზიის იდეოლოგებს ბრძოლა მოუხდათ იმ სქემატიზმის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებული იყო ცრუკლასიკურ ლიტერატურაში. ბუალო, როგორც ცრუკლასიციზმის ნორმატიული პოეტიკის წარმომადგენელი, გონების ფეტიშიზაციის საფუძველზე ადგენდა შემოქმედების წესებსა და ნორმებს, რომლებშიაც მწერლებს უნდა გამოეხატათ მეფის სასახლის ცხოვრება, მეფეთა მოქმედება და მათთვის თავდადება. ამის საფუძველზე შეიქნა სქემატიზმი, რომელმაც გამორიცხა პიროვნება და მისი გრძნობად კონკრეტული ინდივიდუალობა. გერმანიის უდიდესმა თეორეტიკოსმა, ლესინგმა მახვილი ჩასცა ბუალოს ესთეტიკას, დაიცვა რა ამომავალი ბურჟუაზიის ინტერესები, წამოაყენა მრავალსახიანობის პრინციპი. არა ერთფეროვნება და სინამდვილის გალამაზება, არამედ მისი ყოველი მხარის ინდივიდუალური ჩვენება. „ამბურგის დრამატურგიაში“ მან აშკარად გაილაშქრა სასახლისა და მისი სქემატიური გამოხატვის წინააღმდეგ: „მე დიდი ხანია იმ აზრისა ვარ, რომ სასახლე არ წარმოადგენს ისეთ ადგილს, სადაც პოეტს შეეძლოს ბუნების შესწავლა. მაგრამ თუ მორთულობამ და ეთიკეტმა ადამიანები მანქანად აქცია, მაშინ პოეტის მოვალეობაა ხელახლა გადააქციოს ეს მანქანები ადამიანებად.“ როგორც ხედავთ, ლესინგი ილაშქრებს სქემატიზაციის წინააღმდეგ: განზოგადება ინდივიდუალიზმის საფუძველზე, — ასეთია მისი პოზიტიური მოთხოვნა. მარტო ზოგადი ნიშნების ამოკრეფის გზით შექმნილი ტიპები წარმოადგენენ მშრალ სქემებს. სქემატიური ტიპიზაცია კი სოციალურად დეტერმინიზებულია და ახასიათებს მომაკვდავი კლასის ლიტერატურას. როდესაც მომაკვდავი კლასი ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდება და მისი საბოლოო დაღუპვა ცხადი გახდება, მაშინ ამ კლსის მწერლები, თავიანთი კლასის გადასარჩენად, ჰქმნიან ათასგვარ უტოპიურ კონცეპციებს. თეორიულად მოიფიქრებენ რა ამ უებარ წამალს, „იწყებენ მხატვრული რეცეპტის წერას,“ ხოლო იდეების მხატვრულ ტილოზე გადატანის პროცესში თავს იჩენს სახის სქემატიურობა, რადგან სინამდვილეში შეუძლებელი ხდება მათი იდეების მატარებელი ინდივიდების პოვნა, იმ მხრივ, რომ ნამდვილად შესწევდეთ სინამდვილის განვითარების შეჩერების უნარი მწერალი წინააღმდეგობაში ვარდება სინამდვილის განვითარების ობიექტური ტენდენციის მიმართ, ამიტომ მის მიერ მხატვრულად მოცემული ტიპები ხდებიან მწერლის პოლიტიკურ შეხედულებათა უშუალო გამოძახების რუპორად. ტიპი მაშინ არის სრულქმნილი, როცა იგი გადმოცემულია ტიპიურ გარემოებაში, ე. ი. გამოხატავს განვითარების ობიექტურ ტენდენციას. ლუარსაბ თათქარიძე ტიპია, მაგრამ არა სრულქმნილი, რადგან იგი არ არის გადმოცემული ტიპიურ გარემოებაში. როგორი იყო

ლუარსაბის ტიპიური გარემო? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: ეს ის დრო იყო, როდესაც საწარმოო ძალთა განვითარება ანგრევდა ძველ საწარმოო ურთიერთობას და დაღუპვისაკენ მიაქანებდა გაბატონებულ ფეოდალურ კლასს. ლუარსაბ თათქარიძის კარმიდამო პარტახდებოდა სწორედ იმის გამო, რომ ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, როგორც კლასი. ტიპისათვის ტიპიური მიზეზის მოძებნაა საჭირო და თუ ამ მხრივ მიუდგებით თათქარიძის პიროვნებას, დავინახავთ, რომ მისი დაღუპვა არ არის ახსნილი ტიპიური მიზეზით. თათქარიძე ტიპიურია თავის თავში, საზოგადოებაში, თავისი კლასის მდგომარეობის გამოხატვის თვალსაზრისით. მასში, როგორც სახე-ტიპში სწორად არის კონდენსირებული მისი კლასის ზოგადი არსება — ამ კლასმა დაჰკარგა სოციალური ფუნქცია და ზედმეტ ბარგად გადაიქცა. მიუხედავად ამისა, ლუარსაბის სახე არ არის სრულქმნილი, როგორც ტიპი, რადგან არ არის წარმოდგენილი ტიპიურ გარემოებაში, ე. ი. კორდინაციაში გარეგან გარემოსთან. როგორც ვიცით ესა თუ ის კლასი არსებობს არა განსხვავებულად, არამედ მთლიან სოციალურ გარემოში, ე. ი. სხვა კლასებთან ურთიერთობაში. ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. ამიტომ, თათქარიძის ცხოვრება გამოხატულია რა სხვა კლასთან დაპირისპირების გარეშე დაუსაბუთებელი რჩება მისი დაღუპვის აუცილებლობა. საქმე სწორედ იმაშია, რომ ილია არც ასაბუთებს მისი მოსპობის აუცილებლობას. პირიქით, ილიას მისი გადარჩენა და გაკეთილშობილება სურდა. ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია წარმომადგენელია კაპიტალიზმის განვითარების, პრუსიულ გზისა, ე. ი. მომხრეა ფეოდალური ელემენტების კაპიტალიზმში შეზრდის, და მასთან შეგუებისა. ეს ნათლად სჩანს მის მიერ მხატვრულად დახატული ტიპების ღრმა ანალიზიდან. რუსეთიდან დაბრუნებულმა ილიამ ნახა, რომ საქართველოს იმ დროინდელი მდგომარეობა შეუჩერებელ განვითარებაში იმყოფებოდა. ცხოვრება წინ მიდის და ყოველდღიურად იცვლება. რაც არსებობს, როგორც მოძრაობა და განვითარება, გონივრულია. მაგრამ რაც არსებობს, ყველაფერი არ ვითარდება და იცვლება, ამიტომ იგი არც გონივრულია. მწერლისათვის კი უნდა არსებობდეს გონივრული სინამდვილე. ილიამ ნახა, რომ, არაგონივრულია სწორედ მისი კლასის არსებობა. თითონ ილია ამ კლასის შვილია. საჭიროა მისი გადარჩენა და ახალთან შეგუება. ე. ი. გონივრულ სინამდვილედ გადაქცევა. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა გონივრულის ცუდი მხარეების გამოსწორების გზით და არა მისი ქვალიტეტური უარყოფის საფუძველზე ილიას პროგრესული და ფხიზელი რეალიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენა თავისი კლასისა და საერთოდ იმ დროინდელი მდგომარეობის სწორი ემპირული ვითარება, მაგრამ მისი რეალიზმი იმი-

ტომ არის არა თან მიმდევრული და შეზღუდული, რომ შეუნებულად მიაფუჩეჩა მოვლენების გამომწვევი ტიპიური მიზეზი.

თათქარიძის გაპირუტყვების მიზეზი ახსნილია არა საზოგადო განვითარების საფუძველზე, არამედ მისი სიზარმაცით. ილია ასწერს ლუარსაბის გაპარტახებულ კარმიდამოს, გვაცნობს, რომ ლუარსაბი კარგად ჩაფსკვნილი კაცი იყო, ჯანით და ღონით სავსე და იქვე კითხულობს: „მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდათ? მკითხავს გაკვირვებით მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, — მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით“ (II, 149). აი, არგუმენტი, რომლითაც ილია ცდილობს ახსნას ლუარსაბის გაჩანაგების მიზეზი. ილია ადამიანთა ურთიერთობას უყურებს არა როგორც საწარმოო პროცესში დამოკიდებულებას, არამედ როგორც ზნეობრივ ურთიერთობას. ამის დამამტკიცებელია მოთხრობის სახელწოდება: „კაცია ადამიანი?!“ ლუარსაბი ადამიანია, მაგრამ კაცი კი არა. მას დაუკარგავს კაცობის ყოველივე ნიშან-წყალი, გადაქცეულა მარტო სასმელ-საჭმელის საწყობად და პირუტყვს დამსგავსებია: „სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველებზე წინ წარმომდგარი თუ არა ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ“ (IX,21),—ამბობს ილია ერთ პუბლიცისტურ წერილში. „ზნეობითი კანონი“ ილიასთვის ის კანონია, რომელიც განსაზღვრავს კაცობის არსებას. მთელი უბედურება თურმე იმაშია, რომ ეს ზნეობრივი კანონი შერყეულია. პიროვნებას მოშლია მორალის საყრდნობი წერტილი და პირუტყვად გადაქცეულა. კლასი და კლასთა ბრძოლა აქ არაფერ შუაშია, რადგან იგი არც არსებობს: „ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „сословие“ ნიშნავს. ეს იქნება იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა... რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფა ერისა არ იქნებოდა... ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს, რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოვებიან, არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან... ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენში გლეხი, თავად-აზნაური, თუ მღვდელი ყველგან ერთად ძმურად ცხოვრობენ. არა, — ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება... ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა“ (VIII, 56 — 61).

აქედან ცხადია, რომ ილიასათვის ადამიანთა ურთიერთობა და მათი განხეთქილების მიზეზი მორალურია და არა ეკონომიური. ადამიანის არსება ყოფილა არა საწარმოო ურთიერთობათა ერთობლივობა, არამედ ის, რომ იგი ადამიანია. ადამიანობის ზოგადი ბუნება კი იმაში მდგომარეობს რომ იგი აზროვნობს, ფიქრობს, გრძნობს, უყვარს,იძინებს, სტკბება და სხვა. ტიპიზაცია სწორედ ამ მიმართულებით უნდა წავიდეს, მან უნდა

მოგვცეს ზოგადი კაცის დამახასიათებელი ნიშნები. როგორც ვიცით, აკაკი წერეთელმა „ვეფხვის-ტყაოსნის“ ტიპების კლასიფიკაცია მოახდინა ფსიქიკის გეოგრაფიული ლოკალიზაციის საფუძველზე. ილია ეკრიტიკებს აკაკი წერეთელს და აყენებს კლასიფიკაციის თავისებურ საზომს. მართალია, ეს საზომიც ფსიქოლოგიურია, მაგრამ არა ინდივიდუალური, არამედ ზოგად-ადამიანური. ი. ჭავჭავაძის აზრით, ყოველი ადამიანისათვის არსებობს ზოგადი ფსიქოლოგიური სიტუაციები, რომლებშიაც თუ იმ ბუნების კაცი აუცილებლად ასე უნდა მოიქცეს და არა სხვაგვარად, რომელი კლასის თუ ერის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი. „ვეფხვის-ტყაოსნის“ ტიპები: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი იძლევიან ზოგადი კაცის ბუნებას, რადგან ისინი „კაცად კაცნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“. შოთა რუსთაველი სწორედ იმიტომ ყოფილა გენიოსი, რომ მან შექმნა არა ეთნოგრაფიული ტიპები, არამედ ზოგად-ეროვნული, ადამიანთა საზოგადო ტიპები. ადამიანი კი „ყოველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია“. როგორც ხედავთ, აქ ტიპიზაცია დამყარებულია ზოგად პრინციპზე და გამოტოვებულია ის სპეციფიურ-ადამიანური, რომ მის არსებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობათა ერთობლივობა.

ილიას აზრით, ადამიანი მორალურად წამხდარია, მაგრამ უმთავრესად ეს შეეხება თავად-აზნაურობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჭავჭავაძის მხატვრულ გალერეაში მორალურად მახინჯი და უნამუსო ადამიანები თითქმის თავად-აზნაურთა წრიდან არიან გამოყვანილნი. მართალია, იგი ამ ფაქტს ანზოგადებს და ამ წოდების გათახსირებას მთელ ქართველ ერს მიაწერს, მაგრამ გამოსწორების თვითკრიტიკა მაინც მათკენ არის მიმართული, მხოლოდ მოყვრულად და არა მტრულად. სარკე მიუტანა, შიგ ჩაახედა, დაანახა უარყოფითი თვისებები და უთხრა ლუარსაბს: „იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო... რომ იქნება შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხოვო“ (II,307). როგორც ხედავთ, თვითკრიტიკა მიმართული იყო მათი გამოსწორებისაკენ: „ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახვოს, აბა ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის-მოყვარე. ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორება“ (IV,26). „ვინც შენიშნავს ნაკლულევანებას კაცშია, შეიძლება რომ იმასვე უნდოდეს იმისი გასწორება და სიკეთე. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ის ნაკლულევანება, მით უფრო სჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი ცხარე წადილი გასწორებისა... შეიძლება კაცს უყვარდეს კაცი და მტერსავით კი მოეკიდოს, როცა მასში სიცუდეს შენიშნავს“ (IV, 381-2). „ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი... მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირსუკანო“. განახლებული ცხოვრება სპობს, იგი უშენოდაც მიდის

წინ, ამიტომ თავს უშველე, გამოსწორდი და ახალ ცხოვრებას მეეგუე-თორემ დაილუპები, ასეთი იყო ილიას მოწოდება თანამედროვეულ წოდებისადმი. როგორც ადამიანი, თათქარიძე არ არის ტიპ-ინდივიდუალურ-ყველოა, კეთილი და სტუმართმოყვარე, მაგრამ მაინც ილუპება „მამა-პაპური ძილის გამო". ძილს რომ თავი დაახწევ. უნდა გამოფხიზლდე, გაკეთილშობილდე, გახდე ზნეობრივად მაღალი და კულტურული. როგორც აღვნიშნეთ, სიმძიმის ცენტრი გადატანილია პიროვნების მორალურ გაკეთილშობილებაში და მისი კლასობრივი არსება მოთავსებულია მხოლოდ და მხოლოდ მორალურ სიბრტყეზე. ილიას ტიპები და მათი ურთიერთობა „ზნეობრივ კანონზეა" აგებული. ყმა ჰკლავს ბატონს და ყაჩაღდება მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონი გულქვა და დაუნდობელია. ჯანგატეხილმა და მოხუცებულმა მამამ შვილი სთხოვა ბატონს:

„შენი ჭირიმე, — უთხრა, — ბატონო,
სახლს ვერ გავუველ მე მარტო ხელი,
დამითმე შვილი, არ დამალონო,
არ დამილუპო ოჯახი ძველი".

შვილის დათმობის ნაცვლად ბატონი მრისხანედ უპასუხებს: „თუნდ სული გაგძვრეს, რა მენაღვლება, თავში ქვა იეც და ისა ჰქენი". არც ამას დასჯერდა და ბიჭებს გაარისგვინა. ზაქრო ჰკლავს ბატონს, და ტყეში ყაჩაღად გაჭრილი კაკო ბლაჭიაშვილს ამგვარად უხასიათებს თავის ბატონს:

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შებრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადისშვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?"

ბატონს რომ სინდისი გამოჩენოდა და მამისთვის შვილი დაეთმო, რომ მას „კაცებრი გული" ჰქონოდა, მაშინ არც „კარგი ოჯახი" დაილუპებოდა და თვითონაც ცოცხალი იქნებოდა. აი, ბატონის ეს ზნეობრივი ბოროტება დალუპავს თავადსაც და გლეხსაც, ბატონსაც და ყმასაც. ყმაც ხომ ადამიანია და რატომ უნდა მოეპყრა ასე ველურად. ბატონს რომ კეთილბუნებოვანება გამოეჩინა, მაშინ მდგომარეობა ნორმალური იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ, ილიას აზრით, კეთილი ბატონები არსებობენ. ასეთი კეთილი ბატონი თავისი კეთილი ბუნებით საყვარელი და სადიდებელია. მას ყმები უდიდეს პატივს სცემენ. ასეთი კეთილი ბატონების ტიპები მოცემულია ილიას სხვადასხვა მოთხრობაში. მაგ., „გლახის ნაამბობში". როდესაც დათიკოს სასწავლებელში გზავნიან გაბრიელიც თან მიჰყვება. გაბროს მამას არა ჰსურს შვილის მოცილება. ბატონი თანახმაა შვილი მამას და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუთმოს და იგი ეუბნება გაბრიელის მამას: „შვილი მანისა არის“, თუ გინდ წაიყვანე. თუ გაბრიელი დათიკოს მიჰყვება, ენ ნებაყოფლობითია და არა იძულებითი.

„გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის ბატონყმობა-ნილია როგორც კეთილი, ისე ბოროტი ბატონების ტიპები. იაკო შაია-შვილი ეუბნება მომჩივან ბატონს: „შენა და შენა იმისთანა ბატონყმობა არ გვქონია, რომ ამელო თავი და სხვასავით მეჩივლა... ჩვენი ბატონ-ყმობა ბატონ-ყმობა არ იყო, სესხი და ვალი იყო: შენა მე მინახავდი და მენა შენ გინახავდი... ჩვენთვის ბატონ-ყმობა არ გადავარდნილა, ისევ ისე შენ ერთგულ იაკოთ მიგულე“. მოხუცებული მებატონე იაკოს მიწას უთმობს და ეუბნება: „მომიცია შენთვის, ჩემო იაკო, ღმერთმა კაი კაცობაში გა-მოგიყენოს... წამო ერთ ჩვენ კაკალ ქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელახლად დავიძახოთ მე და შენ: „ბატონისა ვარ ლალი ყმა, მტერო, არ შეგვეპოვები“-თქო. არჩილი ხომ იდეალური ბატონია „ოთარაანთ ქვრივ-ში“. აი ტიპები, რომლებიც გამოხატავენ ზნეობრივად გაკეთილშობი-ლებულ ბატონებს. ცხოვრების ფაქტიური მასალით ილია რწმუნდება, რომ ბატონსა და ყმას შორის სიყვარული არ შეიძლება: „დათიკოს ეუყ-ვარდი და მეც მიყვარდა, მაშინ რა ვიცოდი, სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება! ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს“. ამას ილია მოთხრობის შესავალში აღნიშ-ნავს. მაგრამ მოთხრობას მაინც აგრძელებს და თითქოს უმტკიცებს გლეხ-კაცობას, მართალია, ასეა, მაგრამ ამაში შენ არა ხარ დამნაშავე, შენ კეთილსინდისიერად ასრულებ ვალდებულებას ბატონის წინაშე, მაგრამ მან გიმუხთლა. ილიამ იცის, რომ „თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს?“ მ ა გ რ ა მ ი გ ი დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი ა მ ი ს გ ა მ ო ს-წ ო რ ე ბ ა შ ი. მ ხ ო ლ ო დ ს ა ჭ ი რ ო ა დ ა ე ხ მ ა რ ო დ ა მ ი უ თ ი თ ო. მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ს წ ო რ ე დ ა მ ა შ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს, მ ი ს ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ბ ა ტ ო ნ ე ბ მ ა დ რ ო ზ ე უ ნ დ ა შ ე ი გ ნ ო ნ თ ა ვ ი ა ნ თ ი „ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი კ ა ნ ო ნ ი ს“ შ ერ ყ ე ვ ა, თ ო რ ე მ შ ე მ დ ე გ გ ვ ი ა ნ ი ქ ნ ე ბ ა. ზ ნ ე ობ რ ი ვ ა დ გ ა ხ რ წ ნ ი ლ მ ა დ ა თ ი კ ო მ დ ა ლ უ პ ა თ ა ვ ი ს ი ერ თ გ უ ლ ი ყ მ ა გ ა ბ რ ი ე ლ ი. ა ვ ზ ნ ს ა ყ ო ლ ი ლ მ ა ს ა ბ ო ლ ო ა რ დ ა უ თ მ ო თ ა ვ ი ს თ ა ნ ძ მ ა ს ა ვ ი თ შ ე ზ რ დ ი ლ გ ა ბ რ ი ე ლ ს.

— „დათიკო! მე გლეხკაცი ვარ და შენ ბატონი, გეევედრები, გზიდამ ჩამომეცალე. გულიდამ ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს... შენი ჭირიმე დათიკო, ცოდვას და-მხსენ. მაგისთანა ვაჟკაცი ხარ და შენი გული როგორ ვერ დაგიმორჩილებია. მადლი ჰქენ და ენი მოიკალ: ყველას დაგითმობ და იმ გოგოს ნამუსს კი არა... დათიკო! სად მიგყევარ? ნუ გამწირავ, შემიბრალე შენი გაბრიელი.

— წყალსაც წაულიხარ.

— ფუ მაგისთანა ვაჟკაცობას!.. ფუ მაგისთანა თავადიშვილობასა!..

ვნებას და გულისთქმას აყოლილმა დათიკომ არ შეიბრალა ერთგული გაბრიელი. საცოლე გაუპატიურა და უდანაშაულო პეპიასთან ერთად ციმბირს გაისტუმრა. მართალია, ბოლოს დათიკოშიაც ქარტეხა ნიდისმა, მაგრამ გვიან იყო: „რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე მაში თუ არ მოვა". ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვა შეუძლებელი გახდა. ამიტომ გაბრიელი ჰკლავს უნამუსო ბატონს:

— წაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას?..

— ამით გათავდა შენი შერმადინობა!..

— როგორიც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე".

გაყაჩაღდა გაბრიელი და სიცოცხლე გაძაღლებული სიკვდილის წინ ეუბნება მოთხრობის დამწერს: „მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი, მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მაპატივა". როგორც ხედავთ, ილიაც ეგნატე ნინოშვილივით სვამს საკითხს. ეგნატე კი ერთ თავის პუბლიცისტურ წერილში ამბობდა: „უცებ რაღაც უხილავი მიზეზის გამო, აი, ეს ადამიანი დღეს ტოვებს ცოლშვილს, იღებს თოფს ხელში და ნადირივით გარბის ტყეში — ფირალდება". ეგნატემ კარგად იცის, რომ გაფირალება არ არის გასართობი, რომ მას აქვს რაღაც ღრმა მიზეზი: „რატომ ერთხელ იმ მიზეზებზედაც არ დაფიქრდებით, რომლებიც ჰბადებენ ყაჩაღობას? მართლა კაცი ყაჩაღად ხომ არ იბადება? ალბად იზრდება და მერე ცხოვრება სწრთვნის ყაჩაღობაში". ეგნატე დაუფიქრდა ამ უხილავ მიზეზს და მისი მხატვრული გამორკვევა „სიმონაში" დაგვიხასიათა. ძალაძე ყაჩაღად არ დაბადებულა. იგი ისევე წყნარი და ენერგიული მიწის მუშაა, როგორც სხვები, მაგრამ ცხოვრების გამო ეს ქვეყანა უბეიროდ არის მოწყობილი, იღებს თოფს ხელში და ფირალდება. სიმონა სრული ტიპია ცხოვრებისაგან გაყაჩაღებული გლეხისა, რადგან მისთვის გამოძებნილია ტიპიური მიზეზი. ივი გაყაჩაღდა არა დავით დროიძის გულქვაობის გამო, რომ დროიძეს „კაცებრი გული არა აქვს". რომ დავითი და მისი შვილები უნამუსო „ბატონები" არიან, ეს თავისთავად იგულისხმება; მთავარია კლასთა ბრძოლის შინაარსი, რომელიც სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ახლად ფეხადგმული კაპიტალი შეუჩერებლივ იზრდებოდა და ვინც წინ გადაუდგებოდა, უნდა გაენადგურებინა. დროიძისა და ძალაძის ურთიერთობა არის არა მორალური ურთიერთობა, არამედ მათი დამოკიდებულება იმ ახალ სოციალურ ძალასთან, რომელსაც საჭირო კაპიტალი ეწოდება. ეს ურთიერთობა კაპიტალის ფორმაშია გახვეული და არა ნამუსის ჭუდში.

კაკო, ზაქრო, გაბრიელი ყაჩაღებად არ დაბადებულან, ისინი ცხოვრებამ გააყაჩაღა, მაგრამ მათი უბედურების მიზეზი გამომდინარეობს ბატონის „ზნეობითი კანონის" შერყევისაგან.

განვიხილეთ რა ილიას თეორია ტიპიზაციის შესახებ და ანალიზი გაუკეთეთ რა მის შემოქმედებითს რეალიზაციას, შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში ტი-

პიზაციის პროცესი მიმდინარეობს ადამიანების მორალური ურთიერთობის განხრით, ყველა ესენი აგებულნი არიან „ზნეობითი კანონის" ძველზე.

ტიპიზაციის პროცესის ამგვარი გაგება დამახასიათებელია არა მარტო ი. ჭავჭავაძისათვის, არამედ თითქმის ყველა დიდი ჰუმანისტისა და განმანათლებლისათვის. საერთოდ ბურჟუაზიული განვითარების გარიჟრაჟზე მე-18 საუკუნის ევროპის ჰუმანისტები, მიუხედავად თავიანთი მატერიალიზმისა, საზოგადოებრივი მოვლენების ახსნის დროს იდეალიზმში ვარდებოდნენ. ბუნებათმეცნიერების საფუძველზე სრულიად შეუძლებელი იყო კლასთა ბრძოლის ნამდვილი არსების გაგება და ამიტომ ადამიანთა ურთიერთობას განიხილავდნენ როგორც მორალურ ურთიერთობას. თვით რუსეთის უდიდესი მატერიალისტი ჩერნიშევსკიც კი ვერ ასცდა ამ გზას. თავის ცნობილ წერილში „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში" ჩერნიშევსკიმ ფეიერბახისებურად დაახასიათა ადამიანთა ურთიერთობის არსება. ისე როგორც ფეიერბახი, ჩერნიშევსკიც დარჩა „ქვევიდან მატერიალისტად, ხოლო ზევიდან — იდეალისტად". ჩერნიშევსკიმ მოგვცა ზნეობრივი ცნების ანალიზი ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით. ანთროპოლოგიური მატერიალიზმი გამოდის იმ გაგებიდან, რომ ადამიანში მთავარია მისი ადამიანობა, არა ის, რომ იგი ქართველია, რუსი ვაჭარი და სხვა, არამედ ის, რომ იგი „კაცია ზოგადად". ეს მისი ზოგადი ბუნება ისეთია, რომ მიისწრაფის სიკეთისა და სასარგებლოსაკენ. სიკეთეა ის, რაც სასარგებლოა საერთოდ ადამიანისათვის. ყოველი ადამიანის მისწრაფებათა საგანს შეადგენს სიამოვნების მიღება. სიამოვნების მიღების წყარო კი მრავალნაირია. სიამოვნება, რომელიც გამოდის მყარი პრინციპებიდან, სასარგებლოა. ძალზე მყარი პრინციპებიდან მიღებული სიამოვნება კი სიკეთეა. ამგვარად, სიკეთე, როგორც მორალური განვითარების იდეალი, არის სასარგებლოს აღმატებული ხარისხი.

გარდა ამ თვისებისა, სიკეთე ხასიათდება ს

ციის საფუძველზე ააგო ჩერნიშევსკიმ თავისი რომანი „Что делать". ლოპუხოვი დაშორდა ვერა პავლოვნას ფსიქოლოგიური სხვადასხვაობის საფუძველზე. ვერა მხიარული და გულღია ბასიანოვა, ლოპუხოვი კი გულჩათხრობილი. ამის გამო მათი ერთად ცხოვრება ძნელი გახდა. ვერა პავლოვნა კირსანოვს შეეგუა, ხოლო ლოპუხოვი კატერინა კოლოზოვას დაუმეგობრდა. ეს ახალი ადამიანები იბრძვიან არსებულის გარდაქმნისათვის, მაგრამ პიროვნების ზნეობრივი გაუმჯობესების საფუძველზე, „კრიტიკულად მოაზროვნე" ადამიანების იდეების განხორციელების საფუძველზე ვერა პავლოვნამ მოაწყო კოლექტიური სამკერვალო, არა იმიტომ, რომ მიელო მოგება, არამედ იმიტომ, რომ განეცადა სიამოვნება. სიამოვნების მიღების სურვილი ეგოისტურია მაგრამ რაციონალური. ეს უკანასკნელი შემდეგში მდგომარეობს: ზოგიერთი სიამოვნების მისაღებად ფულს ღვინოში ხარჯავს, რითაც ორგანიზმს ზიანს აყენებს. ვერამ კი ფული ისეთ საზოგადო საქმეზე დახარჯა, რომელიც მისთვის სასიამოვნოა, სხვისთვის კი სასარგებლოა. ამით იგი სიკეთეს ანიჭებს სხვას. ვერა პავლოვნას აქვს მისწრაფება გახსნას სამკერვალო და ამით მიიღოს სიამოვნება, მაგრამ რატომ აქვს მას ეს მისწრაფება? „იმიტომ, რომ კეთილი და ჭკვიანი ადამიანები სწერენ წიგნს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ცხოვრება, რომ ყველანი კარგად იყვნენ".

საკითხის ამგვარ გადაწყვეტას ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს ნაწერებშიაც ვხვდებით. თუ გავიხსენებთ ი. ჭავჭავაძის კონცეპციას ადამიანთა მორალური ურთიერთობის შესახებ, ცხადი გახდება. რომ საქმე გვაქვს ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მიერ საკითხის გადაწყვეტის ანალოგიურ მდგომარეობასთან. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ჩერნიშევსკის უშუალო გავლენის შესახებ ი. ჭავჭავაძეზე, მაგრამ მათ შორის მსგავსება სავსებით თვალსაჩინოა.

როგორც მეორე ისე პირველ პერიოდში ილიას ამოძრავებს კერძო საკუთრების დაცვის პრინციპი, მაგრამ საკუთრებაზე გაშლილი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება გამოხატული აქვს როგორც მორალური ურთიერთობა. ამ ზოგადი პრინციპის მხატვრული გამოხატვის დროს ილია პირველ პერიოდში პროგრესიულია, მეორე პერიოდში კი დაბლა ეშვება რეაქციისაკენ. რით უნდა: ავხსნათ ასეთი მდგომარეობა? ფეოდალური კერძო საკუთრების ადგილი საკუთრების კაპიტალისტურმა ფორმამ დაიჭირა, მაგრამ ილია ხედავს, რომ 80-იან წლებში ნაბატონარსა და ნაყმევს შორის აღარაფერი დარჩენილა ძველი ურთიერთობიდან. ყველაფერი ვაჭრობამ და ფულმა შთანთქა. ის ზნეობრივი ნაპრალი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბატონსა და ყმას შორის, ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ არა თუ შეხორცდა, არამედ აბსოლუტურად დაშორდა ერთმანეთს. ილია კი უკან არ იხევს, კვლავ ცდილობს მათ შეგუებას. პრესამაც ეს უნდა დაისახოს ამოცანად: „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი გლეხისა და

თავად-აზნაურის ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისვლა კი არ არის, შუა-კაცობაა, შუა-ჩადგომაა, მათ შორის მშვიდობიანობა ჩამოგდებაა" (IX, 181). ილია ცდილობს აჩვენოს კონკრეტულად, თუ როგორ არის ეს შესაძლებელი და ამიტომ სწერს მოთხრობას „ოთარაანთ ქვრივს". კონცეპციის პოზიტივური გადმოცემის დროს უნამუსო და გულქვა ბატონები აღარ გამოდგებიან, რის გამო მოთხრობა აგებულია დადებითი ტიპების გამოხატვის საფუძველზე, მაგრამ ეს ტიპები და მათი ურთიერთობა ისევ „ზენობით კანონზეა" გაშლილი. არჩილი ის ნათავადარია, რომელსაც „კაცებრი გული" აქვს, რომელსაც სინდისი გაჰღვიძებია და თავის გუშინდელ ნაყმევს უყურებს ისე, როგორც საკუთარ ძმას. „ჩვენი უბედურება ის ყოფილა და არის და, ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად და შვილად არ მიგვაჩნია" (VII, 294). არჩილს კი თავი დაუღწევია ამ უბედურებისაგან, სამაგიეროდ მასას ნამუსიანი გლეხი ამოსდგომია გვერდში. „რიგიან, მიხვედრილ, სინდის გაღვიძებულ კაცთან საქმის დაჭერა ბევრად სასარგებლოა", — ამბობს ილია, და გიორგი სწორედ ასეთი სინდის გაღვიძებული პიროვნებაა, რომელმაც დაიხურა თავზე ნამუსის ქუდი და მოჯამაგირედ დაუდგა არჩილს — ამით სურს კესოს სიყვარული დაიმსახუროს. გიორგის ავიწყდება გაბრიელის ნათქვამი: „უფროს-უნცროსობაში სიყვარული სიზმარია", რომ „ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება". მართალია, ამ ხიდის გადება არც „ოთარაანთ ქვრივში" მოხერხდა და ამაშია ილიას სიძლიერე, მისი ფხიზელი რეალიზმი, რომ მან სინამდვილეს ვერ გადაუხვია, მაგრამ მას თავის მსოფლმხედველობრივი კონცეპციისათვის მაინც არ უღალატნია.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილია ცდილობს საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრას პიროვნების მორალური გაუმჯობესებისა და გაკეთილშობილების გზით. ასეთი იყო რუსეთში ნ. გ ო გ ო ლ ი ს მსოფლმხედველობრივი მაგისტრალი, მაგრამ ილია და გოგოლი განსხვავდებიან მიზანდასახულობის რეალიზაციის გზებისა და საშუალებების სხვადასხვაობით. ნ. გოგოლი პიროვნების გაკეთილშობილების საშუალებას ხედავს რელიგიასა, მონანიებასა და ლოცვა-კურთხევაში. მისი სიტყვით, შეუძლებელია საზოგადოებრივი ჭრილობის მორჩენა, თუ პიროვნებამ „ქრისტიანულად არ შეიგნო თავისი ცოდვები". *) სწორედ ამიტომ იყო, რომ ბელინსკიმ უსაყვედურა გოგოლს: „შენ ვერ შეამჩნიე, რომ რუსეთი თავის გადარჩენას ხედავს არა მისტიციზმში, არა ასკეტიზმსა და პოეტიზმში, არამედ ცივილიზაცია-განათლებასა და ჰუმანიზმის წარმატებაში". **). ი. ჭავჭავაძის შემოქმედება სწორედ ბელინსკის მიერ ნაჩვენები გზით მიდის: საზოგადოების გაუმჯობესება, მაგრამ არა ლოცვა-კურთხევისა და

*) „Соч. Гоголя", 1900 წ., ტ. IV. გვ. 209.

**) В. Белинский „Письмо к Гоголю".

რელიგიური მისტიციზმის გზით, არამედ წიგნში ამოკითხული და ცხოვრებაში განაღდებული ცოდნის საშუალებით. ი. ჭავჭავაძე ამ იმედით ამთავრებს „ოთარაანთ ქვრივს“, რომ ჩატეხილი ხიდი მომავალში მაინც გაიდება წიგნში ამოკითხული ცოდნის ცხოვრებაში განხორციელებით: „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკან სწვავს და ჰბუგავს, წინ ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავე ნაპირს გააერთებს“. 80-იან წლებში „ზნეობრივი კანონი“ ცრემლის ნიაღვრად იქცა, რომელმაც მთელი ტივი უნდა მოიტანოს ხიდის გასადებად. ასეთი იყო ილიას სოციალური კონცეპცია როგორც სამოციან, ისე ოთხმოციან წლებში, მაგრამ მისი შემოქმედებითი რეალიზაცია სამოციან წლებში პროგრესიულ შინაარს ატარებდა, რადგან ზნეობითი კანონის დარღვევა გამოჰყავდა სინამდვილის ფაქტიურ მასალიდან. ლუარსაბის, დათიკოს, გაბრიელის და კაკოს ცხოვრების აღწერა იმას ადასტურებდა, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა, თუ გინდ მორალური, ანტოგონისტურ-წინააღმდეგობრივ ხასიათისაა. ფაქტების ემპირიული მყოფობა სწორად იყო გადმოცემული და რეალისტური სიმართლე მტკიცედ მომარჯვებული. მართალია, ადამიანებს შორის არსებული წინააღმდეგობის მიზეზის ახსნაში არ შეიძლება დაეთანხმოთ ილიას, როცა მან ეს მიზეზი მორალურ სიბრტყეზე გადაიტანა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ილიას მიერ აღწერილი მოვლენები არსის გამოვლენებია, რომლებიც არ შეიძლება სხვაგვარად მომხდარიყო. მოაშორეთ ბატონს გულქვაობა, უნამუსობა, უდიერად მოპყრობა ყმის მიმართ და იგი აღარც ბატონი იქნება. დათიკო უნამუსოდ ეპყრობა გაბრიელს თავისი ზნეობრივი გახრწნილების გამო, მაგრამ მისი ამგვარი ყოფა არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ მისი სოციალური არსებობის ზნეობრივი გამოხატულება. მარქსიზმის აზრით, ზნეობა არ არის მეტაფიზიკური აბსტრაქცია, რომელიც მხოლოდ ადამიანს, „როგორც ასეთს“, ახასიათებს, იგი ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ფსიქოიდეოლოგიური გამოხატულებაცაა. ზნეობრივი კანონის უარყოფა იმ მხატვრულ ფორმაში, რომელშიაც იგი ილიამ გვიჩვენა, ნიშნავდა იმ ადამიანებისა და მათი სოციალური ურთიერთობის უარყოფას, რომელნიც მაშინ არსებობდნენ. როგორც ვიცით, ილიას ასეთი დასკვნა არ გამოჰქონდა. მაგრამ ისეთი დასკვნა გამოჰქონდა მკითხველს. ამიტომ ილიას მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა იწვევდა სულ სხვა აღქმის რეაქციებს, ვიდრე ეს ილიას ჰქონდა განზრახული. მისი შემოქმედების სოციალურმა ფუნქციამ, არა თუ ხელი შეუწყო ლუარსაბის გადარჩენას, არამედ დაარჩარა მისი დალუპვა. ეს არც გასაკვირველია, რადგან თავად-აზნაურულ წოდებას არ შესწევდა ილიას მიერ თვითკრიტიკის წესით მხილებული უარ-

ყოფითი მხარეების გამოსწორების სოციალური უნარი. ბეთოვენი-ა მხოლოდ მაშინ არის გაუმჯობესებისა და წინმსვლელობის ძლიერი საშუალება, როდესაც არსებობს მხილებული ფაქტების მოცილების შესაძლებლობა ეს კი შეუძლია ზრდის პროცესში მყოფ კლასს. თავად-აზნაურობას დაღუპვის თავდალმართზე დაქანებულს ვერაფერი შეაკავებდა. ილია ჭავჭავაძემ თავისი მხატვრული ნაწარმოებით ამ დაღუპვის პროცესი დააჩქარა და ამით იგი ობიექტურად ხელს უწყობდა განვითარების ტენდენციას, თუმცა მის სუბიექტურ განზრახვას სხვა წარმოადგენდა.

ილიას მსოფლმხედველობრივი მაგისტრალი მთლიანია, მაგრამ მისი ესთეტიკური დასაბუთება მეორე პერიოდში რეაქციისაკენ ეშვება, რადგან მისი მსოფლმხედველობრივი მოსაზრებები რეალისტური ფაქტებით დაუსაბუთებელი დარჩა. თუ პირველ პერიოდში მსოფლმხედველობის დასასაბუთებლად ზნეობრივად მახინჯი ბატონები იყვნენ გამოყვანილი და ამით დაცული იყო ფაქტიური სიმართლე, „ოთარაანთ ქვრივში" ურთიერთობა იმიტომ არის მოწესრიგებული, რომ ადამიანები ზნეობრივად გაკეთილშობილებულნი არიან. ეს კი არა რეალური აბსტრაქციაა, რადგან ფაქტები მოსწყდა სინამდვილეს და მთლიანად ზოგადის სფეროში ავიდა. თუ ლუარსაბი ტიპიური იყო თავისი კლასის მდგომარეობის გამოხატვის თვალსაზრისით, არჩილი და გიორგი ამ თვისებას მოკლებულნი არიან, რადგან ისინი ავტორის მსოფლმხედველობრივ შეხედულებათა მხატვრულ გამოხატვას წარმოადგენენ და არა სინამდვილის ასახვას. ისინი იმას გვიხსნიან, თუ რას ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე, და არა იმას, თუ როგორ იყო ფაქტიური მდგომარეობა. მართალია. „ოთარაანთ ქვრივში" სწორად არის გააბსტრაქტებული კერძო მესაკუთრის ფსიქოლოგია, მაგრამ ურთიერთობა მესაკუთრეთა შორის გაყალბებულია. ეს ურთიერთობა არ არის მოცემული თავის ტიპიურ ფორმაში. განზოგადების ობიექტად აღებულია არა ტიპიური მოვლენა, არამედ გამონაკლისი და შემთხვევითი. ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს კესოსა და გიორგის შორის, არ არის დამახასიათებელი იმ დროისათვის. მართალია, სინამდვილეში შეიძლება ყოფილიყო ისეთი მოვლენა, გლეხს თავადის ქალიშვილი შეჰყვარებოდა და ამის გამო მის ოჯახში მოჯამაგირედ დამდგარიყო, მაგრამ ეს გამონაკლისია და არა ტიპიური.

მოვლენებს გამოგონება არ უშლის ხელს ტიპიურობას იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოგონება ემყარება შესაძლებლობისა და ეგებისობის ლოგიკას, ე. ი. თუ ფაქტიური სიმართლე შეცვლილია ლოგიკური სიმართლით, მაგრამ ტიპის შექმნა შეუძლებელია გამონაკლისის განზოგადებით. ტიპიურობის პრინციპად აყვანილი გამონაკლისი არღვევს მხატვრულობის სიმართლეს. მხატვრულობის სიმართლე კი, უპირველეს ყოვლისა, მის ტიპიურობაში უნდა გამოჩნდეს, რადგან ტიპი არის ერთი გვარის

ყველა კერძო მოვლენის არსებითი ნიშნების განზოგადოება, რომელიც გამოხატავს შემოქმედების ობიექტის შემეცნებითს არსებას. გამონაკლისის განზოგადოება კი შემოქმედებას აცლის შემეცნებითს ღირსებას. მართალი იყო დობროლიუბოვი, როდესაც ამბობდა, რომ მხატვარი აბსოლუტურ სიყალბეს არას დროს არ იგონებს, მის მიერ აღწერილი მოვლენები არ შეიძლება აბსოლუტურად არ არსებობდნენ, როგორც შემთხვევითნი და გამონაკლისნი, მაგრამ ასეთ ფაქტებზე აგებული ნაწარმოების სიყალბე სწორედ იმაშია, რომ „მათში აღებულია ნამდვილი ცხოვრების შემთხვევითი, ყალბი ნიშნები, რომლებიც არ შეადგენენ მის არსებას, მის დამახასიათებელ თვისებას“ *). ტიპიურობის ამგვარი გაგების საფუძველზე არჩილი და გიორგი არიან არარეალური ტიპები, ინდივიდები და პიროვნებები. იმ დროს ისეთი ტიპები არსებობდნენ და ურთიერთობა ნაბატონარსა და ნაყმევს შორის იმგვარი არ იყო.

მაგრამ შეიძლება ისინი ისეთი იდეალური ტიპები იყვნენ. რომლებიც მომავალში უნდა მოსულიყვნენ, ე. ი. ისინი შესაძლებლობის ტიპები არიან. მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება ისეთი ტიპებიც, რომლებიც მაშინ არ არსებობენ, როცა რომანი იწერება; ამ შემთხვევაში ავტორი ემყარება აუცილებელ შესაძლებლობას, ცხოვრების განვითარების ტენდენციას, რომელიც შემდეგში სინამდვილედ უნდა გადაიქცეს. ამ ტიპების ჩანასახი აწმყოშია, მაგრამ მათი სრული გაშლა და განვითარება მომავლის საქმეა. შეიძლება გიორგი და არჩილი ასეთი იდეალური ტიპები იყვნენ, რომელთა რეალური გაშლა მომავალში უნდა გამხდარიყო, როგორც აუცილებლობა? მაგრამ ამ მხრივაც ისინი არ არიან ტიპიურნი, რადგან საზოგადოების განვითარებასა და კლასთა ბრძოლას მივყავდით და მივყავართ არა მდიდრებისა და ღარიბების ერთმანეთთან შეგუებისაკენ, არამედ კერძო საკუთრების მოსპობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. ამიტომ ვინც ილიას პროლეტარული სოციალისტობის მანდატს აძლევს, უხეშად ამახინჯებს კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას (მაგ., კაპანელი, კოტეტიშვილი, ხუროძე და სხვა.)

მაშასადამე, გიორგი, კესო, არჩილი არ არიან ტიპები იმ დროინდელი კლასთა ბრძოლის არსების გამოხატვის თვალსაზრისით. ამიტომ „ოთარაანთ ქვრივში“ სჭარბობენ არარეალური ტენდენციები, და ილიას პროგრესულობაც ქვევით ეშვება. მართალი იყო ხუნდაძე, როდესაც მან ი. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ „ოთარაანთ ქვრივთან“ დაკავშირებით გამოსთქვა: „ი. ჭავჭავაძე ისტორიული ფაქტიდან კი არ გამოდის, არამედ წინასწარ განზრახული იდეით მიდის ისტორიულ ფაქტთან; ამი-

*) Н. Добролюбов: „Темное царство“, 1923 წ., გვ. 48.

ტომ ფაქტი კი არ იშლება ისტორიული განვითარების ფონზე, არამედ წინასწარ შემუშავებული გეგმების მიხედვით ისახება მის შემოქმედებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივი". ეს ნაწარმოები რეალისტური ხასიათისაა, მაგრამ უაღრესად ტენდენციური. ი. ჭავჭავაძის მხატვრული დიდი ნიჭი თითქოს ფარავს ამ ტენდენციას და ამ ნაწარმოებს გვიდგენს, როგორც ჩვენი ცხოვრების რეალურად ამსახველს, მაგრამ ეს სწორი არ არის მის მიერ დახატული „ცხოვრება" არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს. „ოთარაანთ ქვრივი" ი. ჭავჭავაძის სოციალურ ფილოსოფიას უფრო გამოხატავდა, ვინემ ჩვენი რეალური ცხოვრების რეალურ ვითარებას." ეს მოსაზრება ჭეშმარიტია და სწორად იძლევა ილიას მოღვაწეობის მეორე პერიოდის სოციალურ არსებას. „ოთარაანთ ქვრივში" ტიპიურობა, გადატანილია რა მორალურ სიბრტყეზე, მოწყვეტილია მის რეალურ დასაბუთებას. ტიპიზაციის პრინციპი კი ისევ ძველი რჩება, როგორც „ზნეობრივი კანონის" პრინციპი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა ი. ჭავჭავაძის ტიპიზაციის თეორიისა და მისი შემოქმედებითი რეალიზაციის შესახებ: ტიპის არსება გადატანილია მის ზოგადობაში, აქედან — კერძოობთი ნიშნების უგულებელყოფა თეორიულ კონცეპციაში, მაგრამ მისი შემონახვა მხატვრულ შემოქმედებაში. ტიპიზაციის პროცესი დაფუძნებულია „ზნეობრივ კანონზე", რის გამოც ი. ჭავჭავაძის ტიპები არ არიან სრულქმნილნი ტიპიური განვითარების ობიექტური ტენდენციის გამოხატვის თვალსაზრისით.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი

ფორმალიზმის შესახებ

კლასობრივი, იერარქიული წყობილების ქვეყანაში მძვინვარებს ფაშიზმი, რომელიც არსებითად წარმოადგენს ყველაზე უფრო საზიზღარი გაიძვერებისა და არამზადების შერჩევის ორგანიზაციას დანარჩენი ადამიანების დამონებისთვის, მათგან კაპიტალისტების შინაურ ცხოველებად აღზრდისათვის.

კლასობრივი სტრუქტურის ქვეყნებში ხელისუფლება ზემოაღნიშნული გაიძვერებისა და არამზადების ხელშია, რომელნიც დაინტერესებულნი არიან უსირცხვილო და აშკარა დესპოტიზმის, მშრომელი ხალხის უმაგალითო და არაადამიანური დამონების გაფართოებით და განმტკიცებით. ტერმინებს „გაიძვერები" და „არამზადები" ვხმაროობ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მიპოვნია უფრო ძლიერი სიტყვა.

დაახლოებით ხუთასი წლის განმავლობაში ბურჟუაზია ქადაგებდა ჰუმანიზმს, ლაპარაკობდა და სწერდა ადამიანებში კეთილი გრძნობების — მოთმინების, თვინიერებისა და მოყვასისადმი სიყვარულის აღზრდის საჭიროებაზე. ამჟამად მთელი ეს მარმელადი სრულიად გამოსულია ხმარებიდან, დაწუნებული და, შეცვლილია ჭირვეულთა მორჯულების უმარტივესი ფორმულით: ჭირვეულებს ნაჯახით ჰკვეთენ თავებს., ეს, რასაკვირველია, საუკეთესო ფორმაა, რათა ადამიანს მოესპოს უნარი პატიოსნად იაზროვნოს.

ეგრეთწოდებული საერთაშორისო უფლება, რომელიც, ვგონებ, არასოდეს არ არსებობდა, ამჟამად სრულებით მოსპობილია. იტალიური ფაშიზმი ამყარებს არაადამიანობის რეკორდებს როცა ანგრევს ყუმბარებით წითელი ჯვრის საავადმყოფოებს, ხოცავს დაჭრილებს, ჟლეტავს საექიმო პერსონალს, სწამლავს მშვიდობიან მოსახლეობას გაზებით, ხოლო პირუტყვს, მიწას, წყალსა და მცენარეულს. შხამით. გერმანული ფაშიზმი გულმოდგინედ ემზადება ასეთივე რადიკალური მოღვაწეობისათვის. ამბობენ, რომ მან გამოიგონა ისეთი საწამლავი, რომლის ძალაც რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედებს, ე. ი. ამ საწამლავით მოწამლული მიწა ჰკარგავს მოსავლიანობის უნარს ხუთი წლით, რის მეოხებითაც მო-

სახლეობისათვის სავსებით უზრუნველყოფილი იქნება შიმშილით სიკვდილი. მალტუსი, მალტუსის მიმდევრები და უელსები კმაყოფილნი უნდა იყვნენ: აღმოჩენილია მოსახლეობის შემცირების ადვილად გამოსაყენებელი საშუალება. ზოგიერთი რასისა და ტომის საფუძვლიანი მოსპობის საჭიროებაზე. ჯერ კიდევ არ ლაპარაკობენ, მაგრამ ამ სიგიჟის ხაზით ზოგი რამის კეთებას უკვე შეუდგნენ.

მეტად კარგია ადამიანს მოეპოვებოდეს ჭეშმარიტება, რომელიც მოხსნის მას პასუხისმგებლობას ყოფაქცევისათვის. მეტად ხელსაყრელია ღმერთის არსებობის რწმენა, რადგან ქრისტიანული ეკლესია გვასწავლის: ღმერთი არის ერთად-ერთი ჭეშმარიტება უკუნითი უკუნისამდე, მასში იმყოფება მთელი ძალა და სიბრძნე და მისი ნების, გარეშე ბალანიც კი არ ჩამოვარდება ადამიანს თავიდან. „მაშასადამე“: რაც არ უნდა ჩავიდინო, ეს იქნება სასურველი ღვთისათვის, ჩემი ნებისყოფის ხელმძღვანელისათვის, ხოლო მე არაფრის წინაშე არა ვარ პასუხისმგებელი, მაშინაც კი, როდესაც ადამიანის თმას თავთან ერთად ჩემ თვალწინ აშორებენ. ადამიანის სხეულს ნაჯახით, აშორებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ადამიანი აზროვნებს ისევე, როგორც ვაზროვნებ მე. მე შემიძლიან ვიცხოვრო წყნარად და გულგრილად, მოვანდომო მთელი ჩემი ძალღონე საშუალო ხარისხის ლექსებისა და საშუალო ხარისხის რომანების თხზვას· ამ მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ვმსჯელობ ფორმის მნიშვნელობაზე, ფორმალიზმზე და სხვა საკითხებზე, რომლებსაც ესა თუ ის დამოკიდებულება აქვს ჩემს პროფესიასთან.

* * *

საკითხი ფორმის შესახებ ძველი საკითხია. ის მარტო ლიტერატორებს როდი აინტერესებს—გერმანელმა ფაშისტებმა, რომელნიც მიისწრაფვიან სადიზმის გამომჟღავნების ფორმათა სრულ დამოუკიდებლობისაკენ, უარჰყვეს რევოლიციური გილიოტინა და შესცვალეს იგი ყასბის ნაჯახით. ჩვენს დროში ყველაფერი ასე თუ ისე გაფორმებულია და გაფორმების პროცესში იმყოფება.

ამას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ მოხუცმა პლატონმა, იდეალიზმის ფილოსოფიის საფუძვლის ჩამყრელმა, რომელიც სცხოვრობდა დაახლოვებით 2366 წლის წინათ. როგორც ცნობილია, პლატონი ჭადაგებდა, რომ ფორმა არის ერთად-ერთი მომქმედი ძალა, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ ეს ძალა და ყოველგვარი რეალობა — ბუნების მოვლენები, ადამიანის შრომით შექმნილი საგნები — და საერთოდ მთელი მატერია არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ამოავსოს ფორმა. პლატონის

აზრით გამოდის, რომ ფორმა არის მთელი არსებულის სრულყოფილი იდეა და რომ არ არსებობდეს ფორმის იდეა — არაფერი არ იქნებოდა; სამყაროში იქროლებდნენ უხილავად და შეუგრძნობელად ფულად პლანეტების, მზეების, მერცხლების, ღრუბლების, არწივების, ბალლინჯოები, ხოჭოები და საერთოდ პარაზიტები არ იარსებებდნენ, რადგან ამ უკანასკნელთა ბინძური კულტივატორი — ადამიანი — იარსებებდა აგრეთვე შეუგრძნობლად და უხილულად. არსებობს, ვთქვათ, ლიტერატორი, მაგრამ შეუძლებელია ხელი შეახოთ მას! რასაკვირველია, მისთვის ეს მეტად ხელსაყრელია.

იდეალისტურ მსოფლმხედველობას ყველა ადვილად როდი ითვისებს, ამიტომ ფორმის მნიშვნელობის შესახებ კამათობდნენ 2.366 წლის განმავლობაში, კამათობდნენ 1936 წლის მარტამდე. ლიტერატურაში ფორმის საკითხი ესტეტიკის საკითხია, სილამაზის საკითხია. ჰეგელისთვის ისევე, როგორც პლატონისთვის, სილამაზე იდეის გამოხატულებაა. სამართლის სფეროში ფორმალიზმი თავის გამოხატულებას ჰპოვებს იმაში, რომ კანონის ასოს ეძლევა უპირატესობა შინაარსის წინაშე. ესთეტიკაში (მოძღვრება სილამაზეზე) ფორმალისტები ამტკიცებენ, რომ სილამაზე თავის განსახიერებას და გამეტყველებას ნახულობს ბგერების, ფერადების, ხაზების ჰარმონიულ შეხამებაში, რაც თავისთავად სიამოვნებას ჰგვრის ადამიანის მხედველობასა და სმენას, დამოუკიდებლად იმისა, თუ რისი გადმოცემა ხდება მათი საშუალებით.

ხაზების ურთიერთდამოკიდებულება ხუროთმოძღვრებაში, ხაზების თამაში ორნამენტში, ფერადების შეხამება ჩვენი ტანსაცმელის მასალაში, ჭურჭლეულისა და საოჯახო საგნების ფორმების მოხდენილობა, სილამაზე და მოხერხებულობა ზოგჯერ ისევ საუცხოო და მშვენიერია, როგორც მშვენიერი და საუცხოოა მელოდია მუსიკაში. ლიტერატურაში ზედმეტი ორნამენტიკა და დეტალიზაცია აუცილებლად იწვევს ფაქტებისა და სახეების შინაარსის დაჩრდილვას. ვისაც სურს დარწმუნდეს ამაში, კეთილი ინებოს და წაიკითხოს ეკლეზიასტი, შექსპირი, პუშკინი, ტოლსტოი, ფლობელი მარსელ პრუსტთან, ჯოისთან, დოს-პასოსთან და სხვადასხვა ხემინგუებთან ერთად.

ფორმალიზმს, როგორც „მანერას", როგორც „ლიტერატურულ ხერხს" ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ სულის სიცალიერისა ან სიღატაკის დასაფარავად. ადამიანს სურს ადამიანებთან ლაპარაკი, მაგრამ სათქმელი არაფერი აქვს, და მოსაწყენად, გრძლად, ზოგჯერ ლამაზი და მოხერხებულად შერჩეული სიტყვებით ლაპარაკობს ყველაფერზე, რასაც კი ხედავს, მაგრამ რისი გაგებაც არ შეუძლია, არა სურს ან ეშინიან. ფორმალიზმით სარგებლობენ, როცა ეშინიათ გამოსთქვან უბრალო, ნათელი და ზოგჯერ უხეში სიტყვა, როცა ეშინიათ პასუხისმგებლობისა ამ სიტყვისათვის. ზოგიერთი ავტორი სარგებლობს ფორმალიზმით, როგორც

საშუალებით, რათა გაახვიოს თავისი აზრები ისეთ სამოსში, რომ ერთბაშად ნათელი არ გახდეს მათი მახინჯი და მტრული განწყობილება სინამდვილისადმი, მათი განზრახვა დაამახინჯონ ფაქტების და მოვლენების აზრი. მაგრამ ეს ეკუთვნის უკვე არა სიტყვის, არამედ ფილოსოფოსობის ოსტატობას.

***

კამათი ყოველთვის უნდა დავიწყოთ იმით, რომ ზუსტად გამოვარკვიოთ ის ცნება ანუ საგანი, რომლის შესახებაც ვკამათობთ. ზუსტად გამორკვევა მეტად ძნელი საქმეა, თუ ამ გამორკვევას არ ავიღებთ ისტორიულ განვითარებაში. ისტორია ერთად-ერთი სარკეა, რომელიც რამდენადმე დახმარებას უწევს ადამიანს დაინახოს საკუთარი თავი შორიდან, იმ ადგილიდან, სადაც მას ოდესღაც ება ხილული და ხელშესახები კუდი და სადაც ეხლა — ალბათ, თავის ქალის კეფის ნაწილში — უხილავადვე არსებობს ერთგვარი პატარა კუდი, აღზრდილი ეკლესიისა და სამშობლოს, ე. ი. კლასის მეცადინეობით. შორეულ წარსულში, როდესაც ადამიანმა აზროვნება დაიწყო, იგი აზროვნებდა ტექნოლოგიურად, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ თავისი შრომის გამოცდილებაზე დაყრდნობილი. ტექნოლოგია არის ფაქტების ლოგიკა, რომლებსაც ქმნის ადამიანთა შრომითი მოქმედება, იდეოლოგია არის იდეების ლოგიკა, ე. ი. ფაქტებიდან ამოკრეფილი აზრების ლოგიკა, აზრებისა, რომლებიც გვიჩვენებენ ახალი ფაქტების შემოქმედების გზებს, ხერხებსა და ფორმებს. აზროვნება დიალექტიკური იყო დასაწყისშიც და არ შეეძლო არ ყოფილიყო მატერიალისტური. ადამიანები სვამდენ წყალს პეშვით, რაც მოუხერხებელი იყო. ადამიანებმა იწყეს თასების კეთება ხის ქერქისაგან, ხისაგან, თიხისაგან, ლითონისა და მინისაგან. ნახეს, რომ ზეცა ჩამოჰგავს თასს მას შემდეგ, რაც თასი გაკეთებული იქნა დედამიწაზე. ვერ გამონახავთ ვერც ერთ განყენებულ ცნებას, რომლის საფუძველსაც რეალობა არ შეადგენდეს.

იდეოლოგიური აზროვნება მოსწყდა ტექნოლოგიურს, იმიტომ რომ შრომას წაერთვა აზროვნების უფლება. ამით დარღვეულ და დამახინჯებულ იქნა მშრომელი კაცობრიობის დიალექტიკური აზროვნების პროცესი. წარმოშვეს რელიგიურ-მორალური იდეები, რომელთა მიზანსაც შეადგენდა ადამიანთა დაშინება, ადამიანების დამორჩილება იდეებისთვის, რომელთაც საერთო თითქმის არაფერი აქვს შრომის სასიცოცხლო მოქმედებასთან. იდეებს, რომელთა ნიადაგად რჩებოდა შრომა, უნდა მიეღოთ და კიდევაც მიიღეს ზღაპრული და ფანტასტიური ხასიათი, მაგრამ მაინც დარჩნენ შრომითი იდებად, რომელნიც გამომდინარეობენ შრომის ძალის ძლევამოსილობის რწმენიდან. მე მხედველობაში მაქვს იდეები: ჰაერის დაპყრობა, ნივთიერების გარდაქმნა, მოძრაობის დაჩქარება სივრცეში.

მდინარეთა დენის სიძლიერის დაუფლება, ცოცხალი და მკვდარი წყლის იდეა და სხვა. ფოლკლორის ამ იდეებით ფილოსოფია დაინტერესებული არ იყო. მე ძალიან ხშირად და ბევრი მიწერია ამ თემაზე და ზედმეტად მიმაჩნია მრავალჯერ თქმულის განმეორება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

კამათს ფორმალიზმის შესახებ მე, რასაკვირველია, მივესალმები. ლიტერატორთა ყრილობის დღიდან 19 თვემ განვლო, და დიდი ხანია უკვე საჭირო გახდა ამა თუ იმ საკითხზე კამათის ჩამოგდება. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ფორმალიზმს ერთობ მალე მოუღეს ბოლო. და რადგან ეს კამათი წამოიჭრა არაკავშირის შიგნით, არამედ გვიკარნახეს გარედან, — იბადება ეჭვი: მხოლოდ სიტყვიერად ხომ არ მოელო ამ საქმეს ბოლო? მე ვფიქრობ, რომ კამათი ფორმალიზმის შესახებ შეგვიძლია გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ, რისთვსაც უნდა შევიტანოთ მასში თემა ჩვენი ყოფაქცევის ფორმების შესახებ, რადგან ჩვენს ყოფაქცევაში ადგილი აქვს რაღაც უცნაურობას.

მაგალითად უცხოეთის ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელსაც შეგნებული აქვს ფაშიზმის სისაძაგლე, რომელიც ხედავს, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი წარმატებით მუშაობს, რასაც უდაო ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს, — რწმუნდება კლასობრივი ბრძოლის სარგებლობასა და აუცილებლობაში და იწყებს თავისი ქვეყნის პროლეტარებთან თანამშრომლობას, — როგორ გამოხმაურებას ჰპოულობს ეს ჩვენში, საბჭოთა კავშირის ლიტარტორებში? როგორ აზრებს აღვიძებს ჩვენში ეს მოვლენა, სახელდობრ რას ვამბობთ ჩვენ ლექსებსა და პროზაში ამის შესახებ?

ჩვენი ლიტერატურის ერთი ნაწილი, მეტად მცირე ნაწილი უკვე გახდა ინტერნაციონალური. დროა შევიგნოთ, რომ ეს არის მისი გზა, მისი დანიშნულება. ჩვენს წიგნებს მოელიან, ამასთან მოელიან სავსებით რეალისტურ წიგნებს, მაგრამ გაშუქებულს და გამთბარს გმირული შრომის იმ პათოსის ცეცხლით, რომლითაც სავსეა ჩვენი სინამდვილე.

აქედან სავსებით ნათელი ხდება, რომ ჩვენ მუშაობის დროს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ხალხის შრომითი მოღვაწეობის ინტერნაციონალური აზრი და შევაცადოთ მივსცეთ უცხოეთის პროლეტარებს რაც შეიძლება ნათელი წარმოდგენა პროლეტარიატის გმირობაზე.

რატომ არის, რომ ჩვენი ლიტერატურა თავდაჭერილად ან ამაყად სდუმს, როდესაც ესმის ან კითხულობს ფაშიზმის სისაძაგლის შესახებ? რატომ არ ვააშკარავებთ ჩვენს განრისხებას, როცა ვკითხულობთ, თუ როგორ უშენენ ყუმბარებს იტალიელი მფრინავები წითელი ჯვრის საავადმყოფოებს. ჰკლავენ დაჭრილ აბისინელებს, სპობენ ექიმებს, ქალებს, ბავშვებს, სწამლავენ წყალს, მიწას, პირუტყვს, მცენარეულს? ხომ ვერ ვი-

ტყვით, რომ ჩვენი ლიტერატორები გატაცებული არიან თავიანთი ქვეყნის სინამდვილით იმ ზომამდე, რომ მათ აღარ რჩებათ დრო და ძალა ყურადღება მიაქცინონ უცხოეთის ცხოვრებას?

თუმცა ჩვენში წიგნები იწერება ისევე სწრაფად, როგორც დაუდევრად, მაგრამ 19 თვის განმავლობაში, რომელიც ყრილობის შემდეგ გავიდა, მწერალთა კავშირის 3.000 წევრმა თავის შემოქმედების საოცრად მცირე „პროდუქცია“ მოგვცა. კარგია, თუ ეს სინელე მეტყველებს უფრო დაკვირვებული მუშაობის შესახებ.

სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა და როგორი ფორმით შეგვიძლიან და უნდა მივაწოდოთ უცხოეთის მკითხველს. სერიოზულად უნდა ვიფიქროთ აგრეთვე „თავდაცვითი“ ლიტერატურის შექმნის აუცილებლობაზე, რადგან ფაშიზმი გულმოდგინედ ლესავს კბილებსა და ბრჭყალებს ჩვენს წინააღმდეგ, და იტალიის ფაშისტების მიერ აბისინელთა პირწმინდად გაჟლეტას გერმანელი ფაშისტები, რასაკვირველია, აფასებენ, როგორც „ხმლის სინჯვას“, რომლის გამოყენებასაც, როგორც ვიცით, ისინი აპირებენ საბჭოთა კავშირის პროლეტარებისა და კოლმეურნეთა ამოსაწყვეტად.

აქ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს იმის აღნიშვნა, რომ გერმანელმა ლიტერატორებმა—ფეიხტვანგერმა, ა. დებლინმა და მრავალმა სხვამ—უკვე გამონახეს დრო იმისათვის, რომ ჯეროვანად აესახათ და ემხილებინათ ფაშიზმის სისაძაგლე, ხოლო, ჩვენში 18 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ არ დაწერილა არც ერთი წიგნი, სადაც ქვეყნის გარდაქმნის გრანდიოზული პროცესი ასახული იყოს იმ სიძლიერით და სილამაზით, რომელიც ამ პროცესს მსოფლიო ცხოვრებაში შეაქვს. ჩვენგან მსოფლიო სწორედ ამგვარ წიგნებს მოელის და ჩვენ უნდა მივსცეთ მას ასეთი წიგნები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ვაძლევთ. რატომ? მე მგონია იმიტომ, რომ, როგორც განაცხადა ერთ-ერთმა ლიტერატორმა კრებაზე მარტში—„ჩვენს შორის არსებობს საშინელი განკერძოება, ჩვენში გავრცელებულია ურთიერთისაგან განცალკევება“. მეორე ლიტერატორმა აღნიშნა, რომ „ავტორი უნდა მიისწრაფოდეს პასუხისმგებლობის გრძნობისაკენ“.

ჩვენს წრეში კოლეგიალობისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა მკითხველისა და ლიტერატორის წინაშე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ არ შეიძლება ამ გრძნობის გაღვივება განკერძოებისა და განცალკევების პირობებში. თუ მწერლები ფსიქოლოგიურად ისევე იზოლირებული იქნებიან, როგორც ფიზიკურად იზოლირებულად ცხოვრობენ მაჩვნი და რვაფეხანი,—ეს რასაკვირველია, ხელს ვერ შეუწყობს ლიტერატორების მუშაობის აზრისა და ქვეყნის წინაშე კოლექტიური პასუხისმგებლობის შეგნების ზრდას.

წარსულში ლიტერატორი თავისს ლოზუნგად და „ცხოვრების წესად“ აღიარებდა: „შენ მეფე ხარ, იცხოვრე მარტო“. მაშინ მწერალი ასე უნდა

მოჭცეულიყო, რადგან იგი ცხოვრობდა მისადმი მტრულად განწყობილ წრეში, კლასობრივ საზოგადოებაში, რომელიც ვერ ითმენდა სიმართლეს თავისი უაზრო და პარაზიტული ცხოვრების შესახებ. მაგრამ თვით ალექსანდრე პუშკინიც კი, — გენიოსი, რომელსაც არ ჰყოლია [illegible] ბადალი სცდილობდა შეექმნა თავის გარშემო კოლექტივი, ამასთან იგი ამ შემთხვევაში პირადი მეგობრობის გრძნობას ემყარებოდა.

19 თვის წინად ჩვენმა ქვეყანამ თავისი ახალგაზრდობის — კომკავშირის, მუშებისა და კოლმეურნეების სახით დაანახვა ევროპის მწერლებს, რომ მსოფლიოში არასოდეს და არსად ლიტერატურას არ აფასებდნენ ისე დიდად, როგორც აფასებენ მას საბჭოთა კავშირში, რომ არასოდეს ხელოვნების ისტორიული და კულტურული როლი არ ყოფილა ასე ნათლად გაგებული.

მშრომელი ხალხის ასეთ საუცხოვო დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი უნდა გაეერთიანებინა ლიტერატორები და გაეღვიძებინა მათში პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნის წინაშე, უნდა აეძულებინა ისინი ეზრუნათ თვითგანათლებაზე, პერსონალური კულტუროსნობის განვითარებაზე, მაგრამ როდესაც კითხულობთ მოსკოვში მომხდარი მარტის საუბრების სტენოგრაფებს, ღრმა მწუხარებით ხედავ, თუ რა ღარიბია საბჭოთა ლიტერატორი თავისი საქმის ცოდნით, რა ცუდად იცის მან ლიტერატურული „მიმდინარეობის", მოდების, გატაცებისა და სხვა ფოკუსების ისტორია, რომლებსაც საფუძვლად უდევს ან იმის შეგნება, რომ არ ძალუძთ ასახონ დრამისა და ტრაგიკომედიის სახეებში სინამდვილე, ან მანიაკალური თამაში სიტყვებით ან და მიმიკრია, ე. ი. უნარი საკუთარი ტყავის შეღებისა ირგვლივ არსებული სინამდვილის ფერებით. ჩვენი მწერლების ისტორიულ-კულტურული მცირემცოდნეობა ტექნიკურ მცირემცოდნეობასთან დაკავშირებით ჩვენს პირობებში მრისხანე ხდება მათთვის. მრავალი წიგნი, სახელგანთქმული რამდენიმე წლის წინათ, უკვე აღარ იკითხება ახალი მკითხველის მიერ, როგორც ამას ბიბლიოთეკების ანგარიშები ადასტურებენ. და სავსებთ ბუნებრივი იქნება, თუ თვით ავტორები, ესეოდენ დარწმუნებულნი თავიანთი გენიოსობაში, მალე გულწრფელ სიცილს გამოიწვევენ ახალგაზრდობაში. ამას წინათ ერთ-ერთმა ასეთმა ავტორმა ინტერვიუს დროს განაცხადა: „მე მაინტერესებს ანტიურ აპოკრიფების საკითხი. გადავიკითხე ესქილი, სოფოკლე, ევრიპიდი, პლატონი. ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს დაიწერა ბევრად უფრო გვიან, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ. აიღეთ, მაგალითად, არისტოტელი. მასში გამოხატულია მთელი საშუალო საუკუნეების სქოლასტიკა".

მწერალმა ეს სიბრძნე ამოკრიფა ერთი მანიაკისა და თითქმის გრაფომანის სასაცილო ლაყბობიდან. საერთოდ, მთელი ინტერვიუ უპასუხისმგებლო და ტრაბახა აბდა-უბდის ნიმუშს წარმოადგენს. კიდევ კარგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ინტერვიუ დაბეჭდილია ისეთ ჟურნალში, რომელსაც, ალბათ, არავინ არ კითხულობს.

ჩვენი მწერლები, რომელნიც დიდი ხალისით და ვრცლად ლაპარაკობენ თავიანთ განზრახვაზე, ხშირად ბეჭდავენ ისეთ სამარცხვინო აბდა-უბდას, რომ მას სავსებით შეუძლია სახელი გაუტეხოს ჩვენს ლიტერატურას დასავლეთ ევროპის მწერალთა თვალში, ისტორიულად მცოდნე და ტექნიკურად დახელოვნებული ადამიანების თვალში.

კოლექტიურ მუშაობას დიდ მასალაზე შეეძლო გადაქცეულიყო ჩვენი მწერლებისათვის სემინარიუმებად, რომელნიც საუცხოოდ დაეხმარებოდნენ მათ წარსულისა და აწმყოს შესწავლაში. მაგრამ მუშაობა წიგნებზე „ორი ხუთწლედი" — მხატვრულ ანგარიშზე ოცწლიანი გმირობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, სადაც შენდება ახალი ცხოვრება, — ეს მუშაობა არ მოეწონა ჩვენს ლიტერატორებს. ჩვენ არ მოგვეპოება ლიტერატურის ისტორია, არ მოგვეპოება ქალაქის კულტურის ისტორია, საერთოდ ჩვენ ბევრი რამ გვაკლია.

ამ დღეებში გაიხსნება კომკავშირის — პარტიის მარაგის — ყრილობა. ჩვენი გაბედული, მამაცი, გმირული ახალგაზრდობა, ალბათ, იტყვის თავის სიტყვას თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. თუ ეს სიტყვა მოაგონებს ჩვენს ლიტერატორებს, ვინ არიან ისინი და რას მოელიან მათგან, — ეს იქნება სავსებით მიზანშეწონილი სიტყვა, — მე ვფიქრობ, იგი შეასრულებს სხვა, უფრო აქტიური განწყობილების აღმძვრელის როლს ჩვენს ლიტერატურაში.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

ორდენოსანი პოეტი

ვლადიმერ მაიაკოვსკი *)

როგორც ნეკრასოვმა ასახა ხორცშესხმულად მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის „დარდი და შურისძიება“, როგორც ბერანჟემ საფრანგეთში და ჰეინემ გერმანიაში ასახეს რევოლუციის წინათგრძნობის იდეა და განწყობილებანი, ისევე სისრულით და დამაჯერებლობით ასახა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ რუსეთის რევოლუცია.

მაიაკოვსკი ლექსის უდიდესი რევოლუციონერია. ეს, რა თქმა უნდა, აიხსნება იმ დიდი სოციალური გარდატეხით, რომელიც მოჰყვა ძლევამოსილ რევოლუციას. მაიაკოვსკი ამ რევოლუციის პირმშო იყო. მაიაკოვსკი ყველაზე უფრო პოპულიარული პოეტია საბჭოთა კავშირში. რევოლუციამ მოითხოვა შესაფერი ხმა და ფერები. რევოლუციის ტრუბადური (ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით) და მისი ფერების მხატვარი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი. მაიაკოვსკის სტილი და ფორმა რევოლუციის სტილი და ფორმაა. მართლაც: მაიაკოვსკის უნივერსალური პათოსი და გენია იყო საჭირო რევოლუციის ძლევამოსილი იდეების გამოსახატავად. ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომისა და ხალხთა ხოცვაჟლეტის დაწყების წელს ახალგაზრდა მაიაკოვსკი ხმას იმაღლებს იმპერიალისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ და აშკარად დგება რუსეთის ცარიზმის დამარცხების მხარეზე; ის წინასწარმეტყველობს რევოლუციას:

. . . . . .
. . . . . .

„В терновом венце революции
Грядет шестнадцатый год“!

(„Облако в штанах“)

არ შეიძლება ითქვას, რომ მაიაკოვსკი თავიდანვე ჩამოყალიბებული რევოლუციონერი იყო. რევოლუცია, რომლის დაწყების ვადაში მაიაკოვსკი ერთი წლით შესცდა, მას ესმოდა საერთოდ როგორც სოციალისტ-

*) სიტყვა წარმოთქმული მაიაკოვსკის ხსოვნის საღამოზე.

უტოპისტს. ის იყო უფრო ბუნტარი-ანარქისტი, ვიდრე კლასობრივად შეგნებული რევოლუციონერი. ანარქისტული განწყობილებანი ჩქმეტენ მის თავისებურ სიბნელეს და ბუნდოვანებას ლექსში. ამიტომ არის, რომ მისი პირვანდელი ლექსები შედარებით სუსტია, მძიმე საკითხავი და გაუგებარი. მისი ლექსები ჯერ კიდევ ბურჟუაზიული ლიტერატურის ფორმებშია გახვეული. სიმბოლისტურია. მის ლექსებში ხშირად გაისმის „პროსტიტუცია", „სიფილისტიკა", „ტუბერკულიოზი" და სხვა. ლექსიკონი შეთვისებული ჰქონდა მაიაკოვსკის იმ დეკლასიურ გარემოსაგან, რომელშიაც მას ცხოვრება უხდებოდა. ბურჟუაზიული ლიტერატურის ჭაობის გარემოცვაში უხდებოდა მაიაკოვსკის ბრძოლა და მუშაობა... ფუტურიზმი, სიმბოლიზმი, აკმეიზმი, იმპრესიონიზმი და სხვა მრავალი მაიაკოვსკიმ გაიარა ყველა ეს გზა, მაგრამ დიდის ბრძოლით და ზოგჯერ წამოჩოქებითაც. დიდი ბრძოლა დასჭირდა მას თავის თავთანაც, რომ საბოლოოდ ჩამოეცილებინა ძველ ლიტერატურულ მიმართულებათა ნარჩენები. მაიაკოვსკი სასტიკად ებრძოდა ფორმალიზმს, ნატურალიზმს და „უიდეო" პოეზიას. ის დაუზოგველად ამასხარავებდა რითმების მისტიურ ქსელში გახვეულ პოეტებს, რომლებიც ფორმალური დილენტანტობით და მანჭიობით ბრუდახვეულები ვერ ხედავდნენ ცხოვრების სინამდვილეს.

ამავე დროს მაიაკოვსკი ებრძოდა თავის ლიტერატურულ ცოდვებსაც. მისი პირვანდელი ლექსები როდი იყო თავისუფალი ფორმალისტური სენისაგან. ფორმალისტური ტიპის ლექსებია: „ქუჩიდან ქუჩაში", „ღამე", „ნავთსადგური", „სიყვარული" და სხვ. ახალგაზრდა მაიაკოვსკი ერთხანს ითვლებოდა ფუტურისტების წვრილბურჟუაზიულ დაჯგუფების „გელეია"-ს წევრად. ის განიცდიდა ფორმალისტ-„ზაუმნიკების" ხ ლ ე ბ ნ ი კ ო ვ ი ს, კ რ უ ჩ ი ნ ი ხ ი ს და ბ უ რ ლ უ კ ი ს საგრძნობ გავლენას. მაგრამ ბუნებით მებრძოლმა მაიაკოვსკიმ მალე გადალახა ეს ბუნდოვანი გზა პოეზიაში და ლექსის სტილი და ფორმა იდეურ-თემატიურ აზრს დაუქვემდებარა.

მაიაკოვსკის ლექსები გაჟღენთილია სიძულვილით, დაუზოგველი სარკაზმით დრომოჭმული ცხოვრების ზნეჩვეულებათა მიმართ. მისი ლექსების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ადამიანი — ძლიერი, ამაყი და უშიშარი. მას სწამს ამ ადამიანის გამარჯვება. მას სწამს, რომ ეს ადამიანები იბადებიან რევოლუციაში. თუმცა მისი ადამიანი ზოგჯერ აბსტრაქტული ხასიათისაა. მას საერთო წარმოდგენა აქვს რევოლუციაზე. მის ადამიანს ზოგჯერ გაურკვეველი წარმოდგენა აქვს იმ ახალ და მაღალ მომავალზე, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი, სადაც არ იქნება ჩაგვრა ადამიანისა ადამიანის მიერ, სადაც არ იბატონებს, მაიაკოვსკის თქმისა არ იყოს, „ფ უ ლ ი", რომელიც „ოქროსთათებიან მიკრობივით ხრავს

ადამიანის სულსა და გონებას". ამ შემთხვევაში მაიაკოვსკი ეთანასავება ემილ ვერჰანს და უიტმანს.

ოქტომბრის რევოლუციამ მეტი სინათლე შეიტანა მაიაკოვსკის შემოქმედებაში. აქედან იწყება მაიაკოვსკის ტალანტის გაფურჩქვნაც. ის უტოპიურ და მისტიურ პოემა-დრამიდან „მისტერია ბუფფი"-დან მიდის პოემა „150.000.000"-მდე. აქ რევოლუცია მოცემულია კონკრეტულ ადამიანებში, რომლებიც ჰქმნიან ახალ სოციალისტურ ცხოვრებას. საბჭოთა კავშირის 150.000.000-ანი ხალხი იბრძვის ახალი ცხოვრებისათვის, რევოლუციისათვის, სოციალიზმისთვის. აქ მაიაკოვსკი, რასაკვირველია, შესცდა კლასთა დიფერენციაციის საკითხში, როდესაც მან სოციალიზმის მშენებელ ძალად წარმოიდგინა მთლიანად 150.000.000-ანი ხალხი... მაიაკოვსკის აზრით, თუ რევოლუცია მოხდა — სოციალიზმიც დამყარებულია. მან მხედველობიდან გამოუშვა კლასთა წინააღმდეგობა და ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. აქ პოეტის გადაჭარბებულ ჰიპერბოლასთან გვაქვს საქმე.

არ არსებობს თემა რომ მაიაკოვსკის არ აესახოს მაღალ მხატვრულ ფორმებში. მხოლოდ რევოლუციის საქმისადმი შეყვარებულ პოეტს შეუძლია სწეროს რევოლუციის დიდსა და წვრილმან ამბებზე. მაიაკოვსკი დიდსა და პატარა თემას მთლიანობაში ასახავდა, მან იცოდა, რომ დიდი და პატარა საქმის ცოცხალი მთლიანობაა ცხოვრების განვითარების დედააზრი. ჰუმანისტ-ინტელიგენტ პოეტისაგან თანდათან იქედება კლასობრივად შეგნებული პოეტი. ღრმა იდეურ-თემატიურმა შეგნებამ მაიაკოვსკი გულწრფელად მიიყვანა პროლეტარულ პოეზიამდე. ის ჩამოყალიბდა, როგორც რევოლუციის უდიდესი ლირიკოსი, როგორც ლირიკული ეპოსის შეუდარებელი ოსტატი. მისი სარკაზმი და ჰუმორი მომაკვდინებელ ლახვრად ეცემა ბურჟუაზიულ ზნეჩვეულებათა ნარჩენებს: ბიუროკრატიზმს, მეშჩანიზმს, დილეტანტობას და სხვა.

მაიაკოვსკის სახით საბჭოთა პოეზიამ დაკარგა რევოლუციის დიდი პოეტი, მაგრამ მისი ლექსების „ჯარისკაცები" მაინც იბრძვიან და დღითი-დღე იპყრობენ მკითხველთა მასებს. მაიაკოვსკი ცოცხალი არ არის, მაგრამ მისმა ცოცხალმა ლექსებმა ის ჩვენამდე მოიყვანეს. მთავარია ლექსებს მიჰყავდეს პოეტი და არა პირიქით. თორემ პოეტის ფიზიკურად სიკვდილის შემდეგ ლექსები შუა გზაზე დარჩებიან, ისინი ხალხის გულამდე ვერ მიაღწევენ. ამით მე, რასაკვირველია, იმის თქმა როდი მინდა, თითქოს პოეტის მოქალაქეობრივი „მე-"-ს აქტივობა შემოქმედებითი ბრძოლისათვის არ იყოს საჭირო. მაიაკოვსკი იყო პოეტი და მოქალაქეც. ამ მხრივ ის მისაბაძია ბევრი თანამედროვე პოეტისათვის.

მაიაკოვსკიმ დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიაზე. კერძოდ: ქართული პროლეტარული პოეტები და ფუტურისტები დიდად დავალებულნი არიან მაიაკოვსკისაგან. პირადად მე ხშირად მიგრ-

ძვნია მისი გავლენა. მეც მომიხდა ლიტერატურაში იმ მძიმე შემოქმედებითი გზის გავლა, რომელიც მიდის სინამდვილის ჰიპერბოლურ-რომანტიულ ათვისებიდან სოციალისტურ რეალიზმამდე. ქართულ საბჭოთა პოეზიაში უსათუოდ მაიკოვსკის მაღალი და გამბედავი ხმაც [illegible] მაიაკოვსკის სტილი, ფორმა და მდიდარი ლექსიკონი სამაგალითოა ქართველი ახალგაზრდა პოეტებისათვის. მაიაკოვსკისგან ჩვენ კიდევ უნდა ვისწავლოთ ის სისადავე, რომელიც უსათუოდ დიდი ოსტატობის შედეგია. მაიაკოვსკიმ უმაღლესს საფეხურზე აიყვანა პოლიტიკური მრწამსის პოეზია. ჩვენ მაიაკოვსკისგან უნდა ვისწავლოთ ის ორატორულ-სასაუბრო სტილი პოეტური შემოქმედებისა, რომელიც უსათუოდ მაღალი ფორმაა სოციალისტური პოეზიისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, კრიტიკულად უნდა მივუდგეთ მის მემკვიდრეობას. მაიაკოვსკიმ ლექსში გაზარდა მოქალაქობრივი მოტივი. მაიაკოვსკისთვის. ბრძოლა—ეს ბრძოლაა საბჭოთა პოეზიის მაღალი ფორმისათვის, რადგან „მაიაკოვსკი იყო და არის უნიჭიერესი პოეტი საბჭოთა ეპოქისა" (ს ტ ა ლ ი ნ ი).

რუსეთის ახალგაზრდობას თავიდანვე უყვარდა მაიაკოვსკი. მახსოვს: 1924 წელს მოსკოვში, ვალერი ბრიუსოვის სახელობის ინსტიტუტში, სადაც ვსწავლობდი, გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო. ს ე ლ ვ ი ნ ს კ ი კითხულობდა თავის ახალ პოემას „ულიალაევშჩინა"-ს. დარბაზი გაჭედილი იყო მოწაფე აუდიტორიით. პრეზიდიუმში იჯდა ვ ა ლ ე რ ი ბ რ ი უ ს ო ვ ი გულზე ხელებ-დაკრეფილი... „ყოჩაღ", გაისმა უცებ დარბაზში შემოსასვლელ კარებიდან ბოხი ხმა. მოვიხედეთ: კარებთან იდგა ვლადიმერ მაიაკოვსკის გიგანტიური ფიგურა. ყელზე ეკიდა ფართო, წითელი ჰალსტუხი, ორივე ხელი შარვლის ჯიბეში ჰქონდა. მან ს ე ლ ვ ი ნ ს კ ი ს მისამართით ისროლა ეს რეპლიკა. „მაიაკოვსკი", — ელვის სისწრაფით მოედო აუდიტორიას. ყველა ფეხზე წამოდგა. ოვაცია გაუმართეს. სთხოვდნენ ლექსი წაეკითხა. მაიაკოვსკი ჯიუტობდა. ბოლოს, ხელში აიტაცეს და სცენაზე აიყვანეს. სელვინსკი იძულებული გახდა პოემის კითხვა შეეწყვიტა. მაიაკოვსკის სამჯერ წააკითხეს ერთი და იგივე ლექსი — „მარში მარცხნივ". აუდიტორია მაინც არ ეშვებოდა. ბოლოს, მაიაკოვსკი იძულებული გახდა სცენის უკანა კარებიდან გაქცეულიყო... მას შემდეგ შემთხვევა მქონდა ახლო გავცნობოდი მაიაკოვსკის. ეს მოხდა ტფილისში. ჩვენ, ახალგაზრდა პოეტებმა, შეხვედრა მოვუწყვეთ მას მწერალთა კავშირში. მახსოვს: მაშინ მე წავუკითხე მაიაკოვსკის ჩემი ლექსი „დარიალი" მისმენდა გულდასმით. მოეწონა. თან მითხრა ქართულად: სელვინსკის ლექსებს მაგონებსო. მან ზეპირად სთქვა აგრეთვე სელვინსკის რამდენიმე ლექსი. ამ საღამოსვე ლექსები წაიკითხეს ჩემმა მეგობარმა პოეტებმა — კარლო კალაძემ და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ. მაიაკოვსკი მეტად კმაყოფილი დარჩა. ვიგრძენით დიდბუნოვანი ადამიანის

და პოეტის გულწრფელობა და მზრუნველი ხელი. მას შემდეგ ხშირად შევხვედრივარ მაიაკოვსკის მოსკოვსა და ტფილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათავებ მაიაკოვსკის ლექსითვე:

„Пускай за гениями
Безутешною вдовой
Плетется слава
В похоронном марше,
Умри мой стих,
Умри как рядовой,
Как безимянные на штурмах
Мерли наши!
Мне наплевать
На бронзы многопудье,
Мне наплевать
На мраморную слизь,
Сочтемся славою,
Ведь мы свои — же люди,
Пускай нам общим
Памятником будет,
Построенный в боях
Социализм!

მართლაც: დიდი საკაცობრიო იდეებისათვის მებრძოლ ადამიანთა ხსოვნას უკვდავჰყოფს მხოლოდ სოციალიზმი, რომლის გამარჯვებისათვის იბრძოდნენ და იბრძვიან მაიაკოვსკის ლექსებიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერ. ასტვაცატუროვი

გალაქტიონ ტაბიძის ლექსების ახალი წიგნი

(„თხზულებანი", ტომი მეორე. სახელგამი)

გალაქტიონ ტაბიძე დიდი პოეტური ნიჭისა და მხატვრული პოტენციის მწერალია. იგი საბჭოთა მწერლობის მოწინავე რიგებში დგას და დაძაბული ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობით შეაქვს თავისი წვლილი საკაცობრიო-სოციალისტური ხელოვნების სალაროში.

გალ. ტაბიძის ახლახან გამოსულ თხზულებათა მეორე ტომი წარმოადგენს იმის საბუთს, რომ მისი ავტორი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო და ნიჭიერი პოეტია, რომლის შემოქმედებაც ჯერ კიდევ ჰყვავის და იფურჩქნება. გალ. ტაბიძე, მიუხედავად გრძელი შემოქმედებითი გზისა, არ წარმოადგენს დასრულებულ, ამოწურულ მწერალს.

გალ. ტაბიძის თხზულებათა მეორე ტომში მთელი თავისი სიდიადით არის განცდილი და ასახული რევოლუცია და რევოლუციური საქართველო, ინდუსტრიალიზაცია და მსოფლიო ოქტომბრის დაუცხრომელი სიმფონია. ამ წიგნში მოთავსებული პოეტის შემოქმედების ნიმუშების თითოეული სტრიქონი გაჟღენთილია ჯანსაღი რევოლუციური ტენდენციით და გაშუქებულია მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივით. ამასთან წინამდებარე წიგნი ცხადი მაჩვენებელია პოეტის იდეური გარდაქმნისა, იმისა, თუ როგორ იზრდებოდა იგი, სოციალიზმთან ერთად, საბჭოთა დიდ და მოწინავე მწერლად.

გალ. ტაბიძის პოეტურ გაქანებას და ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას საქართველოს ოქტომბერმა გაუკაფა ეკლიანი გზა, გაუფანტა სევდის მომგვრელი ბურუსი და აღავსო იგი მომავლის უდიდესი პერსპექტივით. გალ. ტაბიძის დაობლებულმა სულმა მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში ჰპოვა მშობლიური სითბო და სრული სილაღე.

მაგრამ გალ. ტაბიძის საბჭოთა პერიოდის შემოქმედების მდიდარი და მრავალფეროვანი პროდუქციის შეფასებისა და მისი ისტორიული ფეს-

ვების გაგებისათვის საჭიროა მოკლედ მაინც განვიხილოთ პოეტის მიერ განვლილი გზა, რევოლუციის წინა პერიოდის შემოქმედება.

გალ. ტაბიძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა პირველი რევოლუციის დროებითი დამარცხების ხანაში, — მაშინ, როცა ბრწყინვალე მზიან დღე რეაქციის შავმა ღრუბლებმა დაჰფარეს. ეს პერიოდი პოეტის შემოქმედებაში თავისებურად გადატყდა. რეაქციამ პოეტის სიმი პესიმიზმის გარსით შემოსა, გაამისტიურა იგი და უიმედობის ქნარად აქცია. მაგრამ უიმედობისა და მისტიციზმის ეს გარსი ალაგ-ალაგ გამჭვირვალე იყო, რის გამოც ზოგჯერ პოეტის მებრძოლი სული სტიქიურად მჟღავნდებოდა ხოლმე.

გალ. ტაბიძის პირველ არალეგალურ ლექსში („პირველი მაისი") აშკარად გამოსჭვივოდა პოეტის რევოლუციური განწყობილება და ღრმა რწმენა იმისა, რომ თვითმპყრობელობა, რომელსაც

„ციხეში, ბორკილში,
შიმშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი", —

უძლურია, რომ პირველი მაისი, მასების მაისი სცოცხლობს და უძლეველია, იგი კვლავ აღმართავს თავისუფლებისათვის მებრძოლ დროშას. პოეტის რევოლუციური განწყობილება აშკარად მოსჩანს პირველი ლექსების კონსტრუქციასა და შინაგან რიტმშიც. მაგრამ ეს იყო რეაქციის პირველი „დღეები", როცა პოეტი ჯერ კიდევ გრძნობდა მიზნების სიახლოესა და პირველი რევოლუციის მიერ დანთებული ცეცხლის სითბოს. ღრმა მწუხარებამ და უიმედობამ მოიცვა გალ. ტაბიძე მაშინ, როცა პირველ აღფრთოვანებასა და ხანმოკლე გაზაფხულის მზიან დღეებს მოჰყვა ხანგრძლივი ზამთრის სუსხიანი დღეები, როცა კაშკაშა ცას გადაეფარა რეაქციის შავ-ბნელი ღრუბელი. გამეფდა გარშემო მწუხარება და შავი ბურუსი. პოეტის სული შეიპყრო პესიმიზმმა, სევდამ, მარტოობამ, მისთვის მთელი გარემო წყვდიად უდაბნოდ გადაიქცა. თავის გარშემო ველარ ამჩნევს იგი მანუგეშებელს:

„მოვკვდე და გული ვის დავწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.
რად მინდა მივსწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს.
მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში
მარტო ვიქნები, და რა ვპოვო მარტოობაში?
ვიძღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?
წუთით მიტაცებს, სამუდამო წყლულს კი ვერ შლის, ვერა!
და თუ შორს ვინმე ტკბება ჩემის სევდიან ხმებით,
ის ჩემს ხმებს მიჰყავს... მე ვის წავყვე ჩემის წამებით?
ან მეგობარის თუ მომესმას ნეტარი ხმობა,
შემეძლება კი სიყვარული და მეგობრობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნაღველი,
რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაგან აღვაპყრა ხელი.
ო, სად ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო?!"

აქ ღრმად არის მოხაზული და განცდილი სევდა და უიმედობა. გალ. ტაბიძეს ჰქონდა ყრმობის მიზანიც. ეს მიზანი იყო ბრძოლა („მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების"). მაგრამ ხმაჩაწყვეტილი ქარის ქვითინში გაქრა იგი, როგორც ბურუსი, და მხოლოდ ზღაპრებად ესმის:

„სწუხს არე-მარე, კვნესის მიდამო.
ხმაჩაწყვეტილად ზუზუნებს ქარი...
და მის ქვითინში მე ჩემი ყრმობის
აუხდენელი მესმის ზღაპარი".

უიმედობით შეპყრობილი პოეტი მწარედ ქვითინებს, გული სტკივა, ითვლის უმიზნო დღეებს ყმაწვილური ჟინით, გამოსავალს კი ვერ ხედავს:

„სად მივყვები ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?..
არ ვიცი"...

სევდა და უიმედობამ გალ. ტაბიძე მოღალა, მოადუნა, გააპასიურა, შეიპყრო იგი ცხოვრებისაგან გაქცევის მანიამ და ეძებს ყრუ ადგილს, შორს, თავის ბედს იქით, სადაც ნაკლებად იქნებიან მისი მგრძნობიარე ნერვების ამშლელი ადამიანები:

1. „წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას,
   და დავამშვიდებ დაღლილ სიცოცხლეს
   შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით"...
2. „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
   სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
   სადაც იქნება ცოფი ნაკლები
   და უფრო ნაკლებ ადამიანი".

პოეტი ფიქრობს, რომ იგი არის „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი", რომელიც დაიბადა მაშინ, როცა ბრძოლის ამინდმა გადაიარა და მზიანი დღის ნათელი პერსპექტივი აღარ მოსჩანს. იგი ხედავს მხოლოდ იმას, თუ როგორ დამარცხდა მის თვალწინ თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობა და თითონაც იმათ შორის უკურნებელი წყლულებით „კვდება":

„ახალგაზრდათა დაცემის და დაუძლურების,
ახალგაზრდათა მწუხარების მე ვარ მოწამე;
მეც იმათ შორის უკურნებელ წყლულებით ვკვდები".

ამრიგად, ვერც გალ. ტაბიძე ასცდა იმ საერთო განწყობილებას, რომელიც რეაქციის გამარჯვებამ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში

შექმნა. გალ. ტაბიძემ, სხვა წვრილ-ბურჟუაზიულ მწერლებთან ერთად, რეაქციის გაბატონებაში უძლეველი ძალა დაინახა. ძნელი გასაგები მისთვის იმის გაგება, რომ ყოველივე ეს იყო დროებითი და მარადიული, თვითმპყრობელობის და საერთოდ ექსპლოატატორთა უკანასკნელი გაბრძოლება. გალ. ტაბიძეს არ ესმოდა რევოლუციის გარდუვალობა, იგი ემპირიულად და მეტაფიზიკურად სჭვრეტდა მოვლენებს, კლასობრივი ბრძოლის შინაარსი და შედეგები გაიგო და შეაფასა მისი გარეგანი ფორმით, ვერ ხედავდა რა ძალთა შინაგან დაჯგუფებას, რაც ამზადებდა ნიადაგს ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის. ეს იყო წამყვანი მიზეზი იმისა, რომ საზოგადოებრივ ყოფაში და კლასობრივი ბრძოლის სფეროში მომხდარი ცვლილებები სხვანაირად აიხსნა გალ. ტაბიძის შემოქმედებაში. ეს იყო მიზეზი აგრეთვე იმისა, რომ პოეტმა ვერ შესძლო შეენარჩუნებინა თავისი მებრძოლი სული, რათა სევდისა და უიმედობის ქარს არ გაეტაცნა იგი.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი აქვე ხაზი არ გაგვესვა გალ. ტაბიძის შემოქმედების იმ ნიშანდობლივი მხარეებისათვის, რაც ანსხვავებდა გ. ტაბიძეს სხვა წვრილ-ბურჟუაზიულ მისტიკოს-სიმბოლისტებისაგან, რომლებიც დეკადანსამდე ეშვებოდნენ. გალ. ტაბიძის პირველი პერიოდის შემოქმედების შინაგანი მოტივები უცილობელი წინაალმდეგობით არის გახლართული. ჩვენ დავინახეთ, რომ გალ. ტაბიძე, სევდითა და უიმედობით შეპყრობილი, გამოსავალს ცხოვრებიდან გაქცევასა და სადღაც მყუდრო ადგილას დასახლებაში ხედავს. იგი გაურბის ადამიანებს, რომლებიც უწამლავენ გულს. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სევდითა და უიმედობით მოცული პოეტის გულის სიღრმეში მაინც არის იმედის ნაპერწკალი. ამ ნაპერწკალს ფარულად ატარებს, — „გული სავსეა წყნარი სიმღერით, სული ვარსკვლავით ბედის". პოეტს თითქოს სწამს, რომ ბედი, რომელსაც იგი ეტრფის, ცოცხალია, მას გულიც ჰქონდა, რაც რეაქციის სასტიკმა ზამთარმა ყინულად აქცია; მაგრამ ცხოვრების შთაგონებით პოეტს ზოგჯერ აღეძვრება ხოლმე მიმქრალი იმედები: „ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული!" და ფიქრობს— „წელიწადები წავლენ ძველი, შეიცვლებიან ქარით სიონი", რაც გაჰფანტავს სულის შემხუთავ ჰაერს.

გალ. ტაბიძეს სწყურია თავისუფლება, რევოლუცია, მაგრამ არა აქვს ნათელი წარმოდგენა რევოლუციის კონკრეტ სახეზე, მან იცის მხოლოდ ის, რომ რევოლუცია თავისუფლების „ფსევდონიმია", და სურს საქართველოსაც ამშვენებდეს ეს უკანასკნელი, რომელიც სევდისაგან შებოჭილ სულს გაუნთავისუფლებს და „ვულკანური ორკესტრივით" ააჟღერებს მის გრძნობათა და ოცნებათა ძლიერ ქნარს:

„ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა,
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?
ვულკანიური ორკესტრივით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ქნარი“.
(1916 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მართლაც, საქართველოს ოქტომბრის შემდეგ პოეტის ქნარი „ვულკანური ორკესტრივით“ ამეტყველდა. ამასთან, თუ 1917 წლამდე პოეტს არა ჰქონდა კონკრეტული წარმოდგენა რევოლუციაზე და შესტრფოდა რევოლუციას საერთოდ, 1917 წლის რევოლუციის პერიოდში რევოლუციის საერთო გაგებიდან გალ. ტაბიძე მივიდა მის კონკრეტულ გაგებამდე. საქართველოს ოქტომბრის შემდეგ პოეტის შემოქმედებაში საბოლოოდ და მოუბრუნებლად გაიმარჯვა იმ ჯანსაღმა თესლმა, რომელიც მიცემული იყო დაფარული და გაიშვიათებული სახით.

მაგრამ გალ. ტაბიძის შემოქმედების შესწავლისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს მენშევიკების დაქტატურის პერიოდი. მაშინ, როცა სხვა სიმბოლისტები და ყველა ტიპის წვრილ-ბურჟუაზიული მწერლები სულიერი კმაყოფილებით აავსო „სოციალისტური“ ფრაზებთ შეფერადებულმა ბურჟუაზიულმა რეჟიმმა, გალ. ტაბიძეში მან უბრალო კმაყოფილების გრძნობაც კი ვერ აღძრა.

გალ. ტაბიძე, როგორც ზევით დავინახეთ, 1917 წლის რევოლუციების მიჯნას რევოლუციისადმი გაღვიძებული ინტერესით მიადგა. მას უზომოდ სწყუროდა თავისუფლება და იტაცებდა რევოლუცია, როგორც პირველის სიმბოლო. და აი, მოხდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რამაც პოეტი უზომოდ გაიტაცა და აღაფრთოვანა. გალ. ტაბიძის პოეტური სული თავდავიწყებით დაიპყრო რევოლუციის ცეცხლმა და მთელი ძალით აამეტყველა:

„გათენდა; ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა;
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს.
დროშები ჩქარა!
დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

გალ. ტაბიძე, რომელსაც იტაცებდა რევოლუცია საერთოდ და რომელსაც არ ჰქონდა კონკრეტული წარმოდგენა რევოლუციაზე — მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიული რადიკალის განწყობილებით ხედავდა. გალ. ტაბიძეს არ შეეძლო კრიტიკული თვალით შეეხედა თებერვლის რევოლუციისათვის და გაეგო მისი სოციალ-კლასობრივი ხასიათი.

ამისათვის საჭირო იყო მარქსიზმ-ლენინიზმით აღჭურვა, ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო ამოცანების ღრმად ცოდნა. ეს აკლდა პოეტს, იგი მხოლოდ სტიქიური უარმყოფელი იყო მეფის რეჟიმის, როგორც გულის თავისუფლებისა და სულის სილაღის შემხუთავი მდგომარეობისა. რეაქციული სინამდვილე ფრთებს უკვეცდა პოეტის აღმაფრენას. მან ჩაუფერფლა მიზნის სხივი. ამიტომ იგი უარჰყოფდა ამ სინამდვილეს ბედის სიმბოლიური ქვითინით, მიწიერი სინამდვილიდან მისტიურ სამყაროში გაქცევით. ქვითინი და არსებული სინამდვილიდან გაქცევა, — ეს იყო არსებული სინამდვილისადმი პროტესტის ის უნივერსალური მეთოდი, რომელიც დაეუფლა წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციას რეაქციის წლებში.

გალ. ტაბიძეც ამ გზით მივიდა რევოლუციამდე. თავისუფლების უზომო წყურვილმა ანგარიშმიუცემლად შეაყვარა მას რევოლუცია. ამბების ვითარებამ კი მალე დაარწმუნა პოეტი, რომ ეს არ იყო ის რევოლუცია, რომელშიაც იგი მთელი თავისი ფიზიკური და პოეტური სხეულით უნდა გადაშვებულიყო. ოქტომბრის რევოლუციის მოხდენისთანავე გალ. ტაბიძე გაეშურა რევოლუციის ცენტრში — ლენინგრადში და უშუალო მოწმე გახდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამბებისა, უშუალოდ განიცადა ეს ამბები და ხარბად შეისუნთქა ოქტომბრის სიძლიერე. ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამბების უშუალო განცდა პოეტისათვის გადაიქცა მოვლენების აბსტრაქტულ-მეტაფიზიკური გაგებიდან მათი სოციალურ-კონკრეტულ გაგებამდე მისვლის საწყისად. ოქტომბერმა პროლეტარული უტილიტარიზმის პირველი თესლი შეიტანა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში და მიიყვანა იგი რევოლუციის კონკრეტულ-კლასობრივ გაგებამდე. ამით გამოწვეული ის გარემოება, რომ თებერვლის რევოლუციის მიერ გალ. ტაბიძის გულში გაღვივებული ნაპერწკალი, რამაც პირველი ცეცხლიც კი მოგვცა („დროშები ჩქარა"), მენშევიკების ბატონობის პერიოდში კვლავ ჩაქრა და დაიფერფლა. გალ. ტაბიძემ დაინახა, რომ თებერვლის რევოლუციით მშრომელთა საქართველომ ვერ მიაღწია მისთვის მრავალი წლის მანძილზე საოცნებო მიზანს; მან გაიგო, რომ არა ყოველი რევოლუციით მოიპოვება თავისუფლება.

გალ. ტაბიძე ნათლად ხედავდა, რომ ძველი მდგომარეობა ძალაში რჩებოდა და სულის შემხუთავი მაჯლაჯუნა ახალი სამოსლით დაბაჯბაჯებდა. პოეტი კვლავ უიმედობამ მოიცვა, მისი სული გაივსო „სევდიანი ტვირთებით", იგი ახლა ოცნებობს იმაზე, „რომ წავიდეს ეს ზამთარი,

სიზმარივით მდევარი". ელის ახალ აღმაფრენას და ღამეებს ეთევა თავის ძველ ოცნებას („ოცნებაო, ჩემო ძველო, ვართ ღამეები მეფენი").

მენშევიკების დროს გალ. ტაბიძე არ იჩენდა შემოქმედებითს აქტივობას, იგი უაღრესად გაპასიურდა, თითქმის სრულიად სდუმდა. დუმილი კი პოეტისათვის იყო იგივე შემოქმედება, — შემოქმედება არსებულისადმი პროტესტით აღსავსე.

სულ სხვაა საბჭოთა პერიოდის გალ. ტაბიძე.

საქართველოს ოქტომბრის პირველ დღიდანვე პოეტის წინაშე შემოქმედების ფართო ასპარეზი გადაიშალა. მისი პოეტური სხეული მთლიანად განიკურნა უიმედობის წყლულისაგან, საბოლოოდ გაიმარჯვა პოეტში ჯანსაღმა რეალისტურმა ყნოსვამ, და ის რევოლუციური თესლი, რომელიც მის ადრინდელ შემოქმედებაში მოცემული იყო გაიშვიათებული, დაფარული და სევდისა და უიმედობის გარსით მოცული სახით, იქცა დიდი სოციალისტური კულტურის საუკეთესო ნაყოფად. საბჭოთა ხელისუფლებამ გააღვიძა პოეტში რევოლუციური პათოსი, აღჭურვა იგი ახალი შემოქმედებითი ენერგიით და შეუქმნა პოეტური მეტყველების დაუშრეტელი წყარო. უსამშობლო პოეტმა მონახა თავისი ადგილი სამყაროში და დადგა „იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი სდგას ანგელოსი". ამავე დროს გალ. ტაბიძე ქართულ ლიტერატურას ამიერიდან მოევლინა, როგორც მხატვრული აზროვნების დიდი რეფორმატორი და ვირტუოზი.

პოლიტიკური სიმახვილე, პოეტური ხედვის მსოფლიო ჰორიზონტი, კლასობრივი სიმძაფრე, მაღალი რევოლუციური პათოსი, თემების მრავალფეროვანება, ლექსის სიმდიდრე შინაარსით, მხატვრული ფორმის სიადავე და ხალხურობა, — აი, ის ნიშანდობლივი თვისებები, რომლებიც შემატა საბჭოთა რევოლუციამ გალ. ტაბიძის მხატვრულ აზროვნებას.

გალ. ტაბიძე სევდისა და უიმედობის პოეტიდან გადაიქცა ბრძოლისა და სიხარულის პოეტად. იგი სავსებით განთავისუფლდა მისტიური სიმბოლიზმისაგან და გახდა რევოლუციური რომანტიზმისა და სოციალისტური რეალიზმის დიდ მწერლად. რევოლუციური რომანტიზმი და სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღიდანვე გადაიქცა გალ. ტაბიძის პოეტური მეტყველების სტილად. მწერლის მთელი ახალი პერიოდის შემოქმედება ამ სტილის საუკეთესო ნიმუშია.

გალ. ტაბიძე დიდი განცდებისა და გრძნობების პოეტია. მისი ნერვები თარის სიმზე უფრო მგრძნობიარეა, მისი ლექსის თითოეული სტრიქონი ჰიპერესთეზიით არის გაკეთებული. გალ. ტაბიძეს აქვს სიტყვის დიდი მარაგი, მაღალი პოეტური კულტურა, მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ძლიერი გრძნობა, რაც აუცილებელია მილიონების მწერლისათვის. „უბრალო" ამბის გადმოცემის დროსაც კი პოეტი თითოეულ სტრიქონს, ტაეპს დიდი სიყვარულით აკეთებს. ამით არის გამოწვეული ის, რომ გალ. ტაბიძე დაზღვეულია ერთის მხრივ — უხეში ნატურალიზმისა და გამარ-

ტივებისაგან (გაუბრალოება), რასაც ხელოვნების ფუნქცია მოვლენებისა და ამბების პასიურ ასახვამდე დაჰყავს, ხოლო მეორე მხრივ — შეშველი ფორმალიზმისაგან, რაც ხელოვნებას პასიურ (მხოხავ) ეკლექტიზმსა და აპოლოტიზმის წვრილ-ბურჟუაზიულ-მეშჩანურ გზაზე აყენებს.

გალ. ტაბიძის შემოქმედება (ჩვენ არ ვლაპარაკობთ გამონაკლისზე, რაც ყველა დიდ მწერალს გააჩნია) მაღალი იდეურობის, სადა და ნათელი ხელოვნების ნიმუშია. მაგრამ, რასაც ხაზი უნდა გაესვას, ეს არის, რომ გალ. ტაბიძის საბჭოთა პერიოდის შემოქმედება განვითარდა უდიდეს სიძნელეთა გზით. პირველი — პოეტმა, მაღალ იდეურობასთან ერთად, ლექსში შეიტანა საკუთარი რიტმი. თუ შემოქმედების პირველ პერიოდში გალ. ტაბიძემ თავისი ლექსის ფორმის მაღალი ტექნიკით და ნაწილობრივი ორიგინალობით წინ წასწია ლექსალობის კულტურა, საბჭოთა პერიოდში ნოვატორული სრულყოფილებით განავითარა იგი. გალ. ტაბიძემ უხვად გაამდიდრა თავისი ლექსი სურათებით, ასონანსებით, რითმებით, ასონაციებით, ფაბულით და სუჟეტით. გალ. ტაბიძის ლექსში ისეთ მაღალ კულტურას მიაღწია სხვადასხვა სიტყვების შეწყობამ ბგერითი მსგავსების საფუძველზე, რომ იგი (ლექსი) იძლევა „რითმული" კეთილხმოვანების ორიგინალურ ნიმუშს. გალ. ტაბიძე რიტმის, რითმების, ასონანსების, ასონაციების უხვი და კულტურული გამოყენებით თავისებური მუსიკალური გამოჟღერა და ემოციურობა მისცა ლექსს. სწორედ ამ მიღწევის საფუძველზე აღწევს გალ. ტაბიძე თავისი ლექსით მკითხველში რევოლუციური ბრძოლებითა და სოციალისტური მშენებლობით გატაცების ძლიერი განცდების აღძვრას.

მეორე სიძნელე გალ. ტაბიძის მხატვრული შემოქმედების განვითარებაში მდგომარეობს თემატიურ მრავალფეროვანებასა და სირთულეში. გალ. ტაბიძე ლექსის თემატიურ მასალად იღებს არა მსუბუქ, მეორეხარისხოვან, იოლად გადასაწყვეტ თემებს, არამედ უდიდეს ისტორიულ-პოლიტიკურ და საერთო მნიშვნელობის პრობლემებს.

გალ. ტაბიძის თემატიურად მრავალფეროვანი ლექსის თემებია: ოქტომბერი, კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმა სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული საკითხები, ახალი ადამიანი, სამოქალაქო ომი, მსოფლიო ომი, პაციფიზმი, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, პოეტი და სინამდვილე, რევოლუციური საქართველო, მსოფლიო ოქტომბერი და ყველა ის აქტუალური თემა, რასაც ჩვენი რთული ეპოქა აყენებს, უდიდესიდან წვრილმანამდე. თემების სირთულე და მრავალფეროვანება კი სრულიადაც არ უშლის ხელ მწერალს მოგვცეს ძირითადად ღრმად დამუშავებული, მაღალხარისხოვანი მხატვრული ეპიკური და ლირიკული ტილოები, რაც მისი დიდი ერუდიციით უნდა აიხსნას.

ამასთან ერთად გალ. ტაბიძეს აქვს თეთრი ლექსის საუცხოო ნიმუშებიც, რომლებიც შესრულებულია ისეთი მხატვრობით, რომ ძნელია მათი

გარჩევა ბგერათა კეთილხმოვანებით დაწერილ ლირიკულ ლექსებისაგან. ზოგი გალ. ტაბიძის ასეთ ლექსს არ იხილავს, როგორც ლირიკულ-ლექსს, და ფიქრობს, რომ პოეტის შემოქმედებაში შემცირდა ხატვრულობა. ასეთი დასკვნა, მეტი რომ არ ვთქვათ, პოეტის შემოქმედების ვერ გაგებისა, არა ჯანსაღი ანალიზისა და წვრილ-ბურჟუაზიულ-მეშჩანური გემოვნების შედეგია.

გალ. ტაბიძის თეთრ ლექსშიც ნათლად სჩანს მაღალი პოეტური კულტურა და დიდი მხატვრული პოტენცია.

*

* *

ორგანიულად განიცადა რა გალ. ტაბიძემ საქართველოს ოქტომბრის სითბო და სოციალიზმის გამარჯვების ყოველდღიურობა, ჩვენი ცხოვრების ყოველი დეტალი, უდიდესიდან წვრილმანამდე, გადაიქცა მისი შემოქმედების ქვაკუთხედად.. გალ. ტაბიძემ საბჭოთა პერიოდის შემოქმედებით შექმნა იმ კლასის რევოლუციური რომანტიკა, რომელსაც ისტორიამ მომავალი უანდერძა.

შესანიშნავი მხატვრული ტილოებით — „ეპოქა", „რევოლუციური საქართველო", „ჯონ-რიდი", „პაციფიზმი", „პრესა", „ლენინი", „პოეტი და ოქტომბერი", იდეა", „საქართველოს კარებს გასცდა", „უმაღლეს მწვერვალთა მსუბუქი ღრუბლები", „ოქტომბრის სიმფონია" და სხ. — გალ. ტაბიძემ გარკვეული ამინდი შექმნა ქართულ ლიტერატურაში საერთოდ და პოეზიაში კერძოდ. თავისი ლიტერატურული პროდუქციით გალ. ტაბიძემ ქართულ მწერლობაში შეიტანა რევოლუციური რომანტიზმისა და სოციალისტური რეალიზმის ძლიერი ნაკადი. მან გვიჩვენა ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა იყოს დაკავშირებული საბჭოთა მწერლის (კერძოდ, ისეთი მწერლის, რომელმაც დიდი ხანია საბოლოოდ გადასჭრა წარსულთან დაკავშირებული ძაფები და დადგა პროლეტარიატის თვალსაზრისზე) მაჯისცემა კლასის გულთან.

მსოფლიო პროლეტარიატის გენიოსმა ბელადმა **ი. სტალინმა** მწერლის შესახებ სთქვა, რომ იგი „ადამიანის სულის ინჟინერიაო". ეს ნიშნავს, რომ პოეზია არის ადამიანთა (კლასობრივი თვალსაზრისით) განცდისა და აზრის გამოვლენა მაღალ მხატვრულ ფორმაში. გალ. ტაბიძის მხატვრული შემოქმედებაც ამ დევიზით ვითარდება. გალ. ტაბიძე, როგორც პროლეტარიატის მსოფლმხედველობის მატარებელი გვაძლევს თავისი კლასის ადამიანთა განცდებსა და აზრს. გალ. ტაბიძის შემოქმედებაში სჩანს, რევოლუციური მუშათა კლასის გაქანება, მისი ადამიანების გრძნობა და აზრი, სიყვარული და სიძულვილი, სიცოცხლე და სიხარული, შეურიგებლობა და ჰუმანიზმი, სინამდვილე და მომავალი, საკუთარი ძალის რწმენა, საბჭოთა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი.

პოეტში მტკიცედ გამომუშავდა რა სოციალური გემოვნება და კლასობრივი ხედვა, იგი თავისი მხატვრული ტილოებით [illegible] ბის მეცნიერულ-ფილოსოფიური ანალიზის და [illegible] ული პრობლემების სწორი გადაწყვეტის ნიმუშებს. გალ.ტაბიძემ კარგად იცის, რომ მსოფლიო ორ შეურიგებელ ბანაკად არის გაყოფილი. ერთ მხარეზეა იმპერიალისტური ანუ მომაკვდავი კაპიტალისტური მსოფლიო, მეორე მხარეზე კი—პროლეტარული მსოფლიო. ამ ორი, ერთი მეორის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე, კლასობრივი ძალისათვის არ არსებობს შეხვედრის საერთო ნიადაგი. ერთი არის უაღრესად ეგოისტური, რომელიც აბსოლუტური უმცირესობის ბედნიერებას აგებს აბსოლუტური უმრავლესობის უბედურებაზე, მეორე კი — საკაცობრიო იდეებისათვის მებრძოლი „ადგილი, სადაც კიდევ ერთმანეთს" შეხვდებიან, „ქვეყნად ერთია მხოლოდ, გადაისერება ის სისხლის ზოლად".

პოეტში მტკიცედ არის გამომუშავებული მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვების რწმენა. იგი უმღერს ამ ოქტომბრის გრიგალს, რომელმაც უნდა აღგავოს პირისაგან მიწისა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მთელი მექანიზმი. თავის საუცხოო ლექსში — „ლენინი" გალ. ტაბიძე ამბობს:

„გაჰქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა,
გათავდა ომი სამოქალაქო,
მაგრამ ახლოა დრო, ამხანაგო,
მსოფლიო ნგრევის"..

პოეტი, აღტაცებულია რა იმით, რომ ახლოა „მსოფლიო ნგრევის" ხანა, რასაც ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს, მოუწოდებს მსოფლიოს:

ახმაურდეს ყველა ჩანგი
და გამძაფრდეს გულთა ძგერა.
ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ,
ვერ გამისწრებ, ვერა, ვერა.
მაინც ვიცი, მაინც ვიცი
ვერაფერი შესცვლის შვებას,
აღტაცებას იმედისას
და მსოფლიო გამარჯვებას".

გალ. ტაბიძე მსოფლიო ჩაგრულებს ბარიკადებისაკენ მოუწოდებს, რადგან „სხვა არ არსებობს ველი შველისა, გარდა სასტიკი ბრძოლის ველისა". მტერი უნდა გასტეხო, გაანადგურო და მხოლოდ შემდეგ არის შესაძლებელი მოიპოვო თავისუფლება; ამისათვის კი უნდა ეჩქარო:

„წამმა დაყოვნება არ იცის...
ჩქარა, ამხანაგო, თორემ დაგვიანდა.
წუთის დაკარგვაც კი არის ბოროტება.
ვინ სთქვა გადადება?
დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დასცე ძირს, გადალუნო, წამოაჩოქო,
უნდა დასცე ძირს და მხოლოდ მკვდარს
გადააბიჯო...
უშიშრად სიკვდილს ეწირება ხსოვნა მრავალი,
გამოსავალი უნდა იქნას, გამოსავალი.
დროა! დრო! დროა! დრო! დროა! დრო!

აქ არის პოეტის რევოლუციური დაჯერება შეერთებული რევოლუციის სიყვარულის დიდ პოეტურ განცდასთან. ასეთივე მხატვრული სიძლიერით იძლევა გალ. ტაბიძე ისტორიულ და სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ თემებს.

„ეპოქა“, რომელიც თემატიურად სხვადასხვა ლექსის ციკლს წარმოადგენს, ვხება ისტორიული მნიშვნელობის საერთო აქტუალურ პრობლემებს. აქ სჩანს პოეტის მსოფლმხედველობრივი ჰორიზონტის ფართო წრე, მოვლენების სწორი გაგება და პრობლემების მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა. ყველაზე უფრო მკვეთრად გალ. ტაბიძემ „ეპოქით“ დაამტკიცა, რომ იგი არ განიცდის თემატიურ შეზღუდულობას, ფორმალურ კონსერვატიზმს. თემატიურ მრავალფეროვნებასთან ერთად იგი ფორმის მრავალფეროვნებასაც იჩენს.

„ეპოქით“ პოეტმა გვიჩვენა აგრეთვე მსოფლმხედველობითი მომწიფება და მოვლენათა კონკრეტ სახიდან მისი ზოგადი სახისა და ხასიათის განსჭვრეტისა და მხატვრული განსხეულების უნარი.

„რევოლუციური საქართველო“ ხომ ოდაა სოციალიზმზე! აქ არის გულწრფელი და ჭეშმარიტი მისვლა სინამდვილესთან, ამ სინამდვილის უდიდესი განცდა. გალ. ტაბიძე ქებას უძღვნის რევოლუციურ საქართველოს ისტორიაში „ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს, უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უალრესს, თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიდეს აზრს... აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან, ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით“. მას ახარებს ჩვენი ქვეყნის წვრილმანი გამარჯვებაც კი. მისი გული უმატებს „რიტმს ამხანაგურს“, როცა ხედავს, რომ შენდება ქვეყანა და „ემატება აგური აგურს“:

„რამდენიც მძლავრი
მკვიდრდება სახლი
და ემატება
აგური აგურს,
თვალი სიახლეს
ჰხვდება სიახლით
გულიც უჩქარებს
რიტმს ამხანაგურს“.

გალ. ტაბიძეს ღრმად სჯერა, რომ „თანამედროვე გიგანტური ხმა უკარნახებს საუკუნეებს“ და მას ურჩევნია ერთი დღით თანამედროვედ ყოფნა, ვიდრე მარადისობაში არა თანამედროვედ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სრული შეგნებით ვამჯობინებ
ერთი დღის განმავლობაში
ვიყო თანამედროვე —
რიონჰესი, —
ვინემ მარადისობაში
ის ეკლესია —
არა თანამედროვე“.

ცხოვრების მოძრაობა შეერთებულია პოეტის გულისთქმასთან და რევოლუციური მხნეობა რომანტიკულ „თავდავიწყებაში“ გადადის:

„სიტყვა არ წამოგცდეს,
რომ შენ დაიღალე...
მედგრად მოიმარჯვე
ისევ ის ხელები,
მიწვდი, შეუტიე
წარსულს გახელებით“.

ჩვენი ეპოქა არის „საუკუნე ინდუსტრიალური“. გიგანტური ტემპებით ვითარდება მრეწველობა, შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის დაჭუცმაცებული, წვრილი მესაკუთრული მეურნეობა იქცა მსხვილ, სოციალისტურ სოფლის მეურნეობად, ძველი ურემი, თავისი იფნის სახრით, შესცვალა ავტო-მანქანამ, უძლური ცხენიდან ქვეყანა ფოლადის ტრაქტორზე გადაჯდა, და გალ. ტაბიძეც ამ უდიდეს გარდატეხათა მომღერალია.

გალ. ტაბიძემ შექმნა კოლექტივიზაციის ჰიმნიც, სადაც აბობოქრებული ახალი სოფლის დუღილია მოცემული. ასეთის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „რევოლუციურ საქართველოდან“ — „მხარი მხარს, მხარი მხარს!“.

გალ. ტაბიძე თავისს მხატვრულ შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისა და საერთაშორისო უშიშროების საკითხებს. იგი იმპერიალისტური ომისა და პაციფიზმის სასტიკი მტერია. გალ. ტაბიძემ დასწერა პოემა „პაციფიზმი“. ამ პოემაში გალ. ტაბიძემ, **ლენინ-სტალინის** მოძღვრების საფუძველზე ომის შესახებ, გამოამჟღავნა ომის იმპერიალისტური ბუნება და პაციფიზმის, როგორც ომის დაფარული პროვოკაციის, კლასობრივი ხასიათი. ომის საკითხს გალ. ტაბიძე ადრეც ეხებოდა („ეპოქა“ და სხვ.) და შემდეგშიც ხშირად დაბრუნებია მას. ამიტომ სამართლიანად შეგვიძლია მივაკუთვნოთ იგი თავდაცვის პოეტთა რიცხვსაც.

გალ. ტაბიძე, საბჭოთა პერიოდის შემოქმედებითს გზაზე, წარმატებით ეხმაურება სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლის აქტუალურ საკითხებს, მას კარგად ესმის საბჭოთა ხელოვანის ღირსების საქმე და დანიშნულება, როცა „ეპოქის კარებთან გვიცდის ჯერ ხელუხლებელ ხელოვნებათ ძლიერი გროვა“ და „მოგვიწოდებს განვიცადოთ, შევიგრძ-

ნოთ იგი". გალ. ტაბიძეს კარგად ესმის, რომ ეპოქის კულტურის მოთხოვნის სიმაღლეზე დგომისათვის საჭიროა იყო თანამედროვე, შეიგრძნო და განიცადო თანამედროვეობა და მისი დიდი ხელოვნება. ამიტომ მთელ რიგ თავის ლექსებში გალ. ტაბიძე მოუწოდებს პოეტებს, მხატვრებს, არტისტებს და ხელოვნების სხვა მუშაკებს ღრმად ისუნთქონ თანამედროვეობით, ალიჭურვონ სოციალისტური ხელოვნების პათოსით და იბრძოლონ ჩვენი ქვეყნის დიდი ხელოვნებისათვის. წინაალმდეგ შემთხვევაში მათი „ხელოვნებაც" იმდენივე გრძნობის ღირსი იქნება, „ვით ყოველივე, რაც უფსკრულში გადიჩეხება".

დასასრულ, ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ გალ. ტაბიძის თხზულებათა მეორე ტომი, სადაც თითქმის მთლიანად არის თავმოყრილი პოეტის საბჭოთა პერიოდის ლექსები და პოემები, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მისი ავტორი ჩვენი ეპოქის ნიჭიერი წარმომადგენელია და მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის მოწინავე მწერალთა შორის. გალ. ტაბიძის პოეტური მიღწევები არ არის მხოლოდ საქართველოს ან ამიერ-კავკასიის მასშტაბის მნიშვნელობის მქონე, იგი დიდი საბჭოთა კავშირის პოეზიის განუყრელი ნაწილია.

ოქტომბრის რევოლუციამ საბჭოთა კავშირის ყველა ერი დიდ, საერთო სოციალისტურ ოჯახში შეიყვანა. მთლიანი ძალებით ქმნიან ისინი საკაცობრიო, ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ ხელოვნებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ერის ხელოვნებამ, ლიტერატურამ საკავშირო მნიშვნელობა მოიპოვა და მათი მიღწევები თავს იყრიან საერთო საგანძურში.

გალ. ტაბიძის პოეტური შემოქმედების ძვირფასი ნიმუშებიც, რაც შექმნილია კლასიკური მემკვიდრეობისა და ფოლკლორის მიღწევათა საფუძველზე, შევა მხატვრული კულტურის იმ საკავშირო საგანძურში, რომელიც დიდხანს შეინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას.

გალ. ტაბიძე თავისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებით მილიონების მწერალია და საბჭოთა პოეზიის სიამაყე. მან ბევრი რამ ახალი შეიტანა ქართულ პოეზიაში, გაამდიდრა რა იგი რითმებით, ასონანსებით, ასონაციებით, რიტმით და სხვა მხრივ. ჩვენ გვწამს, რომ რესპუბლიკის სახალხო პოეტი უმაღლეს ჯილდოს — **ლენინის ორდენის** — მიღების შემდეგ განახლებული ენერგიით შეუდგება მაღალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას და კიდევ მრავალ ახალ სიტყვას იტყვის სოციალისტური პოეზიის გასამდიდრებლად.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. სულავა

მაოთალი და გმირული წიგნი

დღითი-დღე მოაქვს გაზეთებს ცნობა ჩინეთის წითელი არმიის წარმატებისა და გმირული ბრძოლების შესახებ. უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩინეთის ტერიტორიის ერთ ნაწილზე არსებობს საბჭოთა ჩინეთი, რომლის ფარგლებსაც კონტრრევოლუციურ გენერლებთან ბრძოლაში თანდათან აფართოვებს ჩინეთის წითელი არმია. ჩინეთის მუშებისა და გლეხების გმირული ბრძოლის და მათი წითელი არმიის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ უკანასკნელ დროს ძალზე გახმაურდა ამერიკელი რევოლუციონერი ქალის აგნესა სმედლის წიგნი — „მოთხრობები ჩინეთის წითელ არმიაზე".

აგნესა სმედლი ჯონ რიდის ტიპის მწერალია, დოკუმენტალური, ჟურნალისტურ-ბელეტრისტული ჟანრით მომუშავე. ა. სმედლი დიდიხანია ცხოვრობს და მუშაობს ჩინეთში, როგორც რევოლუციონერი კორესპონდენტი-ჟურნალისტი. თავისი მუშაობის დასაწყისიდან იგი ისე ორგანიულად მივიდა ჩინეთის მშრომელ ხალხთან, ისე შეუსისხლხორცდა ამ ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას, რომ თავის მთელ რიგ შესანიშნავ წიგნებს არა ამერიკის, არამედ ჩინეთის რევოლუციონური ლიტერატურის კუთვნილებად სთვლის.

ამ მხრივ სმედლი არაფრით არა ჰგავს თავის თანამემამულე მეორე მწერალ-ქალს პერლ ბაკს, რომელმაც თავისი რომანებით („მიწა", „შვილები") ჩინეთზე მსოფლიო სახელი მიიხვეჭა. პ. ბაკი ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩინეთში როგორც მისიონერი, სმედლი როგორც რევოლუციონერი ჟურნალისტი. აქედან ადვილი გასაგებია პ. ბაკისა და ა. სმედლის, როგორც მხატვრების, სპეციფიკა და იდეოლოგიური პოზიცია.

აგნესა სმედლის წიგნები — „ჩინური ბედი" და „მოთხრობები ჩინეთის წითელ არმიაზე" ჩინეთის მუშათა კლასისა და გლეხობის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის სამოქალაქო ომებში ცოცხალი მონაწილეობის უბრწყინვალესი ილუსტრაციაა, ჩინეთის მშრომელების სახელოვანი წითელი არმიის ლეგენდარული ბრძოლის ეპოპეია.

რევოლუციური მწერლის ა. სმედლის დამსახურება იმაშია, რომ მან რეალისტური სიცხადით და დიდი რევოლუციური გამბედაობით აღწერა ჩინეთის ხალხის რევოლუციური მოძრაობისა და გამარჯვების, თავდადებისა და ბრძოლის სინამდვილე. სმედლი ამ მხრივ არა თუ ობიექტური ამსახველია, არამედ მებრძოლი კალმით შეიარაღებული ჟურნალისტი, ცოცხალი და ისტორიული ფაქტებით, ცხოვრების ჭეშმარიტი, სწორი ისტორიული მსვლელობისათვის მებრძოლი მხატვარი. ამიტომაც მისი წიგნის ფურცლები ცხოვრების მწარე სინამდვილის, მილიონთა გაჭირვების, ტანჯვისა და ვაების, მისი კლასობრივი გამოღვიძების, სიძულვილის, შურისძიებისა და გამარჯვების ამაღელვებელი ფურცლებია.

სმედლის წიგნის ფურცლები მწველია იქ, სადაც იგი ეხება მუშებისა და გლეხების აჯანყებას, წითელი არმიის ნაწილების შეტაკებას თეთრებთან, გლეხებისა და ახალგაზრდა ქალების თავდადებულ გმირობას. შემაძრწუნებელია სმედლის წიგნის ფურცლები იქ, სადაც აწერილია მასების დარბევის სურათები, გომინდანელებისა და მილიტარისტული გენერლების და ინტერვენტების მხეცობა და ველურობა. მრავალი ტრაგიკული, შემზარავი, მრავალი გმირული და ამაღელვებელი ეპიზოდია ჩართული სმედლის წიგნის ფურცლებში. აი თუნდაც ეპიზოდი, რომელსაც ა. სმედლი „თეთრ ეპიზოდს“ უწოდებს. შეიარაღების თვალსაზრისით უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ წითლებს, ბარბაროსული საშუალებით უსწორდებიან თეთრები. ისინი არ ინდობენ ბრძოლაში დაჭრილ და დასახიჩრებულ არმიელებს და ჰოსპიტალსაც კი არბევენ.

სმედლის მოჰყავს იმის მრავალი ფაქტი, თუ რა ფასი აქვს უცხოელების იმპერიალისტურ თვალთმაქცობას. მას მოჰყავს ფაქტები და ეპიზოდები მხატვრული სურათების სახით, მაგრამ ამ სურათებს იგი რევოლუციურ-კლასობრივ შეფასებას აძლევს, ამიტომ ეს ფაქტები და სურათები ჩინეთის ბურჟუაზიისა და უცხოელი მილიტარისტების ძალადობისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მიმართული ბრალდებაცაა. ამ მხრივ და ამ თვალსაზრისით ის ტრაგიკული სურათი, რომელიც კონტრევოლუციონერი გენერლებისა და მათი დამქაშების ბრძოლის შედეგად იშლება, არის არა პესიმიზმის სათავე, არამედ ჩინეთის გამოღვიძებული ხალხის კლასობრივი ბრძოლისა და წინააღმდეგობის სურათი. ა. სმედლის ღრმად სწამს, რომ თუმცა კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა ულმობელია, მაგრამ ამ ულმობელ ბრძოლაში სიმართლე და მომავალი მშრომელების მხარეზეა, რომ სადაც სიმართლეა, იქ გმირობა და გამარჯვებაც არის, რომ გამოღვიძებული და აქარიშხლებული ხალხის ძალა უძლეველია, რომ უკვე დადგა დრო, როცა შავბნელი წარსულის მქონე ჩინეთში მასები ქმნიან ისტორიას, რომ ამ ისტორიის ბრწყინვალე ფურცლებს დღითიდღე ჰქმნის ჩინეთის კომუნისტური პარტია და მისი სახელოვანი წითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმია, რომ რაც დრო გადის, ჩინეთის ხალხის შეგნებაში იღვიძებს ძალაუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობა, რომლის ნებისყოფაც თანდათან ირაზმებიან ჩინეთის მუშები და გლეხები, იზრდება და დიდდება ჩინეთის არმიის წარმატება.

სმედლის შეგნებული აქვს, რომ ჩინეთის წითელ არმიას ამოძრავებს ისეთი ძალა, რომელიც „ქარის ფრთებით მიუძღვის წინ წითელ არმიას და შიშის ზარს სცემს მემამულეებსა და ვაჭრებს, გომინდანის ჯარისკაცებს, რომელნიც ცდილობენ გვერდი აუხვიონ წითლებთან შეხვედრას."

სმედლი შესანიშნავად გვიჩვენებს გომინდანის დაქირავებული ჯარისკაცების გახრწნას და მისი ჯარის ნაწილების წითლების მხარეზე გადასვლას. რატომ გადადიან წითლების მხარეზე, ეს ჯარისკაცები? იმიტომ, რომ მათ გონებაშიაც თანდათან იჭრება იმის შეგნება რომ წითელი არმიის ძლევამოსილება მშრომელი ხალხის ძლევამოსილებაა, და, როგორც ყოველ მშრომელს, მათაც წითლებისაკენ იზიდავს მათი კლასობრივი შეგნება.

სმედლი ამას არა თუ მხატვრული სურათებით გვიჩვენებს, არამედ პუბლიცისტურადაც ასაბუთებს. მას სწამს, რომ წითელი არმიის პოპულარობა ჩინეთის გაყვლეფილი მასების თვალში იმ ორგანიული კავშირიდან გამომდინარეობს, რომელიც წითელ არმიას აქვს მშრომელი ხალხის მილიონებთან.

სმედლის წიგნის მრავალი ფურცელი ილუსტრაციაა ჩინეთის წითელი არმიისა და ხალხის ერთიანობისა. ამიტომაც ერთიანობის ეს სათავე მრავალი გმირობისა და თავდადების მასალას იძლევა.

ამ მხრივ სმედლი, როგორც მხატვარი, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პ. ბაკის კონცეპციას, რომლის მიხედვითაც ჩინეთის ხალხში მონური მორჩილების, ფატალიზმის, ზანტი ცხოვრების პროზა ბატონობს. სმედლი კი გვიჩვენებს კლასობრივი ბრძოლის ცეცხლით ამოძრავებულ მასებს, მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტებს, ბავშვებს, ქალებს, იგი შეგნებული რევოლუციონერების მთელ რიგ პორტრეტებსაც იძლევა, რომელთა შორის ჩინეთის მშრომელი ხალხის უსაყვარლესი სახელებია, როგორც, მაგალითად, წითელი არმიის სახელოვანი სარდალი კომუნისტი ჩუდე, მაო-ცე დუნ, ხო-ლუნი.

სმედლი დიდად მოსიყვარულე გულით აღწერს ჩუდეს ცხოვრებას და ბრძოლას, მის ყოველდღიურ საქმიანობას. აი, ჩუდე აჯანყებული მუშებისა და პარტიზანების წინაშე სიტყვას ამბობს. ჩუდე სიჩუანელია. ოდესღაც ოფიცრად იყო, სწავლობდა გერმანიაში. იქვე შევიდა კომუნისტურ პარტიაში. ის შესანიშნავი სამხედრო სტრატეგია. ის ჩინეთის გასაბჭოების პირველი მებაირაღეა. სმედლი ლირიულად ჰყვება ჩუდეს ცხოვრებას თავის მოთხრობაში წითელი არმიის ბრძოლებთან და ყოფნასთან დაკავ-

შირებით. მისი ცხოვრება ჩაქსოვილია ამ ისტორიაში საუცხოო დეტალებით, უბრალო მაგრამ გმირული შემთხვევებით. ჩუდესა [illegible] წიგნში მოსჩანს მკაფიო ფიგურად, როგორც სარდალი, ამხანაგი [illegible] ერთგან ოსტატურად მოთხრობილია ჩუდესა და მისი ცოლის ჩანის სიყვარულის ამბავიც კი იქვე ტრანშეებისა და თეთრების შეტაკების ისტორია. სმედლი ოსტატურად აბამს ერთმანეთს პოლიტიკურ მსჯელობას და მხატვრულ აღწერილობას, ეპიზოდს, დიალოგს, და ასე უბრალოდ, მაგრამ ამაღელვებლად შლის იმ გრანდიოზულ სინამდვილეს, რომელსაც ჩინეთის წითელი არმია ჰქმნის ჩინეთის რევოლუციაში.

აი წიგნის ერთი თავი — „დღეები წითელ არმიაში" უბრალოდ, მაგრამ მოხდენილად არის აქ მოცემული გენერალ ტან-შენ-ჯის მეთაურობით ხუნანის არმიასთან შეტაკების სამზადისი, შეიარაღებული მემამაროებისა და არმიელების საუბარი, დილის რიჟრაჟზე ტრანშეებში ნაწილების ამოძრავება და ბრძოლის დასაწყისი. სმედლის არ უყვარს ფაქტების გაზვიადება, იგი ლაკონიურად, ხშირად შტრიხულად ხაზავს მომენტს. აი წითელი არმიელები მონაწილეობას იღებენ თესვის კომპანიაში, რომ ჩინეთის საბჭოთა მოსახლეობას, რომელსაც იცავენ ისინი, მშვიდობიანობასთან ერთად პურიც ბლომად ჰქონდეს. აი წითლებმა აიღეს ჩინელი მემამულის სასახლე, იშოვეს მრავალი ოქრო და ვერცხლი, მაგრამ იქვე დაარსეს ბანკი, რომ ხალხის ეს ფული კეთილდღეობას მოხმარდეს. სმედლის ყველა ეს ფაქტი და შტრიხი ესაჭიროება იმისათვის, რათა დაამტკიცოს, რომ წითელი არმია ხალხთა მშრომელი მასის არმიაა. ამიტომაც, სადაც კი ჩნდება წითელი არმია, ხალხიც მის მხარეზე დგება.

სმედლი აღწერს ფაქტებს, თუ როგორ აწამებენ გლეხებს თეთრების ოფიცრები, როცა ისინი წითელი არმიის შესახებ ცნობებს არ აძლევენ. ისინი გმირულად კვდებიან, მაგრამ წითელ არმიას არ ღალატობენ. სწორედ ამ ფონზე გვიჩვენებს სმედლი მუშებისა და გლეხების, ბავშვებისა და ქალების იშვიათ გმირობას წითელი არმიისათვის.

აი მთის ბილიკით დუნგუდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდის ახალგაზრდა ქალი ფეხშიშველა ბიჭით. მათ წითლებისაგან რაღაც დავალება აქვთ. ქალი ორსულადაა. ეს გარანტიაა, რომ მას ხელს არ ახლებენ: ბიჭს კვერცხები მიაქვს, ვითომ ქალაქში გასასყიდად. მაგრამ დაუნდობელნი და გახრწნილნი არიან თეთრების ჯარისკაცები. ისინი ქალს აუპატიურებენ და მდინარეში აგდებენ. არ ინდობენ ისინი პატარა ბიჭსაც, მას ოფიცრის ბრძანებით ხვრეტენ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ის ბავშვია, ისიც კი გმირულად კვდება.

„რამდენიმე წუთს ბავშვს არაფერი არ დაუნახავს. შემდეგ პირში რაღაც თბილი და მლაშე იგრძნო და, როდესაც ხელი ტუჩებთან მიიტანა, პირიდან სისხლი წასკდა. გაიგონა, როგორ გასცეს ბრძანება. მერე ვიღაცამ ხელი წააცლო და წაიყვანა. კვლავ გაიარეს ეზო. ტალახიანი ქუჩა... უცებ სოფლის ბოლოში გაჩნდნენ. საფლავთან მიყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილ მიწასთან. წინ ჯარისკაცთა რაზმი იდგა მისკენ თოფებ-გამართულნი, ხედავდა დუნგუს ამწვანებულ მწვერვალებს. იქ იყო წითელი არმია. იქ იყო მისი მამა, წითელი მეთაური.

— იცოცხლოს ათიათას წელიწადს წითელმა არმიამ! — [illegible] ბაისმა ნანჯუს წკრიალა ბავშური ხმა.

იგრიალა თოფებმა, ბავშვის სათუთი სხეული შეკანკალდა, მერე წყნარად დაეშვა მიწაზე, თითქოს ფეხებზე დგომით მოქანცულს ძილი მოუნდა და მიწვაო!"

შემდეგ სმედლი აღწერს ჯარისკაცების განწყობილებას უკანდაბრუნებისას:

„ქვის სკამებზე ჩამოსხდნენ და თავები დახარეს, თითქოს ცხვენოდათ ერთმანეთისათვის შეხედვა. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ერთმა ჯარისკაცმა ჩუმი ხმით მიმართა მეზობელს.

— გაიგონე, რა სთქვა?

— გავიგონე. ისინი ყველანი მაგრე ლაპარაკობენ.

— არ შეეშინდა სიკვდილისაც კი.

— მათ სიკვდილისა არ ეშინიათ.

— რატომ არ ეშინიათ წითლებს სიკვდილისა, ბავშვებსაც კი?

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ... ხომ გაიგონე, რა სთქვა: ეს ჩვენ ვართ დამნაშავენი, ჩვენა ვართ, მემამულეებისა და იმპერიალისტების ქოფაკი ძაღლები".

ეს ნაწყვეტი მკვეთრად ახასიათებს წითლების გავლენის ძალას. პატარა ბიჭის გმირობის მაგალითზე სმედლი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ რა ძლიერია კომუნისტური აგიტაციის ძალა.ძლიერია კი იმიტომ, რომ მასში სიმართლეა. კლასობრივი სიმართლის ეს თესლი, მოხვდერილი თავის ნიადაგზე, აღელვებს ადამიანებს, აღელვებს არა თუ გაწამებულ მშრომელ მასებს, არამედ გაუთვითცნობიერებელ ჯარისკაცებსაც კი.

ა. სმედლი ამ დეტალში მოსჩანს, როგორც მოქნილი და ფხიზელი მხატვარი. რად ღირს თუნდაც მეორე ეპიზოდი — მემალაროელი ყმაწვილის იუ-კუნის ხუნანის აჯანყებაში მონაწილეობის ამბავი. აჯანყებულებმა გადასწყვიტეს გომინდანის წევრების, ოფიცრების, პოლიციელების ამოწყვეტა. დაპატიმრებულები წაიყვანეს დასასჯელად და როცა საყვირით იუ-კუნმა მისცა ნიშანი, ორასამდე კაცი დახვრიტეს. მკვდრებს შორის იუ-კუნმა შემთხვევით საკუთარი მამა დაინახა. მან მისცა ნიშანი, რომ მამა მოეკლათ. ყმაწვილის შეშფოთებას საზღვარი არა აქვს. ის მიუახლოვდება აჯანყების მეთაურს, მუშას, და ეუბნება:

— „იქ იყო ჩემი მამაც. ისიც მოკლულია. მე მივეცი ნიშანი.

კუნი შეჩერდა, დახედა ძირს ყმაწვილის გაფირთებულ სახეს, რომელიც მას შესცქეროდა. იუ-კუნის თავზე ნაზად დაეშვა დაკოჟრებული ხელი საპასუხოდ. ყმაწვილს გაუნათდა თვალები სიყვარულისა და ერთგულების ნიშნად.

— შენ არ დარჩები მარტოხელა. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ მამის, დედის, ძმისა და დის განწირვას რევოლუციის გულისათვის. შენ ახალგაზრდა კომუნისტი ხარ. შენი სი-

ცოცხლე პარტიას ეკუთვნის. პარტიის გარეშე არ არსებობს შენთვის არც ... არც დედა, არც მამა, არც ოჯახი. მართალს გეუბნები ხომ?

— კი, — წყნარად უპასუხა იუ-კუნმა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმედლი კლასობრივ შურისძიების მხატვარია. ის ზიზღით აღწერს გომინდანის მოღალატეებს. ამიტომაც არ ზოგავს ფერებს, რომ სრულად გვიჩვენოს რევოლუციონური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა. წიგნის შესავალში მუშების აჯანყების ვასამართლებლად ის პირდაპირ სწერს: „რევოლუციით მოსპეკულიანტო გომინდანის პარტიამ თავის ტანზე წინანდელი მილიტარისტების მუნდირი გადაიცვა და უცხოელი მილიტარისტების დახმარებით მთელ ქვეყანაში დაიწყო მუშებისა და გლეხების მასობრივი ხოცვა". გომინდანელების მოქმედებას მუშები აჯანყებით უპასუხებენ: ჰკლავენ პოლიციელებს, გომინდანელებს და მთებში მიდიან წითელ არმიისაკენ. წითელი არმია აქაც რევოლუციურ ძალთა შემკრები ძალაა.

სმედლი არ ადგია სინამდვილის გაყალბების გზას, როგორც ეს ბურჟუაზიულ და პაციფისტ მწერლებს სჩვევიათ. ამიტომ მისი გმირები ცოცხალი და მებრძოლი ადამიანები არიან. მის მიერ აღწერილი ეპიზოდები სინამდვილის უაღრესად მართალი გამოხატვაა. ფაქტების შესანიშნავი ცოდნა, რევოლუციური თანაგრძნობა, პირდაპირობა და სამართლიანობა და ამასთან ერთად მხატვრული განზოგადოების უნარიანობა, მხატვრული გამოხატვის მახვილი შესაძლებლობა. მას ახასიათებს ჟურნალისტური სიმკვეთრე, მოვლენის ცოცხალი და მახვილი გამოჭერის უნარი, ამ მოვლენის განზოგადოების მხატვრური შესაძლებლობა.

ამიტომაა, რომ გაღელვებს „მოთხრობებში" კომკავშირელ იუ-კუნის საქციელი, გლეხი ხანის თავგადასავალი, პატარა ნანჩის სიკვდილით დასჯის ისტორია. კარგათაა აღწერილი სმედლის მიერ ფეოდალების ციხეკოშკების აღების ამბავი. სმედლის ეხერხება ტიპების შტრიხული დახატვა, ეპიზოდების მკვეთრი გადმოცემაც.

წითელარმიელები კვდებიან, მაგრამ სიკვდილის წინ „ინტერნაციონალს" მღერიან და ამხანაგებს სთხოვენ, მტრებს ტყვედ არ ჩაუვარდნენ. პატარა ნანჯუც კი გმირულად მოკვდა, როცა დაიყვირა „იცოცხლოს წითელმა არმიამ". სამაგიეროდ, აი როგორ აღწერს სმედლი გომინდანის ქოფაკების სიკვდილს და რა დიდი განსხვავებაა ამ ორი სხვადასხვა სოციალური და კლასობრივი ფენის ადამიანთა მოქმედებაში.

სმედლი აღწერს მომენტს, როცა აჯანყებულმა მუშებმა დასახვრეტად წაიყვანეს გომინდანელები. „ვიღაც მსხვილი ოფიცერი შიშისაგან ყოველ წუთს ხმამაღლა ყვიროდა. არც ერთს მათგანს ერთხელაც არ დაუძახნია „გაუმარჯოს გომინდანსო", როცა გომინდანის ეს ლაქიები მიჰ-

ყავდათ იმ ქუჩებით, რომლებითაც წინად ისინი, მიერეკებოდნენ დასასჯელად ოთხასამდე მემალაროელს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასობრივი ბრძოლის ამ მძაფრს მომენტში შესანიშნავად ეტყობა ორი კლასის გრანდიოზული ომის სინამდვილე.

პირველი ცოცხალი და თავგანწირული კლასია, მეორე-ჯალათური, მაგრამ ლაჩრული. სიკვდილის წინ პატარა ნანჯუს ხმაში ახალი, მებრძოლი კლასის ხმა ისმოდა, გომინდანის გომბეშო ოფიცრის კანკალში კი მომაკვდავი კლასის შიში.

თუ რაოდენ პოლიტიკურ სიმახვილემდე აჰყავს ფაქტები, ა. სმედლის ამ მაგალითიდანაც ნათელია. ა. სმედლი უსათუოდ საყურადღებო მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. ისეთი ტიპის მწერლები, როგორიც სმედლია და ისეთი ნაწარმოებები, როგორიც არის „ჩინური ბედი“ და „მოთხრობები ჩინეთის წითელ არმიაზე“ იწერება და ჩნდება ისეთ დიდი ისტორიული მომენტების დროს, როგორიცაა ჩინეთის სამოქალაქო ომისა და საბჭოებისთვის ბრძოლების პერიოდი, ჩინეთის წითელი არმიის სახელოვანი ბრძოლების დრო. რამაც უნდა გადასწყვიტოს ამ მრავალ მილიონიანი ქვეყნის მშრომელთა ბედი.

ა. სმედლის წიგნში ხაზგასმულია ჩინეთის მასების კლასობრივი გამორკვევის საქმეში ოქტომბრის ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის ზეგავლენა.

რომ ოქტომბრის რევოლუციის ტალღებმა გამოაღვიძა საბრძოლველად ჩინეთის მასები, აამოძრავა და დარზმა ისინი ჩინეთის პროლეტარული რევოლუციის მოსახდენად, რომ დიდი გენიოსების ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს იდეები აცისკროვნებს ჩინეთის მშრომელ ხალხის ბრძოლას, — ამისი მაჩვენებელია საბჭოთა ჩინეთის არსებობა, მისი სახელოვანი წითელი არმიის ბრძოლისა და წარმატების ფაქტები. ამის ბრწყინვალე ილუსტრაციაა ა. სმედლის შეუბრალებლად მართალი და საოცრად გმირული წიგნი იმის შესახებ, თუ რა გმირული ბრძოლის ქარიშხალით იკაფავს გზას ჩინეთის მშრომელი ხალხი მთელ ჩინეთში პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, ამიტომაც ა. სმედლის წიგნიც ამ ბრძოლების რევოლუციური მახვილია.

● ● ●

ბიბლიოგრაფია

ქართული ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე — მოთხრობები. სახელგამი. 1935 წ.

ნინო ნაკაშიძე ძირითადში რეალისტი მწერალია და ჩვენი პირველი რევოლუციის წინა პერიოდის დიდი ძვრები მას რეალურად აქვს ასახული. სოფლის მეურნეობის დეგრადაციის ფონზე სოფლელების ქალაქებისაკენ დაძვრა, გლეხობის ყოვლად უუფლებო და აუტანელი ცხოვრების პირობები, აზნაურებისა და თავადების პარაზიტობა, ჩარჩ-მევახშეების მყვლეფელობა მწერალს ასახული აქვს წვრილ-ბურჟუაზიული თვალსაზრისიდან.

„ძიძა" — საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა — გვიხატავს კაპიტალიზმის განვითარების ფონზე გურული გლეხის კოწიას ყოვლად გაჭირვებულ ცხოვრებას. ამ სუეტიან მოთხრობას ბევრი საინტერესო შემავალი ეპიზოდი აქვს. მოთხრობაში ბოლომდის არ არის დაცული რეალისტური ხაზი. ხშირად ადგილი აქვს ნატურალიზმში გადავარდნას. ასეთია, მაგალითად, ,ადგილი: ძიძა ექიმთან. ძიძას ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა ეჩვენოს ექიმს. აგრეთვე ტასიას ცხოვრების უმნიშვნელო წვრილმანები, სამხედრო პირის მიერ ძიძა ქრისტინეს ძალით გაუპატიურების ამბავი და სხვა. ეს ეპიზოდები, ეს ამბები მოკლებულია დამაჯერებლობას.

მოთხრობაში „დამნაშავე" ქალის ყოვლად უუფლებო მდგომარეობას ავტორი ტრაგიზმამდე ანვითარებს. ქმრის უხასიათობა, აზნაურიშვილური ყოყლოჩინობა, შვილის არ შერჩენა ხდება ფასოს ტრაგიზმის მიზეზად. სუეტური კვანძები ნაწარმოებში მოხდენილად არის დახსნილი. ქმრის არ ყოფნის დროს მუცლის მოწყვეტა, სხვისი ბავშვის აყვანა, შემდეგ ამ ბავშვის პატრონის გამოჩენა, ფასოს სამართალში მიცემა და ციხეში გამომწყვდევა კომპოზიციურად კარგად არის შეკრული. თავადი ფირფიტაშვილი და აზნაური ყარამან ფაფარაძე დავით კლდიაშვილის შორეული გავლენით გაკეთებული „შემოდგომის აზნაურების" ტიპებია მხოლოდ გურიის ფონზე. თვით ქმარი თეიმურაზი დეგრადაციის გზაზე გაქანებული, მაგრამ მატრაბაზა გაფხეკილი აზნაურის მშვენიერი ტიპია.

პატარა მოთხრობა „საახალწლო სურათი" საღი რეალისტური მიდგომით გაკეთებული ნაწარმოებია, ეგნატე ნინოშვილის სკოლის დიდი გავლენით დაწერილი. ამ მოთხრობაში მოცემულია გურული გლეხის ცხოვრების ტრაგიზმი ახალწლის წინა დღეს. საახალწლო ჩიჩილაკების გასაყიდად ბაზარში წასული ოჯახის უფროსი ხელცარიელი ბრუნდება. ოჯახში სახვალიო დღის სიმხიარულე აღარ არის. დიდი და პატარა სამგლოვიარო განწყობილებას მოუცავს. ამ დროს ჩამოდის ქალაქიდან შვილი. მან თან მოიტანა ყველაფერი, რაც ახალწლისათვის საჭიროა. ოჯახს სიხარული და აღფრთოვანება დაეუფლა, მაგრამ არა დიდი ხნით. ქოხს პოლიციელები მიადგებიან და შვილს დააპატიმრებენ რევოლუციური მუშაობისათვის.

მოთხრობა „ასპიროზის დახვრეტა" რეაქციის ხანის სინამდვილეს გვისახავს. რეაქციის თარეში, სოფლების აწიოკება. ხალხს შიშით სინათლე ვერ აუნთია. ბნელაში სხედან. ეგზეკუციაა. იოთამის ოჯახზე თავდასხმა, ვარსკვლავის ასპიროზის ამბავი, მის წინააღმდეგ საეგზეკუციო რაზმის ბრძოლა, თითქოს ის რევოლუციონერების ნიშანი იყვეს, არა ტიპიური ამბავია.

მოთხრობებს წამძღვარებული აქვს ა. სულავას წინასიტყვაობა.

საერთოდ კი ამ წიგნის გამოცემა დადებით შენაძენათ უნდა ჩაითვალოს.

ბ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
ვ. მაიაკოვსკი — პირველი კომუნარები (ლექსი)	5
ტიციან ტაბიძე — ბაღდათის ზეცა	7
მიხ. ჯავახიშვილი — ქალის ტვირთი (რომანი)	11
ვ. გაბესკირია — ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები (ლექსი)	41
გ. კაჭახიძე — ზღვაზე (ლექსი)	43
პ. ჩხიკვაძე — მურზაყან დადეშქელიანი (რომანი)	45
ს. თავაძე — ფრთები (რომანი)	58

ხელოვნებამთცოდნეობა

ა. ჩავლეიშვილი — ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური შეხედულებანი	107

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მ. გორკი — ფორმალიზმის შესახებ	134
ალიო მაშაშვილი — ვლადიმერ მაიაკოვსკი	142
ე. ასტვაცატუროვი — გ. ტაბიძის ლექსების ახალი წიგნი	147
ალ. სულავა — მართალი და გმირული წიგნი	160

ბიბლიოგრაფია

გ. მ. — ნ. ნაკაშიძე	167

[illegible]